ინგა (კლარა) ქარაია

# სახელმძღვანელო მუზეუმის გიდებისათვის

თბილისი
2015

წიგნის გამოცემა განხორციელდა
**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა** და **აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის** ხელშეწყობით

**რედაქტორები:**
**ნინო ჭოღოშვილი**
აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი
**მარიამ ბურჭულაძე**
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
მუზეუმების სამმართველოს უფროსი
კომპიუტერული დიზაინი: **ლაშა ქარაია**

**ავტორი:**
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**ინგა (კლარა) ქარაია**

წიგნში განხილულია მუზეუმში ექსკურსიის დაგეგმვის საკითხები, განსხვავებული ასაკისა და ტიპის აუდიტორიასთან ექსკურსიის ჩატარების პრინციპები და მეთოდები, სამუზეუმო ექსკურსიის ფორმები მუზეუმში და მუზეუმს გარეთ, მუზეუმის გიდების (ექსკურსიათმძღოლების) მუშაობის სპეციფიკა, საექსკურსიო ეთიკისა და სხვა საკითხები, მოცემულია გიდის მუშაობის შეფასების თანამედროვე კრიტერიუმები. წიგნს თან ერთვის სპეციფიკური სამუზეუმო ტერმინოლოგიის მცირე განმარტებითი ლექსიკონი. გამოცემა განკუთვნილია მუზეუმის გიდებისათვის და შეიძლება გამოყენებული იქნეს დამხმარე სახელმძღვანელოდ უმაღლეს სასწავლებლებში (თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ.) მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამისა და კულტურული ტურიზმის მოდულის სფეროში სწავლებისათვის.

*გარეკანზე:* ვატიკანის მუზეუმი. მარტი, 2007. ფოტო: ისუს მორენო / CC BY-SA 3.0
*Cover:* Vatican Museums. March 2007. Photo credit: Jesus Moreno / CC BY-SA 3.0

ISBN 978-9941-0-8369-3

© ინგა (კლარა) ქარაია
© აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, 2015

## სარჩევი

**შესავალი** .....5
**I. საექსკურსიო საქმის განვითარების ისტორიული ასპექტები** .....8
1.1. ექსკურსია – მუზეუმის საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითადი ფორმა .....8
1.2. საექსკურსიო საქმის განვითარების ისტორიული დისკურსი .....10
1.3. სამუზეუმო და საექსკურსიო საქმის ეროვნული გამოცდილების ისტორიიდან .....17
1.4. სამუზეუმო კომუნიკაციის ძირითადი მიმართულებები .....39
1.5. პედაგოგიური საქმიანობის სპეციფიკა თანამედროვე მუზეუმში .....43

**II. სამუზეუმო აუდიტორიის თავისებურებები და ექსკურსიის დაგეგმვა** .....48
2.1. მუზეუმის აუდიტორიის შესწავლა .....48
2.2. განსხვავებულ აუდიტორიასთან საექსკურსიო მუშაობის პრინციპები და მეთოდები .....50
2.3. ვიზიტიორთა მომსახურების ფორმები და ექსკურსიის დაგეგმვა .....65

**III. ექსკურსია მუზეუმში** .....70
3.1. სამუზეუმო ექსკურსიის ტიპები .....70
3.2. მიმოხილვითი ექსკურსიის მომზადებისა და ჩატარების მეთოდური პრინციპები .....79
3.3. საგანმანათლებლო ექსკურსიის მომზადებისა და ჩატარების მეთოდური პრინციპები .....81
3.4. შემეცნებითი ექსკურსიის მომზადებისა და ჩატარების მეთოდური პრინციპები .....85
3.5. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის სახეები სამუზეუმო სივრცეში .....88

**IV. საექსკურსიო პრაქტიკის სპეციფიკა მუზეუმს გარეთ ექსკურსიების პროცესში** .....90
4.1. საექსკურსიო მუშაობის მიზნები და ამოცანები .....90
4.2. ექსკურსიები მუზეუმს გარეთ .....95
4.3. არასამუზეუმო სივრცეში ექსკურსიების ჩატარების მეთოდური პრინციპები .....100
4.4. საექსკურსიო მასალის მიწოდების სპეციფიკა .....107

**V. ექსკურსიამძღოლის (გიდის) პროფესიული სტანდარტები** .....112
**VI. სამუზეუმო და საექსკურსიო ტერმინების მოკლე ლექსიკონი** .....122
ICOM (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო) და მისი საერთაშორისო კომიტეტები .....162
დანართები .....173
ლიტერატურა .....176

# შესავალი

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს თანამედროვე მუზეუმებს, რომლებმაც ფეხი უნდა აუწყონ საზოგადოების განვითარების თავბრუდამხვევ ტემპს, რათა სათანადოდ უპასუხონ სამუზეუმო აუდიტორიის სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნებს. 2012 წელს მუზეუმების საერთაშორისო საბჭომ (ICOM) მის მიერ შერჩეული მუზეუმის საერთაშორისო დღის თემით („მუზეუმები ცვალებად სამყაროში. ახალი გამოწვევები, ახალი ინსპირაციები"[1]) კიდევ ერთხელ აღიარა, რომ მუზეუმებს არსებობა უწევთ სულ უფრო და უფრო ცვალებად სივრცეში – ახალ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკოლოგიურ გარემოში, რომლის გამოწვევები ითხოვს მუზეუმის ტრადიციული მისიის შეთავსებას კრეატიულობასთან, რაც აუცილებელია მათი რენოვაციისა და აუდიტორიის განვითარებისათვის.

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ თანამედროვე მუზეუმი განიცდის არსებით ტრანსფორმაციას - უნიკალური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და ინტერპრეტაციასთან ერთად, იზრდება მისი როლი სოციალური ადაპტაციის, კულტურული იდენტიფიკაციის, საგანმანათლებლო და სხვა აქტივობების ორგანიზების თვალსაზრისითაც. "ყველა მუზეუმს უნდა ჰქონდეს ადამიანთა ცხოვრების შეცვლის ამბიცია, რადგან, მიუხედავად განსხვავებულობისა, ყველა მუზეუმს შეუძლია მოიძიოს გზები მათი სოციალური გავლენის მაქსიმალურად გაუმჯობესებისათვის"[2] ანუ საკუთარი სოციოკულტურული მისიის სათანადოდ განხორციელებისათვის.

უკანასკნელი წლების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამ მისიის

---

[1] *Museums in a Changing World - New challenges, New inspirations.* http://network.icom.museum/imd2012/imd-2012/museums-in-a-changing-world/

[2] ფლემინგი დ., *მუზეუმების სოციალური როლი,* ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ ორგანიზებული საჯარო ლექცია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია, 27 ნოემბერი, 2015.

წარმატებულ რეალიზაციას განაპირობებს აუდიტორიასთან მუზეუმის ურთიერთქმედების ეფექტურობა, რაც მოიცავს როგორც მუზეუმმცოდნეობის (მუზეოლოგიის), ასევე სხვა მეცნიერებათა (კულტუროლოგია, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, მენეჯმენტი, მარკეტინგი და სხვ.) თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. აშკარაა, რომ თუ ადრე მუზეუმის სტატუსს ძირითადად განსაზღვრავდა მისი **კოლექცია,** დღეს ეს თვალსაზრისი შეიცვალა: მუზეუმის მოღვაწეობის ცენტრში მოექცა **ვიზიტიორი** - პიროვნება მთელი თავისი სოციოკულტურული, ფსიქოლოგიური და ასაკობრივი მახასიათებლებით, მისი ჩართვა მუზეუმის საქმიანობაში, რადგან, სპეციალისტთა აზრით, სწორედ "აქტიური საზოგადოებრივი თანამონაწილეობა ცვლის მუზეუმს უკეთესობისაკენ"[3].

ევროპაში მუზეუმების საქმიანობის რადიკალურ ცვლილებებს საფუძველი ჩაეყარა 1970-80-იან წლებში - მუზეუმების რიცხვის, მრავალფეროვნებისა და პოპულარობის ზრდის, აუდიტორიის გაფართოების შედეგად, რაც განაპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

- საზოგადოების გაზრდილი მოთხოვნები ისტორიულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებისა და მათი კულტურული ინტერპრეტაციისადმი;
- ახალი ტიპის მუზეუმების აღმოცენება და არსებულის მოდერნიზაცია;
- მუზეუმების საგანმანათლებლო პროგრამებში ცოდნის გავრცელებიდან აქცენტის გადატანა პიროვნების შეხედულებების, შეფასებათა სისტემის ფორმირებასა და შემოქმედებით შესაძლებლობათა გამოვლენაზე.

შესაბამისად, ჩამოყალიბდა ახალი მიდგომები მუზეუმის არსის აღქმისა და საზოგადოებრივი დანიშნულებისადმი, რამაც, ბუნე-

---

[3] დიდი ბრიტანეთის მუზეუმების ასოციაციის ვებ-გვერდი: www.museumsassociation.org/museums-change-lives

ბრივია, შეცვალა მუზეუმის პოლიტიკის ორიენტირები, საქმიანობის შინაარსი, ფორმები და ფაქტობრივად, დღეს მუზეუმები წარმოადგენენ განათლების, კომუნიკაციის, კულტურული ინფორმაციისა და შემოქმედებითი ინოვაციების ცენტრებს.

თანამედროვე მუზეუმი აცნობიერებს კონსერვატიზმის გადალახვისა და გარემომცველი სამყაროს "ათვისების" აუცილებლობას, ამყარებს კავშირს სხვადასხვა საზოგადოებრივ ინსტიტუციასთან, აფართოებს სამოქმედო არეალს როგორც პირდაპირი (სამუზეუმო სივრციდან გასვლა გამოფენებისა თუ სხვა კულტურული აქციების ორგანიზებით), ასევე გადატანითი მნიშვნელობით – მის მიერ დაგროვილი კოლოსალური კულტურულ-საგანმანათლებლო პოტენციალის გავრცელებით (მუზეუმის კულტურულ-საგანმანათლებლო პოტენციალში იგულისხმება არა მხოლოდ მისი შესაძლებლობები ვიზიტიორის პიროვნების ფორმირებაში ან კულტურათაშორისი დიალოგის განვითარებაში, არამედ მუზეუმის უნარი – "შექმნას" კულტურა მის რთულ კავშირებსა და ურთიერთქმედებებში).

წინამდებარე გამოცემა მიზნად არ ისახავს შეეხოს და პასუხი გასცეს ყველა იმ კითხვას, რაც დაკავშირებულია მუზეუმისა და ვიზიტიორის ურთიერთქმედების პრობლემებთან. ამ შემთხვევაში აქცენტი გადატანილია  მუზეუმის არსებულ (და პოტენციურ) აუდიტორიასთან აქტიური კონტაქტის დამყარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებაზე – სამუზეუმო ექსკურსიის ფორმებსა და მეთოდებზე, მისი სტრატეგიების განსაზღვრაზე ვიზიტიორთან ურთიერთობის პროცესში.

# თავი I.
# საექსკურსიო საქმის განვითარების ისტორიული ასპექტები

## 1.1 ექსკურსია – მუზეუმის საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითადი ფორმა

როგორც ცნობილია, სამუზეუმო საქმიანობის შესახებ ადამიანებს წარმოდგენა ექმნებათ გამოფენებისა და კოლექციის ინტერპრეტაციის იმ პროგრამების მეშვეობით, რაც მუზეუმში ხორციელდება. სამუზეუმო სივრცეში იქმნება და ვითარდება ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ექსპონირების მეთოდები და მარშრუტები, რომლებიც მუზეუმის ვიზიტიორს აძლევს შესაძლებლობას, ღრმად ჩაწვდეს ამა თუ იმ ექსპოზიციის მახასიათებლთა მთელ კომპლექსს (მაგალითად, კაცობრიობის ისტორიისა და კულტურის განვითარების ეტაპების სპეციფიკა, ამა თუ იმ ეპოქის მხატვრული სტილი, ხელოვნების ცალკეული მიმდინარეობები, კონკრეტულ ოსტატთა მეთოდის თავისებურებები და ა. შ.).

შესაბამისად, მუზეუმისათვის სხვადასხვა ტიპის ექსპოზიცია წარმოადგენს ვიზიტიორთან კომუნიკაციის დამყარებისა და ურთიერთქმედების ძირითად  საშუალებასაც, რაც, როგორც წესი, ხორციელდება მუზეუმის ექსკურსიამძღოლის/გიდის მიერ ჩატარებული ექსკურსიით – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან ხელოვნების ნიმუშის დამთვალიერებლისათვის წარდგენის ყველაზე გავრცელებული ფორმით.

ცნება "ექსკურსია" (ლათ. excursio – გასეირნება, მოგზაურობა) დასავლეთ ევროპაში XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე გაჩნდა და მჭიდროდ უკავშირდება განათლებას. ექსკურსიის საგანმანათლებლო პოტენციალი კარგად იყო ცნობილი სწავლების ხელშესახებ პრინციპზე ორიენტირებული პედაგოგებისათვის. ამიტომაც, შემთხვევითი არ ყოფილა, რომ უკვე 1800-იანი წლებიდან, ევროპის ბევრი სკოლის დებულებაში ექსკურსია წარმოადგენდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ნაწილს და მას შემდეგ აქტიურად გამოიყენება

როგორც სწავლების ერთ-ერთი დემოკრატიული ფორმა, რაც ხელს უწყობს ახალი ცოდნისა და გამოცდილების მიღებას.

ტერმინ "ექსკურსიის" განსაზღვრისას XIX საუკუნის სხვადასხვა ევროპელ მეცნიერთა მიერ იგი განმარტებულია, როგორც "მოგზაურობა", "გასეირნება", "ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულება" და ა. შ. მოგვიანებით კი, როგორც "გასეირნება, რომლის მიზანია გარკვეული თემის შესწავლა კონკრეტულ, საყურადღებო და "დამაფიქრებელ" მასალაზე დაყრდნობით[4]".

სამუზეუმო საქმის განვითარებისა და მისი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის დინამიკის გათვალისწინებით, ექსკურსია შეიძლება განისაზღვროს როგორც **საგანმანათლებლო საქმიანობა, რომლის შინაარსს წარმოადგენს საექსკურსიო მარშრუტით შემოთავაზებული ვიზუალური ობიექტების კომპლექსური (ვიზუალური, ვერბალური, ემოციური) აღქმა ცოდნისა და შთაბეჭდილების მიღების მიზნით.**

სხვა საგანმანათლებლო ფორმებთან შედარებით, სამუზეუმო ექსკურსიას გარკვეული უპირატესობაც გააჩნია, ვინაიდან აღქმის ობიექტები წარმოადგენს ორიგინალებს, რომელთა დიაპაზონი ძალზე ფართოა – მოყოლებული ბუნების ძეგლებიდან დამთავრებული ხელოვნების ნაწარმოებებით. ამ ობიექტებს გააჩნია დიდი შემეცნებითი პოტენციალი, ასახავს ბუნებისა და ცივილიზაციის, ისტორიის, კულტურის, კონკრეტული ეპოქისა და ავტორის ხელოვნების ან მთლიანად ერის განვითარების პროცესს. ორიგინალთან ურთიერთობა დამთვალიერებელს ასწავლის - აღიქვას და შეიგრძნოს გარემომცველი სამყარო, შეაფასოს ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობები, ანუ, აზიარებს მას კულტურის საფუძვლებს. აქვე ხაზგასასმელია კიდევ ერთი თავისებურება, რომ, ექსკურსია - ესაა კონტაქტი მუზეუმის პედაგოგთან (მუზეუმის თანამშრომელი ან კონსულტანტი განათლების სფეროში, რომელიც ქმნის სასწავლო,

---

[4] Burcaw E., *Introduction to Museum Study.* Third Edition. Alta mira Press, 1999, გვ. 34

საგანმანათლებლო შინაარსის პროგრამებს გამოფენებისათვის და აკონტროლებს მათ შესრულებას) ან გიდთან (მუზეუმის პროგრამების ან ტურების ხელმძღვანელი, ვინც ამზადებს საინფორმაციო ლექციებს მიმდინარე ექსპოზიციის თაობაზე და წარმოადგენს ერთგვარ "შუამავალს" ექსპონატსა და მნახველს შორის). მათთან ურთიერთობა ამდიდრებს მუზეუმის ვიზიტიორის აღქმას, ავითარებს დამოუკიდებლად აზროვნებისა და პიროვნებებს შორის ურთიერთქმედების შესაძლებლობებს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი "შუამავალს" გააჩნია შესაბამისი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მომზადება, კარგად ფლობს საექსკურსიო მუშაობის სპეციფიკას და მუზეუმის ექსპონატის/ძეგლის ანალიზის ფორმებს.

სამუზეუმო ექსკურსიის სპეციფიკურ თავისებურებებს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს:

- იმ ობიექტების ხელმისაწვდომობა, რაც ჩართულია ექსკურსიის მეთოდურად გამართულ მარშრუტში;
- საექსკურსიო ჯგუფის ხელმისაწვდომობა (როგორც წესი, 10-30 ადამიანი);
- გიდის არსებობა – კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ფლობს ჯგუფთან მუშაობისათვის აუცილებელ ცოდნას და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ თვისებებს.

ექსკურსიის ამოცანებისა და დასათვალიერებელი ობიექტების სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსკურსია შეიძლება ჩატარდეს სამუზეუმო სივრცეში და მის მიღმა, დროის განსხვავებული ხანგრძლივობით და მარშრუტზე გადაადგილების განსხვავებული მეთოდით - ქვეითად ან სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებით.

## 1.2. საექსკურსიო საქმის განვითარების ისტორიული დისკურსი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ცნება "ექსკურსია", როგორც კოლექციის პრეზენტაციის საგანმანათლებლო ფორმა, დასავლეთ ევროპაში XVIII–XIX საუკუნეთა მიჯნაზე გაჩნდა, თუმცა, დამთვა-

ლიერებელთან კომუნიკაციის ეს ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიცია მომდინარეობს ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როცა ძველი ბაბილონის, ეგვიპტის  მმართველთა სასახლეებში და ანტიკური საბერძნეთის ტაძრებში საფუძველი ჩაეყარა ხელოვნების ნიმუშებისა და სხვადასხვა სახის რარიტეტთა შეგროვების წინამუზეუმურ ფორმას.

ტრადიციულად, ანტიკურ საბერძნეთში  უზენაეს ღვთაებათა და მუზების თაყვანსაცემად აგებულ ტაძრებში - "მუსეიონებში" (ბერძნ. muséion – მუზების სამფლობელო, საიდანაც წარმოიშვა შემდეგში ტერმინი "მუზეუმი") განთავსებული იყო ქანდაკებები, სურათები და ხელოვნების სხვა ნიმუშები, რომლებსაც მუზებს უძღვნიდნენ. ამ შემოწირულობებს მუსეიონებში განაგებდნენ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილი მსახურები (hieropoei), რომლებიც არა მარტო იცავდნენ ტაძარს და საგანძურს, არამედ აწარმოებდნენ დაგროვილი კოლექციის აღრიცხვასაც (მათ მიერ შედგენილი ნუსხა და აღწერილობა გარკვეულწილად მოგვაგონებს კიდეც თანამედროვე მუზეუმების საინვენტარო აღწერას საგნის დასახელების, მასალის, ზომებისა და წონის, განსაკუთრებული ნიშნების, დაცულობის ხარისხის, მიძღვნის მიზეზისა და თარიღის, შემომწირველის სახელისა და ეთნიკური კუთვნილების მითითებით) და ასრულებდნენ სტუმრებისათვის მათი წარდგენისა და გაცნობის ფუნქციასაც[5].

რომაელთა მიერ საბერძნეთისა და ელინისტური სახელმწიფოების დაპყრობის შემდეგ (ჩვ. აღ.-მდე II ს.) რომში ანტიკური ძეგლების დიდმა კონცენტრაციამ და ბერძნული კულტურული მემკვიდრეობის საკმაოდ სწრაფმა ათვისებამ გამოიწვია, ერთი მხრივ, მუსეიონების აღმოცენება და მეორე მხრივ, კერძო კოლექციონირების პროცესის სახელმწიფო დონემდე აყვანა და მხატვრულ ფასეულობათა საზოგადოებრივი  მნიშვნელობის გაცნობიერება. იულიუს კეისარმა (ძვ.წ. 100-44 წწ.) კაპიტოლიუმის ბორცვზე სპეციალური შენობაც კი

[5] Frazer P. *Problematic Alexandria,* Oxford, 1972, P. 312-313

ააგო საკუთარი კოლექციის საჯარო დემონსტრირებისათვის, ხოლო მოგვიანებით, კაპიტოლიუმის ძირას აგებულ "თანხმობის ტაძარში" (Temple of Concord, ძვ. წ. IV ს.) განთავსდა ქანდაკებები, სურათები და სხვადასხვა სახის მხატვრული ნაწარმი, რითაც, ფაქტობრივად, რომის მმართველებმა ტაძარი აქციეს იმპერიის მთავარ საიმპერატორო მუსეიონად.

ხელოვნების ნიმუშების შეგროვების ანტიკურმა ტრადიციამ შემდგომი განვითარება ჰპოვა აღორძინების ეპოქაში, როცა საფუძველი ჩაეყარა კოლექციების სისტემატიზაციის პროცესს და მათ განთავსებას მუზეუმის ტიპის სივრცეში. რომის ეკლესიის სულიერი მამების (პაპი იულიუს II და სხვ.) მიერ წარმართულმა საქმიანობამ სათავე დაუდო არა მარტო ცალკეული უნიკალური კო-

**ალექსანდრიის ბიბლიოთეკა.** ო. ფონ კორვინი (გერმანია), XIX ს. გრავიურა. პტოლემაიოსის მიერ სავარაუდოდ, ჩვ. წ. აღ.-მდე 290-იან წლებში დაარსებული ალექსანდრიის მუსეიონის კომპლექსში შემავალი ბიბლიოთეკა ძვ. წ. აღ-ის I ს-თვის 700 ათას პაპირუსის გრაგნილს ითვლიდა და ანტიკური პერიოდის ყველაზე დიდ წიგნსაცავად ითვლებოდა.

ლექციების ფორმირებას, არამედ ახალი ტიპის პოლიფუნქციური რელიგიურ-კულტურული კომპლექსის - ვატიკანის გრანდიოზული არქიტექტურული ანსამბლის შექმნას, მის ტაძრებსა და სასახლეებში XVI-XXVII საუკუნეების ოსტატთა ნაწარმოებების თავმოყრას. ასევე ფართოდ განვითარდა კერძო კოლექციონირების პრაქტიკა და უკვე XVI საუკუნის მიწურულიდან იტალიელ არისტოკრატთა (მანტუას ჰერცოგი გონზაგო, ფლორენციის მმართველები - მედიჩები და

სხვ.), ჰუმანისტებისა და მხატვართა კერძო კოლექციების (ანტიკური სკულპტურისა და ხელნაწერთა ნიმუშები, ფერწერული ტილოები და იტალიელ ვაჭართა მიერ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი იშვიათი რარიტეტები) დათვალიერება ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებისათვის.

XVII საუკუნიდან განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს როგორც არისტოკრატების, ასევე მეცნიერ-სწავლულებისა და უნივერსიტეტების მიერ შექმნილი კაბინეტები, რომლებიც მოიცავდნენ ბუნების იშვიათობათა კოლექციას. თანდათან ყალიბდებოდა უფრო ვრცელი, ენციკლოპედიური პრინციპით ორგანიზებული ხელოვნების ნიმუშებისა და საბუნებისმეტყველო მასალების კოლექცია "ზრდასრულთა შემეცნებითი განვითარებისა და მოზარდების განათლების მიზნით", რაც დღევანდელი თვალთახედვიდანაც, საგანმანათლებლო ამოცანების საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავდა[6]. შესაბამისად, ბუნებრივია, ამ ამოცანების განხორციელებასთან ერთად, ყალიბდებოდა კოლექციების დამთვალიერებელთან ურთიერთობისა და მუშაობის ფორმაც, რომლის საფუძველს უდავოდ ექსკურსია წარმოადგენდა.

მუზეუმებისა და საექსკურსიო საქმიანობის აყვავების ხანად იქცა XIX საუკუნე, როცა ისტორიული მეცნიერებისა და ქალაქის - ურბანიზებული კულტურის განვითარების პროცესში საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ სწორედ მუზეუმი წარმოადგენს კაცობრიობის კულტურული გამოცდილების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ყველაზე მისაღებ ფორმას. საზოგადოებრივ ცნობიერებაში ჯერ კიდევ ტაძრად მოაზრებული მუზეუმი იქცა სამუზეუმო ნივთებში ისტორიული ტრადიციის, ჰუმანიტარულ და მხატვრულ ფასეულობათა ხილულ განსხეულებად - ადამიანის შემოქმედებით შესაძლებლობათა მკაფიო ასახვად. დამთვალიერებელთა ფართო აუდიტორიისათვის ეს

---

[6] ქარაია ი., *Museion-Museum-მუზეუმი (ტერმინ მუზეუმის განმარტებისათვის),* სტატია, ჟურნ. "სპექტრი", 1, 2008, გვ. 106

ძეგლები ხელმისაწვდომი გახდა უკვე XVIII ს. II ნახევრიდან, როცა ევროპის ქვეყნები (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) აქტიურმა საგანმანათლებლო მოძრაობამ მოიცვა. ეს მოძრაობა იქცა მძლავრ იმპულსად სხვადასხვა პროფილის მუზეუმების დაარსებისა (ბრიტანეთის მუზეუმი, ლონდონი, 1753; საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მუზეუმი, მიუნხენი, 1903 და სხვ.) და მათში საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისათვის, რომლის ძირითად ფორმას საჯარო ლექცია და ექსკურსია წარმოადგენდა.

საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ (1791 წ.), ლუვრისა და ტუილრის სასახლეთა ბაზაზე 1793 წელს გახსნილი ლუვრის მუზეუმი ფაქტობრივად იყო პირველი საზოგადოებრივი მუზეუმი, რომლის




**ცნობილი გეოლოგისა და პალეონტოლოგის უილიამ ბაქლანდის ლექცია ეშმოლეანის მუზეუმში** (დიდი ბრიტანეთი), 1823 წლის 15 თებერვალი. მუზეუმი დაარსდა 1683 წელს, 1903 წლიდან: ოქსფორდის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და არქეოლოგიის ეშმოლეანის მუზეუმი/Ashmolean Museum of Art and Archaeology Oxford of University. ჩ. ჰიულმანდელის (1789-1850) ლითოგრაფია.

მისია დეკრეტით იმთავითვე განისაზღვრა როგორც "... მეცნიერებისა და ხელოვნების ძეგლების კოლექციის შეგროვება და განთავსება ხალხის განათლებისა და ესთეტიკური სიამოვნების მინიჭების მიზნით[7]", რასაც ზედიზედ მოჰყვა ახალი მუზეუმების დაარსება ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. მათ შორის გასაკუთრებული ადგილი უკავია ჰამბურგის სამხატვრო მუზეუმს – კუნსტჰალეს (Hamburger Kunsthalle, გერმანია), რომლის დირექტორმა ალფრედ ლიხტვარკმა

[7] http://www.louvre.fr/en/history-louvre

(1852-1914) სრულიად ახალი ხედვა შემოიტანა სამუზეუმო საქმის აღქმაში.

პროფესიით პედაგოგი ა. ლიხტვარკი მიიჩნევდა, რომ სკოლასთან ერთად, მუზეუმიც უნდა გახდეს სწავლების ადგილი და თავის მთავარ მოვალეობად მიიჩნევდა ბავშვებთან მუშაობას ექსკურსიის ფორმით. მუზეუმში ექსკურსიას იგი აგებდა დიალოგის პრინციპზე და თვლიდა, რომ "სურათის განხილვა თავისთავში უნდა შეიცავდეს დრამატულობის მცირე ელემენტსაც და უნდა გააჩნდეს იმპროვიზაციის ხიბლი, რომლის დროსაც თავისუფლად იხსნება ყველა ძალები[8]".

დიალოგის ფორმატში მიმდინარე ექსკურსიის პროცესში მნახველები გულდასმით "იკვლევდნენ" სურათს, მის კომპოზიციას, სიუჟეტს, პერსონაჟთა ფსიქოლოგიას ლიტერატურასა თუ მუსიკასთან დაკავშირებით და ამგვარად სწავლობდნენ ხელოვნებასთან ურთიერთობას. ამასთან, "სავარჯიშოების" ავტორი მიიჩნევდა, რომ "კითხვა-პასუხის მეთოდი არ არის ერთადერთი, არსებობს მასალის ანალიზის სხვა საშუალებებიც, მაგრამ კატეგორიულად არ არის რეკომენდებული თავისუფლების შემზღუდავი მეცნიერულად ჩამოყალიბებული მოხსენება"[9].

ბუნებრივია, ასეთი მიდგომა არღვევდა ხელოვნების სწავლების ჩამოყალიბებულ მეთოდიკას, რომლის საფუძველს წარმოადგენდა მკაფიოდ ფორმულირებული ცოდნა ხელოვნებასა და მის სტილებზე. თავისი მეთოდის სპეციფიკის განმარტებისას, ა. ლიხტვარკი წერდა: "ჩვენ ვისწრაფვით იმისაკენ, რომ თვალი გადავავლოთ მთელ ეპოქას, ვაჩვენოთ, თუ როგორ აისახა იგი ცალკეულ ნაწარმოებში და რა შთაბეჭდილებას ახდენს იგი". ამასთან, იგი გაურბოდა მნახველისათვის ხელოვნების საკითხებზე საკუთარი მოსაზრების ავტორიტარულად თავსმოხვევას. ა. ლიხტვარკმა პირველმა დანერგა სამუზეუმო სივრცეში "მუზეუმთან დიალოგების" პრაქტიკა და საფუძველი

---

[8] Lichtwark A. *Ubungen in der Betrachtung von Kunstwerken.* Berlin. 1909. გვ . 23 -24.

[9] Lichtwark A. იქვე.

ჩაუყარა საექსკურსიო მეთოდიკას, რომლის  მიზანს წარმოადგენს ხელოვნების ნაწარმოების შემოქმედებითად აღქმის უნარის განვითარება მხატვრის ჩანაფიქრის მიხედვით.

გერმანელმა მეცნიერმა ჰანს ფროიდენტალმა (1905-1990), რომელიც, სხვა გლობალურ პრობლემებთან ერთად, იკვლევდა სამუზეუმო რესურსებზე დაყრდნობით საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პრობლემებს, პირველმა ჩამოაყალიბა მუზეუმში სასკოლო სწავლების ორგანიზების მეთოდიკა[10], რაც დღესაც არ ჰკარგავს აქტუალობას:

- მუზეუმში მოსწავლეთა ყველა ვიზიტს უნდა ჰქონდეს კონკრეტული საგანმანათლებლო მიზანი;
- მასწავლებელმა და ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მუზეუმში ვიზიტი არის არა გართობა, არამედ სერიოზული სამუშაო, რომელიც საჭიროებს მომზადებას;
- მუზეუმში სწავლებას სჭირდება საგანგებოდ მომზადება საკოლო მეცადინეობების პროცესში ანუ მაშინ, როცა ბავშვები ჯერ კიდევ არ არიან დაღლილები და მზად არიან აღქმისათვის;
- უმჯობესია უარი ითქვას მიმოხილვით ექსკურსიებზე, რაც ძნელად აღსაქმელია არა მხოლოდ მოზარდისათვის, არამედ მოზრდილთათვისაც;
- საესკურსიო დემონსტრირებისათვის ექსპონატები უნდა შეირჩეს მოზარდის ასაკობრივი ინტერესის გათვალისწინებით;
- მუზეუმში ვიზიტის შედეგი უნდა იყოს მოზარდთა დამოუკიდებელი ნამუშევარი (ნახატი, თემები ნანახის აღწერით, მოდელების შექმნა და სხვ.).

სწორედ გერმანიის მუზეუმების ფართო პრაქტიკამ და ანალიზმა განაპირობა ტერმინ “სამუზეუმო პედაგოგიკის” წარმოშობა 1934 წელს, რაც, მისი შემქმნელის, კ. ფრიზენის (გერმანია) აზრით, თავისთავში მოიცავს საგანმანათლებლო მუშაობასა და სამუზეუმო

---

[10] Freudenthal H., *Lincos: design of a language for cosmic intercourse, Studies in logic...*1936, გვ. 59

დიდაქტიკაზე დამყარებულ სამუზეუმო რესურსებით მხატვრული აღზრდის ტრადიციას.

## 1.3. სამუზეუმო და საექსკურსიო საქმიანობის ეროვნული გამოცდილების ისტორიიდან

საქართველოში საექსკურსიო საქმიანობის პრაქტიკის ჩამოყალიბება ქვეყანაში პირველი მუზეუმების დაარსებისა (1860-იანი წლები) და შემდეგში, მუზეუმების მასობრივად დაფუძნების პერიოდს (1920-იანი წლები) უნდა ემთხვეოდეს, თუმცა გარკვეული მცდელობები ამ მიმართულებით უთუოდ მანამდეც არსებობდა.

ქვეყანაში პირველი სამუზეუმო დაწესებულება გასული საუკუნის შუახანებში აღმოცენდა. 1852 წელს დაარსებული რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების მუზეუმის ბაზაზე 1865 წელს შეიქმნა კავკასიის მუზეუმი (1919 წლიდან - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). "ამავე დროიდან შეგვიძლია გავადევნოთ თვალი ჩვენში სამუზეუმო ცხოვრების განვითარებასაც იმ საერთო სისტემით, რომელიც შემუშავდა და დაფუძნდა ევროპული სამუზეუმო ცხოვრების მიხედვით[11]".

თუმცა, პროფ. ლევან ჭილაშვილისა და სხვა მეცნიერთა აზრით, ქვეყანაში სამუზეუმო საქმიანობის ჩასახვა-ჩამოყალიბებას "მართალია, სტიქიური თვითდინებით, მაგრამ გაცილებით ადრე ჩაეყარა საფუძველი... იგულისხმება მთელი რიგი ისტორიული მოვლენის მისანიშნებელი ძველი ნივთის საგანგებო დაცვა და შენახვა, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად"[12].

---

[11] ჭილაშვილი ლ. *მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები (ლექციების კურსი),* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1984, გვ. 26.

[12] ჭილაშვილი ლ. *იქვე.*

ისტორიული მოვლენის აღმნიშვნელი ნივთების საგანგებო დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ყველაზე ძველ წერილობით წყაროს წარმოადგენს ანტიკური პერიოდის ბერძენი გეოგრაფის ფლავიუს არიანეს (ახ. წ. 95-175) შავი ზღვის გარშემო მდებარე ქვეყნებში მოგზაურობის ამსახველი მასალა. კოლხეთის აღწერისას იგი აღნიშნავს, რომ შავი ზღვის სანაპიროზე, "ფაზისში ჩასულ სტუმრებს და სხვა მნახველებს ათვალიერებინებდნენ ქალღმერთ რეას ქანდაკებას, არგონავტების ხომალდ "არგოს" ღუზის ნაშთებს და სხვა ღირსშესანიშნავ მასალებს"[13].

შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოში სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების თავისებურ საცავს (შეიძლება ითქვას, ძველბერძნული "მუსეიონების" ანალოგიას) ძირითადად წარმოადგენდა ქართული საეკლესიო-სამონასტრო ცენტრები როგორც საქართველოში (გელათი და ბაგრატის ტაძარი, ალავერდი, შუამთა, ბედია, მარტვილი, ოშკი და სხვ.), ასევე მის ფარგლებს გარეთ (ათონი, იერუსალიმი, სინას მთა და სხვ.). ეკლესია-მონასტრების კოლექციები ძირითადად შემოწირულობის გზით ივსებოდა და არა მხოლოდ საეკლესიო-რიტუალური დანიშნულების საგნების, დოკუმენტებისა და ხელნაწერებისაგან შედგებოდა, არამედ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის არაერთ მნიშვნელოვან ნიმუშს შეიცავდა (ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ სვანეთის ბევრ ეკლესიაში დღემდე შემორჩენილია ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები, ნაირგვარი სამეურნეო, საოჯახო თუ საბრძოლო ნივთი, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე ეკლესიებს სწირავდნენ).

ისტორიული ცნობების მიხედვით, ქართველ მეფეთა (მათ შორის, ბაგრატ V-ის, ერეკლე II-ის საცავები და სხვ.) სასახლეებში თავმოყრილი იყო დიდძალი უნიკალური საუნჯე, რომელსაც სამუზეუმო მნიშვნელობა გააჩნდა. ერეკლე II-ის თბილისის სასახლის საცავის

---

[13] ფლავიუს არიანე, *მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო,* ნ. კეჭაღმაძის თარგმანი და გამოცემა, თბ., 1961, გვ. 39.

შესახებ ცნობა ეკუთვნის თეიმურაზ ბაგრატიონს[14], რომლის თანახმად, ირკვევა, რომ მეფის სასახლეში "სალაროსა შინა", მოწყობილი ყოფილა მუზეუმი, რომლის კოლექციებსაც წარმოადგენდა ძველი მონეტები, საჭურველი და სხვა მასალები (სამწუხაროდ, 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების შედეგად, სასახლესთან ერთად, მუზეუმიც განადგურებულა).

ისტორიკოსთა (ს. ჯანაშია, ლ. ჭილაშვილი და სხვ.) აზრით, სრულიად დასაშვებია ზემოთ მოყვანილი ეს რამდენიმე ფაქტი განვიხილოთ საქართველოში სამუზეუმო წარმონაქმნების პირველსახეებად. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კულტურული ცხოვრების აღმავლობისათვის სამუზეუმო ორგანიზმის, არქივისა და ბიბლიოთეკის შექმნის აუცილებლობას კარგად გრძნობდნენ რუსეთში ევროპულ განათლებას ნაზიარები ქართველი ბატონიშვილები. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს 1799 წლით დათარიღებული იოანე ბატონიშვილის წერილობითი მოხსენება მეფე გიორგი XII-სადმი (1746-1800), საქართველოს უკანასკნელი მეფისადმი (ხელნაწერთა ინსტიტუტი – ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. 2155), სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნულია ბიბლიოთეკა-მუზეუმების გახსნის საჭიროების შესახებაც: "იყოს ბიბლიოტიკას სახლი, ყოველი საერო და საეკლესიო წიგნი რაც შეიძლებოდეს იქ იცვებოდეს, აგრეთვე სახეები და მაგალითები მხატვრობებისა, შენებულებათა და სხუათა ხელოვნებათა და ვისაც ენებოს მივიდოდის..." ანალოგიური აზრია გატარებული დავით ბატონიშვილის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში შემუშავებულ სამართლის წიგნშიც,[15] მაგრამ სამწუხაროდ, მაშინდელ ისტორიულ გარემოებათა გამო, ამ მეტად საჭირო წინადადებებს აღსრულება არ ეწერა და თბილისში საზოგადოებრივი მუზეუმის შექმნის იდეის განხორციელება ნახევარი საუკუნით გადაიდო.

---

[14] ბაგრატიონი თ., *ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს საქართველოისა,* სანკტ-პეტერბურგი, 1848 წ. გვ. 52.

[15] ჭილაშვილი ლ. *მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები (ლექციების კურსი),* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1984, გვ. 35.

სასახლეებში მუზეუმების შექმნის ევროპული გამოცდილების გათვალისწინების თვალსაზრისით უდავოდ საყურადღებოა სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის (1812-1853) მიერ, ევროპელ არისტოკრატთა მსგავსად, ზუგდიდის სამთავრო რეზიდენციაში 1850-იან წლებში დაარსებული კაბინეტ-მუზეუმი, რომელშიც განთავსდა მთავრის მიერ წლების მანძილზე შეგროვებული ნუმიზმატიკური, პალეოგრაფიული და არქეოლოგიური, საომარი აღჭურვილობისა და ქრისტიანულ სიწმინდეთა კოლექციები, ჰერალდიკური ატრიბუტიკა და სიძველეთა სხვა ნიმუშები.[16] შემონახულია ცნობა იმის თაობაზეც, რომ კოლექციის შესავსებად მთავარი ხშირად გლეხებისგან იძენდა მათ კარ-მიდამოში შემთხვევით აღმოჩენილ ნივთებს და თვითონაც ატარებდა არქეოლოგიურ გათხრებს სამეგრელოს სხვადასხვა ტერიტორიაზე, მათ შორის, ნოქალაქევში (არქეოპოლისი), სადაც ბრინჯაოს ხანისა თუ ელინისტური პერიოდის არაერთი საყურადღებო ნიმუში აღმოუჩენია. რეზიდენციის კაბინეტ-მუზეუმში გამოფენილ მასალებს დავით დადიანი სიამაყით ათვალიერებინებდა იმდროინდელი დიდგვაროვანთა წრის წარმომადგენლებს, სამთავრო ქალაქ ზუგდიდში ჩამოსულ სტუმრებს და თვითონვე უყვებოდა თითოეული ნივთის წარმომავლობასა და ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობაზე. ცნობილი ფრანგი მეცნიერი მარი ბროსე, რომელიც 1847 წელს იმყოფებოდა ზუგდიდში, წერდა: "მე დავით დადიანის კაბინეტში ვნახე სიძველეთა შესანიშნავი კოლექცია..."[17] და იქვე საუბრობს მთავრის ბიბლიოთეკაში დაცულ უნიკალურ ნაბეჭდ და ხელნაწერ წიგნებზე, საომარი აღჭურვილობის მდიდარ და მრავალრიცხოვან კოლექციაზე (დადიანების საგვარეულოს მიერ საბრძოლო იარაღების კოლექციის შეგროვებას საფუძველი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში

---

[16] ბერაია ლ., კალანდია გ., ქარაია ი. *ზუგდიდის მუზეუმის გზამკვლევი,* საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოცემა, თბ., 2009, გვ. 20.

[17] Brosse M., *Rapports sur un voyage archéologique exécuté dans la Géorgie et dans l'Arménie en 1847-1848 sous les auspices du Prince Vorontzof Lieutenant du Caucase,* at Google Books, Saint Petersburg: Académie impériale des sciences, 1851. გვ. 36

ჩაეყარა, თუმცა, მაშინ ეს პროცესი სპონტანურად მიმდინარეობდა. XIX საუკუნის 30-იან წლებში დავით დადიანმა ამ საქმიანობას მიზანმიმართული და ფაქტობრივად, სამუზეუმო სახე მისცა - იგი სასახლის მუზეუმისათვის იარაღს გარკვეული სისტემით აგროვებდა, რის შედეგადაც  კოლექცია შეივსო როგორც კავკასიური და რუსული, ასევე ევროპული, აზიური, აფრიკული და ავსტრალიური საბრძოლო ხელოვნების ნიმუშებითა და ატრიბუტებით, რომელთა დიდი ნაწილი

**გრიგოლ გაგარინი** (1810-1893), *სამხედრო მუზეუმი დადიანების სასახლეში* ქაღალდი, აქვარელი, 1849 წ.

ამჟამადაც დაცულია დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში).

1852 წელს თბილისში დაარსებული საქართველოს პირველ სამუზეუმო დაწესებულებაში - რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების მუზეუმში მნახველს საშუალება ჰქონდა დაეთვალიერებინა და გარკვეული ინფორმაცია მიეღო

საბუნებისმეტყველო, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ კოლექციებზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა ეროვნული მეცნიერების ბევრი დარგის (ბიოლოგია, გეოლოგია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და სხვ.) პოპულარიზაციისა და შესწავლის პროცესს.

საგულისხმოა, რომ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში სამუზეუმო საკითხში იმხანად ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი თვალსაზრისი. ერთნი თვლიდნენ, რომ სამუზეუმო საქმის განვითარებისათვის საქართველოში ყველა პირობა არსებობდა (ამ თვალსაზრისს თავგამოდებით იცავდა რაფიელ ერისთავი, რომელმაც  დიდი წვლილი შეიტანა მუზეუმის ეთნოგრაფიული კაბინეტის მოწყობაში, მოაწესრიგა ეთნოგრაფიული მასალა და შეადგინა კატალოგიც), მეორენი (მუზეუმის დირექტორი ი. ბარტოლომეი, ალ. ნიკოლაი და სხვ.) მიიჩნევდნენ, რომ მუზეუმი უნდა დახმარებოდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მეცნიერებს კავკასიის გაცნობაში და ახალი ექსპონატებით შეევსო ევროპის მუზეუმების ფონდები. თანდათან გაიმარჯვა მეორე თვალსაზრისმა. ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ რუს მეცნიერებთან (ა. ბერჟე, ი. ბარტოლომეი, ალ. ნიკოლაი და სხვ.) ერთად, მუზეუმის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეებიც (გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, რაფიელ ერისთავი და სხვ.), როგორც წესი, მას ხელმძღვანელობდნენ რუსეთიდან მოვლინებული პირები. შესაბამისად, მიუხედავად ქართული საზოგადოების არაერთგზის მცდელობისა, მუზეუმის დირექცია ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდა ახალი ექსპონატებით მუზეუმის ფონდების შევსებას (მაგალითად, 1857 წელს დირექციამ უარი თქვა შეეძინა მიხეილ ბარათაშვილის ნუმიზმატიკური კოლექცია, რომელიც შემდეგ ბერლინის მუზეუმში მოხვდა), რაც ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა საკმაოდ დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომაც პერიოდულად მკვეთრად ისმებოდა საკითხი ეროვნული სამუზეუმო ცენტრის - “საერო სახლის” დაარსების შესახებ, სადაც გარდა სამუზეუმო კოლექციებისა და გა-

მოფენებისა, იქნებოდა საგანგებო დარბაზი სხდომებისათვის, სალექციო აუდიტორია და წიგნსაცავი.

ფინანსური პრობლემების გამო, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების მუზეუმი 1864 წელს დაიხურა. მის ბაზაზე 1865 წელს გაიხსნა კავკასიის მუზეუმი, რომლის დირექტორად დაინიშნა ცნობილი გეოგრაფ-ნატურალისტი გუსტავ რადე (1831-1903), რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული სამუზეუმო საქმის განვითარებაში. მისი ხელმძღვანელობით კავკასიის მუზეუმი სულ მალე იქცა მძლავრ სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომლის საქმიანობა მოიცავდა არა მხოლოდ საქართველოსა და კავკასიას, არამედ მეზობელ რეგიონებსაც. მუზეუმის ფონდი თანდათან შეივსო არაერთი უნიკალური კოლექციით – კერძო პირებისაგან შეძენილი ნივთებით, შემოწირულობითა თუ ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალებით (ეთნოგრაფიის, ზოოლოგიის, ბოტანიკისა და გეოლოგიის კოლექციებს დაემატა „ორნამენტებისა და სიძველეთა“, მოგვიანებით არქეოლოგიური ექსპონატებიც). XIX საუკუნის მიწურულისათვის კავკასიის მუზეუმი ერთ-ერთ საუკეთესო განძთსაცავად ითვლებოდა რუსეთის მთელ იმპერიაში და საკმაოდ დიდი მეცნიერული ავტორიტეტით სარგებლობდა. 1900 წელს პარიზში გამართულ მსოფლიო უნივერსალურ ექსპოზიციაზე (Exposition Universelle, Grand Palais) განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა რუსეთის პავილიონში განთავსებულმა საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის ამსახველმა მასალებმა, რომელიც კავკასიის მუზეუმის მიერ მომზადდა, რისთვისაც მუზეუმის დირექტორი გუსტავ რადე ოქროს მედლით დაჯილდოვდა[18].

გარდა სამუზეუმო ფონდების შევსებისა და სხვადასხვა ტიპის გამოფენების ორგანიზებისა (საბუნებისმეტყველო, არქეოლოგიური და სხვა ექსპოზიციები), კავკასიის მუზეუმი ინტენსიურ სამეცნიე-

[18] გაზეთი “კვალი”, 1900, 16-22

**კავკასიის მუზეუმის პირველი შენობა**

**კავკასიის მუზეუმის საბუნებისმეტყველო ექსპოზიცია.** XIX ს. ფოტო

რო-საგანმანათლებლო მოღვაწეობასაც ეწეოდა: მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა უცხოეთის მუზეუმებსა თუ სამეცნიერო დაწესებულებებთან და საკუთარ საქმიანობას ევროპული გამოცდილებით ამდიდრებდა. რამდენჯერმე გამოიცა კავკასიის მუზეუმის გზამკვლევი, კატალოგი „Museum Caucasicum“ 6 ტომად, პერიოდულად იბეჭდებოდა მუზეუმის „მოამბე“, იქმნებოდა საექსკურსიო ტექსტები.

სამუზეუმო ცხოვრების განვითარებისა და სიძველეთა ძეგლების მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობის გაცნობიერებაზე დიდი გავლენა იქონია თბილისში გამართულმა V არქეოლოგიურმა ყრილობამ (1881), როცა კავკასიის მუზეუმი შეყვანილი იქნა რუსეთის საიმპერატორო აკადემიის სისტემაში.

სწორედ ამ პერიოდიდან, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებს სათავეს არაერთი ახალი მუზეუმის დაარსება საქართველოში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ, საზოგადოე-

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა და მუზეუმი** (ია ეკალაძე, შიო მღვიმელი, იროდიონ ევდოშვილი) ალ. როინაშვილის ფოტო. 1865-1898

ბის ხელნაწერთა ბიბლიოთეკასთან 1884 წელს შეიქმნა არქეოლოგიური ("საარხეოლოგო") მუზეუმი, რომელმაც დიდი სამუშაოები განახორციელა სამუზეუმო კოლექციების შეგროვებისა და დაცვის მიმართულებით, თუმცა უსასხრობისა და სათანადო შენობის უქონლობის გამო ვერ შეძლო საქმიანობის გაგრძელება, რაც ქართულმა საზოგადოებამ მტკივნეულად განიცადა და ათიოდე წლის შემდეგ კვლავ წამოიჭრა საკითხი ეროვნული მუზეუმის – "საერო სახლის" დაარსების თაობაზე: "საერო სახლი" უნდა იყოს ჩვენთვის პატარა უნივერსიტეტიც და სამეცნიერო აკადემიაც, შესაფერისი მოწყობილობით"[19], თუმცა იმჟამად ამ იდეას განხორციელება არ ეწერა და შემდგომში სხვა მიმართულებით განვითარდა.

გარდა ამისა, თბილისის მოსახლეობის მხარდაჭერით და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა (ე. თაყაიშვილი, თ. ჟორდანია და სხვ.) თაოსნობით, აგრეთვე საქართველოს საეგზარქოსოს სამღვდელოების უშუალო მონაწილეობით სიონის ტაძართან შეიქმნა საეკლესიო მუზეუმი ("ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ძმობასთან არსებული საეკლესიო განძთსაცავი", 1888), რომლის მიზანი იყო საქართველოს ეკლესია-მონასტრებში შემონახული იმ ისტორიული მნიშვნელობის ნივთების საგანგებო განძთსაცავში გადატანა, აღწერა, შესწავლა და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა, რომლებიც ყოველდღიურ ხმარებაში აღარ გამოიყენებოდა (ძირითადად ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები, რომლებიც მოგვიანებით, 1930 წელს გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ხოლო შემდეგში – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს).

ამ მუზეუმების გვერდი-გვერდ, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ცნობილი ფოტოგრაფისა და კოლექციონერის ალექსანდრე როინაშვილის მიერ 1887 წელს შექმნილი ფოტოგრაფიის მოძრავი მუზეუმი, რომელსაც "კავკასიის პატარა მუზეუმს" უწოდებდნენ. 1887-1888 წლებში მუზეუმის გამოფენებმა დიდი წარმატებით მოიარა

---

[19] ალ. ხანანაშვილი, გაზ. "კვალი", 1895, 47.

**მეაბრეშუმეობის სადგური/აბრეშუმის მუზეუმი.** არქიტექტორი: ალ. შიმკევიჩი, 1890-1892

კავკასიისა და რუსეთის არაერთი ქალაქი (პეტერბურგი, სარატოვი, ასტრახანი, სამარა, მოსკოვი), სადაც საქართველოს სიძველეთა ამსახველ მრავალ ფოტოგრაფიულ და სტერეოსკოპულ სურათებთან ერთად, გამოფენილი იყო წლების მანძილზე შეგროვებული სიძველეთა ნიმუშები, სამხედრო აღჭურვილობა, სპილენძის და ვერცხლის ჭურჭელი, ნუმიზმატიკური კოლექცია, ქართული და აღმოსავლური კულტურის ამსახველი სხვა ნიმუშები.

1887 წელს თბილისში დაარსდა კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური, რომელსაც სათავეში ედგა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოების კომიტეტის წევრი ნიკოლაი შავროვი. ახალგაზრდა მეცნიერის საფრანგეთში მივლინების შედეგად მიღებული გამოცდილება და მის მიერ უცხოეთიდან ჩამოტანილი კოლექციები დაედო საფუძვლად აბრეშუმის მუზეუმის (ასევე ბიბლიოთეკის) დაარსებას, რომელიც დღემდე რჩება ქვეყნის უნიკალურ სამუზეუმო ინსტიტუციად (ამჟამად აბრეშუმის სახელმწიფო მუზე-

უმი). მუზეუმთან ერთად დაარსდა მეაბრეშუმეობის დარგისადმი მიძღვნილი ბიბლიოთეკაც, რომლის ფონდის დიდი ნაწილი შემოწირულობებით შეივსო (მაგ., რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის



**სამხედრო ისტორიული მუზეუმი - დიდების ტაძარი,** 1890-იანი წლები

მიერ ნაჩუქარი წიგნები), ხოლო 1890-92 წლებში, მუზეუმის საგამოფენო ვიტრინების გარდა, ალ. შიმკევიჩის ესკიზებით საგანგებოდ დამზადდა ბიბლიოთეკის დღემდე შემონახული ავეჯიც.

რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებით 1888 წელს თბილისში აიგო და გაიხსნა სამხედრო-ისტორიული მუზეუმი - დიდების ტაძარი (არქიტექტორი: ა. ზალცმანი), რომლის მიზანი იყო უკვდავეყო რუსეთის არმიის წარმატებები კავკასიაში და მოეხდინა მისი ძლევამოსილების დემონსტრირება. მუზეუმის ექსპოზიციაში სხვადასხვა სახის სამხედრო აღჭურვილობის გარდა, დიდი ადგილი ეკავა პორტრეტებს, ბატალური სცენების ამსახველ ფერწერულ ტილოებს

(ფ. რუბო, ი. აივაზოვსკი და სხვ.), სამხედრო პირთა ფოტოგამოსახულებებს. პირველი მსოფლიო ომის დროს მოხდა დიდების ტაძრის ექსპოზიციის ევაკუაცია და მუზეუმმაც არსებობა შეწყვიტა.

ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მხატვრის დიმიტრი შევარდნაძის[20] დიდი ძალისხმევითა და უშუალო ხელმძღვანელობით, 1920 წლიდან შენობაში განთავსდა საქართველოში სახვითი ხელოვნების პირველი მუზეუმი – საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა, რასაც აღფრთოვანებით შეხვდა იმდროინდელი საზოგადოება[21]. საზოგადოების მხრიდან გამოვლენილი მხარდაჭერისა და გალერეის მესვეურთა მიზანდასახულობის შედეგად, ეროვნული გალერეა მალე იქცა ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ კერად, რომლის საგამოფენო პოლიტიკა დაფუძნების პირველივე წლებში გამოიკვეთა: ქართული და არაქართული, ძველი და ახალი პერიოდების სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ანუ, რაც ფასეული შექმნილა ან მოხვედრილა საქართველოს ტერიტორიაზე[22]. დიმიტრი შევარდ-

---

[20] დ. შევარდნაძეს (1885-1937) განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებაში. იგი ჯერ კიდევ უცხოეთში სასწავლებლად წასვლამდე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობაში (1907), მონაწილეობდა ე. თაყაიშვილის მიერ ორგანიზებულ ექსპედიციებში, 1917 წელს დიდების ტაძარში მოაწყო I ქართული ექსპოზიცია - ქართული კედლის მხატვრობის ასლების გამოფენა და ბევრი იბრძოლა, რათა ეს შენობა მის მიერ 1916 წელს შექმნილ ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას გადასცემოდა. დიდია დ. შევარდნაძის წვლილი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და ასევე, თბილისის სამხატვრო აკადემიის დაფუძნებაში, ზოგადად ქართული ისტორიული ძეგლებისა და ხელოვნების ნიმუშების, მათ შორის, ნ. ფიროსმანაშვილის ნამუშევრების მუზეუმში თავმოყრაში (1930 წელს ეროვნულ გალერეაში მოეწყო მხატვრის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პერსონალური გამოფენა, სადაც ბევრი სურათი პირველად გამოიფინა), შესწავლა-პოპულარიზაციასა და დაცვაში. დ. შევარდნაძე 1937 წლის საბჭოთა რეპრესიებს შეეწირა, როცა სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად (მ. ჯავახიშვილი, ს. ახმეტელი), წინ აღუდგა თბილისში მეტეხის ტაძრის დანგრევას.

[21] ტიციან ტაბიძე წერდა: "... იმ ტაძარში, რომელიც მანამდე მხოლოდ ჩვენი მონობის დიდების ტაძარი იყო, სადაც ეკიდა საქართველოს დახეული დროშები, შამილის გამტყდარი ხმალი და ჰაჯიმურატის ტანზე შეხსნილი მუზარადები, რომელსაც გარს ერტყა რუსეთის ცარიზმის ზარბაზნები და იმპერატორის ალექსანდრე I მაცდური მანიფესტის თუჯის სიტყვები, გაიმართა ქართული მხატვრობის გამოფენა, რომელმაც საფუძველი დაუდო ეროვნულ გალერეას. ტაბიძე ტ., *ლადო გუდიაშვილი (მისი სურათების გამოფენის გამო),* 1926 წ. 18/IV, ტიფლისი.

[22] http://museum.ge/?sec_id=54

**ეროვნული გალერეა,** 1920-იანი წლები

ნაძის თაოსნობით და მიზანდასახული მონაწილეობით (იგი მთელი საქართველოს მასშტაბით აგროვებდა კულტურისა და ხელოვნების ნიმუშებს), ექსპოზიციაში განთავსდა XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული ფერწერის (ე. წ. თბილისური სკოლა), რუსული, დასავლეთ ევროპული, ირანული და ქართული მხატვრობის ნიმუშები. დაარსებიდან სულ მოკლე ხანში გალერეა ფლობდა რაოდენობრივად და ხარისხობრივად საკმაოდ მნიშვნელოვან ფონდსაცავს. ფაქტობრივად, ეროვნულმა გალერეამ, რომლის ძირითად დანიშნულებას თანადროული სახვითი ხელოვნების წარმოჩენა წარმოადგენდა, შეითავსა სახვითი ხელოვნების მუზეუმის ფუნქციაც და დაარსების დღიდან ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეს ემსახურება (ამჟამად – საქართველოს ეროვნული მუზეუმის დ. შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეა).

ასე რომ, XIX საუკუნის ბოლოსათვის თბილისში უკვე 4 მუზეუმი არსებობდა. როგორც ჩანს, ადგილობრივმა საზოგადოებამ მა-

ლევე გაითავისა ეს კულტურულ-სამეცნიერო ინსტიტუცია და თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში მიუჩინა ადგილი. საუკუნის მიწურულის პერიოდულ პრესაში (გაზეთებში - "დროება", "კვალი", "Кавказ" "ივერია" და სხვ.) ხშირად იბეჭდებოდა ინფორმაცია თბილისში მდებარე მუზეუმებისა და ცალკეული გამოფენების შესახებ, მიმოხილვითი მასალა ევროპის ცნობილ მუზეუმებზე. გარდა ამისა, მუზეუმებში ეწყობოდა სხვადასხვა ტიპის დროებითი გამოფენები და საგანმანათლებლო ლექციები გიმნაზიის მოსწავლეებისათვის, მუზეუმის კოლექციის ექსპონატები იფინებოდა არაერთ საერთაშორისო ექსპოზიციაში. შესაბამისად, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თბილისში სამუზეუმო ცხოვრება ახალ საფეხურზე ავიდა, რაც უფრო მეტად განვითარდა მას შემდეგ, რაც ქალაქს კიდევ 3 მუზეუმი შეემატა.

1899 წელს თბილისში დაარსდა კავკასიის კუსტარული კომიტეტი (რუსული სიტყვიდან - Кустарь, შინამრეწველი, ხალხური ოსტატი) რომლის მიზანს წარმოადგენდა მთელი კავკასიის მასშტაბით ხალხური რეწვის კერების აღნუსხვა და აღდგენა, ხელოსნობის ტრადიციულ სახეებსა და ფორმებზე დაყრდნობით  თანამედროვე ნიმუშების დამზადება და წარმოებაში დანერგვა. იმავე წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება კომიტეტთან კავკასიის კუსტარული მუზეუმის შექმნის თაობაზე. მოსახლეობაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ტრადიციული ხელოვნების ნიმუშების შეგროვებას მუზეუმმა დაარსებისთანავე მოჰკიდა ხელი და 1913 წელს მისთვის მუშთაიდის ბაღში გამოყოფილ ნაგებობაში გაიხსნა კიდეც პირველი გამოფენა, სადაც ხალხური რეწვის ნიმუშებთან ერთად,  ექსპონირებული იყო აგრეთვე შრომის პროცესის (ხალიჩების ქსოვა, ქარგვა, ხის მხატვრული დამუშავება, ლითონის ნაკეთობების დამზადება და სხვა) ამსახველი მასალები. კომიტეტს ჰქონდა სამხატვრო ლაბორატორიებიც, სადაც პროფესიონალი მხატვრები (მათ შორის ი. სტრაუმე, 1918-1922) ტრადიციებზე დაყრდნობით ქმნიდნენ თანამედროვე დიზაინით ნივთების დასამზადებლად საჭირო ტექნიკურ ნახაზებს, განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ტექსტილის კვლევასა და

მეხალიჩეობის დარგის განვითარებაზე, ტრადიციული საიუველირო ხელოვნების ნიმუშების შექმნაზე (შემდგომში ამ მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი).

1910 წელს დაარსდა ქალაქ თბილისის მუზეუმი ("ქალაქის მუნიციპალური მუზეუმი"). იგი განთავსდა ძველი თბილისის მრავალფუნქციური დატვირთვის მქონე რამდენიმესართულიან ნაგებობაში - გეურქ აღა-არწრუნის ქარვასლაში, რომელიც სასტუმროდ, საქონლის საწყობად და დუქნებად გამოიყენებოდა. მუზეუმის ფონდებში თანდათან დაგროვდა საკმაოდ საინტერესო ექსპონატები, რომლებიც თბილისის ისტორიას და მის ტერიტორიაზე მცხოვრებთა კულტურას ასახავდა უძველესი დროიდან დღემდე (არქეოლოგიური მასალა და საყოფაცხოვრებო ნივთები, რუკები, ფერწერული ტილოები და სხვ.). თუმცა რევოლუციამდელი საქართველოს სამუზეუმო ცხოვრებაში თბილისის მუზეუმის როლი ნაკლებად იკვეთება, უთუოდ იმ გარემოების გამო, რომ ქარვასლა ფუნქციონირებას 1920 წლამდე აგრძელებდა (მუზეუმი I მსოფლიო ომის მიმდინარეობის წლებში დაიხურა და აღდგენილი იქნა 1924 წელს - "თბილისის აღმასკომის მუზეუმის" სახელწოდებით, 1943 წლიდან - თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ამჟამად – საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა).

ვერა და ვერ მოხერხდა ისტორიის მოყვარულთა წრის ბაზაზე 1907 წელს შექმნილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ დაარსებული "ქართული მუზეუმისათვის" სათანადო ფართის გამონახვა, რასაც ძალზე მტკივნეულად განიცდიდა ქართული საზოგადოება, რომელიც XIX ს. ბოლო მეოთხედიდან მუდმივად აყენებდა საკითხს საქართველოს ისტორიის კვლევისა და შესაბამისი მასალების მოძიება-დაცვის თაობაზე. მიუხედავად შენობის უქონლობისა, საზოგადოების სამუზეუმო კომისიის (ე. თაყაიშვილი, ა. სარაჯიშვილი და სხვ.) მიერ ინტენსიურად მიმდინარეობდა სამუზეუმო მასალების მოძიებისა და სისტემატიზაციის პროცესი. 1917 წლ-

ისათვის მუზეუმმა დიდძალი მასალა შეაგროვა და "მის კოლექციაში იყო 2432 არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა, 8000-ზე მეტი სიგელ-გუჯარი, 1427 ხელნაწერი, 550 ნაქსოვი ექსპონატი, 62 ქანდაკება, 585 მხატვრული ტილო, აგრეთვე 73 ფრესკის ასლი, 38893 მონეტა"[23] და ა. შ. (ამჟამად ეს კოლექციები დაცულია თბილისის სხვადასხვა მუზეუმებსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში (1918-1921), ქვეყანაში სამუზეუმო საქმის განვითარების მიმართულებით მუშაობა არ შეწყვეტილა და ახალი ფორმებიც მიიღო. 1919 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კავკასიის მუზეუმს საქართველოს მუზეუმი ეწოდა, გასაქანი მიეცა ახალი მუზეუმების დაფუძნებასაც, მათ შორის, "სამეგრელოს მუზეუმის" - ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის შექმნას, რასაც 1920 წელს დიდი ბრიტანეთიდან დაბრუნებულმა აკაკი ჭანტურიამ[24] ჩაუყარა საფუძველი. განხორციელდა ასევე ჯერ კიდევ

---

[23] ჭილაშვილი ლ. *მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები (ლექციების კურსი)*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1984, გვ. 55.

[24] აკაკი ჭანტურია (1881-1941) სხვადასხვა დროს სწავლობდა ლონდონის უნივერსიტეტის სამეფო კოლეჯში, ფიზიოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში (ბრიტანეთი) და ჩრდილოეთ კაროლინას (აშშ) უნივერსიტეტში (1904-1919), სადაც გეოლოგიური მეცნიერების შესწავლის პარალელურად, ეუფლებოდა ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ხელოვნებისა და სამუზეუმო საქმის საფუძვლებს, მონაწილეობდა ბრიტანეთის მუზეუმის (British Museum) სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციებში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, საქართველოს მთავრობის მეთაურმა ნ. ჟორდანიამ მას საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი შესთავაზა, მაგრამ ა. ჭანტურიას მიზანს მხოლოდ ზუგდიდში, დადიანების ყოფილ სასახლეში მუზეუმის გახსნის უფლების მოპოვება და მასში სამეგრელოს მთავართა სასახლეებში (ზუგდიდი, ჭკადუაში, სალხინო) დაცული და გლეხების მიერ დატაცებული ეროვნული საგანძურის განთავსება წარმოადგენდა, რისთვისაც დიდი შრომა და ძალისხმევა დასჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდის რევკომის დადგენილებით, მუზეუმს "ნიკო დადიანისეულ სასახლეში" მხოლოდ 3 ოთახი დაეთმო, 1921 წლის აპრილში გაიხსნა მუზეუმი, რომელსაც თავდაპირველად "სამეგრელოს მუზეუმი", ხოლო შემდეგში - ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი ეწოდა. ა. ჭანტურიამ შესძლო აქ მოეწყო იმდენად საინტერესო და ეფექტური ექსპოზიციები, რომლებიც, აკად. გ. ჩუბინაშვილისა და შ. ამირანაშვილის თქმით, "საქართველოს თითქმის ყველა საგამოფენო დარბაზებს სჯობია". ეს ექსპოზიციები უამრავ დამთვალიერებელს იზიდავდა და მათი რიცხვი წელიწადში 100 000-ს აღწევდა.

**სამეგრელოს მუზეუმის ექსპოზიცია,** ავტორი: აკაკი ჭანტურია. 1920-იანი წლები

1881 წელს წამოჭრილი დასავლეთ საქართველოს ისტორიული მუზეუმის ქუთაისში დაარსების იდეაც - ოდნავ მოგვიანებით, საქართველოს განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით, 1922 წლის დეკემბერში ქუთაისში შეიქმნა საისტორიო მუზეუმი, სადაც განთავსდა 1912 წელს  დაფუძნებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის ფილიალის (ამ წლიდან ითვლის თავის არსებობას ქუთაისის ისტორიული მუზეუმიც) სამუზეუმო განყოფილების მიერ შეგროვებული სიძველეთა საკმაოდ მდიდარი კოლექცია, გელათის მონასტერში დაცული სიწმინდეები, უნიკალური ხატები და ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლიდან იწყება ქვეყანაში სამუზეუმო საქმის განვითარების

ახალი პერიოდი, რომელიც მეტად რთული და გარკვეულწილად წარმატებულიც აღმოჩნდა - მრავალმხრივი და საინტერესო გახდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობა (1922 წლიდან საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა ივ. ჯავახიშვილი, მასთან ერთად ორგანიზაციის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აკ. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, ა. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, შ. ამირანაშვილი, გ. ჩიტაია  და სხვ.), შეიქმნა მთელი რიგი მუზეუმები, როგორც თბილისში (1932 წელს ეროვნული გალერეის ბაზაზე დაარსდა სახვითი ხელოვნების მუზეუმი, სადაც თავი მოიყარა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებების, აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ხელოვნების კოლექციებმა, 1945 წლიდან კი, 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ეროვნული საგანძურის ნაწილმა. ამჟამად - საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი), ასევე საქართველოს სხვა ქალაქებში. ფონდსაცავები მდიდრდებოდა ახალი კოლექციებით (მათი ერთი ნაწილი მოსკოვიდან და ლენინგრადიდანაც დაუბრუნდა საქართველოს), ყალიბებოდა და სისტემატიზებულ სახეს იღებდა მუზეუმების სტრუქტურა, იზრდებოდა მათი ბიუჯეტი, ეწყობოდა ახალი ექსპოზიციები, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ექსპედიციები, მასშტაბურ ხასიათს იღებდა სამეცნიერო კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა, თუმცა ყოველივე ამას თან სდევდა 30-იანი წლების ბოლშევიკური ტერორიც, რამაც საქართველოს მუზეუმების არაერთი მოამაგის სიცოცხლე იმსხვერპლა (დ. შევარდნაძე, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ტრიფონ ჯაფარიძე და სხვ., 1937 წლიდან იდევნებოდა ა. ჭანტურიაც, რომელიც მალევე გარდაიცვალა).

პოსტრევოლუციურ, 1930-იან წლებში შექმნილი მუზეუმების უმრავლესობა ისტორიული პროფილის იყო და მიუხედავად იმისა, რომ ერთიან საკავშირო სამუზეუმო სივრცეში ფუნქციონირებდა, მეტ-ნაკლებად ასახავდა ქვეყნის ისტორიულ-კულტურული განვი-

თარების პროცესს. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ახალ ისტორიულ პირობებში, საბჭოთა რევოლუციის შემდგომი პერიოდის პირველ ათწლეულში მუზეუმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ესთეტიკურ აღზრდას და საექსკურსიო საქმიანობას. საექსკურსიო საქმის განვითარების თეორია ვითარდებოდა ძიებებისა და დისკუსიების პირობებში, რის შედეგადაც იქმნებოდა შესაბამისი მეთოდიკა, რომელიც გარკვეულწილად ზემოაღწერილი გერმანული გამოცდილების (ა. ლიხტვარკისა და კ. ფოლის შრომები) ანალოგიას წარმოადგენდა და უთუოდ კარგად იყო ცნობილი ქართველი მეცნიერებისათვისაც. ამ წლების სამუზეუმო ექსკურსიები ძირითადად ატარებდნენ განვითარებად ხასიათს და დამთვალიერებლებთან (კერძოდ, სკოლის მოსწავლეებთან) მუშაობის მთავარი პრინციპი მდგომარეობდა მოზარდის მიერ ხელოვნების (კულტურის) აღქმის ფსიქოლოგიური თავისებურებათა გათვალისწინებაში, მათი სულიერი მოთხოვნებისა და შემოქმედებით შესაძლებლობათა გამოვლენაში, რაც განსაკუთრებით აქცენტირებული იყო ექსკურსიის მომზადებისა და ჩატარების პროცესში.

ამ პრინციპების შემდგომი განვითარება უთუოდ ახალ შტრიხებს შემატებდა ქვეყანაში მუზეუმებისა და საექსკურსიო საქმის განვითარებას, მაგრამ როგორც ცნობილია, 1930-1940-იან წლებში "საბჭოთა კავშირის ყველა პროფილის მუზეუმი გარდაიქმნა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის გამარჯვებისა და აღმავლობის ილუსტრირებისა და "მოსწავლეთა მიერ სკოლებში მიღებული ცოდნის გაფართოების" დამხმარე პედაგოგიურ საქმიანობად; ხოლო პირველი პოსტრევოლუციური წლების პრაქტიკის პედაგოგიური მოღვაწეობიდან შემორჩა მხოლოდ მასობრიობა და განმანათლებლობა. სამუზეუმო ექსკურსია იქცა ცოდნისაკენ ორიენტირებად წმინდა პროპაგანდისტული ხასიათის საქმიანობად – ჩვეულებრივ გაკვეთილად, იმ განსხვავებით, რომ იგი ტარდებოდა არა სკოლაში, არამედ მუზეუმის სივრცეში - მუზეუმის მასალების გაცნობით მიღებული ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებელი მუშაობის მაქსიმალური უნ-

არ-ჩვევების გამომუშავების მიზნით”[25]. მუზეუმ-საცავის შეუთავსებლობამ მუზეუმ-სასწავლებლისა და მუზეუმ-გაზეთის იდეოლოგიურ კონცეფციასთან და ზოგჯერ “საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის” ცალკეული თავებისადმი მიძღვნილმა თემატურმა ექსკურსიებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა როგორც მხატვრული აღზრდის, ასევე ზოგადად, საექსკურსიო საქმის განვითარებას”[26].

არსებული ვითარება ვრცელდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ სამუზეუმო სივრცეში და მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან (ე. წ. დათბობის, Оттепель-ის პერიოდიდან) შეიძინა ახალი იმპულსი, როცა საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი მუზეუმისადმი - საგანმანათლებლო ინსტიტუციისადმი, რომელიც პედაგოგიურ პროცესს აგებდა დამთვალიერებელთა აღქმის განვითარების საფუძველზე. ეს გარემოება იქცა სერიოზულ საბაბად საგანმანათლებლო საქმიანობის, ზოგადად სამუზეუმო კომუნიკაციის თეორიული და პრაქტიკული განვითარებისათვის.

1950-1990 წლები ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი იყო საქართველოს მუზეუმების ცხოვრებაშიც: გაიზარდა დამთვალიერებელთა რიცხვი, მოეწყო არაერთი მნიშვნელოვანი გამოფენა, მათ შორის, უცხოეთშიც. ხოლო 1990-იანი წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, “საქართველოს მუზეუმებიც აღმოჩნდა იმ რადიკალურ გამოწვევათა პირისპირ, რაც დაკავშირებული იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებასთან, ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებსა და გაჭიანურებულ ეთნოკონფლიქტებთან, რამაც, ბუნებრივია, თავისი კვალი დაატყო სამუზეუმო საქმის შემდგომ განვითარებასაც”[27], შეჩერდა მუზეუმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის

---

[25] Столяров Б., Соколова Н. Алексеева Н., *Основы экскурсионного дела.* Учебное пособие для студентов педагогических вузов. Санкт-Петербург, 2002, გვ. 15.

[26] *Музейная пропаганда 1920-1930 гг. в зеркале прессы.* Пособие для аспирантов./Сост. Н.Г.Колокольцева, М.Ю.Юхневич. НИИ культуры МК РСФСР и АН СССР. М., 1991. გვ. 40.

[27] Karaia I., *Georgian Museums at the Boundary of 21st Century - problems development perspectives.* Caucasus Journal of Social Sciences. The University of Georgia, conference collected works, II International Conference (Gonio), vol. 4, issue 1, ISSN 1512-3677, Tb., 2011, p. 162-171.

რეაბილიტაციის დაგეგმილი პროექტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თითქმის აღარ გამოიყოფოდა თანხები უნიკალური კოლექციების სათანადოდ მოვლისა და ექსპონირებისათვის. მხოლოდ 2004 წლის მიწურულიდან იწყება მუშაობა ქვეყნის მუზეუმების პოსტსაბჭოური კრიზისიდან გამოსვლისათვის, ხორციელდება ცალკეული აქტივობები, ოფიციალურად გამოცხადდა სამუზეუმო რეფორმა, რომელიც ითვალისწინებდა კოლექციების დაცვის პირობების გაუმჯობესებას და მუზეუმების მოდერნიზაციას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულ პრიორიტეტთა გათვალისწინებით გადაიდგა გარკვეული პოზიტიური ნაბიჯებიც: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით რიგ მუზეუმებში განხორციელდა რეორგანიზაციის პროცესი (შეიქმნა საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 25 მუზეუმს მიენიჭა სსიპ სტატუსი), საქართველოს მუზეუმების ასოციაციისა და ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის ინიციატივით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით მომზადდა და გამოიცა მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, შეიქმნა საქართველოს მუზეუმების მონაცემთა ბაზა (ქვეყანაში ამჟამად სხვადასხვა პროფილისა და დაქვემდებარების 238 მუზეუმია), ვებ-გვერდი (www.georgianmuseums.ge), დღემდე რეგულარულად ტარდება ვორკშოპები, ეროვნული ტრეინინგები და საერთაშორისო კონფერენციები, მაგრამ ცხადია, ეს არ არის საკმარისი. კვლავ მწირია სახელმწიფო დაფინანსება და ისევ მწვავედ დგას ქვეყნის მუზეუმების დაცვისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ინტეგრირების სტრატეგიის შემუშავების საკითხები, რაც, შესაბამის კანონმდებლობასთან ერთად, უდავოდ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს არა მხოლოდ ინოვაციური სამუზეუმო პოლიტიკის გატარებაში, არამედ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაშიც - უნდა გადაფასდეს დამოკიდებულება მუზეუმისადმი, როგორც საგანძურის "საცავისადმი" და მის უმთავრეს ამოცანად დასახული უნდა იქნეს კომუნიკაცია საზოგადოე-

ბასთან, მის ყველა სასიცოცხლო ინტერესსა და სულიერ მოთხოვ-ნილებასთან[28].

## 1.4. სამუზეუმო კომუნიკაციის ძირითადი მიმართულებები

საზოგადოებაში მუზეუმის როლის ცვლილების პროცესში - მუზეუმის მისიის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მომსახ-ურების აუდიტორიის მოთხოვნებთან მისადაგებისათვის, მუზე-უმებისათვის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების ინფორმირება საკუთარ რესურსებსა და საქმიანობაზე, ანუ საზოგა-დეობასთან კომუნიკაციის პროცესის ეფექტურად წარმართვა.

ტერმინი "კომუნიკაცია" სამეცნიერო წრეში 1940-იანი წლებიდან წარმოიშვა და შინაარსობრივად ეყრდნობა ორ წყაროს. პირველი მათ-განი 1949 წელს დამუშავდა კლოდ შენონის (აშშ) მიერ და დაკავშირე-ბულია ინფორმაციის გადაცემის ელემენტებთან, მეორე კი ეკუთვნის ფილოსოფოს მარშალ მაკლაჰენს (კანადა) რომელიც სამუზეუმო კომუნიკაციას განიხილავს, როგორც დამთვალიერებლებთან მუზე-უმის ურთიერთობის საშუალებას[29]. მუზეუმთან მიმართებაში ცნება "კომუნიკაცია" 1960-იან წლებში გამოიყენა კანადელმა მეცნიერ-მა დევიდ კამერონმაც, როცა მუზეუმის, როგორც საკომუნიკაციო სისტემის განხილვისას, თავის თეორიაში ხაზი გაუსვა სამუზეუმო კომუნიკაციიის ვიზუალურ და სივრცულ ხასიათს, რაც, მისი აზ-რით, მკვეთრად განსხვავდება სამუზეუმო ექსპონატებთან ("რეალ-ურ ობიექტებთან") დამთვალიერებლის კონტაქტის პროცესისაგან. მისი აზრით, ამ კონტაქტის საფუძველში, ერთი მხრივ, დევს დამთ-ვალიერებლის უნარი - აღიქვას "საგნის ენა", ხოლო მეორე მხრივ, მუზეუმის ექსპოზიციის ავტორთა (მცველი/კურატორი, დიზაინერი

---

[28] ქარაია ი., *სამუზეუმო საქმის პრობლემები და საკითხები საქართველოში,* Eastern Partnership Culture Programme (Regional Co-operation for Cultural Heritage Development), E-Journal №1, http://rcchd.icomos.org.ge/?l=E&m=4-4&JID=1&AID=8&l2, 2012.

[29] McLuhan M., *The Medium is the Massage: An Inventory of Effects.* NY.: Random House, 1967. გვ. 39.

და სხვ.) უნარი, შექმნან განსაკუთრებული, არავერბალური "სივრცული" გამოხატვის საშუალებები[30]. დ. კამერონმა ჩამოაყალიბა მთელი რიგი წინადადებები სამუზეუმო საქმიანობის ორგანიზებისა და დამთვალიერებელთან ურთიერთქმედებისათვის, რომელთა თანახმად, აუცილებელია:

- თანამონაწილეობა სამუზეუმო ექსპოზიციის შექმნის პროცესში - მუზეუმის მცველებსა და მხატვარ-დიზაინერებთან ერთად;
- ვერბალურ ფორმაში ვიზუალური "გამოხატვის" თარგმანის უარყოფა და ექსკურსიამძღოლთა მიერ დამთვალიერებელთა სწავლება "ხელოვნების ენაზე";
- პროფესიული სამუზეუმო საქმიანობის სტრუქტურაში ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების ჩართვა, რომლებიც უზრუნველყოფენ "უკუკავშირს", რაც აუცილებელია დამთვალიერებლებთან მუშაობის სრულყოფისათვის.

დ. კამერონის ამ თეორიის მეშვეობით შესაძლებელი გახდა სამუზეუმო კომუნიკაციის სტრუქტურის დამუშავება, მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმის საგანმანათლებლო ამოცანების განხილვისა და სამუზეუმო კომუნიკაციის მოდელთა შემუშავების პროცესში თეორეტიკოსებმა გამოავლინეს განსხვავებული მიდგომა და თვალსაზრისი. მათ შორის გამოყოფენ სამუზეუმო კომუნიკაციის რამდენიმე მოდელს:

**1. შემეცნებითი მოდელი:** დამთვალიერებელი ეკონტაქტება მუზეუმის თანამშრომელს (ექსკურსიამძღოლი, მცველი, რესტავრატორი და სხვ.) ცოდნის მიღების მიზნით, ხოლო ექსპონატი წარმოადგენს ობიექტს ან ამ ურთიერთობის შემადგენელ ნაწილს (კენეტ ჰადსონი). ეს მოდელი ყველაზე მეტად გავრცელებულია სხვადასხვა პროფილის მუზეუმებში (გარდა ხელოვნების მუზეუმისა). კომუნიკაციის ამ ტიპს შეიძლება ჰქონდეს როგორც მონოლოგის, ასევე დია-

---

[30] Cameron D., *A Viewpoint: The Museum as a Communications System and Implications for Museum Education.* // Curator, Vol. 11, #1, 1968. გვ. 33- 40.

ლოგის ხასიათიც;

**2. ესთეტიკური მოდელი:** დამთვალიერებელი უშუალოდ ეკონტაქტება მუზეუმის ექსპონატს, რომელიც იძენს თვითკმარ მნიშვნელობას (გ. ოსბორნი, დ. ვაილერი). ამ ურთიერთობის მიზანია არა სწავლება, არამედ ესთეტიკური აღქმა, რაც არ უნდა გადაფაროს ხელოვნებათმცოდნეობითმა ინფორმაციამ (კომუნიკაციის ეს ფორმა გამოიყენება ხელოვნების მუზეუმებში);

**3. ნიშანთა სისტემაზე დამყარებული მოდელი:** გარკვეული სოციალურ-ისტორიული შინაარსის ნიშნის მქონე ექსპონატის (ი. რომედერი) მეშვეობით მუზეუმის დამთვალიერებელი ურთიერთობს მის შემქმნელთან, მფლობელთან და ა.შ. ანუ, აღადგენს დროთა (წარსული, აწმყო და მომავალი) კავშირს. ამ მოდელის მთავარ ელემენტს წარმოადგენს ექსპოზიცია, რომელიც განიხილება სხვა ისტორიულ პერიოდის კულტურასთან კონტაქტისა და კულტურულ-ისტორიული დისტანციის გადალახვის საშუალებად;

**4. ინტერაქტიული მოდელი:** მკვლევართა (რ. სტრონგი, ე. ალექსანდერი) აზრით, კომუნიკაციის ეს ფორმა, როცა მუზეუმის დამთვალიერებელები ურთიერთობენ ერთმანეთთან, განსაკუთრებით დამახასიათებელია მუზეუმისათვის, რომელიც ასრულებს კულტურულ-საზოგადოებრივი ცენტრის ფუნქციას. დიალოგი (ან დისკუსია), რომელიც მიმდინარეობს სხვადასხვა კატეგორიის დამთვალიერებელთა (ბავშვები, უფროსები, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები და ა.შ.) შორის, შეიძლება იყოს სპონტანური ან ორგანიზებულიც. ამ გზით მუზეუმი გამოავლენს საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ განსხვავებულ ფასეულობათა არსებობის ფორმებსა და ურთიერთმიმართებებს.

**5. ინტერდისციპლინარული მოდელი** მიგვანიშნებს, რომ თანამედროვე მუზეუმი წარმოადგენს თანამშრომლობის ადგილს სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებისათვის (მუზეუმმცოდნე, ხელოვნებათმცოდნე, ისტორიკოსი, ფსიქოლოგი, კულტუროლოგი, სოციოლოგი და სხვ.), რომლებიც ერთად ეძებენ ჰუმანიტარული

ხასიათის კომპლექსურ პრობლემათა გადაჭრის გზებს. ინტერდისციპლინარული საფუძველი წარმოადგენს სხვადასხვა პროფილის მუზეუმების ნაყოფიერი თანამშრომლობის სარბიელს.

სამუზეუმო კომუნიკაციის ზემოთ განხილული ხუთი სტრუქტურული მოდელი, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს მუზეუმების საგანმანათლებლო და საექსკურსიო საქმიანობაზე, საშუალებას იძლევა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ *ეს მოდელები დამოკიდებულია არა იმდენად მუზეუმის პროფილზე, რამდენადაც დამთვალიერებელთა ინტერესებზე, მიზნებსა და მოტივებზე, ასევე მუზეუმის ფუნქციური საქმიანობის განვითარებაზე.*

საექსკურსიო-მეთოდური მიმართულების განვითარებისათვის მუზეუმები შეუდგნენ ექსკურსიისა და საექსკურსიო ციკლების, აგრეთვე შესაბამისი მეთოდური რეკომენდაციების შემუშავებას ვიზიტიორთა ასაკობრივ თავისებურებებათა სასკოლო პროგრამების გათვალისწინებით.

ვინაიდან მუზეუმის ყველა სტრუქტურა (მათ შორის, საგანმანათლებლო დეპარტამენტი, სადაც შედის საექსკურსიო განყოფილება) ასე თუ ისე ურთიერთქმედებს დამთვალიერებელთან, ოპტიმალურად მიჩნეულია მათ მიერ ერთობლივი საკომუნიკაციო (ან საინტერპრეტაციო) ჯგუფის შექმნა, რომელიც განახორციელებს მუზეუმის ვიზიტიორთან ურთიერთობის გაუმჯობესების პოლიტიკას[31], ასევე შეიმუშავებს ვიზიტიორებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისათვის აუცილებელ .მეთოდურ რეკომენდაციებს და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ექსკურსიის ჩასატარებლად საჭირო მასალების მომზადებაში.

---

[31] ლორდი ბ., ლორდი გ., *სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი,* საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოცემა, თბ., 2006, გვ. 153

## 1.5. პედაგოგიური საქმიანობის სპეციფიკა თანამედროვე მუზეუმში

კულტურის სფეროში XX-XXI საუკუნეთა მიჯნიდან დამკვიდრებულმა ზოგადმა ტენდენციამ, რაც გამოიხატება მოღვაწეობის განსხვავებულ სფეროსა და ფორმებში ცოდნის ინტეგრაციასა და პიროვნების ჰოლისტიკურ განვითარებაში, წინა პლანზე წამოსწია სამუზეუმო ინსტიტუციის საგანმანათლებლო ფუნქცია, გაამდიდრა და მრავალფეროვანი გახადა მისი ფორმები და რეკრეაციული რესურსების გამოყენება ვიზიტიორთან მუშაობის, ექსკურსიის ჩატარების პროცესშიც.

შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელი წლების მუზეუმმცოდნეობაში "საგანმანათლებლო საქმიანობის" გვერდით გაჩნდა ტერმინი "კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა", "სამუზეუმო განათლება" და "კულტურული აქციებიც[32]" კი. მუზეუმებში ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ ინფორმაცია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ორიენტაციას აძლევს ვიზიტიორს სამუზეუმო სივრცეში, არამედ იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენა, რაც აუცილებელია სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებისათვის.

დღეს სამუზეუმო პედაგოგიკა წარმოადგენს პედაგოგიური მეცნიერების მიმართულებას და განისაზღვრება როგორც სამეცნიერო ცოდნის ინტერდისციპლინარული ნაწილი, რომელიც ჩამოყალიბებულია პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, მუზეუმმცოდნეობისა და მუზეუმის პროფილის საფუძველზე აგებულ სპეციფიკურ საქმიანობაზე და ორიენტირებულია კულტურული გამოცდილების გადაცემაზე სამუზეუმო სივრცის პირობებში.

სამუზეუმო პედაგოგიური პროცესი (ისევე, როგორც ზოგადად

---

[32] იხ. ICOM CECA - International Committee for Education and Cultural Action/საგანმანათლებლო და კულტურული აქციების საერთაშორისო კომიტეტი, რომლის წევრები წარმოადგენენ მუზეუმის პედაგოგებსა და ამ სფეროს სხვა სპეციალისტებს. http://network.icom.museum/ceca/

პედაგოგიკა) უზრუნველყოფს განვითარებას, აღზრდას და განათლებას ჰოლისტიკურ საფუძველზე მისი სტრუქტურის ყველა ელემენტთა ერთიანობით, რომელიც შედგება სამი კომპონენტისგან: მუზეუმის პედაგოგი, მუზეუმის ვიზიტიორი (აუდიტორია) და სამუზეუმო ობიექტი (ნივთი).

**1. მუზეუმის პედაგოგი** – სპეციალისტი (ამავე დროს გიდიც), რომელიც ახორციელებს მუზეუმში პედაგოგიურ (საგანმანათლებლო) საქმიანობას, ხელმძღვანელობს სამუზეუმო-საგანმანათლებლო პროცესს და პროგრამის ფარგლებში, სუბიექტურ-ობიექტურ ურთიერთობებზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს ვიზიტიორის უშუალო ურთიერთობას სამუზეუმო საგნებთან, უკვალავს მას გზას სამუზეუმო ექსპონატის აღქმისა  და ინტერპრეტაციისაკენ.

**2. მუზეუმის ვიზიტიორი** (აუდიტორია) - სამუზეუმო-საგანმანათლებლო პროცესის სუბიექტი, რომელიც სამუზეუმო ნივთთან ურთიერთობით აყალიბებს საკუთარ ვიზუალურ აზროვნებას, შემოქმედებითი საწყისის აღქმის უნარს.

**3. სამუზეუმო ობიექტი** – მუზეუმის ექსპონატი, რომელიც წარმოადგენს სამუზეუმო-საგანმანათლებლო პროცესის საფუძველს და ახასიათებს რთული, ამოუწურავი შესაძლებლობები განსხვავებულ მნიშვნელობათა ინტერპრეტაციისათვის.

ამ სამ კომპონენტთა ერთობლიობა ქმნის ერთიან სისტემას, რომელიც ხორციელდება სამუზეუმო სივრცეში, ფლობს სპეციფიკურ საგანმანათლებლო ფასეულობას და წარმოადგენს სოციოკულტურული გარემოს ნაწილს. სამუზეუმო სივრცეს გააჩნია ფართო კონტექსტი და "საგანმანათლებლო პროცესში სამუზეუმო სივრცე იგივეა, რაც მცენარისათვის ნიადაგი და კლიმატური პირობები" (იპოლიტ ტენი[33]). უკანასკნელი წლების გამოცდილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სამუზეუმო სივრცე წარმოადგენს განათლებისა და ცოდნის მიღების  ისეთივე აქტიურ საშუალებას, როგორსაც

[33] ტენი ი., *ხელოვნების ფილოსოფია,* თბ., 1990. გვ. 80.

სკოლა. და მეტიც, იგი ფლობს ესთეტიკურ აურას და ისტორიულ-მხატვრულ შინაარსს, აქედან გამომდინარე, მძლავრ სულიერ პოტენციალს, რომელიც ჰარმონიულ ზემოქმედებას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე.

სამუზეუმო სივრცე მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- მუზეუმის მიმდებარე ტერიტორია (არეალი), რომელიც ახდენს ვიზიტიორის ყურადღების კონცენტრირებას;
- თვით მუზეუმის შენობა, რომელიც ქმნის განწყობას სამუზეუმო ნივთების აღქმისათვის;
- მუზეუმის ექსპოზიცია - სამუზეუმო ექსპონატების პრეზენტაცია.

ამდენად, სამუზეუმო პედაგოგიური პროცესის სტრუქტურა განპირობებულია იმ ელემენტთა შინაგანი ურთიერთკავშირით, რაც უზრუნველყოფს მათ ასიმილაციას, ანალიზსა და ადაპტაციას. სამუზეუმო პედაგოგიური პროცესი ემყარება ისტორიულად ჩამოყალიბებულ შემდეგ პედაგოგიურ პრინციპებს:

- **ინტერაქტიულობა,** რადგან ვიზიტიორი იმახსოვრებს მხოლოდ მას, რასაც თავად აკეთებს;
- **კომპლექსურობა,** როგორც აღქმის ყველა არხის (გრძნობადი, ლოგიკურ-ანალიტიკური, ფსიქოლოგიური);
- **პროგრამულობა,** რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ათვისებას და უნარების განვითარებას სპეციალურად შემუშავებული პროგრამების მეშვეობით.

სასკოლო სწავლების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცოდნის შეძენის ზუსტად გათვლილ სისტემას, ხოლო მუზეუმის ფასეულობა და სპეციფიკურობა მდგომარეობს კოლექციების მულტიდისციპლინარულ ხასიათში, რაც ვიზიტიორს აცნობს განსხვავებულ მოვლენათა შიდა ურთიერთკავშირებს. აქედან გამომდინარე, სამუზეუმო გარემოში სწავლების პროცესში, ფართოვდება ზოგადკულტურული თვალსაწიერი, მდიდრდება ერუდიცია, ვიზიტიორი იძენს ცოდნას სხვადასხვა სფეროში და უვითარდე-

ბა შემოქმედებითი უნარები. ეს შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით – მოყოლებული სახვითი პრაქტიკიდან და ტექნიკური შემოქმედებიდან, ექსკურსიამძღოლის პროფესიული საქმიანობის გათავისების ჩათვლით. სწორედ ამიტომაა ვიზიტიორთა აღქმის გამოცდილების საფუძველზე დამყარებული სამუზეუმო განათლების მეთოდიკა ორიენტირებული, უპირველეს ყოვლისა, ცოდნის ვიზუალურ მეთოდზე და შემდეგ, მუზეუმის პროფილიდან გამომდინარე, ისტორიულ ცნობიერებაზე, მხატვრულ შემეცნებაზე და ა. შ.

ცნობილია, რომ სამუზეუმო პედაგოგიური პროცესის ყველა მიმართულება ემყარება პირველ რიგში ექსკურსიას, როგორც აუდიტორიისათვის სამუზეუმო კოლექციის კომპლექსურად წარდგენის ძირითად ფორმას. სამუზეუმო ექსკურსიის მომზადების პროცესში უდავოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, როგორც კვლევებით დადგენილია, მუზეუმის აუდიტორია იყოფა სამ ტიპად:

- **არსებული/მუდმივი ვიზიტიორები,** რომლებიც ხშირად დადიან მუზეუმის გამოფენებზე, ჩართულნი არიან მის სხვადასხვა ტიპის კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებში და წარმოადგენენ მუზეუმის საქმიანობაზე კარგად ინფორმირებულ მომხმარებლებს;
- **პოტენციური ვიზიტიორები,** რომელთათვის მუზეუმი წარმოადგენს თავისუფალი დროის გატარების ერთ-ერთ ვარიანტს, თუმცა მუზეუმს კანტი-კუნტად სტუმრობენ, რაც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით (არასათანადო ინფორმირება, დაუინტერესებლობა მუზეუმის პროგრამებით, შესასვლელი ბილეთის ფასი და სხვ.);
- **მუზეუმის არადამთვალიერებლები,** რომლებიც მუზეუმში საერთოდ არ დადიან და ამიტომ მათთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს არანაირ ფაქტორს.

თავის მხრივ, ამ უკანასკნელი ჯგუფის ფარგლებში არსებობს უამრავი სპეციფიკური "ბაზრის სეგმენტი" - მოსახლეობის ერთგვაროვანი ჯგუფები, რომელთაც აქვთ საერთო დემოგრაფიული, გეოგრაფიული, ქცევითი მახასიათებლები და ცხოვრების მსგავსი

სტილი. ამ ჯგუფების დამოკიდებულება მუზეუმის მონახულების მიმართ შეიძლება შეიცვალოს მარკეტინგის ეფექტური სტრატეგიის მეშვეობით[34]. მუზეუმის სხვა სტრუქტურებთან ერთად, მარკეტინგის სამსახურმა მჭიდრო კონტაქტი უნდა დაამყაროს მუზეუმსა და ვიზიტიორს შორის, უნდა იზრუნოს, რათა პოტენციურ (და არდამთვალიერებელთა) აუდიტორიას გაუჩნდეს არა მხოლოდ მუზეუმის განმეორებითი და ხშირი მონახულების, არამედ მის პროგრამებში ჩართვისა და მუზეუმის ხელშემწყობი ორგანიზაციის წევრად გახდომის სურვილიც. აუდიტორიის გაფართოებისა და მუზეუმის მიმზიდველობის გაზრდის სტრატეგია ემყარება ვიზიტიორებთან მუზეუმის ურთიერთქმედებისა და მომსახურების გაუმჯობესების მრავალფეროვან გზებს, რაც, პირველ რიგში, ხორციელდება მუზეუმის არსებული და პოტენციური აუდიტორიის შესწავლის პროცესში მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე.

[34] ლორდი ბ., ლორდი გ., *სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი,* საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოცემა, თბ., 2006, გვ. 163

# თავი II.
# სამუზეუმო აუდიტორიის თავისებურებები და ექსკურსიის დაგეგმვა

## 2.1. მუზეუმის აუდიტორიის შესწავლა

კოლექციების მუდმივი და დროებითი გამოფენის მომზადების პროცესში მუზეუმის მესვეურებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ დამთვალიერებელი გაცილებით უკეთ აღიქვამს ექსპოზიციას, თუკი მას თან ახლავს საგანმანათლებლო პროგრამა (ან რაიმე სხვა ღონისძიება), რაც კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს გამოფენის დედააზრის გადმოცემას. თუ ექსპოზიცია გააზრებულია როგორც აუდიტორიასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია მულტიმედიური ტექნოლოგიები, საჭიროა შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების განსხვავებული მეთოდები; ხოლო თუ გამოფენის თემატიკა რთული ან ძნელად აღსაქმელია (მაგალითად, სკოლის მოსწავლეებისათვის), იგი შეიძლება დაიყოს რამდენიმე ნაწილად და "გამარტივდეს" მიზნობრივი საექსკურსიო პროგრამების საშუალებით.

დამთვალიერებლებზე ორიენტირებული პროგრამებისა და მათ შორის, საექსკურსიო მომსახურების პარამეტრების სწორად გათვლისათვის, აუცილებელია მუზეუმის არსებული და პოტენციური აუდიტორიის შესწავლა სპეციალური კვლევების მეშვეობით. ამგვარი კვლევა მუზეუმს აწვდის სანდო ინფორმაციას მის ვიზიტიორებზე და ეხმარება მას: გაზარდოს თავისი, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუციის საქმიანობის ხარისხი, მოახდინოს კონცენტრაცია სხვადასხვა კატეგორიის ვიზიტიორთა მოთხოვნებისა და მოლოდინის დაკმაყოფილებაზე, რათა მიაღწიოს მათი ინტერესების შესაბამის შედეგებს.

ამ ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს დემოგრაფიული და ქცევითი მახასიათებლების ანალიზს, მუზეუმის ვიზიტიორთა შეგ-

რძნებების, დამოკიდებულებებისა და მოტივების თვისობრი¬ვი მეთოდების დაბალანსებულ შეთავსებას[35], რაც განსაკუთრებით მნიშ-ვნელოვანია, რადგან მუზეუმები ბევრწილად არიან დამოკიდებულნი სწორედ აუდიტორიის ვიზიტის სიხშირით მიღებულ შემოსავლებზე (მუზეუმში შესასვლელი ბილეთების გარდა, ვიზიტიორთათვის გან-კუთვნილი საგანამანათლებლო და სხვა სპეციალური პროგრამები, საგანგებო ღონისძიებები, მუზეუმის მაღაზია, კაფე და სხვ.).

ევროპელი კოლეგების მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვ-ლევების მონაცემთა მიხედვით, ირკვევა, რომ ვიზიტიორებს ყველაზე ხშირად მუზეუმში ვიზიტისაკენ უბიძგებს სხვა ადამიანთა (მეგობრე-ბი, კოლეგები, ოჯახის წევრები და სხვ.) აზრი და გამოხმაურება. ეს კი ნიშნავს, რომ მუზეუმში ყოფნით მიღებული სიამოვნება შეიძლე-ბა იქცეს მუზეუმში დამთვალიერებლის ვიზიტის სიხშირის ზრდის ყველაზე ქმედით ფაქტორად, ასევე მუზეუმის მეგობრების კლუბისა თუ მუზეუმის ხელშეწყობის საზოგადოების წევრებად ვიზიტიორთა გარდაქმნის შესაძლებლობად.

დამთვალიერებელთა ვიზიტის სიხშირის, დემოგრაფიული და სხვა მახასიათებლების, ასევე ცხოვრების წესის თავისებურებებზე მონაცემთა ბაზის შესაქმნელად, როგორც წესი, მუზეუმში იყენებენ დამთვალიერებლების ანკეტირებას, ხოლო ისეთ მეთოდებს, რო-გორიცაა დარბაზში დამთვალიერებლებთან ინდივიდუალური გა-საუბრება და სამიზნე ჯგუფების გამოკითხვა, იყენებენ ვიზიტიორ-თა მოტივებისა და აგრეთვე, მუზეუმის მონახულებით მიღებული შთაბეჭდილების გასარკვევად.

საერთაშორისო ექსპერტთა აზრით, აუდიტორიის შესწავლის ყველაზე ეფექტურ და შედეგიან ფორმას წარმოადგენს ყოვლისმომ-ცველი კვლევითი პროგრამის შემუშავება, რომელიც გათვლილია სამ-ხუთ წელიწადზე და ითვალისწინებს გარკვეულ წლებში რაოდე-ნობრივი, ხოლო სხვა წლებში – თვისობრივი კვლევების ჩატარებას.

---

[35] ლორდი ბ., ლორდი გ., *სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი,* თბ., 2006, გვ. 128.

ამგვარი კვლევის პროგრამის წარმატების პირობაა საპროექტო ჯგუფში მუზეუმის დამთვალიერებლებთან მომუშავე ყველა განყოფილების მონაწილეობა – მოყოლებული მარკეტინგის სამსახურისა და საგანმანათლებლო დეპარტამენტიდან, დამთავრებული ვიზიტიორთა საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებით. რიგ შემთხვევაში, ასეთი კვლევის ჩასატარებლად მუზეუმი კონსულტანტებს იწვევს მუზეუმს გარედან — კვლევის დაგეგმვის, ორგანიზებისა და ჩატარებისათვის, შემდგომში კი მიღებული შედეგების ანალიზისა და იმ რეკომენდაციების შესამუშავებლად, რასაც შეუძლია მუზეუმისა და ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელობა დაარწმუნოს აუდიტორიის გაფართოების (ან სხვა) მიზნის მისაღწევად ამა თუ იმ ზომების მიღების აუცილებლობაში.

საქართველოს სამუზეუმო სივრცეში ჯერჯერობით მსგავსი კვლევის პროგრამა არ ჩატარებულა, თუმცა ICOM-ის საქართველოს ეროვნულმა კომიტეტმა გარკვეული სამუშაოები განახორციელა ამ მიმართულებით (ჩვენს მიერ, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრატურის კურსის სტუდენტთა თანამონაწილეობით, შემუშავდა კითხვარი, რაც შესაძლებელია ქვეყნის მუზეუმებმა გამოიყენონ აუდიტორიის კვლევის პროცესში. **იხ. დანართი 1**).

## 2.2. განსხვავებულ აუდიტორიასთან საექსკურსიო მუშაობის პრინციპები და მეთოდები

საექსკურსიო პროცესის თავისებურებებს განსაზღვრავს სამიზნე აუდიტორიის ასაკი, პროფესიული კუთვნილება და ინტელექტუალური დონე. საექსკურსიო პრაქტიკაში მიღებულია მუზეუმის აუდიტორიის დაყოფა შემდეგ ჯგუფებად: სკოლამდელი ასაკის ბავშვები, სკოლის დაწყებითი, საშუალო და უფროსი კლასების მოს-

წავლეები, სტუდენტები, ზრდასრული ადამიანები, ასევე უაღრესად აქტუალურია საესკურსიო პროგრამების მომზადება აუდიტორიის იმ ნაწილისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. განვიხილოთ თითოეული მათგანი*:

**სკოლამდელი ასაკის ბავშვები.** 3-6 წლის ასაკში ბავშვს უფართოვდება და უღრმავდება სამყაროს აღქმა, მეხსიერება და აზროვნება ატარებს აშკარად გამოკვეთილ ხასიათს, ხოლო 5-6 წლის ასაკში უკვე მატულობს ვიზუალური აქტივობა: "პატარებს უყვართ აღქმის ობიექტის დათვალიერება, ამჩნევენ საგნის ბევრ დამახასიათებელ თვისებას, სვამენ უამრავ შეკითხვებს მის ფორმასა და ფერზე, ზედაპირზე, ანუ მგრძნობელობით მახასიათებლებზე, რაც მიგვანიშნებს, რომ ამ ასაკის ბავშვები ფსიქოლოგიურად  უკვე მზად არიან მუზეუმში ვიზიტისა და მის საგამოფენო დარბაზებში (განსაკუთრებით ხელოვნების პროფილის მუზეუმებში) "მუშაობისათვის"[36].

თანამედროვე მუზეუმებში სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობის წამყვან ფორმას წარმოადგენს თამაში, რაც განსაზღვრავს მუზეუმის მისიას: "შექმნას სივრცე, სადაც თამაში და სწავლა უკავშირდება ერთმანეთს"[37]. ამასთან, მუზეუმის საგანმანათლებლო დეპარტამენტის თანამშრომლები მუდამ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ ამგვარ თამაშებში ეყრება საფუძველი ბავშვის სოციალიზაციის პროცესს: იგი ბაძავს უფროსებს და გაითამაშებს მათ როლს. სწორედ როლების გათამაშების ამ პროცესში აქტიურდება ის მენტალური თვისებები, რაც აუცილებელია მოზარდში შემოქმედებითი ფანტაზიის გაღვივების, ასევე, მიმიკით, პლასტიკითა და ხმის ინტონაციით "მორგებული" როლის გათავისებისა და ხასიათის გადმოცემისათვის. ასეთი თამაში ხელს უწყობს აგრეთვე კომუნიკაცი-

---

* წინამდებარე თავში ექსკურსიის ჩატარების პრინციპები განხილულია ხელოვნების პროფილის მუზეუმების მაგალითზე (*ავტორის შენიშვნა*).

[36] Bjorklund, D., *Children's Thinking: Cognitive Development and Individual Differences.* Belmont, CA:Wadsworth Publishing. 2000, გვ. 19.

[37] *Standards of excellence in early learning: A model for Chicago Children Museum,* Chicago Children's Museum, Erikson Institute, and Gyroscope Inc. 2005, გვ. 5.

ური უნარების განვითარებას და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილების შეძენას. არანაკლებ მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვის უნარების განვითარების სპეციფიკა მდგომარეობს უფრო მის კრეატიულობაში, ვიდრე ხელოვნების, როგორც ასეთის აღქმაში. დროის უმეტეს ნაწილს მოზარდი უთმობს ძერწვას, ხატვას, ელემენტარულ კონსტრუირებას ან პაზლების აწყობას, რაც ავითარებს მის აზროვნებას, შემოქმედებით წარმოსახვას, მგრძნობელობით უნარებს და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ გზას ბავშვის მიერ გარემომცველი სამყაროს გათავისებისათვის.

სკოლამდელი ასაკის ბავშვის მიერ სამუზეუმო ექსპოზიციაში ხელოვნების ნიმუშის აღქმა ბევრწილად შეესაბამება მისი საკუთარი შემოქმედებითი გამოცდილების მახასიათებლებს: პატარა ასაკის ბავშვთა ჯგუფები გამოსახულებას აღიქვამენ "ცნობადობის" დონეზე, მოსწონთ რეალურად ხილული, უჩვეულო და ლამაზი ფორმები, მკვეთრი და ნათელი ფერები ან სურათის კონკრეტული დეტალები (მაგ., ჩიტი, ლომი და სხვ.). საშუალო ასაკის სკოლამდელ ბავშვთა ჯგუფში კი ჩნდება ახალი შემეცნებითი ასპექტი: დამოუკიდებლად ან პედაგოგის დახმარებით, მოზარდს უკვე შეუძლია გამოყოს ის არსებითი ნიშნები, რაც მისთვის ნაცნობს ხდის საგანს და ახერხებს გადმოსცეს ამა თუ იმ პერსონაჟის ემოციური განწყობილება (ღიმილი, ან გაბრაზება თუ მწუხარების გამოხატვა). ხოლო უფროსი ასაკის სკოლამდელ ბავშვთა ჯგუფს (5-6 წელი) ახასიათებს აქტიური რეაგირება ფერადოვანი გადაწყვეტისადმი, ასევე, მოვლენებისა და გამოსახულებათა ემოციური განცდა, უვითარდება თანაგანცდისა და თანაგრძნობის უნარები, რაც ემყარება მის (თუმც მცირე) ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამიტომაც გამოფენაზე ამ ასაკის ბავშვს უკვე აინტერესებს გარკვეული სიუჟეტისა და ქმედებათა ამსახველი ნაწარმოებები, რაც მას აძლევს პერსონაჟთა ქმედების შეფასებისა და დახასიათების შესაძლებლობას ("ცუდი", "კარგი", "კეთილი", "ბოროტი", "მამაცი" და ა. შ.).

სწორედ სამყაროს აღქმის ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებები განსაზღვრავს სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუზეუმში საექსკურსიო მუშაობის შემდეგ პრინციპებს:

1. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის მუზეუმში ვიზიტის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 3-4 ექსკურსიას 40-45 წუთის ხანგრძლივობით და ძირითადად უნდა ატარებდეს თამაშის ან ხატვის (შემოქმედებითი პროცესის) ფორმას, რადგან ეს ასაკობრივი ჯგუფი სწორედ ამ სახით შეიცნობს სამყაროს.

2. იმისათვის, რომ სამუზეუმო საგანმა რეალურად მოახდინოს ბავშვის წარმოსახვის აქტივიზაცია და გაამდიდროს მისი გამოცდილება, აუცილებელია, საგამოფენო სივრცე პასუხობდეს მის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. ყურადღების გაფანტვა, დაღლა და არასასურველი გარემო (ხმაური დარბაზში, ვიზიტიორთა მოძრაობა და საუბარი, პარალელურად სხვა ჯგუფთან ექსკურსიის ჩატარება და სხვ.) საგრძნობლად ამცირებს ექსკურსიით მოწოდებული მასალის ათვისების ეფექტურობას. ამიტომ სასურველია, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ექსკურსია ჩატარდეს მუზეუმის დარბაზებში ვიზიტიორთა მცირე რაოდენობის თავმოყრის საათებსა და პირობებში.

3. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექსკურსიის თემატიკას და სპეციფიკას. იგი უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ინტერესებს, ასევე ექსკურსიით მიწოდებული მასალის აღქმის მისეულ შესაძლებლობებს. ეს შეიძლება იყოს თემები, რომლებიც, მაგალითად, ხელოვნების მუზეუმში დაკავშირებულია ხელოვნებაში ბუნების ასახვასთან (*პეიზაჟი*), ადამიანის გრძნობებთან და ხასიათთან (*პორტრეტი*), გარესამყაროს მოვლენებთან (პატარისათვის მისაღებ დონეზე), საგნობრივი სამყაროს სილამაზესა და მრავალფეროვნებაზე (*ნატურმორტი*). სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ექსკურსია უნდა გამოირჩეოდეს როგორც სიუჟეტური, ასევე მხატვრული მრავალფეროვნებით, აგებული უნდა იყოს კონტრასტულობისა (სხვადასხვა ჟანრი, სტილები, ინდივიდუალური მხატვრული მანერა

და სხვა) და შედარების მეთოდებზე, რაც აადვილებს აღქმას და ამცირებს ბავშვთა დაღლილობის ხარისხს.

4. სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან საექსკურსიო მუშაობის მეთოდიკა უნდა იყოს განმავითარებელი, ანუ, ორიენტირებული უნდა იყოს არა იმდენად ხელოვნებაზე ინფორმაციის დაგროვების (თუმცა არ გამოირიცხება მათი გონებისათვის მისაღები აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაც), რამდენადაც ბავშვის წარმოსახვის, მგრძნობელობითი შესაძლებლობებისა და ემოციური მხარის განვითარებაზე. მეთოდიკის განმავითარებელი ხასიათი უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ განსაზღვრული პრინციპების დაცვისა და კონკრეტული მეთოდური ხერხების გამოყენების პირობებში.

5. სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდურ პრინციპს წარმოადგენს სწავლების არავერბალური და თამაშის მეთოდების გამოყენება: დამოუკიდებელი ნახატები და შემოქმედებითი დავალებები, სხვადასხვა სახის დიდაქტიკური თამაშები, განმავითარებელი სავარჯიშოები და ა. შ. ექსკურსიის პროცესში მნიშვნელოვანია აგრეთვე სიცხადისა და დიალოგის პრინციპების შენარჩუნება, სწრაფვა თითოეული ბავშვის ინდივიდუალური აქტივობის გამოვლენისაკენ, და ამავე დროს, კომუნიკაციური ჩვევების გამომუშავებისა და შთაბეჭდილებების ერთობლივი განხილვისაკენ (კოლექტიური მუშაობის ჩვევები).

როგორც წესი, სხვადასხვა პროფილის მუზეუმები საბავშვო ბაღებსა და სკოლამდელი აღზრდის ცენტრებთან (ასევე სკოლებთან – სკოლის მოსწავლეებისათვის) ურთიერთქმედებით ამუშავებენ ბავშვებთან საექსკურსიო მუშაობის სპეციფიკას და გარდა ამისა, ორგანიზებას უწევენ აღმზრდელთა (პედაგოგთა) კვალიფიკაციის ამაღლებას სკოლამდელი ასაკის ბავშვების მუზეუმში ვიზიტისათვის მოსამზადებლად (ანალოგიურად, აუცილებელია მჭიდრო კომუნიკაციის დამყარება ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან — სკოლის მოსწავლეთა მუზეუმში სწავლების პროცესის დარეგულირებისა და სათანადო პროგრამების მოსამზადებლად).

**სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეები.** ეს ასაკობრივი პერიოდი ხასიათდება მუზეუმში რეგულარული ვიზიტით და სამუზეუმო სწავლების პროცესში ჩართულობით. მუზეუმი მოსწავლეებს სთავაზობს ექსკურსიების ციკლს, რომლებიც ეფუძნება განმავითარებელი და საგანმანათლებლო ხასიათის კონკრეტულ პედაგოგიურ მიზნებსა და ამოცანებს. მათი შინაარსი და მეთოდიკა განპირობებულია მოცემული ასაკის ფსიქოლოგიური თავისებურებებით.

ამ ასაკის მოსწავლეთა ცოდნის ფორმირება და პიროვნული განვითარება მიმდინარეობს შემდეგი ორი პროცესის შესაბამისად:

1. უშუალო აღქმა;

2. ამა თუ იმ საგნისა  და მოვლენათა სიტყვიერი აღწერის ათვისება.

ცხადია, სკოლაში სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის წყალობით დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის შემეცნებითის პროცესი ხდება უფრო ღრმა და გააზრებული – მოზარდები თანდათან ეცნობიან სხვადასხვა მოვლენათა მიზეზებსა და კანონზომიერებებს. აქედან გამომდინარე, დაწყებითი კლასის მოსწავლეთა სწავლება უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ მოზარდის მეხსიერებას, არამედ მიღებული ინფორმაციის გააზრებას და დასმულ კითხვებზე პასუხის დამოუკიდებელ ძიებას.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლეები ჯერ კიდევ ბევრწილად ინარჩუნებენ სკოლამდელი ასაკიდან გამოყოლილ ფსიქოლოგიურ თვისებებს — ისინი გამოირჩევიან აღქმის სიმძაფრით და ცნობისმოყვარეობით, მკვეთრად გამოხატული ემოციურობით რეაგირებენ გარემომცველი სამყაროს მოვლენებზე, ავლენენ ფანტაზიორობისაკენ მიდრეკილებას, თხზავენ ზღაპრებს, ფანტასტიკურ მოთხრობებს და ქმნიან ნახატებს, რომლებშიც გასაქანს აძლევენ საკუთარ ფანტაზიას. ვინაიდან ამ ასაკის ბავშვების ყურადღება ერთგვარად უნებლიე ხასიათისაა, აუცილებელია სწავლის პროცესში მუზეუმის პედაგოგმა-გიდმა მათ განუვითაროს ყურადღების კონცენტრაციის უნარი, მაგრამ იმავდროულად, უნდა შეინარჩუნოს ექსკურსიის შინაარსისა და ფორმ-

ის მიმზიდველობა, ვინაიდან სწორედ ინტერესი წარმოადგენს ყურადღების კონცენტრირების მთავარ მოტივს. აღქმის ასაკობრივი სპეციფიკის ცოდნა პედაგოგ-გიდს დაეხმარება სწავლების სწორი მეთოდიკის შერჩევაში. ცნობილია, რომ 6-8 წლის ბავშვს იზიდავს, მაგალითად, ფერწერულ ტილოზე ასახული სიუჟეტი, რომელშიც გმირებთან ერთად "სახლდება", აქტიურად "ერთვება" კონკრეტული მოვლენის პერიპეტიებში და ცდილობს საკუთარი თვალთახედვიდან შეაფასოს იგი, რაც ხშირად გამოიხატება პერსონაჟთა დადებით და უარყოფით გმირებად დაყოფაში. გარდა ამისა, ამ ასაკის მოზარდს უჩნდება უნარი, აღიქვას და განიცადოს არა მხოლოდ სიუჟეტი, არამედ გამოსახული მოვლენის შიდა ატმოსფერო, ბუნების სურათი პეიზაჟში ან განწყობა პორტრეტში, რაზეც მას შეუძლია უკვე იმსჯელოს და საკუთარი აზრი სიტყვიერად გადმოსცეს.

8-9 წლის ბავშვები უკვე ითვისებენ ხელოვნების ტერმინოლოგიის გარკვეულ მინიმუმს, უჩნდებათ მასალის ელემენტარული გაანალიზების უნარი, რაც იძლევა ამ ასაკის ბავშვებთან დაგეგმილი ექსკურსიის თემატიკის გაფართოების, დიდაქტიკური თამაშების, განმავითარებელი სავარჯიშოებისა და შემოქმედებითი ამოცანების გამოყენების შესაძლებლობას. ამასთან, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ ასაკის მოზარდებში სამყაროს აღქმა უფრო გააზრებულია, აუცილებელია ექსკურსიის პროცესში გიდმა-პედაგოგმა ყურადღება დაუთმოს კულტურის მსოფლიო მიღწევების ათვისებას რომელიმე სამუზეუმო ექსპონატზე დაყრდნობით. ამ ტიპის ექსკურსიის ზოგად მიზნად შეიძლება ჩაითვალოს სამუზეუმო კულტურის ფორმირება, ანუ, ინტერესის გაღვივება სამუზეუმო ფასეულობისადმი, მუზეუმში ვიზიტის შინაგანი მოთხოვნილების ფორმირება, სამუზეუმო ექსპონატისადმი (როგორც მატერიალურ-სულიერი კულტურის ნაწილისადმი) ფაქიზი დამოკიდებულების ჩვევების გამომუშავება. ამ ამოცანების რეალიზება შეიძლება გიდმა-პედაგოგმა მოახდინოს თემებში: "პირველი შეხვედრა მუზეუმთან", "რას მოგვითხრობენ საგნები" და სხვა*.

**სკოლის საშუალო კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი** (10-15 წელი) ხასიათდება როგორც გარდამავალი პერიოდი ბავშვობიდან ზრდასრულობამდე, როცა მიმდინარეობს ფსიქიკის გარდაქმნა და იცვლება ადამიანებთან ურთიერთმიმართების ადრინდელი ფორმები. სკოლაში სწავლების პროცესში მათი აზროვნება უკვე იძენს ანალიტიკურ-სინთეზურ ხასიათს, ვითარდება აქტიური და დამოუკიდებელი აზროვნების, მსჯელობის, შედარებითი და ღრმა განზოგადებისა და დასკვნების გამოტანის უნარები[38].

10-12 წლის ასაკში დგება ე. წ. "ბუნებრივი კრიზისი" ხატვით თვითგამოხატვის პროცესში: ბევრი მოზარდი თავს ანებებს ხატვას და მისი ინტერესი ინაცვლებს მხატვრული აღქმისაკენ, ვინაიდან იგი აცნობიერებს ოსტატობის მნიშვნელობას და პროფესიული სწავლების როლს, შესაბამისად, იგი უკვე მზადაა ხელოვნების, მისი მხატვრულ-გამომსახველობითი ენისა და ისტორიული განვითარების ეტაპების შესწავლისათვის. ამიტომ, აუცილებელია, გიდმა-პედაგოგმა საექსკურსიიო პროგრამაში ჩართოს თემატური და ისტორიული ციკლები, რაც გააფართოებს მოსწავლეთა ცოდნას კონკრეტულ სფროში. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ ასაკში გაზრდილია მოზარდის თვითშეგნება, მას უჩნდება მოწიფულობის შეგრძნება და ახასიათებს იმ "საკუთარი გმირის" ძიების სურვილი, ვინც მისთვის შეიძლება იქცეს "მისაბაძ მაგალითად". მაგალითად, რომელიმე ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პოპ-მუსიკის წარმომადგენელი ან თანატოლი მისივე გარემოცვიდან, და სულაც რომელიმე,

---

* ხელოვნების პროფილის მუზეუმში სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან გიდი-პედაგოგის მუშაობა მიზნად ისახავს მოზარდში ისეთ თვისებათა განვითარებას, როგორიცაა დაკვირვების, ელემენტარულ საგნობრივ ფორმაში საკუთარი შთაბეჭდილების გაანალიზებისა და განზოგადების, ასევე ნანახის შემოქმედებითად გააზრების უნარები. ყოველივე ეს დიდწილად განსაზღვრავს მუზეუმის ექსპოზიციაში სახვითი ხელოვნების ნიმუშის უშუალო აღქმის თავისებურებებს: მოზარდთა მიერ ნაწარმოების ყურადღებით, გულდასმით დათვალიერების აუცილებლობა და მასზე საკუთარი შთაბეჭდილების გამოთქმის სურვილის აღძვრა, ასევე, ვიზუალური კულტურის საფუძვლების ფორმირების მიზნით, მათი ყურადღების მუდმივად წარმართვა მხატვრული ფორმის ელემენტების (ფერი, ფაქტურა, მასალა, კომპოზიცია) განხილვისაკენ.

[38] Bjorklund, D., *Children's Thinking: Cognitive Development and Individual Differences.* Belmont, CA:Wadsworth Publishing. 2000, გვ. 52.

მისთვის საყვარელი ხელოვანი თუ ცნობილი მეცნიერი. ამიტომ, ამა თუ იმ მუზეუმის პროფილიდან გამომდინარე, საექსკურსიო მუშაობის მეთოდიკაში დიდაქტიკურ თამაშებთან და სავარჯიშოებთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს დიალოგი, საუბრები და დისკუსიები მოზარდებისათვის საინტერესო  სხვადასხვა თემებზე, რაც, ბუნებრივია, უნდა პასუხობდეს  ამ ასაკობრივი ჯგუფის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს და შინაგან მოთხოვნილებებს. საექსკურსიო პრაქტიკის ამგვარი ფორმა უთუოდ მისაღები იქნება უფროსკლასელთათვისაც.

**სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი** (14-დან 18 წლამდე)  ხასიათდება ცხოვრებისეული აზრისა და მიზნის ძიების, პროფესიული თვითგამორკვევის, სამყაროსეული მოვლენების ფილოსოფიური საკითხებისადმი ინტერესით, მათ შორის, მხატვრული შემოქმედებისა და ზოგადად, კულტურის პრობლემებით. ამ ასაკის მოსწავლეები უკეთ აცნობიერებენ ხელოვნების პროფესიულ საკითხებს, რაც აფართოებს ექსკურსიის თემას და სძენს მას ისტორიულ ელფერს და (მაგალითად, ხელოვნების პროფილის მუზეუმში) მოიცავს სხვა შესაძლო თემებსაც:

- კომპოზიცია ნაწარმოებში;
- ფერითი გადაწყვეტის საკითხები ფერწერაში;
- ეროვნულობის პრობლემა XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ კულტურაში;
- შინაარსისა და მხატვრული ფორმის ურთიერთმიმართების საკითხები XX საუკუნის 80-იანი წლების ქართულ სახვით ხელოვნებაში.

ხაზგასასმელია, რომ ამ ასაკის მოსწავლეებთან საექსკურსიო სწავლების ჩატარებას საფუძვლად უნდა დაედოს აქცენტირება ვიზუალური დაკვირვების გამომუშავებაზე, ანუ, დიფერენცირებული ხედვის განვითარებაზე, რაც წარმოადგენს დომინანტს ვიზუალური კულტურის ფორმირებისათვის და პირველ რიგში, მოიცავს ანალიტიკური უნარების განვითარებას, ამდიდრებს და ავითარებს ერუდიციას.

**სტუდენტური ასაკის** (17-23 წელი) აუდიტორიაში, რომელიც

უკვე ითვლება ზრდასრულად როგორც ბიოლოგიურ, ასევე სოციალურ ასპექტში, რაღაც დოზით ჯერ კიდევ შეიმჩნევა სკოლაში სწავლის პერიოდისათვის სახასიათო თავისებურებები. არათანაბარი ფიზიკური თუ სოციალური განვითარებისა და საკუთარ კრიტერიუმებში ერთგვარი გაურკვევლობის გამო, ამ ასაკის პიროვნების ფორმირება რთულად მიმდინარეობს; ვინაიდან, სოციალური ჯგუფი, რომელსაც აერთიანებს კოლეჯში ან უნივერსიტეტში სწავლის პროცესი და ფასეულობათა სისტემა, სკოლაში სწავლის ეტაპიდან გადადის განვითარების სულ სხვა, პროფესიული მოღვაწეობის განმსაზღვრელ ეტაპზე.

გარესამყაროს მოვლენებში ჩაღრმავებისა და გარკვევისათვის, სტუდენტები ხშირად ყოფის ბევრ საკითხზე პასუხს ეძებენ ხელოვნებაში (ზოგადად კულტურის სფეროში), ცდილობენ მისი მეშვეობით შეიმეცნონ რეალობა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მუზეუმი, მისი საგამოფენო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც აფართოვებს სტუდენტის თვალსაწიერს, ამდიდრებს მის ცოდნას და ესთეტიკურ წარმოდგენებს. საგამოფენო პროექტებისა და საექსკურსიო საქმიანობის დაგეგმვისას, აუცილებელია, მუზეუმის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინოს, რომ სტუდენტური აუდიტორია ორიენტირებულია უფრო თემატური ტიპის ექსკურსიაზე, რომელიც ხელოვნების საკითხებს ან ისტორიულ მოვლენას განიხილავს ფართო ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში, რაც პასუხობს სტუდენტთა ინტერესს მიღებული ცოდნის სისტემატიზაციისადმი.

სტუდენტური აუდიტორიისათვის ექსკურსიის მომზადების პროცესში, ჯგუფის ინტელექტის დონისა და მსოფლმხედველობის გათვალისწინებით, აუცილებელია, შეიქმნას შემოქმედებითი მუშაობის ატმოსფერო, რაც ითხოვს ინტელექტუალური და ემოციური ძალების ერთობლივ მობილიზებას. ამასთან, აუცილებელია სტუდენტის მუზეუმში ვიზიტისა და ექსკურსიის ჩატარების პროცესი ზუსტად შეესაბამებოდეს მის ასაკობრივ სპეციფიკას. ხაზგასმით

უნდა აღინიშნოს, რომ ტური სტუდენტებს უნდა აძლევს საშუალებას:

- დაამყაროს უშუალო კონტაქტი ავთენტურ სამუზეუმო ექსპონატთან;
- ჩაერთოს სხვადასხვა ტიპის აქტივობებსა და ექსპოზიციის ინტერპრეტაციის პროგრამებში;
- დაეუფლოს მხატვრული ნაწარმოების ანალიზის მეთოდებს კონკრეტული სამუზეუმო ნივთის მაგალითზე;
- გაიგოს და ჩასწვდეს სახვითი ხელოვნების ნაწარმოების მხატვრულ-სახეობრივ სისტემას.

**ზრდასრული ვიზიტიორები.** მრავალრიცხოვანი კვლევის მონაცემთა მიხედვით, ცნობილია, რომ მუზეუმებში დადის ზრდასრული მოსახლეობის 27-დან 35%-მდე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ვიზიტის სიხშირე არსებითად განსხვავებულია: მოყოლებული ცალკეული შემთხვევიდან, დამთავრებული წელიწადში 10 ან მეტი ვიზიტით (სავარაუდოდ, მუდმივ ვიზიტიორებს შორის არიან სამუზეუმო ორგანიზაციების წევრები და მუზეუმის მეგობრები). მუზეუმის ტიპიურ ზრდასრულ დამთვალიერებელს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება და მისი შემოსავალი საშუალოზე მეტია (განათლება გაცილებით მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიდრე შემოსავალი), მუზეუმში სიარულის სიხშირე ქალებში მეტია, ვიდრე მამაკაცებში[39]. ვიზიტიორის ასაკობრივი დიაპაზონი  დამოკიდებულია მუზეუმის ტიპზე: მაგალითად, სამეცნიერო და საბავშვო მუზეუმები განსაკუთრებით მიმზიდველია ახალგაზრდა ოჯახებისათვის, ხოლო სამხატვრო გალერეები – ახალგაზრდებისა და 45 წელს გადაცილებული ადამიანებისათვის. 60 წელს გადაცილებული ადამიანები უფრო იშვიათად დადიან მუზეუმში მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მდგომარეობა უთუოდ შეიცვლება, ვინაიდან თანამედროვე მუზეუმები ცდილობენ უკეთ მოერგონ ხანდაზმული ადამიანების, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

---

[39] ლორდი ბ., ლორდი გ., *სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი,* თბ., 2006, გვ. 128

დღეს ბევრი მუზეუმი დიდ ყურადღებას უთმობს საექსკურსიო და საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებას ზრდასრული ასაკის იმ ვიზიტიორთათვის, რომელთა დევიზია: "სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე" (long-life education). მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ ტიპის ექსკურსიის ჩატარებისას გიდი ძირითადად ეყრდნობა მუზეუმის პროფილს, ექსპოზიციის თემატიკას, ხასიათს და კონცეფციას, იგი მუდამ ითვალისწინებს ვიზიტიორთა გაზრდილ ინტერესს ახალი გამოცდილების შეძენისა და საკუთარი ცოდნის განახლებისადმი[40].

თანამედროვე მუზეუმი უზრუნველყოფს ცოდნის მიწოდების სრულ ხელმისაწვდომობას, ქმნის კულტურულ მნიშვნელობათა ახლებურად შემეცნებისა და სამუზეუმო სივრცის იმგვარ მიმზიდველ ადგილად გარდაქმნის შესაძლებლობას სადაც ექსპონატი და ექსპოზიციის თითოეული კომპონენტი არა მხოლოდ ჰყვება მრავალფეროვან "ისტორიებს", არამედ შეიცავს ორიგინალურ კონტექსტს კულტურათაშორისი დიალოგისათვის[41]. ამ შემთხვევაში ექსპოზიციის დათვალიერება არ წარმოადგენს თვითმიზანს, არამედ მუზეუმი აღიქმება როგორც:

- **არაფორმალური საგანმანათლებლო სივრცე,** სადაც ინიციატივები ხორციელდება ვალდებულებათა გარეშე, რაც ქმნის ცოდნის მიღების ხელმისაწვდომობისა და განახლების ამოუწურავ შესაძლებლობებს;
- **სოციალური სივრცე** — მუზეუმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლოკალური ტერიტორიის იდენტურობასა და დინამიზმში, აქტიური წვლილი შეაქვს მისი წარსულის პოპულარიზაციასა და სამომავლო განვითარებაში;
- **თაობათაშორისი კავშირის სივრცე** — მუზეუმი ინარჩუნებს

---

[40] Гнедовский М., *Современные тенденции развития музейной коммуникации.* // Музееведение. Проблемы культурной коммуникации в музейной деятельности. Сб. научн. тр. НИИК. М., 1989. С. 21

[41] *Museums (memory + creativity) = social change,* http://network.icom.museum/international-museum-day-2013/

ინტენსიურ კავშირს საზოგადოებასთან, მის ისტორიასა და კულტურასთან, ქმნის შესაძლებლობებს თაობებს შორის დიალოგის წარმართვისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზრდასრული ასაკის ვიზიტიორთათვის განკუთვნილი სამუზეუმო ექსკურსიები მრავალ ასპექტს მოიცავს და საკმაოდ დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. მათ შორის ყველაზე პოპულარულია ვიზიტიორთა გამოცდილების გამდიდრება სამუზეუმო კოლექციის ინტერპრეტაციით — ისტორიულ-კულტურული გამოცდილების იმგვარად გაზიარებით, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ესთეტიკურ ტკბობას და ცოდნის გამდიდრებას, არამედ ქმნის შესაძლებლობას, საგრძნობლად გაიზარდოს მუზეუმის აუდიტორია და შესაბამისად, მის საქმიანობაში ფართო საზოგადოების ჩართულობაც.

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებთან მუშაობის ფორმები.** თანამედროვე მუზეოლოგიაში აქტიური დისკუსიები მიმდინარეობს ამ კატეგორიის ვიზიტიორებთან მუშაობისა და მომსახურების საკითხებზე, რასაც ეძღვნება არაერთი კონფერენცია და სემინარი, მიმდინარეობს გამოცდილების გაცვლა, მზადდება და იგეგმება სხვადასხვა სახის სპეციალური პროგრამები.

შშმ პირებთან მუშაობის ერთ-ერთ პირველ ფორმას წარმოადგენდა არტ-თერაპია (დიდი ბრიტანეთისა და აშშ მუზეუმების პრაქტიკა), ხოლო XX საუკუნის მიწურულიდან გაჩნდა ამ ტიპის რთულ აუდიტორიასთან მუშაობის სხვა პრაქტიკაც (მაგ., ლუვრის პროექტი "მუზეუმი წესების გარეშე", რომელიც შეიქმნა სპეციალურად მხედველობადაქვეითებული ადამიანებისათვის და 1995 წლიდან ხორციელდება სკულპტურების გალერეაში/The Louvre Tactile Gallery). აშშ მუზეუმებში ამგვარ პროგრამებს ახორციელებენ მუზეუმის თანამშრომლები და საგანგებოდ მომზადებული ვოლონტიორები (ნიუ-იორკში, მეტროპოლიტენის მუზეუმში შექმნილია სპეციალური ბიბლიოთეკა და არასაექსპოზიციო ნივთების ფონდი უსინათლოებისათვის, ხოლო MOMA-ს და სმითსონის ინსტიტუტის ექსპოზიციებში ანალოგიური

პრობლემის მქონე ვიზიტიორს უკვე შეუძლია შეხებითაც, სპეციალური ხელთათმანის გამოყენებით, “შეისწავლოს” ქანდაკება. 2004 წელს ვენის საბუნებისმეტყველო მუზეუმში (ავსტრია) პირველად მოეწყო ექსკურსია უსინათლოებისათვის და 50-ზე მეტ ვიზიტიორს მიეცა შესაძლებლობა, ტაქტილური (ხელშესახები) მასალის მეშვეობით შეეგრძნო ქვიშაქვის სტალაგმიტების ფორმები, “დამტკბარიყო” დინოზავრებისა და სპილოების გაქვავებული ნაშთებით.

შშმ პირებთან საექსკურსიო მუშაობის პროცესში უკვე ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმების (ტაქტილური მასალა: რელიეფური სურათები, ქანდაკებები, იარაღი და სხვა ტექნიკური საშუალებები: აუდიოგიდები ექსკურსიების მოსასმენად და სივრცეში ორიენტირებისათვის და სხვ.) გარდა, უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით წარმატებით გამოიყენება კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით დამზადებული სამგანზომილებიანი რეპროდუქციები, რომლებიც უსინათლო ვიზიტიორს შესაძლებლობას აძლევს უშუალოდ, შეხებით გაეცნოს ცნობილ ოსტატთა შედევრებს (პრადოს მუზეუმის ექსპოზიცია ბრმა ვიზიტიორებისათვის, მადრიდი, 2015, ვან გოგის მუზეუმი, ამსტერდამი, 2014 და სხვ.). კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა ტურების ჩატარება ლოგინს მიჯაჭვული ადამიანებისათვისაც კი, რომლებსაც შეუძლიათ პერსონალური გიდის მეშვეობით გაეცნონ მუზეუმების





**პრადოს მუზეუმის ექსპოზიცია** *Touching the Prado*
უსინათლო ვიზიტიორებისათვის, თებერვალი, 2015

ექსპოზიციებსა და კოლექციებს.

დღეს ბევრი მუზეუმი არაა მზად შშმ პირთა მომსახურებისათვის (მათ შორის საქართველოს მუზეუმებიც, თუ არ ჩავთვლით უკვე სავალდებულოდ ქცეულ პანდუსების მოწყობას გადაადგილების უნარს მოკლებული ვიზიტიორებისათვის), ეს ეხება არა მხოლოდ უსინათლო/მხედველობადაქვეითებულ ვიზიტიორებს, არამედ დაუნის სინდრომის, სმენადაქვეითებულ თუ სხვა შეზღუდული უნარებისა და შესაძლებლობების მქონე პირებს. მაშინ, როცა მსოფლიოს ბევრ მუზეუმში (და მათ შორის, პოსტსაბჭოთა სივრცეშიც) ტრადიციულ და ადაპტირებულ ექსკურსიებთან ერთად, კარგა ხანია, გამოიყენება ამ კატეგორიის აუდიტორიასთან მუშაობის თანამედროვე ფორმები:

- აუდიო-ექსკურსიები;
- ინტერაქტიული თამაშობები;
- სამუზეუმო თამაშები მოზარდებისათვის;
- ექსპონატების ჩვენება ქმედებებში;
- ექსკურსიები მუსიკალური, თამაშისა თუ ზღაპრული თერაპიის ელემენტებით და სხვ.

როგორც სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე არაერთხელ აღნიშნულა, მუზეუმს შეუძლია განსაკუთრებული წვლილი შეიტანოს უსინათლო, სმენადაქვეითებულ და სხვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციისა და სოციალური ადაპტაციის პროცესში, რაც საგრძნობლად ცვლის საზოგადოების დამოკიდებულებას ამ კატეგორიის ადამიანებისადმი. შესაბამისად, "სამუზეუმო განათლების პროცესში სხვადასხვა ტიპის აუდიტორიის ჩართვით, მუზეუმი თავისთავზე იღებს საზოგადოების ცნობიერებასა და ცხოვრებაში პოზიტიურ ცვლილებათა კატალიზატორის ფუნქციას"[42].

---

[42] Weil S., *Making Museums Matter /S.Weil.* – Washington DC and London: Smithsonian Institution Press, 2002, გვ. 55.

## 2.3. ვიზიტიორთა მომსახურების ფორმები და ექსკურსიის დაგეგმვა

თანამედროვე მუზეუმს საკმაოდ დიდი ძალისხმევა სჭირდება საკუთარი მისიისა და ფუნქციების რეალურად განხორციელებისათვის, რაც, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ვიზიტიორთა გაზრდილი მოთხოვნებისა დაკმაყოფილებისა (ხარისხობრივად და შინაარსობრივად მიმზიდველი და მრავალფეროვანი ექსპოზიციები, საგანმანათლებლო პროგრამები, კულტურული აქციები, სხვა სოციალური აქტივობები) და **მომსახურების** (ავტოსადგომი, ვიზიტიორთა მიღებისა და პირველადი მომსახურების სივრცე: ჰოლი, გარდერობი, სალარო, საინფორმაციო ცენტრები, გიდის მომსახურება, მუზეუმის მაღაზია, კაფე, საპირფარეშოები, რესურსები შშმ პირთათვის და სხვ.) სათანადო პირობების შექმნისაკენ.

ვიზიტიორთათვის კომფორტული და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე ზრუნვა განაპირობებს აუდიტორიის შთაბეჭდილებათა ხარისხს და დიდ როლს ასრულებს მუზეუმის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში; ასევე, ავლენს მუზეუმის დამოკიდებულებას აუდიტორიისადმი, ვისაც, სამუზეუმო კოლექციების გაცნობასა და ცოდნის გამდიდრებასთან ერთად, აღელვებს თავისუფალი დროის გატარების საკითხიც. ეს გარემოება განსაკუთრებით საცნაურია უკანასკნელ წლებში, მას შემდეგ, რაც მუზეუმს გაუჩნდა „კულტურული მემკვიდრეობის ინდუსტრიისა“ და თავისუფალი დროის გატარების ბიზნესთან კონკურენციის პრობლემა. მის დინამიკურ მოთხოვნათა საპასუხოდ, მუზეუმის მთელი პერსონალი და პირველ რიგში, მარკეტინგის სამსახური ყურადღებას ამახვილებს და მუდმივად ზრუნავს პოტენციური ბაზრების განსაზღვრაზე და მუზეუმში მათ მოზიდვაზე, აუდიტორიის (მომხმარებლის) მომსახურებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, აქედან გამომდინარე, ვიზიტიორთა რაოდენობისა და შემოსავლების გაზრდაზე.

ცხადია, აუდიტორიის გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მუზეუმის მუდმივი ზრუნვა არ ნიშნავს, რომ არ-

სებობს საფრთხე, მისი მთავარი მიზნის — კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და წარმოჩენის უკანა პლანზე გადაწევის თვალსაზრისით. პირიქით, თანამედროვე მუზეუმის მიზანია, დაა-ბალანსოს კოლექციებისა და საზოგადოების როლები, რისთვისაც შეიმუშავებს მრავალფეროვან პროგრამებს ვიზიტიორთა შთაბეჭდილებების გასამდიდრებლად, მათი რაოდენობისა და კატეგორიების გაზრდისათვის; ცდილობს, ინსტიტუცია გარდაქმნას უფრო ხელმისაწვდომ სივრცედ როგორც კოლექციების ინტერპრეტაციის, ასევე თავისუფალი დროის გატარებისა და კულტურული ტურიზმის ხელშეწყობისათვის.

საერთაშორისო სამუზეუმო თანამეგობრობაში გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ტურიზმის განვითარება არ მიიჩნეოდა მუზეუმების საქმიანობის ტრადიციულ მიმართულებად, მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმების მონახულება ყოველთვის წარმოადგენდა ტურისტული მარშრუტების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს. სამუზეუმო ტურიზმი მუზეუმის შიდა მობილიზაციისა და გარესამყაროსთან ადაპტაციის საშუალებად იქცა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ბუნებრივია, მუზეუმი ვერ გარდაიქმნება თავისებურ "ტურისტულ ფირმად", მაგრამ მას უდავოდ მოუწევს ანგარიში გაუწიოს მის სივრცეში კულტურული ტურიზმის განვითარებით განპირობებულ მოთხოვნებს.

მუზეუმში შექმნილი ატმოსფერო თავისთავად წარმოადგენს მის მიერ შემოთავაზებული ტურისტული პროდუქტის ნაწილს, ისევე, როგორც სამუზეუმო სივრცის დიზაინი და ხარისხი: მუდმივი და დროებითი გამოფენები, საექსპოზიციო და არასაექსპოზიციო დარბაზები; შენობები, ტერიტორია, რეკლამები, ნაბეჭდი პროდუქცია, ანუ, ყოველივე ის, რაც მუზეუმშია ან მასთან ასოცირდება. შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად მუზეუმი "ჰყიდის" თავის სივრცეს, რომელიც ფლობს უნიკალურ თვისებას, მიანიჭოს საგნებს აზრობრივი დატვირთვა და ფასეული მნიშვნელობები.

**მუზეუმი ვიზიტიორებს სთავაზობს**:

- ექსპოზიციას და გამოფენებს;
- ექსკურსიებს და ლექციებს;

- სპეციალურ პროგრამებს;
- მომსახურებას, რომლის ასორტიმენტი დამოკიდებულია მუზეუმის კოლექტივისა და ინფრასტრუქტურის შესაძლებლობებზე;
- საავტორო უფლებას მუზეუმის კოლექციაში შემავალი ნივთების რეპროდუცირებაზე;
- მუზეუმის სამარკო ნიშნით დამშვენებულ ხარისხიან და "არაშემთხვევით" სუვენირულ ნაწარმს ან მისი ზუსტი რეპროდუცირების დამადასტურებელ სერტიფიკატს;
- წიგნებს, კატალოგებს, ბუკლეტებს და სხვა პოლიგრაფიულ პროდუქციას, ვიდეოფილმებს, სლაიდებს, CD-ROM-ებს და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით შექმნილ სხვა პროდუქციას.

ასე რომ, მუზეუმს შეუძლია ვიზიტიორს შესთავაზოს როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური პროდუქტის დიდი არჩევანი, რაც თავისთავად წარმოადგენს კულტურული ტურიზმის საგანს. ექსპოზიციებთან დაკავშირებული სწავლება, კვლევა, სემინარები, ექსკურსიები გიდის თანხლებით, ლექციები და სხვა ინტერაქტიული პროგრამები ეხმარება მუზეუმს, დაგეგმოს და განახორციელოს ის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების წევრთა განათლებას და გართობას არა პასიურად ან ინფორმაციის მუდმივი და სტაბილური მიღების გზით, არამედ შემოქმედებით მიდგომაზე დაყრდნობით.

ვიზიტიორთა მომსახურების მენეჯმენტის დაგეგმვისას მუზეუმმა უნდა გაითვალისწინოს, რომ არსებობს მომსახურების რამდენიმე კომპონენტი და საკითხი, რომელთა გადაჭრის გარეშე შეუძლებელია ვიზიტიორის დაინტერესება, მისი კეთილგანწყობის მოპოვება და მუზეუმში ხელმეორედ ვიზიტის სურვილის აღძვრა:

- **გადაადგილება მუზეუმის მოსანახულებლად** (ბევრი მუზეუმი მდებარეობს ქალაქისა თუ სოფლის სხვადასხვა ადგილას). შესაბამისად, მუზეუმის ხელმისაწვდომობასთან, ზუსტ მარშრუტსა და სატრანსპორტო საშუალებებთან (მეტრო, მიკროავტობუსი, მატარებელი და სხვ.) დაკავშირებული ინფორმაცია უნდა განთავსდეს მუზეუმის ვებ-გვერდზე ან სოციალურ ქსელში.
- **ავტოსადგომი** — თუ ავტოსადგომი პატარაა ან არ არსებობს, მუზეუმის ტერიტორიაზე არსებულ დაფებზე უნდა განთავსდეს სა-

თანადო ნიშნები, რომლებიც აღნიშნავს ახლომახლო მდებარე სხვა ავტოსადგომების ადგილმდებარეობას.

- **ვიზიტიორთა მიღება და ყურადღების გამოვლენა მათ მიმართ** — მუზეუმში შესვლისთანავე ვიზიტიორი უნდა ხვდებოდეს კეთილგანწყობილ და კომფორტულ გარემოში, სადაც იღებს ამომწურავ ინფორმაციას არა მხოლოდ მომსახურების სხვადასხვა საშუალებებზე (გარდერობი, სალარო, საინფორმაციო ცენტრები, გიდის მომსახურება, მულტიმედიური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა, მუზეუმის მაღაზია, კაფე, საპირფარეშოები, პანდუსები და სხვა რესურსები შშმ პირთათვის და სხვ.), არამედ საგამოფენო დარბაზების, მუდმივი და დროებითი ექსპოზიციების განთავსების, საგანმანათლებლო სივრცეებისა თუ მუზეუმის სხვა რესურსების შესახებ.

ამ და სხვა საკითხების გათვალისწინება აუცილებელია, რათა ვიზიტიორისათვის მუზეუმი იქცეს ადგილად, სადაც მას განსაკუთრებულ სერვისს სთავაზობენ, უქმნიან იმ ატმოსფეროს, რაც ვიზიტიორთა ჯგუფების მოთხოვნების ერთ-ერთი კვლევის შედეგად "ვიზიტიორთა უფლებების" სახით ჩამოყალიბდა და ბევრ საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს განსჯისა და გაანალიზებისათვის (***იხ. დანართი 2,*** *გვ. 175*).

არ არსებობს ერთი რომელიმე, მკაფიოდ განსაზღვრული ფორმულა, რაც მუზეუმებმა შეიძლება გამოიყენონ მათი სივრცის მონახულებით ვიზიტიორთა მიერ მიღებულ შთაბეჭდილებათა ფორმირებისათვის. საამისოდ, სხვადასხვა მუზეუმი განსხვავებულ გზებს ირჩევს. თუმცა, თუ საკითხს განვიხილავთ მომხმარებლის პოზიციიდან, უპრიანი იქნებოდა მუზეუმის ხელმძღვანელობამ ინსტიტუცია აღიქვას მომსახურების იმ რესურსებისა და შთაბეჭდილებათა ერთობლიობად, რაც ფასეული იქნება მათი ვიზიტიორებისთვის, ანუ ადგილად, სადაც სტუმრებს ნებისმიერ დროს მათთვის მისაღებ სერვისსა და სასურველ ატმოსფეროს სთავაზობენ.

ამ თვალსაზრისით უდავოდ განსაკუთრებული როლი ეკისრება მუზეუმის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას — საექსკურსიო პროგრამების დაგეგმვას და განხორციელებას ვიზიტიორთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელო-

ბას იძენს საზოგადოებასთან და ზოგადად, კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესში.

როგორც წესი, ექსკურსია ემყარება ვიზუალურ ჩვენებას და თხრობის პროცესს, ხოლო საექსკურსიო მეთოდიკა იყოფა ორ ძირითად მიმართულებად:

ა) ექსკურსიის მომზადება;

ბ) ექსკურსიის ჩატარება.

**ექსკურსიის მომზადების ეტაპები:**

***1. ექსკურსიის თემებისა და მიზნების ზუსტად განსაზღვრა*** ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ექსკურსიის მთელი პროცესის სწორად ფორმულირება. იგი წარმართავს ექსკურსიის მიმართულებას, ხელს უწყობს მისი ჩატარებისათვის საჭირო მასალის შერჩევას და გამოყენებას. ექსკურსიის თემა უნდა შეესაბამებოდეს გეგმას.

***2. ექსკურსიის ამოცანების განსაზღვრა.*** მაგალითად, სამუზეუმო სივრცის გარეთა ექსკურსიის (XX საუკუნის დასაწყისის თბილისის არქიტექტურული ძეგლები) ამოცანები შეიძლება ასე განისაზღვროს: ექსკურსანტებისათვის თბილისში XX საუკუნის დასაწყისის რაიმე ისტორიული მოვლენის გაცნობა; ჩვენება და თხრობა, თუ როგორ გამოიყურებოდა ამ პერიოდში კულტურული მემკვიდრეობის ესა თუ ის ძეგლი, რა ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება იგი და რა სახით შემორჩა დღემდე (მაგ., სურათების ეროვნული გალერეის მაგალითზე).

- მასალების თემატურად შესწავლა და თავმოყრა (მუზეუმები და არქივი, ბიბლიოთეკა);
- სპეციალისტებთან კონსულტაციის გამართვა (მუზეუმებისა და არქივის თანამშრომლები, ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები და სხვ.);

***3. საექსკურსიო ობიექტების გამოვლენა და შესწავლა*** (მუზეუმების ექსპოზიციები, გამოფენები, ცალკეული კოლექციები, მათთან დაკავშირებული ისტორიული, არქეოლოგიური გათხრების ადგილები და სხვ.).

***4. ექსკურსიის მარშრუტის შედგენა*** - ექსკურსიის მარშრუტი იგება ქრონოლოგიური, თემატური და კომპლექსური პრინციპების გათვალისწინებით.

***5. მარშრუტის შემოვლა*** ტარდება სამუზეუმო სივრცეში, ექსპოზიციის კომპონენტების დაზუსტების, კონკრეტული ექსპონატის ან კოლექციის მნიშვნელობის გამოვლენის, საექსკურსიო ობიექტის ჩვენების კუთხის შერჩევის, ერთი საგნიდან მეორეზე გადასასვლელად დროის ქრონომეტრაჟის დაზუსტებისა და სხვა მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, ექსკურსიის თხრობითი ნაწილის დასაზუსტებლად სასურველია კონსულტაციის გავლა სპეციალისტთან).

***6. ექსკურსიის ტექსტის შედგენა*** — თხრობისთვის საჭირო ტექსტუალური მასალის გულდასმით დამუშავება, ყველაზე არსებითის გამოკვეთა, ლოგიკური გადასვლები მასალის მოწოდებისას, თემის განზოგადება და ზუსტად ფორმულირება. ტექსტი უნდა შეიცავდეს შესავალს და დასკვნას, ობიექტების დახასიათებას და კონკრეტულ ინფორმაციას იმ კონკრეტულ საგანზე, რაზეც გიდი-ექსკურსიამძღოლი საუბრობს (საექსკურსიო ტექსტთან ერთად, უნდა მომზადდეს მისი მოკლე ანოტაციაც);

***7. "ექსკურსიამძღოლის პორტფელის" შედგენა*** — მზადდება თვალსაჩინოების რაც შეიძლება მეტი საშუალებები (ფოტოსურათები, სქემები, ვიდეო და აუდიოჩანაწერები, ასევე სხვა მასალები ამა თუ იმ გამოფენის, ფონდის, კონკრეტული ექსპონატისა და სხვათა შესახებ), რაც ხელს შეუწყობს გიდის თხრობის გაცოცხლებას.

***8. საექსკურსიო ობიექტების ბარათების შედგენა*** — ობიექტის (ექსპონატის) შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციისათვის რეკომენდებულია მათი დატანა სპეციალურ ბარათებზე, რომლებიც შეიძლება შეივსოს შემდეგი ნიმუშის მიხედვით:

**საექსკურსიო ნივთის ბარათი:**

- ნივთის დასახელება;
- ნივთის ადგილმდებარეობა, მისამართი;
- ნივთის აღმოჩენის, მოპოვების, შექმნის დრო;
- ავტორი (ხელოვნების ნიმუშების, არქიტექტურული და სხვა ძეგლის ავტორის მითითება);
- გარეგნული ნიშნები: სტილი, სკოლა, დახასიათება;
- დანიშნულება და გამოყენება;

- მოკლე ისტორიული ცნობები ნივთზე. მისი თანამედროვე დახასიათება;
- მოსალოდნელი ცვლილებები.

***9. ექსკურსიის მეთოდური დამუშავება*** განსაზღვრავს ექსკურსიის თემას, მიზანს, მარშრუტს და საჩვენებელ ობიექტებს, ჩატარების ხანგრძლივობას, ჩვენებისა და თხრობის მეთოდურ საშუალებებს, აგრეთვე ექსკურსიის ჩატარების თარიღს. მეთოდური დამუშავება დამოკიდებულია ექსკურსიის თემებსა და ხანგრძლივობაზე. როგორც წესი, იგი არ უნდა აჭარბებდეს 6-12 გვერდს და მის სტრუქტურაში უნდა შედიოდეს შემდეგი პუნქტები: ექსკურსიის მარშრუტის აღწერა, გადაადგილება ექსპოზიციის ერთი დარბაზიდან (ან ობიექტიდან) მეორეზე, საექსკურსიო ობიექტების ჩამონათვალი, საორგანიზაციო და მეთოდური მითითებები.

**ექსკურსიის მეთოდური დამუშავების სქემა** (ნიმუში)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **მარშრუტი** | **ჩვენების ობიექტი** | **ექსკურსიის ხანგრძლივობა** | **ძირითადი საკითხების, ქვეთემების ჩამოთვლა** | **საორგანიზაციო მითითებები** | **მეთოდური მითითებები** |

## თავი III.
## ექსკურსია მუზეუმში

### 3.1 სამუზეუმო ექსკურსიის ტიპები

ექსკურსია მუზეუმში პოპულარობითა და ეფექტურობით კვლავ რჩება სამუზეუმო სწავლების ყველაზე დემოკრატიულ ფორმად. მის უპირატესობას განისაზღვრავს შემდეგი ასპექტები:

- ექსკურსია ეყრდნობა ორიგინალს, ავთენტურ მასალას;
- სწავლების პროცესი მიმდინარეობს მუზეუმის დარბაზებში, რომლებიც წარმოადგენს მუზეუმში დაცულ ექსპონატთა აღქმის ყველაზე ორგანულ გარემოს;
- მუზეუმის თანამშრომელთან (გიდი-პედაგოგი) კონტაქტი ამ-

დიდრებს აღქმას, ავითარებს დამოუკიდებელი ანალიზის უნარს და ქმნის პიროვნებებს შორის კომუნიკაციის შესაძლებლობას.

მუზეუმში ექსკურსიის ჩატარების ფორმები სხვადასხვაგვარია, თუმცა მათ შორის მაინც გამოყოფენ მის სამ ძირითად ტიპს: მიმოხილვითი, საგანმანათლებლო და შემეცნებითი (კოგნიტური) ექსკურსიები.

**მიმოხილვითი ექსკურსიისათვის,** როგორც სახელწოდებიდან ჩანს, წამყვანია გაცნობითი/მიმოხილვითი ხასიათის ამოცანები. ამ ტიპის ექსკურსიები გაჩნდა პირველ მუზეუმებთან ერთად და მას შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, გათვლილია იმ ვიზიტიორზე, ვინც პირველად მოდის მუზეუმში და სურს შეიქმნას მასზე ზოგადი წარმოდგენა. ძირითადად, ესაა ვიზიტიორთა ის კატეგორია, რომელიც შეზღუდული დროით და მცირე ინფორმაციული რეზერვით მოდის მუზეუმში. შესაბამისად, მიმოხილვითი ექსკურსიის შედეგად მიღებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ზოგად ცნობებს მუზეუმზე და მის ყველა ექსპოზიციაზე. მიმოხილვითი ექსკურსიის შინაარსი და ძირითადი საკითხები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

- მუზეუმის შენობის ისტორიისა და არქიტექტურის გაცნობა;
- მუზეუმის კოლექციის შინაარსისა და მისი ფორმირების ისტორიულ გარემოებებათა გაცნობა;
- სამუზეუმო ფონდის ძირითადი შემადგენლობის ზოგადი გაცნობა;
- იმ ცალკეულ, საყოველთაოდ ცნობილ ექსპონატთა გაცნობა, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ წარმოაჩენს მუზეუმს, მის კოლექციას და ძირითად განყოფილებებს.

აღნიშნულ თემებად ინფორმაციის გადანაწილება შეიძლება იყოს თანაბარზომიერი ან განსხვავებული, გამომდინარე საექსკურსიო ჯგუფის დროის, სხვა გარემოებისა და სურვილის გათვალისწინებით. ცალკეულ შემთხვევაში, ასევე შეიძლება ყურადღება გამახვილდეს ზემოთ ჩამოთვლილი თემებიდან ერთ-ერთზე და დანარჩენი ნაკლებად იყოს მიმოხილული. როგორც წესი, მიმოხილვითი ექსკურსია ორიენტირებულია ზრდასრული ასაკის ვიზიტიორზე და ატარებს უფრო საგანმანათლებლო ხასიათს, თუმცა გამოიყენება მოსწავლეებთან მუშაობის პროცესშიც (განსაკუთრებით, მუზეუმში მათი

პირველი ვიზიტის შემთხვევაში).

**საგანმანათლებლო ექსკურსია** შეიძლება განკუთვნილი იყოს ნებისმიერი ასაკის ფართო აუდიტორიისა (პატარების გარდა) და ნებისმიერი სოციალური ჯგუფისთვის. მნახველის მომზადების დონისა და კონკრეტული საგანმანათლებლო მიზნის შესაბამისად, ასეთი ტიპის ექსკურსიას შეუძლია დასახოს და განახორციელოს სხვადასხვა ხასიათის საგანმანათლებლო ამოცანები, რომლებიც შეიძლება უშუალო კავშირში იყოს იმ სკოლის ან უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელთა მოსწავლეებიც მოდიან ექსკურსიაზე, მაგრამ შეიძლება იყოს სრულიად დამოუკიდებელიც.

საგანმანათლებლო ექსკურსიის ძირითადი მიზანია შემეცნების გაფართოება. ამასთან, ზოგადი ინფორმაციიდან აქცენტი გადადის კონკრეტული თემის უფრო ღრმად გახსნილ და გავრცობილ შინაარსზე, რაც ამ ტიპის ექსკურსიას განასხვავებს მიმოხილვითი ტიპის ექსკურსიისგან. საგანმანათლებლო ექსკურსიის კონკრეტული შემეცნებითი ამოცანები განისაზღვრება მისი ძირითადი თემით. მაგალითად, ექსკურსია თემაზე: "XX საუკუნის დასაწყისის ქართული სახვითი ხელოვნება" შეიძლება აიგოს შემდეგნაირად:

- ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების წანამძღვრები (შუასაუკუნეების კედლის მხატვრობის ტრადიციებისა და XIX საუკუნის პორტრეტული ხელოვნების, ე. წ. "თბილისური სკოლის" როლი ამ პროცესში).
- XX საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურის ზოგადი ხასიათის მიმოხილვა;
- სამხატვრო ცხოვრების განვითარება XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ("ქართველ მხატვართა საზოგადოებისა" და სამხატვრო აკადემიის დაარსება, ეროვნული გალერეის შექმნა);
- XX საუკუნის დასაწყისის ქართული სახვითი ხელოვნების კავშირი ევროპულ ტრადიციებთან (დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ელ. ახვლედიანი, შ. ქიქოძე და სხვ.).

საგანმანათლებლო ექსკურსიის ამოცანები და თემატიკა თანაფარდობაში უნდა იყოს საექსკურსიო ჯგუფის სპეციფიკასა და ექსკურსიის ჩატარების ხანგრძლივობასთან, რაც გარკვეულწილად

უკავშირდება შემეცნებითი ტიპის ექსკურსიის თემატიკასაც (მაგალითად, „სახვითი ხელოვნების ენა", „ფერი და ფერწერა" და სხვა), მაგრამ მისი საგანმანათლებლო ხასიათი გულისხმობს ექსკურსიის ამოცანებისა და შინაარსის სხვაგვარ გაგებას. მაგალითად, თუ თემის — „ფერი და ფერწერა" გახსნისას, შემეცნებითი ექსკურსიის მთავარი ამოცანაა მნახველთა მიერ ფერის აღქმის განვითარება, ამავე თემაზე საგანმანათლებლო ექსკურსიას გააჩნია განსხვავებული მიდგომა: მისი მიმდინარეობის პროცესში განმარტებული უნდა იქნეს ფერის როლი ფერწერული ნაწარმოების მხატვრულ-სახეობრივ გადაწყვეტაში.

საგანმანათლებლო ექსკურსიის პროცესში აღსაქმელი მასალის სირთულის დონე და მეთოდიკა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე. აქაც, ისევე, როგორც სხვა ტიპის ექსკურსიებში, აუცილებელია ორიენტირება მოხდეს მნახველთა ასაკობრივ და სოციალურ თავისებურებებზე. საექსკურსიო მუშაობის ფორმები და მეთოდები განსხვავებულია, იმისდა მიხედვით, თუ ვინ იქნებიან ვიზიტიორები: საშუალო და უფროსი კლასის მოწაფეები, სამხატვრო, ჰუმანიტარული თუ ტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტები, მოსამსახურეები, შშმ პირები და სხვა. განსხვავებულია ექსკურსიის ხანგრძლივობაც, რაც განპირობებულია მისი მიზნებით, ამოცანებით და ვიზიტიორთა ჯგუფის თავისებურებებით, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ მასალის სათანადოდ აღქმა საჭიროებს დროის გარკვეულ მონაკვეთს ექსკურსიის სათანადოდ ჩატარებისათვის.

*ამგვარად, საგანმანათლებლო ტიპის ექსკურსია წარმოადგენს ექსკურსიის ტრადიციულ და გავრცელებულ ტიპს, რომელიც გულისხმობს მუზეუმის ექსპოზიციასთან დაკავშირებული თემის გაღრმავებულ შესწავლას, სისტემატურ და მიზანმიმართულ მუშაობას ვიზიტიორებთან.*

**შემეცნებითი ექსკურსია** სამუზეუმო პრაქტიკაში დღეს უფრო ნაკლებ გავრცელებულია, ვიდრე მიმოხილვითი და საგანმანათლებლო ხასიათის ექსკურსიები. მიუხედავად ამისა, მას მყარი ისტორიული ტრადიციები გააჩნია სამუზეუმო-პედაგოგიურ საქმიანობაში (ექსკურსიის ეს ტიპი პრაქტიკაში პირველად გამოიყენა ა. ლიხტ-

ვარკმა. ექსკურსიის ამგვარ ტიპს მიეკუთვნება აგრეთვე ე. წ. სამუზეუმო-ესთეტიკური ექსკურსიები, რომლებიც 1920-30-იან წლებში ხორციელდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთიან სამუზეუმო სივრცეში).

*შემეცნებითი ექსკურსიის ძირითადი მიზანია იმ შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმის ექსპონატთა სრულყოფილ აღქმას.* შესაბამისად, წარმატებული შემეცნებითი ექსკურსია შესაძლოა გაცილებით ეფექტური აღმოჩნდეს, ვიდრე საგანმანათლებლო ექსკურსია, განსაკუთრებით ხელოვნების მუზეუმებში, ვინაიდან, მხატვრობის ნიმუშის სრულყოფილად აღსაქმელად საკმარისი არ არის მხოლოდ რაიმე მოცულობის ვერბალური და ვიზუალური ინფორმაციის ათვისება. მოწოდებული ინფორმაციის ათვისება, სახვითი ხელოვნების ისტორიისა და ენის შესწავლის გაღრმავება შეუძლებელია პიროვნების უნარების სათანადოდ განვითარების გარეშე. უპირველეს ყოვლისა, ესაა ემოციური განცდის, ანალიზის, ინდივიდუალური დაკვირვებების, შედარებისა და განზოგადების უნარები.

ამგვარად, შემეცნებითი ექსკურსია შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოსამზადებელი ეტაპი ხელოვნების სრულყოფილი შესწავლისათვის. აქედან გამომდინარე, მას გააჩნია აშკარად გამოკვეთილი პედაგოგიური მიმართულება (განსაკუთრებით სწავლების საწყის ეტაპზე), რომლის ძირითადი ამოცანებია:

- ხელოვნების ნაწარმოების შინაარსის ემოციური განცდის ფორმირება;
- ნანახის გააზრების, ანალიზისა და საკუთარი დაკვირვებისა თუ შთაბეჭდილების განზოგადების შესაძლებლობათა ფორმირება;
- შემოქმედებითი წარმოსახვის განვითარება;
- ესთეტიკური უნარების გამოკვეთა და განვითარება;
- საკუთარი აზრების, შეგრძნებებისა და შთაბეჭდილებათა სიტყვიერად გადმოცემის უნარის განვითარება.

ამ ამოცანების წარმატებით რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმგვარი მეთოდიკის გამოყენებით, რომელიც პრინციპულად განსხვავდება მიმოხილვითი და საგანმანათლებლო ხასიათის

ექსკურსიის მეთოდიკისგან. გამოყოფენ მის რამდენიმე სახასიათო ნიშანს: პირველ რიგში, ესაა ინტერაქტიული დიალოგის, ცოცხალი საუბრის მეთოდი, რაც ავითარებს დამოუკიდებელი აზრის გამოხატვისა და მოსმენის უნარებს. მნიშვნელოვან ადგილს იკავებს აგრეთვე დიდაქტიკური თამაშები და შემეცნებითი სავარჯიშოები, რაც ხელს უწყობს აღქმის არასასურველი სტერეოტიპების შექმნის თავიდან აცილებას, ავითარებს მხატვრულ ინტუიციას, იძლევა წარმოსახვისა და შემოქმედებითი იმპროვიზაციის სტიმულს, არ აქცევს აღქმის პროცესს წინასწარ მოცემულ სქემაში – ქმნის აღქმის ვერბალური და არავერბალური საშუალებებისა და ნაწარმოების ინტერპრეტაციის შეთავსების შესაძლებლობას. მათ რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, ბევრ მუზეუმში საკმაოდ გავრცელებული დიდაქტიკური თამაშები: „ცოცხალი სილუეტები", „გაცოცხლებული სკულპტურა", „ხილული ხელები" (Visual hand). ამასთან, აღსანიშნავია, რომ შემეცნებითი ექსკურსიის მეთოდიკა შეიძლება მუდმივად გამდიდრდეს ახალი ფორმებით, საშუალებებითა და ელემენტებით, რადგან მისი სპეციფიკა ქმნის ექსპერიმენტირებისა და ინტერპრეტირების ფართო შესაძლებლობას.

შემეცნებითი ექსკურსიის თემები შეიძლება საკმაოდ მრავალფეროვანი იყოს და შეესაბამებოდეს ზოგად პედაგოგიურ მიზნებსა და ამოცანებს. მაგალითად, „ისწავლე - შეხედო და დაინახო", „როგორ აღვიქვათ სკულპტურული ნაწარმოები", „ფერი ბუნებასა და სურათში", და ა.შ. ამგვარი ექსკურსიისთვის შერჩეული ვიზიტიორები მზად უნდა იყვნენ, რომ მთელი სისრულით და დამაჯერებლობით გახსნან ამა თუ იმ ამოცანებისა და მიზნების შემცველი თემა. მაგალითად, თუ მთავარი ამოცანაა: დამთვალიერებელში ფერის ხედვის განვითარება, მაშინ ექსკურსიაში უნდა ჩაერთოს ფერწერული ნაწარმოებები ფერის დახასიათებით; თუ ამოცანაა: რიტმის და ფაქტურის გრძნობის განვითარება, შესაბამისად, განხილული უნდა იქნეს ნაწარმოების რიტმული ორგანიზაცია, ფაქტურა და ა. შ.

მუზეუმში ექსკურსიის ზემოთ განხილულ სამივე ტიპს გააჩნია აღმზრდელობითი ფუნქცია, რომლის მიზანია პიროვნების მსოფლმხედველობისა და ქცევის ნორმების ჩამოყალიბება. შესაბამის-

ად, აღმზრდელობითი ხასიათის ამოცანები ჩართულია ნებისმიერი ტიპის ექსკურსიაში, თუმცა, კონკრეტულ პირობებსა და სიტუაციაში, მათ შორის თანაფარდობა განსხვავებულია. ყველა შემთხვევაში, ნებისმიერი ტიპის ექსკურსიისთვის დამახასიათებელი აღმზრდელობით ამოცანებს წარმოადგენს:

- შემეცნებითი აქტივობის განვითარება;
- კომუნიკაციური უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრირების უნარ-ჩვევის გამომუშავება;
- სამუზეუმო კულტურის განვითარება (მუზეუმში ქცევის წესების დაცვა, ექსპონატთან ფაქიზი მოპყრობა, მუზეუმის თანამშრომელთა შრომისადმი პატივისცემა და სხვ.).

ექსკურსიის აღმზრდელობითი ფუნქციის ეფექტურობას უზრუნველყოფს კოგნიტურ შესაძლებლობათა განვითარების, წარმოსახვის, ასოციაციური აზროვნებისა და ემოციური გრძნობის მაღალი ხარისხი, რადგან, სწორედ მათი ერთობლიობა ქმნის იმ „შინაგან პირობებს", რაც, მდგრადი განვითარების პროცესში, ზრდის სუბიექტის მიერ გარესამყაროს მოვლენების ამთვისებლობის ხარისხს.

განხილული ტიპის ექსკურსიებში აღმზრდელობითი ფუნქცია არ უარყოფს და არ ამცრობს საგანმანათლებლო და შემეცნებით ფუნქციებს, არამედ კიდევ უფრო ამდიდრებს მას. ამგვარად, მაგალითად, ექსკურსიის — „ჩვენ მოვედით მუზეუმში" ამოცანები (აღქმის ფორმირების ელემენტები, მუზეუმში ქცევის ჩვევები, ისტორიული და მხატვრული ძეგლებისადმი პატივისცემითა და სიფრთხილით მოპყრობა) შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

**1. განვითარდეს:**

- აქტიური შემეცნებითი ინტერესი სამუზეუმო ფასეულობისადმი;
- ფაქიზი დამოკიდებულება სამუზეუმო ექსპონატთან, როგორც მატერიალური და სულიერი კულტურის ნაწილთან;
- მუზეუმში მუდმივი ვიზიტის შინაგანი სულიერი მოთხოვნილება.

**2. გამომუშავდეს:**

- მუზეუმში ქცევის უნარ-ჩვევები;
- თავისუფალი ორიენტაციის უნარ-ჩვევები ყველა ტიპის მუზეუმში;
- მუზეუმის ექსპოზიციაში ორიგინალის უშუალო აღქმის უნარ-ჩვევები.

**3. ცოდნის მიღება:**

- მუზეუმზე, როგორც ადამიანური გამოცდილების მიღების კულ-ტურულ-ისტორიულ წყაროზე;
- კოლექციონირებაზე.

აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში შემეცნებითი, საგანმანათლებ-ლო და აღმზრდელობითი ამოცანები მჭიდროდ უკავშირდება ერთ-მანეთს, განსაზღვრავს მოზარდის პიროვნული თვისებების ჩამოყ-ალიბებას და თავის მხრივ, განაპირობებს ექსკურსიის თემატურ თავისებურებებსაც, რამაც, შეიძლება სპეციალიზებული სახეც მიიღოს. ამ პროცესში  არანაკლები მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გიდის/ექსკურსიამძღოლის პედაგოგიურ ტაქტს: აუცილებელია მან ამომწურავად გახსნას სამუზეუმო ობიექტის იდეურ-სახასიათო სა-ფუძველი. ამასთან, მისი თხრობა არ უნდა წარმოადგენდეს საგნის პირდაპირ "ილუსტრაციას" და თხრობა, ზოგადად, ვიზიტიორთან კონტაქტი უნდა ატარებდეს ინტერაქტიულ ხასიათს.

ასეთი ტიპის სპეციალიზებული ექსკურსიის თემატური დაგეგ-მვა უნდა აიგოს ექსკურსანტთა ასაკის გათვალისწინებით (რაც არ გამორიცხავს, მაგალითად, სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტთა ჯგუფებში პრობლემურ-თეორიული საკითხების წინწამოწევას), მაგ-ალითად, უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის შეიძლება დამუშავდეს მხატვრის შემოქმედებითი მუშაობის თავისებურებათა თემები. სა-შუალო ასაკის ბავშვებისთვის მიზანშეწონილია ექსკურსია-საუბარი თემაზე „საუბრები მხატვრებზე", მათი შემოქმედების პრობლემურ ასპექტებზე, ზოგადად, ხელოვანის პიროვნებაზე.

მაგალითად, სკოლის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სპე-ციალიზებული ტურის თემებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- „ჩვენ მოვედით მუზეუმში" (პირველი შეხვედრა მუზეუმთან);
- „როგორ ცხოვრობდა ხალხი ადრე" (უმცროსი ასაკის მო-ზარდებისთვის);
- რას მოგვითხრობენ საგნები" (დეკორატიულ-გამოყენებით ხე-ლოვნებაზე, უმცროსი ასაკის მოზარდებისთვის)
- საქართველოს ისტორია ქართველ მხატვართა შემოქმედებაში (საშუალო ასაკის მოსწავლეებისთვის);

- “მხატვარი და დრო” (საშუალო ასაკის მოსწავლეებისთვის).

ბუნებრივია, ყველა გიდ-პედაგოგს შეუძლია გააფართოვოს ექსკურსიის თემები ჯგუფის ინდივიდუალურ თავისებურებებათა მიხედვით.

ამგვარად, საექსკურსიო საქმიანობა, როგორც ვიზიტიორთან მუშაობის ტრადიციული ფორმა, კვლავ აქტუალურია ყველა პროფილის მუზეუმებში, გააჩნია მდიდარი პედაგოგიური შესაძლებლობები და პერსპექტივები სამომავლო განვითარებისთვის.

## 3.2. მიმოხილვითი ექსკურსიის მომზადებისა და ჩატარების მეთოდური პრინციპები

მიმოხილვითი ექსკურსიის თავისებურება მდგომარეობს ვიზიტიორთა ჯგუფის სპეციფიკაში, რომელიც, როგორც წესი, წარმოადგენს შერეული ტიპის აუდიტორიას როგორც ასაკობრივად, ისე სოციალური კუთვნილების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, მასალის მიწოდების მეთოდიკის შემუშავებისას, გიდი ორიენტირებული უნდა იყოს განვითარების  რაღაც შუალედურ ტიპზე და თემა უნდა გახსნას  ჯგუფის ყველა წევრისათვის ხელმისაწვდომ და ადვილად აღსაქმელ დონეზე.

ამასთან, **აუცილებელია კონკრეტულ ექსპონატზე თხრობა და დასკვნები ემყარებოდეს მუზეუმის ექსპოზიციის ხასიათს და არ იყოს გადატვირთული პროფესიული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ზედმეტად გამოყენებით ან იმგვარი ინფორმაციის მიწოდებით, რაც უშუალოდ არ უკავშირდება აღსაქმელ მასალას.** ვინაიდან, მიმოხილვითი ხასიათის ექსკურსიის სირთულე მდგომარეობს შეზღუდული საექსკურსიო დროის მანძილზე ვიზიტიორისათვის დიდი მოცულობის მასალის მიწოდებაში, რაც აძნელებს ნანახის ემოციურ აღქმას, რის გამოც რეციპიენტი ვიზუალურ აქტივობას ინარჩუნებს მხოლოდ ინფორმაციის “თეზისურად” მიღების შემთხვევაში.

*ექსკურსიის მიმოხილვითი ხასიათის გათვალისწინებით, დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში გიდმა ვიზიტიორს უნდა გააცნოს:*

- სამუზეუმო კოლექციის შინაარსი და თავისებურებები;

• მუზეუმის ექსპოზიციის ძირითადი განყოფილებები (არქეოლოგიური, საბუნებისმეტყველო, ეთნოგრაფიული, და სხვ.);

• მუზეუმის შენობის არქიტექტურა და ისტორია;

• ცალკეული უნიკალური ექსპონატები, რომლებიც განსაკუთრებული სიცხადით გადმოსცემს მუზეუმის კოლექციის თავისებურებებს.

*მიმოხილვითი ექსკურსიის გაცნობითი ხასიათის მიზანს და ამოცანებს განსაზღვრავს შემდეგი თავისებურებები:*

• ექსპონატთა მრავალფეროვნება და დიდი რაოდენობა (აუცილებელია სამუზეუმო კოლექციის მთელი ან დიდი ნაწილის ჩვენება);

• ექსპონატთა მაღალმხატვრული ღირებულება;

• ექსპონატთა მნიშვნელობა ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების კონტექსტში:

*ა). სახვითი ხელოვნების ისტორია*

*ბ). გარკვეული მიმართულება ან მხატვრული სტილი;*

*გ). მოცემული მხატვრის შემოქმედება.*

როგორც წესი, ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიცია ემყარება ისტორიულ მიდგომას, რაც, ექსკურსიამძღოლისგან უდავოდ ითხოვს ხელოვნების ისტორიის საფუძვლიან ცოდნას. თუმცა მას უნდა ახსოვდეს, რომ მიმოხილვითი ექსკურსიის ამოცანა არ ითვალისწინებს ხელოვნების ისტორიის საკითხების მრავლისმომცველ ანალიზს (ეს საგანმანათლებლო ექსკურსიის ამოცანაა) და აქედან გამომდინარე:

• ექსკურსიაზე ხელოვნების ისტორიის ეტაპები უნდა დახასიათდეს ზოგადად, მისი განვითარების განმსაზღვრელი ძირითადი ტენდენციების გამოკვეთით;

• აუცილებელია კომპლექსური ჩვენების მეთოდის გამოყენება ხელოვნების იმ ნიმუშის წარდგენისას, რომელიც ქმნის ექსპოზიციის ზოგადი ხასიათის, კულტურის ამა თუ იმ მოვლენის, ან მხატვრის შემოქმედების დახასიათების შესაძლებლობას.

მიუხედავად მასალის მრავალრიცხოვნებისა, ექსკურსიის პროცესში მოწოდებული მასალა არ უნდა იყოს დამღლელი, ამიტომ ექსკურსიამძღოლმა უნდა გამოიყენოს დიალოგის მეთოდი, აგრეთვე ე. წ. „ცნობადობის ეფექტი" იმ შედევრებთან დაკავშირებით, რომლებიც დამთვალიერებელთათვის უკვე ცნობილია რეპროდუქციებიდან.

ასე რომ, მიმოხილვით ექსკურსიაზე მუშაობის დაწყებისას, აუცილებელია:

- მუზეუმის ექსპოზიციის შესწავლა;
- ექსკურსიის მიზნების, ამოცანებისა და შინაარსის მკაფიოდ წარმოჩენა;
- ექსკურსიის საერთო გეგმის გააზრება;
- ექსკურსიის დათვალიერების რიგებისა და მარშრუტის გააზრება;
- მასალის ხასიათიდან გამომდინარე, მისი მიწოდების მეთოდიკის გააზრება მიმოხილვითი ექსკურსიისათვის ტიპიური ჯგუფის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ხელოვნების მუზეუმში მიმოხილვითი ექსკურსიის მომზადების პროცესში აუცილებელია იმ ისტორიულ-ხელოვნებათმცოდნეობითი ლიტერატურის გამოყენება, რომელიც შეიცავს ამ ტიპის ექსკურსიისათვის აუცილებელ ინფორმაციას შემდეგი მიმართულებით:

- ხელოვნების ისტორია;
- ცალკეულ მხატვართა შემოქმედება, რომელიც ყველაზე თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი მუზეუმის კოლექციაში;
- მუზეუმის კოლექციის შექმნის ისტორიული დისკურსი;
- მუზეუმის შენობისა და არქიტექტურის ისტორია;
- სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნის ტექნიკური პროცესის რამდენიმე თავისებურება, კერძოდ: როგორ იქმნება ფერწერული ტილო, სკულპტურა, გრავიურა; რა ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული მასალები არსებობს და ა. შ.

## 3.3. საგანმანათლებლო ექსკურსიის მომზადებისა და ჩატარების მეთოდური პრინციპები

ხელოვნების მუზეუმში საგანმანათლებლო ექსკურსია ორიენტირებულია ექსპოზიციის მეშვეობით მხატვრული გამოცდილების რომელიმე სფეროს ღრმად შესწავლაზე, რაც მოცემულ მომენტში იძენს სწავლის საშუალების ფუნქციას და არ წარმოადგენს მიზანს, მაშინ, როცა მიმოხილვითი ექსკურსიის მთავარი მიზანია სწორედ სამუზეუმო კოლექციის ან ექსპოზიციის შესწავლა.

სპეციფიკის, მასალის მოცულობისა და თემატიკის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო ექსკურსია ხშირად ხორციელდება საექსკურსიო ციკლების სახით, რომლებსაც მუზეუმის მუდმივი აუდიტორია ესწრება დროის განსაზღვრულ პერიოდში (ზოგჯერ მთელი წლის განმავლობაში). ხელოვნების მუზეუმში საგანმანათლებლო ექსკურსიის კლასიფიცირება შეიძლება შემდეგნაირად:

**1. ისტორიულ-ხელოვნებათმცოდნეობითი ექსკურსია,** რომელიც ორიენტირებულია სახვითი ხელოვნების ისტორიაზე და შეუძლია გარკვეულწილად დაახასიათოს:

- ხელოვნების ისტორია მთლიანობაში;
- სახვითი ხელოვნების განვითარება ცალკეულ ისტორიულ ეპოქაში;
- სახვითი ხელოვნების რომელიმე დარგის განვითარების ისტორია;
- სახვითი ხელოვნების რომელიმე ჟანრის განვითარების ისტორია;
- ამა თუ იმ მხატვრული სტილის განვითარების ისტორია და ა. შ.

ისტორიულ-ხელოვნებათმცოდნეობითი ექსკურსიის მომზადება და ჩატარება ითხოვს მუზეუმის პედაგოგისგან ხელოვნების ისტორიისა და მისი განვითარების ღრმა ცოდნას, თავისუფალ ორიენტაციას ისტორიულ-კულტურულ პროცესში.

**2. მონოგრაფიული ტიპის ექსკურსია** ცალკეულ ხელოვანთა შემოქმედებას განიხილავს საგამოფენო სივრცეში ექსპონირებულ ნიმუშთა მიხედვით. მსგავსი ექსკურსია შეიძლება საინტერესო იყოს სხვადასხვა ტიპის აუდიტორიისათვის:

- ზრდასრულ პირთაგან შემდგარი აუდიტორია, ვისაც სურს გაეცნოს ცნობილ მხატვართა ცხოვრებას და შემოქმედებას;
- სახელოვნებო სასწავლებლების, აგრეთვე ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებიც იკვლევენ მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიურ საკითხებს;
- სკოლის მოსწავლები, რომელთაც აინტერესებთ მათთვის საყვარელი მხატვრის ბიოგრაფია და ცნობილ შედევრთა შექმნის გარემოებები.

მონოგრაფიული ტიპის ექსკურსიის ჩატარების პროცესში

აქცენტი გადატანილია ცალკეულ ნაწარმოებებზე, რომელთა შორის შეიძლება იყოს არა მხოლოდ ცნობილი ნამუშევრები, არამედ მათი მოსამზადებელი ექსკიზები, ჩანახატები, ეტიუდები, ანუ ყოველივე ის, რაც ხელს შეუწყობს მოცემული მხატვრის შემოქმედების ღრმად გაანალიზებას.

**3. ხელოვნებათმცოდნეობითი ექსკურსიები** ეძღვნება სახვითი ხელოვნების თეორიის საკითხებს და შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

• ისტორიულ-მონოგრაფიული, რომელიც ცალკეულ მხატვართა შემოქმედებას განიხილავს სახვითი ხელოვნების ისტორიის, მხატვრული მიმდინარეობის, სტილის კონტექსტში. ასეთი ექსკურსიის თემატიკა საკმაოდ ვარიაციულია და ამა თუ იმ ხელოვანის ნაწარმოებთან ერთად, მოიცავს მის თანამედროვეთა იმ ნამუშევრების განხილვას, რომელთა ფონზე მხატვრის შემოქმედება უფრო ვრცლად იხსნება.

• ყველა ტიპის საგანმანათლებლო ექსკურსიისთვის საერთო მეთოდების გვერდით, ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს: ა). ნაწარმოების შედარებითი ანალიზის მეთოდი, რაც გულისხმობს სხვადასხვა მხატვართა ნამუშევრების შედარებას გარკვეული ნიშნების (მაგ., ფერი და კომპოზიცია), აგრეთვე ამა თუ იმ მხატვრული სტილის ან ეპოქის მიხედვით; ბ). ნაწარმოების კომპლექსური ჩვენების მეთოდი, რაც იძლევა მხატვრული მოვლენის უფრო ფართოდ განხილვისა და ინტერპრეტაციის საშუალებას კონკრეტული ავტორის შემოქმედებაზეან რომელიმე ნაწარმოებზე დაყრდნობით.

**4. ე. წ. პრობლემული ექსკურსია** მიეკუთვნება საკმაოდ რთული ექსკურსიების ტიპს, ვინაიდან ვიზიტიორისაგან ითხოვს ექსპონატის განსაკუთრებული ყურადღებით აღქმას, შედარებისა და ანალიზის შესაძლებლობას, შთაბეჭდილების, გრძნობისა და აზრის განზოგადებას. ამ გარემოებათა გამო, მსგავსი ექსკურსია განკუთვნილია მხოლოდ სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეების, სტუდენტებისა და იმ ზრდასრულ პირთათვის, ვინც დაინტერესებულია სახვითი ხელოვნებისა და მხატვრული შემოქმედების განვითარების პრობლემე-

ბით (შეიძლება ასეთი ექსკურსიის მონაწილეთა რიგი გახდეს კიდევ უფრო მრავალფეროვანი, მაგრამ არ უნდა გადაიტვირთოს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის საგნებით). ამ ექსკურსიის მომზადებისას აუცილებელია მისი ამოცანების მკაფიო გაცნობიერება და მხატვრული პრობლემის არსში ჩაღრმავება ექსპოზიციის მასალაზე დაყრდნობით, მეტი დამაჯერებლობისთვის მიზანშეწონილია შედარებითი ჩვენების მეთოდის გამოყენებაც.

საგანმანათლებლო ექსკურსია ვარაუდობს ჯგუფის გარკვეულ მზადყოფნას, მის შინაგან მობილიზებას ხელოვნების საკითხების შემეცნების, შესწავლისა და ცოდნის გაღრმავების პროცესში. ამასთან, მუზეუმის ხელმძღვანელობამ და გიდმა-პედაგოგმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ამ ტიპის ექსკურსიის მომზადება მოითხოვს არა მხოლოდ მუზეუმის საგამოფენო ექსპოზიციისა და კოლექციის შესწავლას, არამედ სიღრმისეულ ცოდნას ხელოვნებისა და მხატვრული შემოქმედების იმ სფეროზე, რაზეც საუბარი იქნება ექსკურსიის პროცესში. შესაბამისად, ექსკურსიის მომზადებისას, აუცილებელია გიდი გაეცნოს ხელოვნებათმცოდნეობითი, ისტორიული და კულტუროლოგიური ხასიათის სპეციალურ ლიტერატურას, აგრეთვე ექსკურსიის მსვლელობის პროცესში დაიცვას საგანმანათლებლო ტურის ჩატარების ზოგადი მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებიც მდგომარეობს შემდეგში:

— ექსკურსია უნდა გრძელდებოდეს 1 საათიდან დან 3 საათამდე (მცირე შესვენებებით);

— ჯგუფში ადამიანთა რაოდენობა არ უნდა იყოს დიდი (მაქსიმუმ 15 ადამიანი);

— ვიზუალური ჩვენება შეიძლება შეიცავდეს 20-25-მდე ნივთს დამატებითი ვიზუალური მასალების (ფოტოები, რეპროდუქციები და ა. შ.) შესაძლო გამოყენებით (ამა თუ იმ თეორიისა თუ კონცეფციის სრულად გახსნისათვის);

საგანმანათლებლო ტიპის ექსკურსიაში შეიძლება გამოყენებული იქნეს დამატებითი ტექსტური და ლიტერატურული მასალა, რომელსაც შესაძლოა არ ჰქონდეს პირდაპირი კავშირი მოცემულ

ვიზუალურ მასალასთან, მაგრამ გარკვეულწილად უკავშირდებოდეს ძირითად თემას ან ექსკურსიის ფარგლებში წამოჭრილ საკითხს. ეს შეიძლება იყოს ციტატები, გამონათქვამები, მხატვრის თანამედროვეთა მიერ მოთხრობილი ისტორიები ხელოვანზე, ხელოვნებათმცოდნეთა კვლევის ტექსტის ამონარიდები და სხვა. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში აუცილებელია ექსკურსიამძღოლის მიერ ზომიერების დაცვა, რათა დამატებითმა მასალამ ხელი არ შეუშალოს მხატვრული სახის აღქმის პროცესს.

## 3.4. შემეცნებითი ექსკურსიის მომზადებისა და ჩატარების მეთოდური პრინციპები

მუზეუმში შემეცნებითი ექსკურსიის ჩატარების პროცესი განსაკუთრებულ მიდგომებს საჭიროებს, ვინაიდან იგი ორიენტირებულია ვიზიტიორთა შემოქმედებითი შესაძლებლობებისა გამოვლენასა და პიროვნული თვისებების განვითარებაზე. სამუზეუმო ექსპონატის სრულყოფილი აღქმისთვის აუცილებელია:

- დაკვირვების უნარი;
- შემოქმედებითი წარმოსახვის უნარი;
- ემოციური აღქმის უნარი;
- მგრძნობელობითი შესაძლებლობები;
- საკუთარი შთაბეჭდილების გაანალიზებისა და განზოგადების უნარები;
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები.

ამ ტიპის ექსკურსიისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს 3-დან 7-მდე ნაწარმოები, რომლებიც მაქსიმალური დამაჯერებლობით ასახავს პედაგოგიურ ამოცანებს და ხელმისაწვდომია ვიზიტიორთა ყურადღების კონცენტრირებისათვის (10-12 ადამიანი).

შემეცნებითი ექსკურსიის ჩატარების პროცესში წამყვანია ინტერაქტიული მეთოდი, ცოცხალი საუბარი, რაც ქმნის შემოქმედებით ატმოსფეროს (განსაკუთრებით, სკოლის ასაკის აუდიტორიაში) სამუზეუმო ექსპონატის სათანადოდ აღქმისათვის.

ამ ტიპის ექსკურსიის ჩატარების პროცესში აუდიტორიისადმი გიდი-პედაგოგის მიერ დასმული კითხვები უნდა გამოირჩეოდეს სიცხადითა და კონკრეტულობით, უნდა ითვალისწინებდეს მოზარდის მიერ ნანახის აღქმის სპეციფიკას. კითხვები უნდა ეხებოდეს:

- ნაწარმოების ფორმალურ მხარეს და გამომსახველობით საშუალებებს (რა ფერებია მთავარი ამ სურათში? რატომ დაალაგა მხატვარმა საგნები სწორედ ასე?), აგრეთვე შესრულების ტექნიკას (როგორ მიხვდი, რომ ეს ქანდაკება მარმარილოშია შესრულებული და არა სხვა სხვა რომელიმე მასალაში?);
- ემოციურ შთაბეჭდილებას (რა განწყობას იწვევს შენში ეს სურათი: სიმშვიდეს?შეშფოთებას? სიხარულს?).

სასარგებლოა, დაისვას კითხვები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ბავშვის პირად "შემოქმედებით გამოცდილებაზე", რაც საგრძნობლად ამაღლებს მის ინტერესს ექსკურსიისადმი (მაგ., რა საღებავებს გამოიყენებდი შენ ამ სიუჟეტის დასახატად?). საუბრები სახვით საშუალებებსა და მათ გამომსახველობით შესაძლებლობებზე მოზარდში აღვივებს ინტერესს და იწვევს მხატვრის შრომისადმი პატივისცემის გრძნობას. შემეცნებითი ექსკურსიის დროს დასმული კითხვები ითხოვს არა იმდენად მეხსიერების აქტივაციას, რამდენადაც წარმოსახვის, აგრეთვე შედარებისა და კვლევის ერთგვარი უნარის "ამოქმედებას", ანუ ქმნის პრობლემურ სიტუაციას, რაც მოზარდში აღვიძებს დამოუკიდებელი, არასტერეოტიპული გადაწყვეტილების მიღების უნარს.

შემეცნებითი ექსკურსიის ამოცანების წარმატებით გადაჭრას ხელს უწყობს სპეციალური *დიდაქტიკური თამაშები,* რაც წარმოსახვის პროცესს წარმართავს საჭირო მიმართულებით. საექსკურსიო მეთოდიკის ეს ნაწილი ითხოვს განსკუთრებულ ყურადღებას, ვინაიდან ოსტატურად ორგანიზებული განმავითარებელი თამაში ახდენს წარმოსახვის სტიმულირებას და გასაქანს აძლევს შემოქმედებით იმპროვიზაციას, არ შემოფარგლავს აღქმის პროცესს წინასწარ დადგენილი სქემით. ქვემოთ მოცემულია უმცროსი ასაკის ბავშვებთან შემეცნებითი ექსკურსიის პრაქტიკაში წარმატებით გამოყენებული რამდენიმე დიდაქტიკური თამაშის მოკლე აღწერა:

1. *„რას გვიამბობენ საგნები?”.* თამაში ხელს უწყობს მხატვრული სახის აღქმის ჩვევების განვითარებას (დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ექსპოზიციაზე). იგი შეიძლება წარიმართოს შემდეგნაირად: ა). გიდი-პედაგოგი ჰყვება ზღაპარს, რომელსაც შემდეგ ბავშვები აგრძელებენ: “საღამოს, როცა მუზეუმი იკეტება, ძველი ნივთები “ცოცხლდებიან”, იგონებენ წარსულს, თავიანთ პატრონებს, ჰყვებიან ისტორიებს, რომელთა მოწმეებიც თავად იყვნენ...”. ამ შემთხვევაში, საგნის ფორმის, ფერისა და მასალის სახვით თავისებურებებზე ყურადღების გამახვილებასთან ერთად, ბავშვებმა უნდა წარმოიდგინონ, თუ როგორ გამოიყურებოდნენ ამ ნივთების მფლობელები და როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო მათი „დიალოგი”. თამაშის ეს ფორმა ავითარებს სტილის გრძნობას და მხატვრულ-სახეობრივ ხედვას. ბ). ჯგუფურად რაიმე ზღაპრის მოფიქრება და ბავშვების მონაწილეობით მცირე “სპექტაკლის” გათამაშება, სადაც მოქმედ “გმირებად” გვევლინებიან მუზეუმის ექსპონატები, რომლებიც “საუბრობენ” და “მოძრაობენ” საკუთარი “ხასიათის” შესაბამისად, რაც განსაზღვრავს ქმედების ემოციურ შთაბეჭდილებას და შინაარსს.

2. *„ცოცხალი სკულპტურა”.* თამაში ტარდება მუზეუმის ექსპოზიციაზე ვიზიტის შემდეგ და მიმართულია პლასტიკის შეგრძნების, სახეობრივი ხედვისა და ვიზუალური მეხსიერების განვითარებისაკენ. თამაშის პირობები: რომელიმე მოზარდი იღებს ყველაზე ადვილად დასამახსოვრებული ქანდაკების პოზას, ხოლო დანარჩენები ცდილობენ გამოიცნონ განსახიერებული ნაწარმოები.

© Corinium Museum (დიდი ბრიტანეთი)

## 3.5. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის სახეები სამუზეუმო სივრცეში

ცნობილია, რომ მუზეუმში სახვითი ხელოვნების ნიმუშის აღქმის პროცესი რამდენიმე ეტაპად იყოფა - დაწყებული ნაწარმოების უსიტყვო დათვალიერებიდან დამთავრებული მუზეუმის გიდ-პედაგოგთან თანაშრომლობით, რასაც (სკოლის მოსწავლეთა შემთხვევაში) წინ უძღვის ოჯახში საუბრები ხელოვნებაზე, მუზეუმში ერთჯერადი ვიზიტი ან სახვითი ხელოვნების გაკვეთილები სკოლაში. ყველაზე ხშირად ამ პროპედევტიკული მოსამზადებელი  საფეხურის საფუძველს წარმოადგენს ძეგლის სლაიდი, რეპროდუქცია ან კომპიუტერული ვერსია, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის ვიზუალური აღქმის პირველადი პროცესისათვის – კულტურულ მემკვიდრეობაზე საერთო შთაბეჭდილების შექმნისათვის. ხოლო ექსკურსიის მსვლელობისას მუზეუმის ექსპოზიციაზე მხატვრულ ნაწარმოებთან ურთიერთობა უზრუნველყოფს მისი სტრუქტურის ანალიზის თანაფარდობას აღქმის ისეთ ასპექტებთან, როგორიცაა აღქმა, ესთეტიკური ტკბობა, რაც საფუძველს უყრის პიროვნებებს შორის დიალოგის გამართვას.

ხელოვნების მუზეუმებში ექსკურსიის ჩატარების მრავალწლიანი პრაქტიკა მოწმობს, რომ ვიზიტიორთან მუშაობისას შესაძლებელია ნაწარმოების ანალიზის რამდენიმე ფორმის გამოყენება, რაც ხელს უწყობს მხატვრული სახის შინაარსობრივ-გამომსახველობითი თავისებურებისა და ლოგიკის გახსნას:

**1. ზოგადი ანუ ვრცელი ანალიზი** გულისხმობს სამუზეუმო ექსპონატის ყოველმხრივ განხილვას მისი სტრუქტურის, იდეისა და შინაარსის გახსნის მიზნით.

**2. შედარებითი ანალიზი** იძლევა ერთდროულად რამდენიმე ნაწარმოების შესწავლისა და გაანალიზების საშუალებას. მისი მეთოდიკა მდგომარეობს შერჩეული ნიმუშების მხატვრული ფორმის ელემენტთა (ფერი, კომპოზიცია, შუქ-ჩრდილი და ა. შ.) პარალელურ განხილვაში, რომლის შედეგად მიღებულ დასკვნებს ჯგუფი მიჰყავს ექსკურსიის პროცესში დასმული სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტამდე. შედარებითი ანალიზი ქმნის განსხვავებულ ხელოვანთა

შემოქმედებითი ინდივიდუალურობის ხაზგასმისა და განხილული ეპოქის მხატვრული სტილის თავისებურებათა გამოვლენის შესაძლებლობას.

**3. კომპლექსური ანალიზი** იძლევა ექსპოზიციის ფართოდ წარდგენის საშუალებას, რაც ვიზიტიორს სრულ წარმოდგენას უქმნის მუზეუმის კოლექციის ხასიათსა და მრავალფეროვნებაზე. მისი სპეციფიკა მდგომარეობს ყველაზე სახასიათო ექსპონატთა დეტალურ განხილვაში, რომლის ელემენტების პროეცირება მიმდინარეობს დარბაზში განთავსებული სხვა, დანარჩენი ნამუშევრების მეშვეობით. კომპლექსური ანალიზის ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს აქცენტირება მუზეუმის ექსპოზიციის ერთ დარბაზზე, რომელიც ახდენს კონკრეტული ეპოქის ხელოვნების ძირითადი სახეებისა და ჟანრებისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა დემონსტრირებას.

**4. „ფრაგმენტული" ანალიზი** წარმოადგენს მუზეუმის ექსპონატის გაანალიზების ყველაზე რთულ ფორმას და გულისხმობს სურათის მთლიანი ფორმიდან მისი რომელიმე ელემენტის პირობით გამოყოფას (მაგ., ფერი, შუქ-ჩრდილი, კომპოზიცია, რიტმი), რაც ხდება კიდეც მისი ანალიზის ობიექტი და ავლენს ნამუშევრის შინაარსობრივ თუ ემოციურ ფუნქციას. ფრაგმენტული ანალიზი ხშირად ერწყმის შედარებით ანალიზს, რაც განპირობებულია სახვითი ხელოვნების ენის ფუნდამენტური კვლევის აუცილებლობით.

სამუზეუმო მასალის ანალიზის ვარიანტულობა დიდწილად დამოკიდებულია გიდი-პედაგოგის სამუშაო გამოცდილებაზე, ინტუიციაზე, განათლებასა და ვიზიტიორთან კომუნიკაციის პროცესში იმპროვიზაციის უნარზე, რაც "ვიზიტიორს უქმნის თანამონაწილეობის შეგრძნებას ახალი მხატვრული სახის დაბადების პროცესში"[43]. თუმცა, ექსკურსიის წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზეც, თუ რამდენად შეესაბამება ერთმანეთს გიდის მეთოდები და აუდიტორიის ასაკობრივი სპეციფიკა.

---

[43] Bjorklund, D., Children's Thinking: Cognitive Development and Individual Differences. Belmont, CA:Wadsworth Publishing. 2000

# თავი IV
# საექსკურსიო პრაქტიკის სპეციფიკა მუზეუმს გარეთ ექსკურსიების პროცესში

## 4.1. ექსკურსიები მუზეუმს გარეთ

ხშირად ბევრი მუზეუმი თავის აუდიტორიას სთავაზობს გასვლით ტურებს მუზეუმის შენობის ფარგლებს გარეთ, რაც მიმართულია როგორც აუდიტორიის გაფართოების, ასევე ვიზიტიორთა ახალი ჯგუფების მოზიდვისაკენ. ბუნებრივია, მსგავსი ღონისძიებები არ გულისხმობს მხოლოდ პოპულარული ლექციების ციკლის ან საგანგებო საღამოების ერთჯერად ორგანიზებას ქალაქის (ან სოფლის) რომელიმე საზოგადოებრივ სივრცეში, არამედ მოიცავს საექსკურსიო პროგრამებს როგორც საკუთრივ მუზეუმში, ასევე სხვა ადგილებშიც — მიმდებარე ტერიტორიაზე ან რეგიონის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად.

სამუზეუმო საქმის ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ ამგვარი გასვლები უნდა ემყარებოდეს სტრატეგიულად გათვლილ გრძელვადიან გეგმას და უნდა წარმოადგენდეს აუდიტორიის გაფართოების ხუთწლიანი პროგრამის ერთ-ერთ ღონისძიებას[44]. პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს მუზეუმის ვიზიტიორთა ყველა ჯგუფის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, რაც მუზეუმის თანამშრომლებისაგან მოითხოვს საგრძნობლად დიდ ძალისხმევას, ვინაიდან უცნობ აუდიტორიასთან ან ახალ ადგილებში მუშაობა მუდამ დაკავშირებულია რისკის შედარებით მაღალ დონესთან. მით უმეტეს, თუკი მსგავსი გასვლა-ექსკურსია მიეძღვნება, მაგალითად, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის პრობლემებს. ვინაიდან არსებობს კულტურის ძეგლები, რომლებიც არ შეიძლება (და არც ადგილობრივი საზოგადოება ისურვებდა) იქცეს ტურისტული მიზნით გამოყენების საგნად (მაგალითად, სენსიტიური ბუნებრივი ან  სპეციფიკური კულტურის

---

[44] ლორდი ბ., ლორდი გ., *სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი,* თბ., 2006, გვ. 159.

ნიმუშები - ტაძრები, სხვა საკულტო ნაგებობები და ადგილები).

ამ შემთხვევაში მუზეუმის გიდმა უნდა გაითვალისწინოს არასამუზეუმო სივრცეში ექსკურსიის ჩატარების მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება ობიექტის, მათ შორის მემკვიდრეობის ძეგლის ჩვენებისა და თხრობის საშუალებათა იმ მყარად ჩამოყალიბებულ სისტემას, რაც შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი ექსკურსიის პროცესში.

**1. ობიექტების საექსკურსიო ჩვენება (ვერბალური წარდგენა), ჩვენების საშუალებები.**

ობიექტის ვერბალური წარდგენა საექსკურსიო მეთოდის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ახდენს ცოდნის დემონსტრირებას და აყალიბებს შთაბეჭდილებას ამა თუ იმ ობიექტზე. იგი შეიძლება ატარებდეს კომპლექსურ და დეტალურ ხასიათს. თუმცა აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ერთი და იგივე ობიექტის წინასწარი დათვალიერების ტექსტურა ყოველთვის ვერ იქნება ერთნაირი, ვინაიდან ობიექტის ჩვენებაზე გავლენას ახდენს წელიწადის დრო და დღე-ღამის საათები, ბუნების მდგომარეობა და ჯგუფის განწყობა, მაგრამ გამოცდილ გიდს შეუძლია ვიზიტიორებს შეუქმნას თემის შესაბამისი განწყობა — ვერბალური ჩვენების ემოციურად წარმართვით.

ექსკურსიის თემაში ობიექტის მნიშვნელობის განსაზღვრისა და წინასწარი დათვალიერების შემდეგ ობიექტის გაცნობა მიმდინარეობს თანმიმდევრულად და ფრაგმენტულად, ანუ მისი რაღაც ნაწილის ან თავისებურების გამოყოფით, როცა გიდი ვიზიტიორებს სთავაზობს თხრობას ან დასკვნას ძეგლთან დაკავშირებულ მოვლენებზე, ხოლო

შემდეგ გადადის თხრობის მომდევნო ეტაპზე. მაგ., მცხეთის ჯვრის მონასტრის გაცნობისას, ტაძრის გუმბათზე ვიზიტიორთა ყურადღების მიპყრობის შემდეგ, ლოგიკური იქნებოდა საუბარი ტაძრის აგებისა და კურთხევის მოტივაციაზე, შემდეგ — ყურადღების გადატანა ფასადების რელიეფურ გამოსახულებებზე, ტაძართან დაკავშირებული ლეგენდის გახსენება და სხვ.

მსგავსი ექსკურსიის ჩატარების ნებისმიერ შემთხვევაში, **პირვე-**

**ლადია ვიზუალური შთაბეჭდილება.** ვერბალური ჩვენება ყოველთვის წინ უსწრებს თხრობას, რაც წარმოადგენს საექსკურსიო ჟანრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას.

გარდა ობიექტის წინასწარი ჩვენებისა და საექსკურსიო ანალიზისა, ექსკურსიის პროცესში ფართოდ გამოიყენება ვიზუალური რეკონსტრუქციის მეთოდი, რაც მართებულია მაგალითად, იმ არქიტექტურული ძეგლის ჩვენებისას, რომელმაც დაკარგა თავდაპირველი იერსახე (მასთან დაკავშირებულ ისტორიულ და სხვა მოვლენებზე თხრობის შემთხვევაში). **ვიზუალური რეკონსტრუქციის მეთოდი** გამოიყენება აგრეთვე კონკრეტული ადგილის განვითარების პერსპექტივის განხილვის პროცესში.

ჩვენების კონკრეტულობა მიიღწევა ***მოვლენის ლოკალიზების მეთოდით.*** იგი დიდი წარმატებით გამოიყენება ისტორიული თემატიკის შემცველ ექსკურსიებში, ვინაიდან მკაფიოდ განსაზღვრავს ამა თუ იმ კონკრეტული მოვლენის განვითარების ადგილს და ამით ვიზიტიორს უქმნის თანამონაწილეობის შეგრძნებას. თხრობის დამაჯერებლობა შეიძლება გაძლიერდეს შედარების მეთოდის მეშვეობით, რომელიც გამოიყენება მოვლენებისა და ძეგლების მსგავსების ან განსხვავების აღწერის პროცესში. როგორც წესი, შედარებისათვის ირჩევენ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებსა და მოდელებს, ან გიდის მიერ ადრე მოხმობილ ფაქტებს. შედარების მეთოდი გიდს საშუალებას აძლევს, თავი აარიდოს სრულიად ზედმეტ სკრუპულეზურ აღწერას, არასაჭირო ციტატებს და თარიღებს, რომლებიც ართულებს ძეგლებისა და მოვლენების (ისევე, როგორც სამუზეუმო ექსპონატის) ერთიან სახედ გააზრებას და აღქმას.

ქალაქურ გარემოში ორგანიზებულ სივრცულ ექსკურსიებში ქალაქის დათვალიერების სპეციფიკა. ყველა ტიპის ექსკურსიის მარშრუტში ქალაქის სივრცული დახასიათების ჩართვის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან მის არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობით თავისებურებათა გაცნობა ვიზიტიორს უქმნის შესაძლებლობას — ხელშესახებად აღიქვას ქალაქის ერთიანი, პლასტიკურ-სივრცობრივი სახე და განუმეორებლობა, რაც დიდხანს რჩე-

ბა მეხსიერებაში და წარმოადგენს პრაქტიკული ექსკურსიამცოდნეობის მთავარ შედეგს. ამ შემთხვევაში, გიდისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს გამოავლინოს ამ სისტემის ლოგიკა – უნიკალურ სიძველეებთან ერთად, ვიზიტიორს გააცნოს ქალაქის ურბანული სტრუქტურა, რაც წარმოადგენს მისი განვითარებისა და სოციალური პროცესების ანარეკლს.

კახა მჭედლიძის ფოტო

**2. საექსკურსიო თხრობა. საშუალებები.** როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენებასთან შედარებით, ექსკურსიის პროცესში თხრობა მეორეხარისხოვანია. თხრობის პრიორიტეტულობა ექსკურსიას გადააქცევს მისთვის უჩვეულო პირობებში ჩატარებულ ლექციად, რაც უმეტესწილად უინტერესოა ვიზიტიორისათვის. თხრობისა და ჩვენების თანაფარდობა დამოკიდებულია ექსკურსიის თემატიკასა და კონკრეტულ თემაზე. არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობით თემატიკაში ჩვენება ყოველთვის ჭარბობს თხრობად, ხოლო ისტორიული ან ლიტერატურული ტიპის ექსკურსიებში — პირიქით.

საექსკურსიო თხრობა თავისთავში მოიცავს შემდეგ ცნებებს:

- ***საექსკურსიო ცნობარი შეიცავს*** ობიექტის საპასპორტო მონაცემებს (სახელწოდება, ავტორი, თარიღი და სხვ.), რომელსაც პრეტენზია არ აქვს მხატვრულობასა და ემოციურობაზე;
- ***ობიექტის აღწერა*** წარმოადგენს ფაქტების მოკლე გადმოცემას, რაც არ გულისხმობს მოცემული ობიექტის ღრმად გაცნობაზე;
- ***ახსნა*** შეიცავს დაწვრილებით თხრობას ობიექტსა და მასთან დაკავშირებულ მოვლენებზე, მიზეზ-შედეგობრივ კავშირებსა და დასკვნებზე. ჩვეულებრივ, ახსნა შეადგენს ექსკურსიის ტექსტის ძირითად ნაწილს;
- ***კომენტარები*** გულისხმობს ვიზიტიორთა თვალწინ მიმდინარე პროცესის გადმოცემას (მაგ., რომელიმე მემორიალური ძეგლის დათვალიერება გვირგვინით მისი შემკობის ან რაიმე სხვა ცერემონიალის დროს და სხვ.) და მასში გარკვეულ თანამონაწილეობას; კომენტარების გაკეთების საშუალება ჰგავს თხრობას მატარებელში, როდესაც ერთი თემით შეკრული ობიექტები მოძრაობისას გადაადგილდებიან.
- ***ციტირება*** გულისხმობს ექსკურსიის პროცესში მხატვრული ნაწარმოებების, დოკუმენტების, მემუარული ლიტერატურიდან ნაწყვეტების გამოყენებას და ა. შ., რაც ქმნის მასალის დოკუმენტალურობის შეგრძნებას, აძლიერებს ექსკურსიის ტექსტის ემოციურ გამომსახველობას. ურთიერთგამომრიცხავი აზრების ციტირება ამძაფრებს თემის პრობლემურ ასპექტს, რაც იწვევს ტურის მონაწილეთა დიდ ინტერესს და ექსკურსია აჰყავს უფრო მაღალ მეცნიერულ დონემდე.

ხშირად ექსკურსია წარმოადგენს რაიმე კონკრეტული ღონისძიების ნაწილს, იქნება ეს ტურისტული, საფესტივალო, სპორტული, საკონგრესო და ა. შ. ამ შემთხვევაში მისი ამოცანები განისაზღვრება ვიზიტიორთა შემადგენლობით და შეთავაზებული თემით დაინტერესების ხარისხით. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ ასსეტ ვიზიტიორთა შემადგენლობა შეიძლება იყოს საკმაოდ განსხვავებული, აუცილებელია, წინასწარ განისაზღვროს ექსკურსიის ამოცანები, ჩვენების ობიექტი და მარშრუტი. როგორც წესი,

ასეთ ჯგუფებში ხვდებიან ადამიანები, რომლებიც ნაკლებად იცნობენ ქალაქს და საერთოდ ერთმანეთსაც. ამ შემთხვევაში ექსკურსიის საორგანიზაციო ნაწილი უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და ზუსტად  უნდა სრულდებოდეს. გიდმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ვიზიტიორთათვის მისაწოდებელი ინფორმაცია არ უნდა შეიცავდეს პროფესიულ ნიუანსებს და უნდა ემყარებოდეს ჯგუფის თითოეული წევრისათვის ნაცნობ ისტორიულ, საბუნებისმეტყველო, სახელოვნებო და თუ სხვა სახის გამოცდილებას. ამ ტიპის ექსკურსია უცილობლად უნდა შეიცავდეს ობიექტის თავისუფლად დათვალიერების შესაძლებლობას.


ნაფარეული
ბლუვარდი
ბებერა
ბერბუქი
ბერბუქის ნასახლარი
ვეფხვიანი
ილიას ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი
ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი
ციხისძირი
ნინანდალი
ილიას ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი
თელავი
ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის ტაძარი
ბოდბისი
ბოდბისი
თეთრი წყალი
ვანი
ვანისციხე
ბერბუქა
ბერბუქის ფეოდალური ციხე
ბაკურიანი
ბაკურიანი
ნინოწმიდა
ბაკურიანი
ბანაკი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიან

## 4.2. საექსკურსიო მუშაობის მიზნები და ამოცანები

ექსკურსიის მიზანს წარმოადგენს პიროვნების ფასეული ორიენტაციის ჩამოყალიბება, ვინაიდან მსგავსი აქტივობა აფართოებს კულტურული მემკვიდრეობის მრავალმხრივ შემეცნებას, ავითარებს კულტურისა და ისტორიისადმი ინტერესის გაღრმავებას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ სივრცეში განხორციელებული საექსკურსიო საქმიანობა იყოფა ორ ძირითად, გაცნობით და საგანმანათლებლო მიმართულებებად.

როგორც წესი, ექსკურსიის გაცნობით მიმართულებაში იგულისხმება მიმოხილვითი ტიპის ექსკურსია, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ქალაქში ჩამოსულ ტურისტებზე და მოიცავს მათთვის ქალაქის მთავარი ქუჩების, პროსპექტების, სანაპიროების, ისტორიისა და არქიტექტურის ცნობილი ძეგლების ჩვენებას, ასევე ზოგადი ინფორმაციის მიწოდებას ქალაქის ისტორიისა და განვითარების შესახებ. მიმოხილვითი ექსკურსიები მრავალპლანიანია, მათში გამოიყენება როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე მასალა. ასეთი ტიპის ექსკურსიის ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი საყოველთაოდ ცნობილი და ფასეული ძეგლი გააცნოს ვიზიტიორებს, მიაწოდოს მათ ზოგადი ინფორმაცია მათზე და განსაზღვროს ამა თუ იმ ძეგლის როლი კონკრეტული ადგილისა თუ ქვეყნის განვითარებაში (ჩვეულებრივ, ასეთ ძეგლებს "ქალაქის ღირსშესანიშნაობებს" უწოდებენ).

საგანმანათლებლო ხასიათის ექსკურსია მიეკუთვნება თემატური ექსკურსიების ტიპს და მიმართულია რაიმე, კონკრეტული ობიექტის მაგალითზე ადამიანის მოღვაწეობის რომელიმე მხარის ღრმად შესწავლისაკენ (მაგალითად, "მოდერნის არქიტექტურა თბილისში"), რაც გულისხმობს არქიტექტურული სტილის მხატვრული საფუძველისა და შემოქმედების სპეციფიკის გადმოცემას. ასეთმა მასალამ ხელი უნდა შეუწყოს არქიტექტურული ძეგლისა და ხელოვნების ნიმუშის ხედვის, აღქმისა და ანალიზის უნარების გამომუშავებას, ასევე

ხელოვნების განსხვავებული ფორმების ურთიერთკავშირის აღქმას სივრცობრივ გარემოში.

თემატური ექსკურსიების ტიპს მიეკუთვნება ასევე ტურები, რომლებიც ეძღვნება ცნობილ ადამიანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას (ე. წ. მონოგრაფიული ტურები), ჩვენი წინაპრებისა და თანამედროვეთა ყოფა-ცხოვრებას. ტიპობრივი დაჯგუფებისდა მიუხედავად, ყველა ექსკურსიაში არსებობს ზნეობრივი ასპექტი. რიგ შემთხვევაში, სწორედ იგი განაპირობებს საექსკურსიო მასალისა და ობიექტების შერჩევას. თემატური ექსკურსია შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი თემების მიხედვით:

- მხარეთმცოდნეობითი;
- არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობითი;
- ხელოვნებათმცოდნეობითი;
- ლიტერატურული;
- ისტორიული;
- რელიგიური;
- საბუნებისმეტყველო;
- მრავალდღიანი უცხოური ექსკურსიები ავტობუსით.

მათი მიზანია შერჩეული თემის ღრმად გახსნა, რაც საჭიროებს კონკრეტულ აუდიტორიაზე ორიენტირებულ სპეციალურ მასალას.

ექსკურსიის ზემოთ ჩამოთვლილ ტიპებს შორის ბევრს შიდა კლასიფიკაციაც გააჩნია. მაგალითად, არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობითი ტური შეიძლება იყოს მონოგრაფიული და ისტორიის რაღაც გარკვეული პერიოდისადმი მიძღვნილიც, ისევე როგორც ლიტერატურული, ხელოვნებათმცოდნეობითი ან რელიგიური ექსკურსიები. სახელოვნებათმცოდნეო თემატიკამ შეიძლება გააერთიანოს თეატრალური, ისტორიულ-მუსიკალური, ფოლკლორული და სხვა თემებიც.

ისტორიული ექსკურსიები შეიძლება დაჯგუფდეს ისტორიული პერიოდების მიხედვით. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ფართოდ გავრცელებულია მხარეთმცოდნეობით-ისტორიულ თემებზე აგე-

ბული ექსკურსიები, რომლებიც ორიენტირებულია წარსულზე ან მოიცავს მოცემული ადგილის (ისტორიული დასახლების) არსებობის ყველა ეტაპს. საბუნებისმეტყველო ექსკურსიები შეიცავს გეოლოგიასა და ბიოლოგიასთან დაკავშირებულ თემებს და ა. შ.

**1. მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით ექსკურსია მზადდება:**

- ზრდასრულებისა და მოზარდთა (სკოლამდელი და სკოლის) აუდიტორიისათვის;
- ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტებისათვის;
- ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისთვის;
- ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისათვის;
- ორგანიზებული ჯგუფებისა და ინდივიდუალური დამთვალიერებლებისათვის.

ექსკურსიის შინაარსი, მარშრუტი, მისი ჩატარების დრო და საორგანიზაციო საშუალებები შეიძლება შეიცვალოს ექსკურსიის მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით.

**2. ჩატარების ადგილის მიხედვით ექსკურსია ტარდება:**

- ქალაქში;
- ლანდშაფტურ სივრცეში, ანუ ბაღებში, პარკებში, მუზეუმ-ნაკრძალებში;
- ექსკურსიის ორგანიზების ადგილამდე (მაგალითად, რეგიონში) გადაადგილების ანუ მოძრაობის პროცესში;
- არასამუზეუმო ინტერიერში (სასახლე, საცხოვრებელი სახლი, საკულტო დანიშნულების ადგილებში, საწარმოებში და სხვ.).

ხშირად ექსკურსია ატარებს შერეულ ხასიათს, როცა ერთმანეთთან აკავშირებს ქალაქის, საპარკო ობიექტებს, მოიცავს ინტერიერების დათვალიერებას და სხვ.

შერეული ტიპის ექსკურსიები დროში ყველაზე ხანგრძლივია და მარშრუტიც საკმაოდ გაწელილია.

ექსკურსიის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტიპი შეიძლება გაერთიანდეს ერთ ცნებაში - "სივრცული ექსკურსია", სადაც მოიაზრებენ იმ ექსკურსიებს, რომლებიც ტარდება სამუზეუმო ექსპოზიციის მიღ-

მა, ადამიანთა განსახლების ადგილას, მის საცხოვრებელ გარემოში, რომელშიც ბუნებრივი და ანთროპოლოგიური ელემენტები ყოვლისმომცველ ერთიანობაშია შერწყმული.

**3. გადაადგილების საშუალებები:**

- საფეხმავლო;
- სატრანსპორტო: ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი, წყლის ან საჰაერო ტრანსპორტი.

გადაადგილების საშუალებაზე დამოკიდებულია საექსკურსიო ობიექტების დათვალიერება და აღქმა, დამთვალიერებელთა არჩევანი. გარდა ამისა, გადაადგილების საშუალება ქმნის საექსკურსიო პროგრამით გაუთვალისწინებელ, სპეციფიკურ სიტუაციებს, რაც ექსკურსიამძღოლისაგან ითხოვს მუდმივ მზადყოფნას აუცილებელი საორგანიზაციო ზომების მიღებისათვის.

## ექსკურსია — სამი კომპონენტის ურთიერთმოქმედება

ნებისმიერი ექსკურსია რა თემაზეც არ უნდა იყოს ის, ან რა ფორმითაც უნდა ჩატარდეს, წარმოადგენს სამი კომპონენტის ურთიერთმოქმედების – ექსკურსიამძღოლის, ობიექტის და ექსკურსანტის შედეგს[45].




[45] კვარაცხელია ნ., საექსკურსიო საქმე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ელექტრონული გამოცემა, 2014

## 4.3. არასამუზეუმო სივრცეში განსხვავებულ ჯგუფებთან ექსკურსიის ჩატარების მეთოდიკა

ექსკურსიის შიდა ასაკობრივ კატეგორიაში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

**1. საბავშვო აუდიტორია;**

- სკოლამდელი;
- სკოლის ასაკის;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები;
- სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ექსკურსიით შემოთავაზებულ თემებს სწავლობენ სხვადასხვა სასწავლო წრეებში;
- სკოლის მოსწავლეები-ტურისტები.

საბავშვო აუდიტორიასთან მუშაობისას აუცილებელია ასაკობრივ თავისებურებათა, აგრეთვე სკოლებისა და სხვა სპეციალურ სასწავლო დაწესებულების პროგრამების შინაარსის გათვალისწინება. გარდა ამისა, საჭიროა ორიენტირება იმ კონკრეტულ ამოცანებზე, რაც ისმება დამკვეთთა მიერ ან მომდინარეობს ჯგუფის სპეციფიკიდან.

როგორც წესი, სკოლის მოსწავლეები-ტურისტები, ორიენტირებულნი არიან მიმოხილვითი ინფორმაციის მიღებაზე, რაც არ უნდა გადაიტვირთოს სახელებით, თარიღებით და ფაქტებით. მთავარია, მოზარდებს მიეცეთ შესაძლებლობა: დაინახონ, დაათვალიერონ და აღიქვან. შესაბამისად, ექსკურსიამძღოლის მონათხრობიც უნდა იყოს მოკლე და ლაკონური, იმავდროულად ინფორმაციულიც, რათა შეიქმნას ნანახის მკაფიო და ემოციური სახე.

**2. ზრდასრული აუდიტორია:**

- **ადგილობრივი ქალაქის ან სოფლის მცხოვრებლები:** ექსკურსიები ამ კატეგორიის ვიზიტიორებისათვის ორიენტირებულია კონკრეტული სოციალური დაკვეთის შესრულებაზე: დასვენება, ესთეტიკური შთაბეჭდილება, ცოდნის გაფართოება, ბავშვთა აღზრდა და სხვ. ასეთი აუდიტორიისთვის მზადდება როგორც ერთჯერადი,

ასევე თემატური ციკლები, დიდი პოპულარობით სარგებლობს ოჯახური ექსკურსიები;

• **ასაკოვანი ადამიანები:** მათთვის თემებისა და მარშრუტების არჩევა, გადაადგილების საშუალებები, ექსკურსიის ხანგრძლივობა განისაზღვრება ასაკობრივი მოთხოვნებისა და სამედიცინო მაჩვენებლების (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს) მიხედვით. ექსკურსიამძღოლი თავისთავზე იღებს ხელძღვანელი-ორგანიზატორის პასუხისმგებლობას.

• **სტუდენტები:** ეს აუდიტორია ითხოვს ექსკურსიამძღოლისგან მრავალმხრივ ერუდიციას და აქტიურობას. რამდენადაც სტუდენტები ორიენტირებულნი არიან უფრო პრობლემური ხასიათის ექსკურსიაზე, ექსკურსიამძღოლს მოეთხოვება მკაფიოება და ემოციურობა ჯგუფისათვის მასალის მიწოდების პროცესში. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტებში განსაკუთრებით პოპულარულია საექსკურსიო ციკლები და ის თემატიკა, რაც ხშირად უშუალოდ უკავშირდება საუნივერსიტეტო სწავლების პროგრამებს.

• **კონკრეტული სფეროს სპეციალისტები:** ამ შემთხვევაში ექსკურსიამძღოლს მოეთხოვება კარგი პროფესიული მომზადება, ხოლო ექსკურსიის მარშრუტში მიმოხილვითი ხასიათის ინფორმაციისა და რაც შეიძლება მეტი საექსკურსიო ობიექტის ჩართვა. თუკი ექსკურსია მიზნად ისახავს ჯგუფის პროფესიული ცოდნის გაღრმავებას, მაშინ ექსკურსიის ობიექტთა შერჩევა საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ჯგუფში ადამიანთა მცირე რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, ობიექტი უნდა იყოს თვალსაჩინო და გამორჩეული ღირსებების მქონე, ხოლო შემოთავაზებული ინფორმაცია უნდა ასახავდეს უკანასკნელ მიღწევებს მოცემულ სფეროში;

• **ადგილობრივი ტურისტები:** ტურისტთა ამ კატეგორიისთვის განკუთვნილი ექსკურსიები უფრო მიმოხილვითი ხასიათისაა და მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის ყველაზე ცნობილ ძეგლებს. მათი გაცნობის პროცესში ექსკურსიამძღოლმა შეიძლება ყურადღე-

ბა გაამახვილოს ამა თუ იმ ძეგლის რესტავრაციის პრობლემებსა და დაცვაზე, ასევე მათ თანამედროვე გამოყენებაზე (სასურველია, სხვა ქალაქიდან ჩამოსულ ტურისტთა ჯგუფის მომსახურების შემთხვევაში, ექსკურსიამძღოლი შეეხოს მათი თანაქალაქელების ღვაწლს ქვეყნის, მაგალითად, საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში);

- უცხოელი ტურისტები: უცხოელ ტურისტებთან მუშაობას თავისებური სპეციფიკა გააჩნია და მოითხოვს ადექვატურ მეთოდოლოგიას, ვინაიდან, ზოგადად, კულტურული ტურიზმი მოიცავს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რაც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან.

რამდენადაც უცხოელებისთვის ჩვენი ქვეყნის სრულფასოვნად გასაცნობად ჯერჯერობით არ არსებობს საკმარისი და სათანადო სერვისი, ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ექსკურსიების ორგანიზება ქალაქში და ქალაქგარეთ. ტურისტული მარშრუტის ორგანიზებისას აუცილებელია ორიენტირება ლაკონური ინფორმაციის მიწოდებასა და ექსკურსიის ხანგრძლივობის გაზრდაზე უშუალოდ ძეგლების დათვალიერების მიზნით. აქვე გათვალისწინებული უნდა იყოს გარკვეული დროის გამოყოფა ფოტო და ვიდეოგადაღებისთვის, ასევე სუვენირული ნაწარმის შესაძენად. ამასთან, უდავოდ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ექსკურსიის მარშრუტი და დასათვალიერებელი ობიექტების შერჩევა უნდა ემყარებოდეს არა მხოლოდ ძეგლის მხატვრულ ღირებულებებს, არამედ მათი დაცვის კარგ პირობებსაც.

ტურისტებისათვის მისაწოდებელი საექსკურსიო ინფორმაციის დამუშავებისას, სასურველია ყურადღების აქცენტირება იმ ნაგებობებზე, რომელთა არქიტექტურული გადაწყვეტა გარკვეულ კავშირს ავლენს სხვა ქვეყნების (მაგალითად, ევროპული ან მეზობელი ქვეყნების) მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან. ამასთან, ექსკურსიამძღოლმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არამხოლოდ მსგავსებაზე, არამედ ქართული პარაფრაზის ეროვნულ

თავისებურებაზეც. ამასთან, მაგალითად, უცხოელი ტურისტებისთვის საექსკურსიო საქმიანობის მეთოდიკის დამუშავებისას ძველი თბილისის უბნების დათვალიერების პროცესში უნდა დავეყრდნოთ ტურისტული ჯგუფების სოციალურ ანალიზს, რაც დიფერენცირებულია კულტურული განვითარების თვალსაზრისით.




**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის სტატისტიკური მონაცემები**

საექსკურსიო ჯგუფების დახასიათებისას უნდა აღინიშნოს, რომ ისინი შეიძლება შეიქმნას ცალკეული ადამიანებისგანაც. ჩვეულებრივ, ასეთი, ინდივიდუალური ჯგუფები ფორმირდება უშუალოდ ექსკურსიის პროცესის საწყის ეტაპზე. მათი ასაკი, სოციალური და პროფესიული თავისებურები განსხვავებულია. ხშირად ამ ადამიანებს სთავაზობენ ყველაზე პოპულარულ თემებს და ობიექტებს (მაგ., "ქალაქის ღირსშესანიშნაობები" და სხვ.).

იმის გათვალისწინებით, რომ საექსკურსიო ჯგუფი შეიძლება იყოს ძალიან მრავალფეროვანი, იმთავითვე მკაფიოდ უნდა განი-

საზღვროს ექსკურსიის ამოცანები, დათვალიერების ობიექტები და მარშრუტი. როგორც წესი, მსგავს ჯგუფებში ხვდებიან ადამიანები, რომლებიც ნაკლებად იცნობენ ქალაქს და ერთმანეთსაც. ექსკურსიის საორგანიზაციო ნაწილი ძალიან მკაფიოდ და მკაცრად უნდა იყოს გაწერილი და შესრულებული. ასეთ ექსკურსიებში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული თავისუფალი დრო ძეგლის დამოუკიდებელი დათვალიერებისთვის.

ასევე აუცილებელია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ ტურისტების მნიშვნელოვანი ნაწილი ასაკოვანია და ექსკურსიების ჩატარების პროცესში, ასევე ავტობუსის და სასიარულო დეტალების დროს, მუზეუმებში ვიზიტისას, აუცილებელია ასევე რეკრეაციის ზონის გათვალისწინება, კაფე, რესტორანი და სხვ.

სპეციალიზირებული ჯგუფები (პროფესიული და სხვა ნიშნებით გამორჩეული) ქალაქებს ეცნობიან სპეციალურად დამუშავებული პროგრამის მეშვეობით.

ბოლო წლებში შეინიშნება ტენდენცია დასვენების ინდივიდუალიზაციისკენ. ასეთი მოგზაურობის ძირითადი პარამეტრები დგება დამკვეთის მიერ და შესაბამისად, უნდა მოერგოს მის მოთხოვნებს, ანუ ამ შემთხვევაში, საექსკურსიო მუშაობა მთლიანად დამოკიდებულია დამკვეთის მიერ წამოყენებულ პირობებსა და მოლაპარაკების შედეგად.

ხშირად ექსკურსია წარმოადგენს რაიმე კონკრეტული ღონისძიების ნაწილს, იქნება ეს ტურისტული, საფესტივალო, სპორტული, საკონგრესო და ა. შ. ამ შემთხვევაში მისი ამოცანები განისაზღვრება ვიზიტიორთა შემადგენლობით და შეთავაზებული თემით დაინტერესების ხარისხით. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ ასეთ ვიზიტიორთა შემადგენლობა შეიძლება იყოს საკმაოდ განსხვავებული, აუცილებელია, წინასწარ განისაზღვროს ექსკურსიის ამოცანები, ჩვენების ობიექტი და მარშრუტი. როგორც წესი, ასეთ ჯგუფებში ხვდებიან ადამიანები, რომლებიც ნაკლებად იცნობენ ქალაქს და ზოგადად, ერთმანეთსაც. ამ შემთხვევაში ექსკურსიის

საორგანიზაციო ნაწილი უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და ზუსტად  უნდა სრულდებოდეს. გიდმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ვიზიტიორთათვის მისაწოდებელი ინფორმაცია არ უნდა შეიცავდეს პროფესიულ ნიუანსებს და უნდა ემყარებოდეს ჯგუფის თითოეული წევრისათვის ნაცნობ ისტორიულ, საბუნებისმეტყველო, სახელოვნებო და თუ სხვა სახის გამოცდილებას. ამ ტიპის ექსკურსია უცილობლად უნდა შეიცავდეს ობიექტის თავისუფლად დათვალიერების შესაძლებლობას.

საერთაშორისო კონფერენციის (*პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მუზეუმების პრობლემები და განვითარების პერსპექტივები,* 2015) მონაწილეები ძველ თბილისში

უკანასკნელი წლების კვლევების მიხედვით, ყველა ტურისტულ (სამამულო თუ უცხოურ) ჯგუფში არსებობს მოთხოვნა და აუცილებელიცაა საექსკურსიო პროგრამები შეესაბამებოდეს  კულტურულ და გასართობ-შემეცნებით ღონისძიებებს. ამ თვალსაზრისით, უდავოდ საინტერესო იქნებოდა “ღვინის ტურების” ორგანიზება, რაც შეიძლება მოიცავდეს როგორც ვერბალურ ინფორმაციას (თე-

**ჩურჩხელის ამოვლება.** საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეები ქვევრის ღვინის მუზეუმში (ნაფარეული)

მებზე: საქართველო - მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყანა, იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - ქვევრის ღვინოს დაყენების უძველესი ტექნოლოგია და სხვა), ასევე ქვეყანაში მეღვინეობის განვითარების ამსახველი სამუზეუმო ექსპონატების (საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და სხვა მუზეუმებში დაცული მრავალფეროვანი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული მასალები და სხვა ნიმუშები) ჩვენება და ბოლის ტურის დასასრულს, ღვინის კულტურასთან დაკავშირებული საინტერესო და სახალისო პრაქტიკული აქტივობები (ყურძნის დაწურვის პროცესი, რთველი, ჩურჩხელის ამოვლება და სხვ.).

## 4.4. საექსკურსიო მასალის მიწოდების სპეციფიკა

ექსკურსიის წარმატებით ჩატარებისთვის აუცილებელი პირობაა – გიდის მიერ სიტყვის ხელოვნების ფლობა და მასალის თავისუფლად გადმოცემის უნარი. გიდის თხრობის კულტურას გააჩნია გარკვეული მოთხოვნები: თხრობის ლოგიკური სტრუქტურა, ობიექტებზე, ისტორიულ მოვლენებზე, კონკრეტულ პიროვნებებზე მკაფიო წარმოდგენის შექმნა, თხრობის სიზუსტე და ამა თუ იმ თემაზე სრული სურათის შექმნა, რაც მიიღწევა შედარებების, ციტატების, ეპითეტების, მეტაფორების, ანდაზების ოსტატური გამოყენებით. თხრობა ეკონომიური უნდა იყოს - ექსკურსიამძღოლმა უნდა მისდიოს წინასწარ გულდასმით შემუშავებულ გეგმას, მოიძიოს საჭირო სიტყვები და ზუსტი ფორმულირებები საექსკურსიო ობიექტებისა და მათთან დაკავშირებული მოვლენების ანალიზისათვის.

ყოველივე ამას უძღვის მუზეუმის გიდის მიერ საექსკურსიო ტექსტის შექმნა, რაც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საკითხს, ვინაიდან სწორედ მისი  მეშვეობით აცნობენ მუზეუმები ვიზიტიორებს საკუთარ კოლექციებს და უზიარებენ მათ სივრცეში დაგროვილ გამოცდილებას. ამ თვალსაზრისით უდავოდ საინტერესოა დიდი ბრიტანეთის მუზეუმების ასოციაციის მიერ[46] შემუშავებული სტანდარტი მუზეუმის გიდის ტექსტის შემუშავებისათვის:

- სანამ ტექსტის წერას დაიწყებთ, ჰკითხეთ საკუთარ თავს, ტექსტი ნამდვილად საუკეთესო გზაა ისტორიის მოსაყოლად და ვიზიტიორთან ინტერაქციის პროცესში? ტექსტი მხოლოდ კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა და არა ყოველთვის საუკეთესო. ტექსტის დაწერის შემდეგ ხდება მისი ადაპტაცია, გათავისება, დროთა განმავლობაში შეცვლა და განახლება.
- მუზეუმის ტექსტის წერის დროს უნდა იფიქროთ კულტურულ-სოციალურ-რასობრივ-გენდერულ და თაობათა საკითხებზე.

---

[46] http://www.museumsassociation.org

• ტექსტის დაწერის შემდეგ გაუზიარეთ ხალხს საჯაროდ, რომლებმაც უნდა დააფიქსირონ თქვენი შეცდომები, გითხრან, რომ ტექსტი არ შეესაბამება იმ ისტორიას, რაც უნდა გამოითქვას, სიტყვები შეუსაბამოა, ჟარგონულია; საჭიროა კორექტირება გრამატიკულ და მორფოლოგიურ ასპექტებში.

• ლექსიკონი – დარწმუნდით, რომ ვიზიტიორს ესმის თქვენი მონაყოლი, ამას აუცილებლად შეამჩნევთ მის სახეზე, თვალებზე (განსაკუთრებით ბავშვებთან), თუ ამჩნევთ, რომ არ ესმის მოყოლილი, აუცილებლად დაუსვით კითხვა.

• სანამ ტურს დაიწყებთ, შეგიძლიათ ვიზიტიორებს დაუსვათ შესავალი კითხვა იმ გამოფენის შინაარსიდან გამომდინარე, რაზეც აპირებთ ტურის ჩატარებას, ჰკითხეთ ძალიან ზოგადად, თუ რა იციან მათ ამა თუ იმ საკითხის და ასევე მათი ინტერესის შესახებ. ეს თქვენ დაგეხმარებათ ტურის უფრო ეფექტურად წარმართვაში.

• დაიმახსოვრეთ, თქვენ ხართ ისტორიის მთხრობელი, როდესაც მათ უყვებით, მიეცით თქვენს ემოციას გამოხატვის უფლება. ჩართეთ ისტორიები, რამაც თქვენზე მოახდინა დიდი ემოციური ზეგავლენა, თქვენი ემოცია მსმენელებზეც გადადის და ეს მათთვის ტურის გამოცდილებას ანუ მონაყოლს უფრო დასამახსოვრებელს გახდის და ხელს შეუწყობს ეფექტურ ინტერაქციასაც.

ექსკურსიამძღოლმა გულდასმით უნდა შეარჩიოს ტერმინები, უცხო სიტყვები და სრულყოფილად ფლობდეს თხრობის ტექნიკას: დიქციის გამართულობა, ხმის სწორი წარმოთქმა. ექსკურსიამძღოლმა თავი უნდა აარიდოს მონოტონურ თხრობას, რადგანაც ამა თუ იმ მასალის ემოციური გადმოცემა ხელს უწყობს მონაწილეთა ყურადღების გაზრდას, თემის უფრო ღრმად და სრულად გააზრებას.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება თხრობის სწორად შერჩეულ ტემპს. ექსკურსიამძღოლის თხრობის სიჩქარე დამოკიდებულია ექსკურსიის შინაარსსა (მაგ. ნელა შეიძლება გადმოიცეს დასკვნები, განზოგადებები) და ავტობუსის მოძარობის სისწრაფეზე. ექსკურსიის მიმდინარეობისას შეიძლება სამიზნე ობიექტმა მონაწილეთა

თვალთახედვის არეში წამიერად გაიელვოს, ხოლო ამ დროს ექსკურსიამძღოლმა მთავარი მასალა ტემპის აჩქარებით უნდა გადმოსცეს. თხრობის სიჩქარე ექსკურსიის დროს დაუშვებელია, რადგანაც მონაწილეებს შეიძლება შეექმნათ ექსკურსიამძღოლის მიერ ექსკურსიის თემისადმი გულგრილობის შთაბეჭდილება.

• ექსკურსიამძღოლის ამოცანაა მთელი ექსკურსიის მანძილზე შეინარჩუნოს თხრობის პროცესი. მოკლე პაუზები აუცილებელია ფრაზების, დასკვნების, განზოგადებების ხაზგასასმელად, ხოლო ხანგრძლივი პაუზები დასაშვებია გაკეთდეს საექსკურსიო ობიექტიდან ობიექტზე გადასვლის დროს. ქალაქის ექსკურსიებზე ასეთი პაუზები, როგორც წესი, 1-2 წუთს არ აჭარბებს, ხოლო ქალაქგარეთ – 15-20 წუთს.

• აუდიენციაზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს ექსკურსიამძღოლის თხრობის ინტონაცია, ემოციურობა, რომელიც თხრობას თავისებურ ელფერს სძენს - ვლინდება ექსკურსიამძღოლის დამოკიდებულება მოვლენებისა და ობიექტების მიმართ. ექსკურსიის მიმდინარეობისას თხრობის ტონი უნდა იცვლებოდეს მოვლენებისა და გრძნობების მიხედვით.

• ექსკურსიამძღოლს უნდა ჰქონდეს ამაღლებული სამუშაო განწყობა და ყოველ ჯერზე ხელახლა უნდა განიცდიდეს მოვლენებსა და ფაქტებს ექსკურსიის მიმდინარეობისას. თემის ფლობა, მასალის ემოციური გადმოცემა – ექსკურსიამძღოლის ეს თვისებები მსმენელებისგან საპასუხო რეაქციას იწვევს. ასეთ შემთხვევაში, კონტაქტი უდაოდ გარანტირებულია ყველაზე მოუმზადებელ აუდიტორიასთანაც კი.

• ექსკურსიამძღოლმა ექსკურსიის დასაწყისში უნდა დაამყაროს კონტაქტი ჯგუფებთან, განსაზღვროს მათი ინტერესები, ცოდნის დონე და აქედან გამომდინარე, თემატურად წარმართოს ექსკურსიის თხრობა და დათვალიერება. მაგ. თუ ჯგუფი შედგება ადგილობრივი მოსახლეობისაგან, რომლებიც ყველა ნაგებობას, ძეგლებსა და სხვა ობიექტებს თითქმის ყოველ დღე ხედავენ, ამ შემთხვევაში ექსკურ-

სიამძღოლის ამოცანაა ობიექტების დეტალების ჩვენება და მათთვის ნაკლებადცნობილი ფაქტების მოყოლა.

• ზოგ შემთხვევაში ექსკურსიამძღოლს ევალება დაძაბულობა მოუხსნას მონაწილეებს, რომელიც შეიძლება გაჩნდეს არა ექსკურსიამძღოლის მიზეზით (ავტობუსის დაგვიანება, მიკროფონის გაუმართაობა, ამინდის გაფუჭება და სხვ.). ამ შემთხვევაში, დროული ხუმრობა, ღიმილი, ამაღლებული განწყობა, ხელს შეუწყობს კარგი "ფსიქოლოგიური კლიმატის" შექმნას მთელი ექსკურსიის მანძილზე. თუმცა იუმორი ტაქტიანი და არათავსმოხვეული უნდა იყოს.

• ექსკურსიამძღოლის მისწრაფება – ნებისმიერი ხერხით ექსკურსიის მონაწილეები გაამხიარულოს – მიუთითებს იმაზე, რომ იგი არასათანადოდ და არასერიოზულად უდგება ექსკურსიას, რაც შედეგად ჯგუფებზე კონტროლის დაკარგვას გამოიწვევს.

• ექსკურსიიდან საერთო შთაბეჭდილების მიღება ექსკურსიამძღოლის პიროვნებაში ვლინდება. ექსკურსიამძღოლი უნდა გამოირჩეოდეს, ექსკურსიის მონაწილეთა მიმართ კეთილგანწყობითა და პატივისცემით, სიდინჯით, ფსიქოლოგიური მდგომარეობისადმი ყურადღების მიქცევით, თანაბარზომიერებით და მონაწილეებთან ურთიერთობების შენარჩუნებით. ექსკურსიამძღოლის დროის მართვა ზუსტი უნდა იყოს - იგი ექსკურსიის დაწყებამდე 10-15 წუთით ადრე უნდა მივიდეს დანიშნულ ადგილას. საექსკურსიო ჯგუფებთან ურთიერთობისას არანაკლები მნიშვნელობა აქვს ექსკურსიამძღოლის გარეგნულ იერსახეს – სამოსში, ვარცხნილობაში, სახის გამომეტყველებასა და ჟესტებში შენარჩუნებული უნდა იყოს თავმდაბლობის ნიუანსები.

• ექსკურსიისთვის მნიშვნელოვანია – შინაარსის იდეურობა და დამაჯერებლობა, ჩატარების გამოკვეთილი ემოციური ფორმა, ფართო კულტურული დიაპაზონი – ამ საკითხებზე დამოკიდებულია ექსკურსიამძღოლის ავტორიტეტი, რომელსაც იგი ყოველ ჯერზე ხელახლა იძენს ექსკურსიის პროცესში.

## საექსკურსიო გეგმის ნიმუში

მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ეთნომუსიკოლოგი **ქეთევან ბაიაშვილი**
ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი

**საექსკურსიო გეგმა (ზოგადი)**

1. შესავალი: მუზეუმის თავისებურება და განმასხვავებელი ნიშნები სხვა მუზეუმებთან შედარებით. მუზეუმის სტრუქტურა, დარბაზები.
2. ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიული და არქეოლოგიური საფუძვლები.
3. ქართული ხალხური მუსიკის თავისებურება და ქართველთა იდენტურობის მსაზღვრელი - პოლიფონიურობა და მისი როლი და ადგილი მსოფლიოს მრავალხმიან კულტურათა შორის.
4. საკრავის ადგილი და როლი მსოფლიოს მრავალხმიან კულტურებსა და ჩვენს სამშობლოში. საკრავთა უძველესი და შედარებით ახალი - უტილიტარული, საკრალური და ესთეტიკური ფუნქციები.
5. შებანება - საკრავის უმთავრესი დანიშნულება.

**ქართული დარბაზი, ჩასაბერები**

1. ქართული ხალხური ზღაპარი, როგორც მუსიკალური საკრავის ისტორიული დადასტურება (წიქარა). ისტორიულ-არქეოლოგიური მონაცემები.
2. ჩასაბერი საკრავები: სალამური - მწყემსების ცხოველებთან საკომუნიკაციო საშუალება. მისი ორი სახეობა და მათი რეგლამენტაცია ხალხურ ყოფაში.
3. ლარჭემ-სოინარი - მწყემსებისა და მონადირეების საკრავი, ფრინველთა ბგერების იმიტაცია და პოლიფონიური აზროვნების დადასტურება ამ საკრავის ფორმის დახმარებით.
4. ლითონის საკრავების უარყოფის მიზეზები. ერთი ნიმუში (ბუკი), როგორც სასიგნალო.
5. გუდასტვირის განსხვავებულობა (პოლიფონიური) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გუდასტვირებისგან და დალოცვის ფუნქცია.

1. მრავალხმიანობის კიდევ ერთი დადასტურება - უგუდო სტვირი, ბავშვთა რეპერტუარი.
2. პილილი - ლაზური საკრავის თავისებურებანი. მისი შემონახვის ისტორია და ისტორიულ-სოციალური პირობები.

**დასარტყამი საკრავები**

1. საქართველოში დასარტყამი საკრავის არასაჭიროების სოციალურ-კულტურული პირობები და კულტურული მიგრაციების შედეგები. ქართველთა მიერ უცხო საკრავების ადაპტაციის თავისებურებანი.
2. დოლი - დღეისათვის ქართული ცეკვის აუცილებელი სათანხლებო საშუალება და მისი ისტორიული სამშობლო (აღმოსავლეთი).
3. დიპლიპიტო - ჩვენს მიერ ჩანერილი ლეგენდა და დიპლიპიტოს ეტიმოლოგია.
4. ქალთა საყვარელი საკრავი - დაირა XVII-XIX საუკუნეებში. მისი გავრცელების არეალი, ფუნქცია.

**სიმებიანი საკრავები**

1. ქრისტიანობამდელ საქართველოში ხემიან საკრავთა საკრალური ფუნქცია და სპირიტუალური რიტუალები, რომელთაც XX საუკუნემდე მოაღწიეს.
2. დღეისათვის ყველას მიერ მივიწყებული საკრავი – სანთური და მისი გავრცელების ისტორია საქართველოში.

3. აფხიარცა - სამკურნალო საშუალება.
4. საქართველოში ყველაზე გავრცელებული საკრავი - ფანდური და მისი ტრანსფორმაციები.
5. ჩონგური - თავისებურება მის სიმებში და პოლიფუნქციური საკრავი.

**კლავიშებიან-საბერველიანი საკრავი**

გარმონი - გერმანიასა და საქართველოში ადაპტირებული საკრავი. საკრავის კილოსადმი ქართველთა დამოკიდებულება და რეკონსტრუქციის მიზეზები.

**გასახმოვანებელი და ხმისჩამწერი საშუალებები**

ედისონის ფონოგრაფი და მისი მნიშვნელობა მთელი მსოფლიოსა და საქართველოსათვის. დ. არაყიშვილი, ი. კარგარეთელი და სხვ. ძმები პატეები, გრამაფონი და პატეფონი.

**აზიური დარბაზი**

1. ქალაქური მუსიკის განვითარების გზები, ევროპული და აზიური მუსიკის განვითარების ისტორიული წინამძღვრები და სოციალური პირობები.
2. აღმოსავლური საკრავების სიმებიანთა ჯგუფის გავრცელების ისტორია და მულტიკულტურული თბილისური კულტურა. ქართველთა მიერ ამ საკრავების ადაპტაცია და ჩასაბერთა (ზურნა-დუდუკი) რეპერტუარის საზრდოობა ძველი აღმოსავლური ჰანგით, თბილისელ არისტოკრატთა დამოკიდებულება ამ რეპერტუარის მიმართ.
3. საკრავები: ზარბი, საზი, თარი, ქამანჩა, უდი. მათი დამზადების თავისებურებები და განსხვავებული ესთეტიკა საქართველოში, რაც განპირობებული იყო ბგერის ტემბრის თავისებურებებით.
4. არღანი – სხვადასხვა სოციალური ფენის დამოკიდებულება მუსიკისადმი განსხვავებული დონეები და არღნის როლი დაბალი წრეების ყოფაში. ოსტატთა დაინტერესება და არღნით მუსიკის ფიქსაციის ყველაზე ძველი ნიმუშები, როგორც ევროპულ, ასევე აზიის ქვეყნებში.
5. შოფარი - ებრაელთა საკრალური საკრავი და მისი სემიოტიკა.
6. მოსწავლეთა ჩართულობა - სასიმღერო და საფერხულო პრაქტიკა, ერთი სიმღერის შესწავლა.
7. მოსასმენი მასალა - ყველა საკრავის ტემბრის მოსმენა; განსაზღვრა, თუ საქართველოს რომელ კუთხეს ეკუთვნის ესა თუ ის მელოდია.

**ევროპული დარბაზი**

• ევროპული მექანიკური საკრავების კოლექციის შემკრები არკადი რევაზიშვილი, ჩვენი მუზეუმის ევროპული კოლექციის შექმნის საწყისები.
• მექანიკური საკრავების შექმნის ისტორია და მისი განვითარების გზები (ანტიკური საბერძნეთიდან - რენესანსის ეპოქამდე). მექნიკური საკრავების სოციალური ფუნქცია XVII-XIX საუკუნეებში და ქართველთა მენტალიტეტის ცვლილება.
• საკრავების მოსმენა და საცეკვაო მელოდიების გამოცნობა, შესრულება, ცეკვა.

აღნიშნული გეგმა ნაწილდება ვიზიტიორთა ინტერესების, ასაკის, ინტელექტის გათვალისწინებით. მთავარი აქცენტი გადატანილია მუსიკალური მასალის (აუდიო, ვიდეო) მიწოდებასა და ვიზიტიორთა ჩართულობაზე. ვინაიდან, მუზეუმის უმთავრესი დამთვალიერებელი სკოლის კონტინგენტია, დიდი ყურადღება ეთმობა ასაკობრივ ჯგუფთა შესაძლებლობებს. გარდა ამისა, ყურადღება მახვილდება მოსწავლეთა ორ ჯგუფად გაყოფასა და მათ შორის სახელდახელო ვიქტორინის ჩატარებაზე. ასევე, სკოლებს შორის შეჯიბრებაზე - „ვინ უკეთ იცის ქართული ხალხური მუსიკა," საბავშვო თამაშებზე და სხვ.

## გიდების პროფესიული სტანდარტის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი მოთხოვნები

ახალი ევროპული სტანდარტის (EN 15565, 2008 "Tourism services - requirements for the provision of professional tourist guide training and qualification programmes") მიხედვით, ტურისტული გიდები წარმოადგენენ იმ კონკრეტული ქალაქების, რეგიონებისა და ქვეყნების წარმომადგენლებს, რომელთა შესახებ მათ გააჩნიათ სპეციალური კვალიფიკაცია და რომლებიც ეხმარებიან მოგზაურებს, აღიქვან ამა თუ იმ რეგიონის კულტურა და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება. შესაბამისად, მათ ვალდებულებას წარმოადგენს:

- ადგილობრივი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის პოპულარიზაცია;
- ამ მემკვიდრეობის მნიშვნელობისა და მოწყლვადობის ახსნა-გადაცემა ვიზიტორებისათვის.

## გიდების პროფესიული სტანდარტის მოთხოვნები და რეკომენდაციები:

**კომპეტენტურობა:**

- კონკრეტული ტერიტორიის, ადგილის, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის წარდგენა ინდივიდუალური ვიზიტიორისა და ჯგუფებისათვის;
- კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის, ასევე გარემოს ინტერპრეტაცია ვიზიტიორთათვის;
- ვიზიტიორთა დახმარება გამოცდილების მიღებასა და მათ მიერ მონახულებული ადგილების აღქმაში;
- შესაბამისი სასაუბრო ენის გამოყენება;
- შესაბამისი ინფორმაციის გაცნობა ამომწურავი და კომპლექსური კომუნიკაციის მეშვეობით.

**თეორიული ცოდნა:**

ისტორია და კულტურა; იურდიული და პოლიტიკური სისტემა; რელიგიური და ფილოსოფიური მოძრაობები; ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია; გეოგრაფია და გეოლოგია; პროფესიული ეთიკა.

**პრეზენტაციის ტექნიკა:**

ხმის პროექცია, დიქცია, მიკროფონის გამოყენება, სუნთქვის ტე-

ქნიკა, მზერით კონტაქტი, სხეულის ენა, დგომის მანერა, პერსონალური გარეგნობა და ქცევის მანერები, სტილი და ლექსიკა.

**კომუნიკაციის ტექნიკა:**

ინტერპერსონალური ჩვევები, სელექცია, ინფორმაციის სტრუქტურიზაცია და დაკავშირება, კითხვების ოსტატურად გამოყენების უნარი, სტრესის მენეჯმენტი, დროის მენეჯმენტი.

**ჯგუფის მენეჯმენტი:**

გიდის და ჯგუფის განლაგების პოზიციების შერჩევა, ნეიტრალური მიდგომა და თავაზიანობა, ჯგუფის დინამიკა, კონფლიქტის მენეჯმენტი;

**პრაქტიკული ტრეინინგი**

**ტრენერთა კვალიფიკაცია:**

უნდა მოიცავდეს ტურისტული გიდის ტრეინინგის სქემას, ასევე, როგორც მინიმუმი, აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს ტრეინინგის დროის დაყოფა საათობრივად.

მუზეუმის გიდის/ექსკურსიამძღოლის მოვალეობას წარმოადგენს:

- ექსკურსიების დაგეგმვა და ჩატარება სკოლის მოსწავლეებისა და სხვა  დამთვალიერებლებისთვის მუზეუმის მუდმივ და დროებით ექსპოზიციებში;
- მუზეუმის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და ჩატარება;
- მასწავლებლებთან თანამშრომლობა საგანმანათლებლო მიზნით მუზეუმის კოლექციების გამოყენებისათვის.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- სულ მცირე, უმაღლესი განათლება სამუზეუმო საქმის სფეროში ან პედაგოგიკაში;
- სწავლების, ლექციების წაკითხვის ან სხვა პედაგოგიური მუშაობის გამოცდი¬ლება;
- კომუნიკაციისა და მეტყველების კარგი უნარი;
- მუზეუმის კოლექციის ცოდნა.

**მუზეუმის გიდის საკვალიფიკაციო მოთხოვნები** (ნიმუშები):

**ფილადელფიის მუზეუმი** (აშშ)

მუზეუმის გიდი წარმოადგენს ინფორმაციის ცოცხალ წყაროს,

იგი ატარებს ყოველდღიურ ტურებს კოლექციებსა და სპეციალურ გამოფენებზე. ასეთი ტურები განკუთვნილია მრავალფეროვანი აუდიტორიისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და სკოლის ჯგუფებისათვის. ყოველკვირეულ პროგრამებზე დაშვების მოთხოვნაა ორწლიანი სასწავლო გამოცდილების ქონა.

**აპლიკაციის პროცესი**

აპლიკანტების შეზღუდული რაოდენობა დაიშვება თითოეული ტრეინინგის პერიოდში. გამოცდილება ხელოვნების, ხელოვნების ისტორიისა და საჯარო გამოსვლების საკითხებში სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი. აპლიკაციისა და სამოტივაციო წერილის გარდა, აღმასრულებელი საბჭოს წევრებსა და მუზეუმის გიდებთან გასაუბრება აუცილებელი მოთხოვნაა ყველა აპლიკანტისთვის.

**ტრეინინგი**

მუზეუმის გიდობის კანდიდატები ყოველკვირეულად ესწრებიან ტრეინინგის სესიებს ორი წლის მანძილზე ხელოვნების, ხელოვნების ისტორიის, სამუზეუმო კოლექციებისა და გიდობასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების გამომუშავების საკითხებში. სესიები ტარდება განათლებისა და საკურატორო განყოფილების თანამშრომლებისა და გამოცდილი გიდების მიერ. ტრეინინგის დასრულების შემდეგ კანდიდატები სტაჟიორებად მუშაობენ მუზეუმის გიდებთან ერთი წლის მანძილზე, ესწრებიან მათ ტურებს და ემსახურებიან მუზეუმის საინფორმაციო სამსახურს.

**კვალიფიკაცია**

- საუკეთესო კომუნიკაციური უნარები;
- მუშაობაში ცვლილებების ადაპტირების უნარი აუდიტორიისათვის საუკეთესო სერვისის უზრუნველსაყოფად;
- დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების უნარი
- დინამიურ გარემოში მუშაობის უნარი ყველა ასაკისა და შესაძლებლობების მქონე ვიზიტიორთან, მუზეუმის თანამშრომელსა და სხვადასხვა ეროვნების ვიზიტიორებთან
- კარგი მომზადება, საიმედოობა და პუნქტუალურობა.

**მოთხოვნები**

- ყოველწლიურად მინიმალური საათების ფარგლებში მომსახურება ტურების ჩატარებისა და საინფორმაციო სერვისის გათვალისწინებით
- ყოველწლიურად საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა

**ძირითადი კომპიუტერული უნარ-ჩვევები**

- მოქმედი ელ-ფოსტა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა
- ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმის წევრად გახდომა
- საგამოცდო პერიოდის წარმატებით დასრულება.

**ფიზიკურიმოთხოვნები**

- ერთსაათიანი ტურის ჩატარება და დიდი შენობის მრავალ სართულებზე ნავიგაციის უნარი
- ერთსაათიანი ტურის ჩატარება ჩანაწერების გარეშე.

**კოლორადოს უნივერსიტეტის ბუნების ისტორიის მუზეუმი** University of Colorado Museum of Natural History

**მუზეუმის გიდის სამუშაოს აღწერილობა**

მუზეუმის გიდი - კრეატიული, მდიდარი წარმოსახვის მქონე, ენთუზიაზმით სავსე ადამიანია, რომელიც ინტერპრეტაციულ სერვისს უწევს მუზეუმის ვიზიტიორს ტურის და ვორქშოფების, ასევე სპეციალური ღონისძიებების, როგორიცაა საოჯახო პროგრამები, გამოფენის გახსნები, მოზრდილთა აქტივობები და მუზეუმის ხელშემწყობი პროგრამების მეშვეობით. ყველა აქტივობა დაკავშირებულია მუზეუმის მისიასა და კოლექციებთან. კოლორადოს მუზეუმში დაცულია ბუნების ისტორიის უდიდესი კოლექცია ანთროპოლოგიის, ბოტანიკის, დიატომის, ენტომოლოგიის, პალეონტოლოგიისა და ზოოლოგიის ოთხ მილიონზე მეტი ექსპონატით.

**რას გთავაზობთ მუზეუმი:**

- შესაძლებლობას, რომ ისწავლოთ ბუნების, მეცნიერების და ანთროპოლოგიის ისტორია;
- შესაძლებლობას, რომ გამოიმუშავოთ ყველა ასაკისა და ინტერესის ადამიანებთან მუშაობის ჩვევები;
- შანსს, რომ გააუმჯობესოთ საჯარო საუბრის უნარები;
- შემთხვევას, რომ იმუშაოთ მოტივირებულ ჯგუფში;
- მოხალისეთა ღონისძიებების შეფასების, კულისებს მიღმა ტურებსა და საველე გასვლებში მონაწილეობის შესაძლებლობებს;
- შანსს, რომ გახდეთ მნიშვნელოვანნი!

**მუზეუმის მოთხოვნები:**

• ინფორმაციულ და სახალისო დოცენტ-ტრეინინგის კლასებში დასწრება;

• ათვისებული უნარ-ჩვევების გამოყენება საჯარო პრეზენტაციებსა და პროგრამებში;

• თქვენი ვალდებულებებისთვის დროის სწორად გამოყენება;

• იყოთ მოქნილები.

**როგორ უნდა გახდე მუზეუმის დოცენტი**

დოცენტი არის გიდი ან ლექტორი მუზეუმში, გალერეაში ან ზოოპარკში. მუზეუმში დოცენტები ძირითადად ასწავლიან და ატარებენ ტურებს ბავშვებისა და უფროსებისთვის. აუცილებელი არაა იყო ისტორიკოსი, მაგრამ სწავლებისა და საჯარო საუბრის გამოცდილება დაგეხმარებათ მუზეუმის გიდის პოზიციის მისაღებად. დოცენტის სამუშაო ჩვეულებრივ მოხალისეობრივ დონეზე ტარდება, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბიოგრაფიის გამდიდრებაში. ამ პოზიციის მეშვეობით ჩანს თქვენი უნარი საჯარო ლექციაში, კვლევასა  და მეხსიერებაში. აგრეთვე შეიძლება დაგეხმაროთ მომავალში მუზეუმის შტატიანი პოზიციის მოპოვებაში.

1. განსაზღვრეთ იმ მუზეუმის ტიპი, სადაც გსურთ ტურების ჩატარება. ხელოვნების მუზეუმი, მეცნიერების თუ ბუნების ისტორიის მუზეუმი? რამდენადაც დოცენტის პოზიცია მოხალისეობრივია, თქვენ შეიძლება მანამდე დაინტერესდეთ საკითხით, სანამ განაცხადს გააკეთებთ ამა თუ იმ პოზიციაზე.

2. გადახედეთ ადგილობრივ მუზეუმებს თქვენი არჩევანის მიხედვით

3. დარეკეთ ან ელექტრონული მოთხოვნა გააკეთეთ მუზეუმის დოცენტის პროგრამაში მონაწილეობისთვის. ბევრ დიდ მუზეუმს ჰყავს მოხალისეების კოორდინატორი, რომელიც გაგარკვევთ დეტალებსა და გასაუბრების საკითხებში.

4. ჩაატარეთ კვლევა მუზეუმის მუდმივმოქმედი ექსპოზიციის თემებზე.

5. გაიარეთ ინტერვიუ თქვენთვის სასურველ მუზეუმში დოცენტის პოზიციაზე.

6. გაიარეთ ტური მუზეუმის დოცენტთან ერთად, ეს დაგეხმარებათ უკეთ გაიაზროთ იმის არსი, თუ რას მოგთხოვენ თქვენ.

7. შეისწავლეთ ის ექსპონატები, რომელზეც ტურის ჩატარება მოგიწევთ. თუ ტრეინინგის სესიებია გამოცხადებული, დოცენტის ბევრი პროგრამა მოთხოვს აღნიშნული სესიებში მონაწილეობას.

• დაიმახსოვრეთ მნიშვნელოვანი თარიღები და ინფორმაცია პრაქტიკული ტურის პერიოდში.

• გვერდში იყოლიეთ მეგობარი, რომელიც დაგისვამთ კითხვებს ამ ექსპონატებზე, ამგვარად, მასალას უფრო ეფექტურად აითვისებთ.

• შეისწავლეთ მუზეუმის პოლიტიკა. ბევრი მუზეუმი საკვების შეტანის ან ბევრი ექსპონატის გადაღების უფლებას არ იძლევა. თქვენ მოგეთხოვებათ, რომ მუზეუმის შინაგანაწესი კარგად გქონეთ ათვისებული.

8. საცდელი ტური ჩაატარეთ თქვენს უფროსთან ერთად. შეიძლება შენიშვნებიც მიიღოთ, მაგრამ ამის გამო არ უნდა დაღონდეთ. თუ გაივლით ამ ტესტს, შემდეგ დაგეგმეთ თქვენი პირველი ტური მუზეუმში.

9. ჩაატარეთ პირველი ტური.

• იყავით ინტერაქციაში თქვენს ჯგუფთან და იგრძენით თავი კომფორტულად. კონცენტრირება მოახდინეთ მხედველობით კონტაქტზე. არ ილაპარაკოთ ჩქარა და გააკეთეთ პაუზები წინადადებებს შორის.

• მუზეუმში ტურის პერიოდში იმოძრავეთ ნელა, გააკეთეთ შეყოვნებები, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველა მოგყვებათ. არასოდეს წაუძღვეთ ჯგუფს წინ, რადგან უკანა რიგებში მყოფ ხალხს შეიძლება თქვენი მოსმენა გაუჭირდეს.

• ტურის დასრულებისას შეგიძლიათ ჰკითხოთ თქვენს ჯგუფს, თუ რაიმე კითხვები გაუჩნდათ განხილული საკითხების გარშემო.

10. დაგეგმეთ რეგულარული ტურები მუზეუმში. შეიძლება ყოველ კვირას განსაკუთრებულ პერიოდებშიც არაგეგმიურად მოგიწიოთ ტურების ჩატარება.

**საკონკურსო განაცხადები** (ნიმუში):

საქართველოს ეროვნული მუზეუმი აცხადებს კონკურსს ინგლისურენოვანი გიდის პოზიციაზე კანდიდატურის შერჩევისათვის.

**ძირითადი მოვალეობა:**

საგანმანათლებლო დეპარტამენტის ხელმძღვანელობით საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუდმივ და დროებით ექსპოზიციებზე ექსკურსიების გაძღოლა.

**მოთხოვნები:**

- ინგლისური და ქართული ენების კარგი ცოდნა (სავალდებულოა);
- უმაღლესი განათლება ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის ან სხვა ჰუმანიტარული დისციპლინის განხრით (სასურველია);
- კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის ცოდნა.

**უნარები და პიროვნული მახასიათებლები:**

- გამართული მეტყველება და ვერბალური კომუნიკაციის უნარი;
- კომუნიკაბელურობა;
- დისციპლინისა და პასუხისმგებლობის გრძნობა;
- პრეზენტაციის ჩატარების უნარი;
- ლოგიკური აზროვნების უნარი;
- გუნდურად მუშაობის უნარი;
- პუნქტუალურობა.

**დამატებითი მოთხოვნები:**

- გიდის პოზიციაზე სამუშაო გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- სხვა უცხო ენების ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.

## სსიპ-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

**საკონკურსო განცხადება**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო აცხადებს კონკურსს და მასში მონაწილეობის მისაღებად იწვევს დაინტერესებულ პირებს:

**თანამდებობის დასახელება:**

ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში (ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარძია):

- ექსკურსიამძღოლი

**სამუშაოს აღწერა:**

- ვიზიტიორთათვის მუზეუმში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებსა და ძეგლებზე შესაბამისი ინფორმაციის სხარტად, ლაკონურად და ამომწურავად მიწოდება.
- საექსკურსიო მომსახურების იმგვარად წარმართვა, რომ მუზეუმის

ტერიტორიაზე ვიზიტიორთა ყოფნა იყოს საინტერესო, სახალისო და შემეცნებითი.

• კარგად უნდა იცნობდეს მუზეუმისა და მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებს, სამუზეუმო ექსპონატებს, ვიზიტორთა მარშრუტებს და სხვ;

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

• განათლება: უმაღლესი აკადემიური;

• აუცილებელია უცხო ენის (ინგლისურის და/ან რუსულის) სრულყოფილად ცოდნა;

• სამუშაო გამოცდილება: კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობის, მათ შორის პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება, ასევე სასურველია ვიზიტიორთა ჯგუფებთან მუშაობის გამოცდილება;

• სასურველი ასაკი: 21 წლიდან 65 წლამდე;

**პერსონალური უნარები:**

• ორგანიზებულობა, მაღალი პასუხისმგებლობა;

• კომუნიკაბელურობა, გამართული მეტყველება;

• მოწესრიგებული და პუნქტუალური;

• გუნდური და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.

**დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

• მუზეუმის და/ან მის სამოქმედო არეალში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მომზადებული საექსკურსიო ტექსტი (პრეზენტაცია).

# სამუზეუმო და საექსკურსიო ტერმინების მოკლე ლექსიკონი

**აბსტრაქციონიზმი** (ინგლ. Abstractionism) – მიმდინარეობა სახვით ხელოვნებაში, რომელიც მიზნად ისახავს "რეალობისაგან განწმენდილი" სულიერი არსის, სუბიექტური ემოციისა და ქვეცნობიერი იმპულსების გამოხატვას მხატვრული ფორმის განყენებული ელემენტების (ფერი, ხაზი, მოცულობა) მეშვეობით.

**ავანგარდიზმი** (ფრ. Avant-garde, მეწინავე რაზმი) – განზოგადებული, კრებითი სახელწოდება XIX–XX სს. მიჯნაზე ევროპულ კულტურაში აღმოცენებული ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობებისა, რომლებიც ახალ, განსხვავებულ, ექსპერიმენტულ ფორმებსა და იდეებს ამკვიდრებდნენ.

**ალეგორია** (ბერძნ. სიტყვიდან Allegoria – იგავი, ქარაგმა) რაიმე განზოგადებული იდეის გამოხატვა კონკრეტულ მხატვრულ სახეში.

**ანალიზი** (ბერძნ. სიტყვიდან Analysis – დაშლა, დანაწევრება; ინგლ. Analyse) – მეცნიერული კვლევის მეთოდი, რომელიც დამყარებულია რაიმე მთლიანი საგნის მის შემადგენელ ნაწილებად ფაქტობრივ ან წარმოსახვით დაშლაზე; განხილვა.

**ანთროპოლოგიური** მუზეუმი (ინგლ. Museum of Anthropology) - მუზეუმი, რომლის ინტერესს წარმოადგენს კაცობრიობისა და ცივილიზაციების განვითარების ისტორია და მოიცავს ენის, რელიგიის, მატერიალური მასალისა და სოციალური სტრუქტურების კვლევას.

**ანტიკვარული ნივთი** (ინგლ. Antique object) – ასი და მეტი წლის წინათ შექმნილი კულტუროლოგიური თვალსაზრისით ღირებული საგანი.

**ანტიკური** (ბერძნ. სიტყვიდან antiquus - უძველესი) – ძველი ბერძნული და რომაული ხელოვნება, კულტურა და სხვ.

**არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა** (ინგლ. Intangible Cultural Heritage) - საზოგადოების, ცალკეული ჯგუფებისა და რიგ შემთხვევაში, კერძო პირთა მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აღიარებული ადათ-წესები, რიტუალები, ზეპირი გადმოცემები, ტრადიციული მუსიკა, ცეკვა, ხალხური რეწვა, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები.

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - აიპ მუზეუმი** (ინგლ. Non-commercial/non-profit legal Entity - NNLE) - საქართველოს მთავრობის კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით

შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც ზემდგომი ორგანოს (მაგ., მუნიციპალიტეტის ან ადგილობრივი კულტურის სამსახურის) კონტროლით ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას.

**არტეფაქტი** (ინგლ. Artifact/Artefact) - კულტურის ნებისმიერი მატერიალური სივრცობრივი საგანი, რომელიც სახეცვლილია ადამიანის მიერ.

**არტ-თერაპია** (ინგლ. Art-therapy) – 1. ხელოვნების გამოყენება ფსიქოთერაპევტული მიზნით. 2. ფსიქოლოგიური მუშაობის მეთოდი, რომელიც ხელოვნებას იყენებს დადებითი ცვლილებების მისაღწევად უნარშეზღუდულ პირთა შესაძლებლობების გამოვლენაში.

**არქაიკა** (ბერძნ. სიტყვიდან archaikos - უძველესი) – 1. ანტიკური პერიოდის განზოგადებული თვისებები. 2. ხელოვნების ისტორიის ადრეული პერიოდი (ძველბერძნული ან ძველეგვიპტური).

**არქეოლოგია** (ინგლ. Archaeology) – მეცნიერება, რომელიც ისტორიას შეისწავლის განათხარ მატერიალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

**არქეოლოგიური დაზვერვა** (ინგლ. Archaelogical reconnaissance) - ძეგლის არსებობის, მისი სტრატიგრაფიისა და ქრონოლოგიის განსაზღვრა ვიზუალურად ან სასინჯი თხრილებით.

**არქეოლოგიური გათხრები** (ინგლ. Archaelogical excavation) — არქეოლოგიური ძეგლის გამოვლენის მიზნით ჩატარებული მიწის ან წყალქვეშა სამუშაოები, რომელთა მიზანია მატერიალური ნაშთების მოკვლევა, გათხრა, ლაბორატორიებსა და საცავებში გადატანა, რესტავრაცია-კონსერვაცია, მეცნიერული შესწავლა და პუბლიკაცია.

**არქეოლოგიური ზონა** (ინგლ. Archaelogical zone) - არქეოლოგიური დაზვერვის ან გათხრების შედეგად დასაბუთებულად განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც შეიცავს მოძრავი ან უძრავი ძეგლის ნაშთებს, ან რომლის ფარგლებში მოსალოდნელია ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების აღმოჩენა.

**არქეოლოგიური მუზეუმი** (ინგლ. Archaelogical museum) – ისტორიული პროფილის მუზეუმის დამოუკიდებელი სახე, რომელშიც დაცულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მატერიალური კულტურის ძეგლები უძველესი დროიდან შუასაუკუნეების ჩათვლით.

**არქიტექტურა** (ბერძნ. სიტყვიდან architektōn – ხუროთმოძღვარი, მშენებელი) – 1. ადამიანის მხატვრულ-პრაქტიკული საქმიანობის სფერო, რომლის მიზანია ნაგებობის ან კომპლექსის პროექტირება და აგება. 2. კონკრეტული ნაგებობა ან ნაგებობის კომპლექსი.

**არქიტექტურული მუზეუმი** (ინგლ. Architectural museum) – მუზეუმის ტიპი, რომელიც იცავს და პოპულარიზაციას უწევს არქიტექტურის ისტორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებულ მასალებს.

**ასლი** - (ლათ. სიტყვიდან copia – სიმრავლე, სიჭარბე; ინგლ. Copy) – ორიგინალის ზუსტი განმეორება, წარმოება.

**ასოციაცია** (ინგლ. Association) – აღსაქმელი ობიექტის ან მოვლენის კავშირი ადამიანის ცნობიერ წარმოდგენებთან.

**ატრიბუცია** (ლათ. attributio – მიწერა, მიკუთვნება. ინგლ. Atribution) – სამუზეუმო ნივთისათვის დამახასიათებელი ყველა თავისებურების (დასახელება, მასალა, ზომები, დამზადების ტექნიკა, ავტორობა, ქრონოლოგიური და გეოგრაფიული კუთვნილება), აგრეთვე ისტორიულ მოვლენებსა და ესთეტიკურ გარემოსთან მისი კავშირის გამოვლენა, მასზე დატანილი წარწერების გაშიფვრა, დაცულობის ხარისხის განსაზღვრა და დაზიანების აღწერა.

**აუდიტორია** (ინგლ. Auditorium) – 1. სალექციო სივრცე. 2. ლექციის, მოხსენების, ექსკურსიის და ა. შ. მსმენელები. მუზეუმის აუდიტორია – ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მიუხედავად ასაკისა, განათლების დონისა, პროფესიისა და საცხოვრებელი ადგილისა, გაერთიანებულია მუზეუმის კოლექციის შემეცნებისადმი ინტერესით.

**აუდიო-ვიზუალური** (ინგლ. Audio-visual) – მოქმედება ხმის ან გამოსახულების მეშვეობით.

**აუდიოგიდი** (ინგლ. Audio-guide) - მუზეუმის ვიზიტიორისათვის განსხვავებული შინაარსის აუდიო-ინფორმაციის მიწოდება ექსპოზიციის ყველა ან ძირითადი ექსპონატის შესახებ.

**აქსიოლოგია** (ბერძნ. სიტყვიდან axios – ღირებულება და logos – სიტყვა, აღქმა) - საყოველთაოდ აღიარებული მნიშვნელოვანი პრინციპების ფილოსოფიური თეორია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მოღვაწეობის მიმართულებას და ქცევების მოტივაციას.

**აუქციონი** (ლათ. სიტყვიდან auctio, ინგლ. Auction) - 1. ადამიანის სოციოკულტურული მოღვაწეობის პროდუქტისა (ხელოვნების ნაწარმოები, ანტიკვარიატი, მემორიალური ნივთები, დოკუმენტები და სხვ.) და ბუნების ობიექტების საჯარო გაყიდვა. 2. მუზეუმის ფონდებისა და კერძო კოლექციების დაკომპლექტების ერთ-ერთი ფორმა.

**აღქმა** (ინგლ. Perception) – 1. კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესი, რომლის დრო-

საც ფსიქიკაში მიმდინარეობს გარემომცველი სინამდვილის, რეალობის ასახვა; საგნის ან მისი ცალკეული თვისების უშუალო განცდა.

**ბიბლიოგრაფია** - (ბერძნ. სიტყვიდან biblion – წიგნი და graphó – ვწერ, ინგლ. Bibliograhy) – 1. ბეჭდვითი ნაწარმოების მეცნიერული აღწერა, მათი საძიებლებისა და სხვა ინფორმაციის შედგენა. 2. ამა თუ იმ თემაზე არსებული წიგნებისა და სტატიების ჩამონათვალი.

**ბინა-მუზეუმი** (ინგლ. Memorial House) – მემორიალური მუზეუმი, მიძღვნილი ისტორიის, მეცნიერების, კულტურისა და სხვა გამოჩენილი მოღვაწისადმი.

**ბლოკბასტერი** (ინგლ. Blockbuster) - ტერმინი წარმოქმნილია II მსოფლიო ომის დროს გამოყენებული პოპულარული სახელიდან. მუზეუმში ამ ტერმინით აღნიშნავენ ნოვაციურ, მასშტაბურ გამოფენას, რომელმაც შეიძლება ასობით ათასი მნახველი მოიზიდოს.

**ბუნების ძეგლები** (ინგლ. Natural monuments) – ბუნების მოძრავი და უძრავი ძეგლები, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო-შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

**ბუფერი** (ინგლ. Buffer) – ორ სხვადასხვა მასალას (მაგალითად, ფერწერულ ტილოებს) შორის მათი ურთიერთქმედების შემცირებისათვის განთავსებული მასალა ან მექანიზმი.

**გალერეა** (ინგლ. Gallery) – სპეციალური სივრცე სხვადასხვა ტიპის გამოფენებისთვის.

**გალერეის მეგზური** (ინგლ. Gallery guides) - დამთვალიერებლისთვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო მასალა (ჩვეულებრივ, ბუკლეტის სახით) გამოფენებზე.

**გამოფენა** (ინგლ. Exhibition) – 1. კოლექციების, ნივთების ან სხვა საინფორმაციო მასალების გამოფენის აქტი ან ფაქტი საზოგადოების განათლების, შემეცნებისა და სიამოვნების მინიჭების მიზნით. 2. გამოფენა (ინგლ. Display) - ნივთების ან სხვა მასალების პრეზენტაცია, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ სახასიათო მაჩვენებლებზე, სპეციალური მომზადების ან განმარტების გარეშე (გამოფენის აღსანიშნად ეს სიტყვა გამოიყენება დიდ ბრიტანეთსა და ევროპაში).

**გამოფენის პოლიტიკა** (ინგლ. Exhibition Policy) – ტექსტუალური მასალა, რომელშიც ჩამოყალიბებულია მუზეუმის ამა თუ იმ გამოფენის ფილოსოფია და მიზანი.

**გამოყენებითი გამოფენები** (ინგლ. Utility exhibition) - ექსპონირების ასეთი ხერ-

ხი მნახველს საშუალებას აძლევს, მიიღოს სამუზეუმო ობიექტთან უშუალო ურთიერთობის გამოცდილება ყველა ექსპონატთან ხელით შეხებით (დუბლიკატების, მეორეხარისხოვანი ეგზემპლარებისა ან ასლების მეშვეობით).

**განათლების სპეციალისტი** (ინგლ. Educator) – მუზეუმის თანამშრომელი ან კონსულტანტი მუზეუმის განათლების სფეროში, რომელიც ქმნის სასწავლო, საგანმანათლებლო შინაარსის პროგრამებს გამოფენებისათვის და ზედამხედველობს მათ შესრულებას.

**გიდი/ექსკუსიამძღოლი** (ინგლ. Guide) – პირი, რომელიც მუზეუმის ვიზიტიორს უწევს საექსკურსიო მომსახურებას მუზეუმში წარმოდგენილ აუთენტურ ექსპონატთა შესახებ კომპლექსური (ვიზუალური, ვერბალური, ემოციური) ცოდნისა და შთაბეჭდილებების მისაღებად.

**გიდი/დოცენტი** (ინგლ. Docent) - სიტყვა წარმოქმნილია არარეგულარული მასწავლებლის ბერძნული მნიშვნელობიდან. სამუზეუმო საზოგადოებაში: მუზეუმის პროგრამების ან ტურების ხელმძღვანელი, რომელიც ამზადებს საინფორმაციო ლექციებს მიმდინარე ექსპოზიციების თაობაზე.

**გიდ-თარჯიმანის მომსახურება** (ინგლ. Guide service) – პროფესიულად მომზადებული ფიზიკური პირის საქმიანობა ტურისტული, ისტორიული, არქიტექტურული, კულტურული და სხვა ღირებულებების გაცნობის მიზნით.

**გიდის "პორტფოლიო"** (ინგლ. Guide portfolio) – თვალსაჩინოებათა იმ კომპლექტის (ფოტოგრაფია, დოკუმენტების ასლი, გეოგრაფიული რუქები, სქემები, მხატვრულ ნაწარმოებთა რეპროდუქციები და სხვ.) პირობითი სახელწოდება, რაც გამოიყენება ექსკურსიის მსვლელობის პროცესში.

**გრაფიკა** (ინგლ. graphics) - ორგანზომილებიანი სურათი (გრავიურა, ნახატი და ა.შ.) გამოიყენება ინფორმაციის გადმოსაცემად ან ილუსტრირებისათვის.

**დაკომპლექტება** (ინგლ. acquisition)–მუზეუმში კოლექციების შევსება და შედგენა.

**დამატებითი სამუზეუმო მომსახურება** (ინგლ. Additional Museum Service) – მუზეუმის თანამშრომელთა მიერ ვიზიტიორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გაწეული ყველანაირი სხვა მომსახურება, რაც მოითხოვს დამატებით ძალისხმევას: დაშვება სამუზეუმო კოლექციებთან, სამეცნიერო კონსულტაცია, საცნობარო ინფორმაცია მას-მედიის საშუალებებისათვის, ხელოვნებათმცოდნეობითი და საექსპერტო შეფასება, სარესტავრაციო სამუშაოები, აუქციონების ორგანიზება, შემოქმედებითი საღამოები და პრეზენტაციები, არენდა და სხვ.

**დაცულობის კარტოთეკა** (ინგლ. Safety index) – დოკუმენტი, რომელშიც ფიქ-

სირდება ნივთის მდგომარეობა მუზეუმში მისი მიღების მომენტსა და შემდგომ პერიოდში.

**დაცვის თანამშრომელი** (ინგლ. Security personnel) – მუზეუმის თანამშრომელი, რომლებიც მუზეუმის ექსპონატების დაცვასთან ერთად, პასუხს აგებს მუზეუმის ვიზიტიორთა დაცვაზეც.

**დედანი** (ინგლ. Original) – ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები (სახვით ხელოვნებაში).

**დეზინფექცია** (ინგლ. Fumigation) – სპეციფიკური, ძლიერ ტოქსიკურ ქიმიურ ნივთიერებებათა გამოყენება ექსპონატების შენახვის ადგილზე, სხვადასხვა მავნე ორგანიზმების მოსასპობად.

**დეტალური პროექტირება** (ინგლ. Detailed projecting) – მუზეუმის გამოფენის თითოეული კომპონენტის დამუშავება დეტალურად.

**დიალოგი** (ბერძნ. Diálogos, ინგლ. Dialogue) – 1. ორ ან რამდენიმე პიროვნებას შორის საუბარი. 2. ლიტერატურული ნაწარმოების ნაწილი საუბრის სახით, ან დიალოგის სახით დაწერილი ლიტერატურული ნაწარმოები. 3. სამუზეუმო პედაგოგიკის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი.

**დიზაინერი** (ინგლ. Designer) – მუზეუმის თანამშრომელი ან კონსულტანტი, რომელიც გეგმავს გამოფენას, ქმნის სამუშაო ნახაზებს და ასრულებს კონსტრუირებისა და ინსტალაციის სამუშაოებს.

**დიორამა** (ინგლ. Diorama) - ექსპონირების ნიმუში, რომელიც ემყარება უკანა პლანზე ხელოვნების ნაწარმოების და წინა პლანზე მოცულობითი ფორმების (მაკეტები, ადამიანთა გამოსახულებები და ა. შ.) განთავსების შერწყმას.

**დირექტორი** (ინგლ. Director) – მუზეუმის ხელმძღვანელი და კონცეფტუალური ლიდერი, რომელსაც აკისრია პასუხისმგებლობა მუზეუმის პოლიტიკის შემუშავებაზე, დაფინანსებაზე, დაგეგმვაზე, ორგანიზებაზე, მუზეუმის პერსონალის დაკომპლექტებაზე, მეთვალყურეობაზე და საქმიანობების კოორდინაციაზე.

**დისკურსი** (ლათ. Discourse - აქეთ-იქით სირბილი, საუბარი. ინგლ. Discourse) – რაიმე კონკრეტული საგნის გარშემო ცოდნის კონსტრუირება ან ამ საგანზე მსჯელობის გზები.

**დროებითი გამოფენა** (ინგლ. Temporary exhibition) – სამუზეუმო ექსპონატების მოკლე ვადით ექსპონირება როგორც საკუთარი ფონდებიდან, ასევე სხვა მუზეუმებიდან, ასევე სხვა ქვეყნებიდ და კერძო პირთა კოლექციიდან.

**დუბლიკატი** (ინგლ. Dublicate) – რომელიმე სამუზეუმო ობიექტის განმეორება, ასლის შექმნა მნახველსა და ობიექტს შორის უშუალო ურთიერთობის დასამყარებლად.

**ევროპის მუზეუმების ფორუმი** (European Museum Forum - EMF) – დაარსდა 1977 წელს, მუშაობს ევროპის საბჭოს ეგიდით და წარმოადგენს ლიდერ ორგანიზაციას ევროპის მუზეუმების საზოგადოებრივი ხარისხის ამაღლების მიმართულებით. ფორუმისა და ევროპის საბჭოს მიერ დაწესებული ევროპის წლის მუზეუმის ჯილდო (EMYA) გადაეცემა მუზეუმს, რომელიც წარმატებულია აუდიტორიის მოზიდვისა და ვიზიტიორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხებში თავისი უნიკალური ატმოსფეროთი, ინტერპრეტაციითა და პრეზენტაციით, განათლებისა და სოციალური პასუხისმგებლობისადმი შემოქმედებითი მიდგომით.

**ევროპის მუზეუმების ქსელი** (NEMO) – დამოუკიდებელი სამუზეუმო ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს რეპრეზენტაციას და ინფორმაციის გავრცელებას სამუზეუმო საზოგადოებისათვის. აერთიანებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამუზეუმო ორგანიზაციებს.

**ეთიკა** (ბერძნ. სიტყვიდან éthos – ჩვეულება, ინგლ. Ethics) – 1. ფილოსოფიური სწავლება მორალზე, მის პრინციპებზე, ნორმებსა და როლზე საზოგადოებაში. 2. ქცევის ნორმების ერთობლიობა, რაიმე საზოგადოებრივი ან პროფესიული ჯგუფის მორალი. 3. მუზეუმში სწორად მოქცევის დადგენილი წესები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქმედების მეგზურად ინდივიდუალური პირებისა თუ ჯგუფებისათვის.

**ეთნიკური** (ინგლ. Ethnic) – სამუზეუმო საზოგადოებაში გამოიყენება როგორც არადიფერენცირებული ტერმინი ადამიანთა იმ ჯგუფის მიმართ, რომელიც განსხვავებულია ენით, ადათით ან რაიმე სხვა მახასიათებლით.

**ეთნოგრაფია** (ბერძნ. სიტყვიდან ethnos – ხალხი და graphó – ვწერ. ინგლ. Ethnography), სხვაგვარად ეთნოლოგია. 1. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მსოფლიოს ხალხთა შემადგენლობას, წარმომავლობას, დასახლებას, და კულტურულ-ისტორიულ ურთიერთკავშირს, მათ მატერიალურ და სულიერ კულტურას. 2. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის რომელიმე ხალხის ყოფის, ხასიათის, კულტურის ერთობლიობას.

**ეთნიკური ერთობა** (ინგლ. Ethnicity) - ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა მყარი სოციალური ჯგუფები: ერები, ტომები და სხვ., რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ტერიტორიის, ენისა და კულტურის ერთობით, წარმოშობით და ტრადიციებით.

**ეთნოსი** (ბერძ. ethnos, ხალხი, ტომი) - იგივეა, რაც ეთნიკური ერთობა.

**ეკლექტიკა** (ბერძნ. εκλεκτός – შერჩევა, არჩევა; ინგლ. Eclectic) – 1. ერთ მხატვრულ სახეში სხვადასხვა სტილის, განსხვავებული კომპოზიციური ხერხებისა და ელემენტების აღრევა; 2. შინაგანად დაპირისპირებული სხვადასხვა მეთოდისა და თვალსაზრისის არაორგანული, გარეგნული შეერთება.

**ეკომუზეუმი** (ინგლ. Ecomuseum) – ე. წ. სოციალურ-ბუნებრივი მუზეუმის ინოვაციური ტიპი, რომელიც მიმართულია ადგილობრივი თემის განსახლების ტრადიციულ გარემოში მდგრადი განვითარებისა და საკუთარი მემკვიდრეობის შენარჩუნებით საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვისაკენ. ეკომუზეუმის კონცეფციის საფუძველს წარმოადგენს არა ცალკეული ექსპონატების, არამედ ბუნებრივი და ანთროპოგენული (ეთნოკულტურული და ისტორიული ლანდშაფტები მოქმედი დასახლების სისტემით) გარემოს პრეზენტაცია.

**ეროვნული სამუზეუმო პოლიტიკა** (ინგლ. National Museum Policy) – სამუზეუმო საქმის განვითარების სფეროში სახელმწიფოსა და საზოგდოებრივი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებების, სტრატეგიებისა და პრინციპების ერთობლიობა.

**ესთეტიკა** (ბერძნ. aisthētikos – შეგრძნება, გრძნობა. ინგლ. Aesthetics) - 1. ფილოსოფიური სწავლება მშვენიერის არსსა და ფორმებზე ხელოვნებაში, ბუნებასა და ცხოვრებაში. 2. შეხედულებათა სისტემა ხელოვნებაზე.

**ესთეტიკური აღქმა** (ინგლ. aesthetic perception) – ესთეტიკური საქმიანობის სახეობა, რომელიც გამოიხატება ცხოვრებისა და ხელოვნების, მშვენიერების მიზანმიმართულ და მთლიან აღქმაში, რასაც თან ახლავს ესთეტიკური განცდები.

**ეტიკეტი** (ინგლ. Label) – მოკლე წარწერა მუზეუმის თითოეული საგამოფენო ექსპონატისა და სტენდის ქვეშ.

**ეფექტური/ემოციური სწავლება** (ინგლ. Affective learning) - სამუზეუმო პედაგოგიკაში დამკვიდრებული სწავლების ფორმა, რომელიც დაფუძნებულია მნახველის ემოციური რეაქციების სტიმულირებაზე.

**ექსპოზიციის კონცეფცია** (ინგლ. Expositiob Conception) – ექსპოზიციის პროექტირების პირველი ეტაპი, რომლის დროსაც ყალიბდება ექსპოზიციის თემა და ძირითადი იდეა, მისი ამოცანების გადაჭრის მეთოდები, ექსპოზიციის არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტისა და ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენების მოთხოვნები; განისაზღვრება დაგეგმილი ექსპოზიციის ადგილი მუზეუმის ექსპოზიციის ერთიან სისტემაში.

**ექსპოზიციის ტექნიკური გეგმა** (ინგლ. Exposition techical plan) – დაგეგმილი ექსპოზიციის ზედმიწევნით აღწერა მისი მიზნებისა და ამოცანების მითითებით, თემებისა და ქვეთემების თანმიმდევრული ჩამონათვალით, გამოსაფენად გათვალისწინებული ექსპონატების ზუსტი საკატალოგო მონაცემების ფიქსირებით.

**ექსკურსია** (ლათ. სიტყვიდან excursio – გასეირნება, მოგზაურობა; ინგლ. Excursion) - კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომლის მიზანია ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების, მუზეუმებისა და სხვა ღირსშესანიშნაობების გაცნობა მნახველთათვის (ტურისტული ჯგუფებისა და ინდივიდუალური ვიზიტიორებისათვის).

**ექსკურსი** (ლათ. Excursus - გადახრა, გადახვევა) - მთავარი თემიდან გადახვევა გზადაგზა წამოჭრილი საკითხების გასაშუქებლად.

**ექსკურსიის საკონტროლო ტექსტი** (ინგლ. Control text for tour) – თემის ზედმიწევნით გახსნისათვის შერჩეული და დამუშავებული საექსკურსიო მასალა.

**ექსკურსიის ტექნიკური რუკა** (ინგლ. Excursion techical map) – ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც შედგენილი და დამტკიცებულია ტურისტული მოღვაწეობის სუბიექტის ხელმძღვანელობის მიერ და განსაზღვრავს ტურისტულ მარშრუტში ისტორიულ-კულტურული ობიექტების დათვალიერების ლოგიკურ თანმიმდევრობას.

**ექსკურსიამძღოლი/გიდი** (ინგლ. Tour guide) – ადამიანი, რომელიც პროფესიულ დონეზე ახორციელებს საექსკურსიო საქმიანობას.

**ექსკურსიის მარშრუტი** (ინგლ. Tour route) – საექსკურსიო ჯგუფის მოძრაობის/გადაადგილების ოპტიმალური მიმართულება. მარშრუტის მოთხოვნები: ობიექტების ლოგიკური თანმიმდევრულობა, საექსკურსიო ჩვენების უზრუნველყოფა, ღირსშესანიშნაობა.

**ექსკურსიის მეთოდიკა** (ინგლ. Tour methodology) – საექსკურსიო მარშრუტის თავისებურებების შესაბამისი მეთოდური ხერხების გამოყენების ტექნოლოგიის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელშიც შედის: მარშრუტი, გაჩერებები, ჩვენების ობიექტი, ხანგრძლივობა, ქვეთემის დასახელება და ძირითადი საკითხების ჩამონათვალი, საორგანიზაციო და მეთოდური მითითებები.

**ექსკურსიის ობიექტი** (ინგლ. Tour object) – საექსკურსიო დათვალიერების მატერიალური ნაწილი (ისტორიული, არქეოლოგიური, არქიტექტურული, დოკუმენტური და ხელოვნების ძეგლები).

**ექსპლიკაცია** (ინგლ. Explication) – სამუზეუმო სივრცის ამა თუ იმ დარბაზში

განთავსებული ტექსტუალური მასალა, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ექსპონატთა თავისებურებებსა და მათ შესაბამის ეპოქაზე, ასევე განმარტებას, თუ რა ნიშნები აერთიანებს ამ დარბაზში ექსპონირებულ სამუზეუმო საგნებს.

**ვიზუალური** (ლათ. სიტყვიდან visualis – მხედველობითი, ინგლ. visual – თვალსაჩინო, ოპტიკური) – მხედველობითად აღქმადი.

**ვიზუალური აზროვნება** (ინგლ. Visual thinking) – ადამიანის საქმიანობის სახეობა, რომლის შედეგად ხდება "ახალი სახეების" დაბადება, ახალი ვიზუალური ფორმების შექმნა, რომელთაც გარკვეული აზრობრივი დატვირთვა აქვთ და ხილულს ხდიან მნიშვნელობას.

**ვიზუალური გამოფენები** (ინგლ. Visual exposition) – სამუზეუმო ექსპონატების/ხელოვნების ნაწარმოებთა ექსპონირება ესთეტიკური კუთხით.

**ვირტუალური ვიზიტიორი** (ინგლ. Virtual visitor) – მუზეუმის ოფიციალური ვებ-გვერდის ვიზიტიორი, რომელიც ვებ-გვერდზე ეცნობა მუზეუმის ვირტუალურ ექსპოზიციებს, კატალოგებს, სიახლეებს, სარეკლამო ანონსებს და სხვ., ინტერნეტ-სივრცეში უკავშირდება მუზეუმის ადმინისტრაციას საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით, ახორციელებს მუზეუმში შესასვლელი ბილეთების შეკვეთას, სამუზეუმო სუვენირების ან მუზეუმის პოლიგრაფიული პროდუქციის შეძენას.

**ვირტუალური მუზეუმი** (ინგლ. Virtual museum) – მხოლოდ ვირტუალურ სივრცეში არსებული, კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით შექმნილი მუზეუმის მოდელი, რომელიც ქმნის ინტერნეტ-სივრცეში "სამუზეუმო ექსპონატებისა" და სამგანზომილებიანი "ვირტუალური ექსპოზიციების" დათვალიერების შესაძლებლობას.

**ვოლონტიორი** (ინგლ. Volunteer) – ფინანსური ანაზღაურების გარეშე, საკუთარი სურვილით მომუშავე მოხალისე, რომლის შრომის გამოყენება წარმოადგენს მუზეუმის არაპირდაპირი დაფინანსების ფორმას.

**თემატური გამოფენები** (ინგლ. Thematic exhibition) - სამუზეუმო ობიექტების ინტერპრეტაცია ფართო სოციალურ, ისტორიულ, კულტურულ ან სამეცნიერო კონტექსტში, სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით.

**თემატური ექსკურსია** (ინგლ. Thematic excursion) – რომელიმე ერთი, კონკრეტული თემის სრულად გახსნისადმი მიძღვნილი სპეციალიზებული ექსკურსია სამუზეუმო სივრცეში.

**თემატურ-საექსპოზიციო გეგმა** (ინგლ. Thematic and Exposition plan) – დაგეგმილი ექსპოზიციის ზედმიწევნით აღწერა მისი მიზნებისა და ამოცანების მითითე-

ბით, თემებისა და ქვეთემების თანმიმდევრული ჩამონათვალით, გამოსაფენად გათვალისწინებული ექსპონატების ზუსტი საკატალოგო მონაცემების ფიქსირებით.

**თეორია** (ბერძნ. theória – განხილვა, კვლევა, ინგლ. Theory) - 1. გამოცდილებისა და საზოგადოებრივი პრაქტიკის ლოგიკური განზოგადება, ასახავს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას. 2. რაიმე საკითხთან დაკავშირებული ხედვისა და წარმოდგენების განზოგადებული სისტემა.

**იდენტიფიკაცია** (ინგლ. Authentication, identification) – 1. გაიგივება; 2. კონკრეტული პიროვნების, რეგიონის ან დროის პროდუქტის, სამუზეუმო ნივთის ჭეშმარიტების დადგენა.

**იეროგლიფი** (ბერძნ. hierós – წმინდა და glyphë – ამოჭრილი/გამოჭრილი. ინგლ. hieroglyph) – 1. იეროგლიფურ წერით სისტემაში ფიგურული ნიშანი, რომელიც აღნიშნავს ცნებას, მარცვალს ან ხმოვანს. 2. გაუგებარი, რთულად გასარკვევი წერილი, კალიგრაფია (გადატანითი მნიშვნელობით).

**იკომი** (ინგლ. ICOM - International Council of Museums) - მუზეუმების საერთაშორისო საბჭო, შეიქმნა 1946 წელს. მის შემადგენლობაში შედის 147 ქვეყნის ეროვნული კომიტეტი, 30 საერთაშორისო კომიტეტი სამუზეუმო საქმის სხვადასხვა სფეროში, 24 რეგიონული ორგანიზაცია, აღმასრულებელი საბჭო, სამდივნო და საინფორმაციო ცენტრი.

**იკომის სამუზეუმო ეთიკის კოდექსი** (ICOM Code of Ethics for Museums ) - ICOM-ის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს მინიმალური და აუცილებელი ნორმების კრებულს მუზეუმებისათვის.

**იკომოსი** (ინგლ. ICOMOS - International Council on Monuments and Sites) - ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭო, რომლის მოღვაწეობა მიმართულია კულტურულ-ისტორიული ადგილების შენარჩუნებისაკენ მთელ მსოფლიოში. ICOMOS დაარსდა 1965 წელს ვენეციის ქარტიის მიღების შემდეგ (1964 წ.).

**იკკრომი** (ინგლ. ICCROM - International Centre for the Study of the Preservation and Restoration of Cultural Property) - კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციისა და დაცვის საერთაშორისო ცენტრი, რომელიც დაფუძნებულია იუნესკოს მიერ (1969). მისი მიზანია შეაგროვოს და გაავრცელოს კონსერვაციის სამეცნიერო საკითხების დოკუმენტაცია, ხელი შეუწყოს კვლევას ამ მიმართულებით, განავითაროს რჩევები ტექნიკურ პრობლემებზე, დახმარება გაუწიოს სპეციალისტებს ტრეინინგების სახით და აამაღლოს სარესტავრაციო საქმიანობის დონე.

**იმიტაცია** (ლათ. imitatio, ინგლ. Imitation) – 1. ვინმეს ან რაიმეს მიბაძვა, გათამაშება. 2. სამუზეუმო სივრცეში ბუნებრივი და კულტურული მოვლენების შესაძლო სიზუსტით აღდგენა სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებით (მაგ., ჩიტების ჭიკჭიკი, ზღვის ხმაური და სხვ.), ასევე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დემონსტრირების ერთ-ერთი ფორმა.

**ინდუსტრიული მუზეუმი** (ინგლ. Industrial Museum) – მუზეუმები, რომლებიც ეძღვნება მეცნიერების, ტექნიკისა და სხვა ცალკეულ სამრეწველო ტექნოლოგიებს.

**ინვენტარი** (ინგლ. Inventory) - ის საგნები, რომლებიც შესულია მუზეუმის კოლექციებში.

**ინვენტარიზაცია** (ინგლ. Inventory) - სამუზეუმო ნივთების სამეცნიერო რეგისტრაცია –კლასიფიკაცია, ზუსტი და ვრცელი აღწერილობა საინვენტარო წიგნებში - წყაროების, ტიპების, მასალის, ხელოვნების სახეობების, კოლექციისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

**ინტელექტუალურად ორიენტირებადი ინფორმაცია** (ინგლ. Intellectually oriented information) – მუზეუმის პროფილისა და თავისებურებების, აგრეთვე, კოლექციებთან ურთიერთქმედების სხვადასხვა საშუალებათა განმარტება, რაც ვიზიტიორს აძლევს შესაძლებლობას, დაგეგმოს მუზეუმში ყოფნის პერიოდი ზუსტად და სრულად მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

**ინტერაქტიულობა** (ინგლ. interaction – ურთიერთქმედება) – მუზეუმის პირობებში: მეთოდი, რომელიც საშუალებას აძლევს ვიზიტიორს აქტიურ დიალოგში ჩაებას სამუზეუმო გარემოსთან, სადაც ექსპოზიციის გარდა, იქმნება სხვადასხვა სახის სამუზეუმო საგანთა ან მათი მოდელების სპეციალური ზონები - აღქმის ვიზუალური, ტაქტილური (შეხებითი) და ვერბალური მხარეების გააქტიურებისათვის.

**ინტერაქტიური ექსპოზიცია** (ინგლ. Interactive exposition) - ექსპოზიციის ეს ტიპი მნახველს იწვევს გამოფენასთან დიალოგში მულტიმედიური კომპიუტერული სისტემების გამოყენებით, რაც ვიზიტიორს ეხმარება გაეცნოს სხვადასხვა სამეცნიერო თეორიების ფორმირების საკითხებს, ან დამოუკიდებლად განვლოს მიმზიდველი და დეტალური ინფორმაციით დატვირთული საექსკურსიო გზა სამუზეუმო სივრცეში.

**ინტერესთა კონფლიქტი** (ინგლ. Conflict of interests) – მუზეუმში: ქმედებები ან საქმიანობა, რომელიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ICOM-ს სამუზეუმო ეთიკის კოდექსს.

**ინტერნეტი** (ინგლ. Internet) – მსოფლიო კომპიუტერული ქსელი

**ინტერპრეტაცია** (ინგლ. Interpretation) - მუზეუმის ვიზიტიორებთან ურთიერთობის ფილოსოფია - მათთვის მრავალმხრივი გზავნილებისა და გამოცდილების მიწოდების, მიზანდასახული კომუნიკაციისა და სამუზეუმო დისკურსის პროცესი; ტერმინი გამოიყენება იმ საშუალებებათა აღსაწერად, რომელთა მეშვეობით მუზეუმი ვიზიტიორს წარუდგენს საკუთარ კოლექციას, აუთენტურ არქტეფაქტებში გაშუალებულ ცოდნას და ხელოვნების ნიმუშთა ორიგინალურ მნიშვნელობებს.

**ისტორია** (ბერძნ. სიტყვიდან ἱστορία ინგლ. History) – 1. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოებისა (მოღვაწეობა, მსოფლმხედველობა, სოციალური, კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები, ორგანიზაცია და სხვ.) და ამა თუ იმ ქვეყნის (მხარის) წარსულს მთელი მის მრავალფეროვნებით და კონკრეტულობით. 2. რისამე განვითარების პროცესი. 3. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ბუნების, კულტურის, ცოდნის რომელიმე დარგის თანმიმდევრულ განვითარებას. 4. რამესთან ან ვინმესთან დაკავშირებული ფაქტების ერთობლიობა.

**ისტორიოგრაფია** (ბერძ. სიტყვიდან grapho – ვწერ; ინგლ. Historiography) – 1. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანთა საზოგადოების შესახებ ისტორიული ცოდნის განვითარებასა და საისტორიო წყაროებს. 2. იმ ისტორიულ თხზულებათა ერთობლიობა, რომლებიც შეიქმნა ამა თუ იმ პერიოდში ან რომლებიც მიძღვნილია ამა თუ იმ ისტორიული ეპოქისა და თუ პრობლემისადმი.

**ისტორიისა და კულტურის ძეგლები** (ინგლ. Historical and Cultural Monuments) – უძრავი და მოძრავი მატერიალური ძეგლები, რომლებსაც გააჩნია სამეცნიერო, ისტორიული და მხატვრული ღირებულება (ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქმშენებლობის, არქიტექტურის, ხელოვნების და სხვა ძეგლები).

**ისტორიული დასახლება** (ინგლ. Historycal settlement) – ისტორიული ქალაქი, დაბა, სოფელი ან მათი ნაწილები, რომელთა ტერიტორიაზე განთავსებულია ურბანისტული ძეგლები (ანსამბლები, კომპლექსები, კვარტლები, მოედნები, უბნები, ქუჩები, ძველი განაშენიანების ნაშთები).

**ისტორიული მუზეუმი** (ინგლ. History museum) – მუზეუმი, რომელშიც დაცულია სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, ხალხთა და საზოგადოების მატერიალურ და სულიერ კულტურასთან დაკავშირებული მასალები.

**ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტი** (ინგლ. History-Cultural Landscape) – ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ტერიტორიული კომპლექსი, რომელშიც შენარჩუნებულია აუთენტური ნიშნები (ბუნებრივი, მატე-

რიალური და მენტალური) და თანამედროვე საზოგადოების მიერ მიჩნეულია კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობად. მათი დაცვის, რეაბილიტაციისა და პრეზენტაციის ფორმად მიჩნეულია მუზეუმ-ნაკრძალები და ეროვნული პარკები.

**ისტორიული პარკი** (ინგლ. Historical Park) – 1. მუზეუმმცოდნეობაში – მუზეუმის ტიპის დაწესებულება ღია ცის ქვეშ, რომელშიც შეგროვილია მატერიალური და არამატერიალური ისტორიულ-კულტურული ობიექტები და მათი კომპონენტები. 2. საბაღე-საპარკო ხელოვნების ნიმუში, რომელსაც გააჩნია კულტურულ-ისტორიული ღირებულება.

**იუნესკო** (UNESCO - United Nations Educational, Scientific and Cultural Organization) - გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაცია, რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის ხელი შეუწყოს განათლებისა და კულტურის გავრცელებას, მეცნიერების განვითარებას, ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემას რასის, სქესის, ენისა და რელიგიის მიუხედავად. 1978 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლები შეაქვს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში, რომლის მთავარი მიზანია თი დაიცვას თოეული მათგანი და გაუწიოს პოპულარიზაცია, თუკი იგი შეესაბამება იუნესკოს კრიტერიუმებს.

**იუნესკოს კონვენცია კულტურულ ღირებულებათა უკანონო შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ** (ინგლ. Convention on the Means of Prohibiting and Preventing the Illicit Import, Export and Transfer of Ownership of Cultural Property) - მიღებულია პარიზში, 1970 წლის 14 ნოემბერი, საქართველო კონვენციას მიუერთდა 1993 წლის 4 თებერვლიდან.

**იუნესკოს კონვენცია მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ** (ინგლ. Convention concerning the Protection of the World Cultural and Natural Heritage) – მიღებულია 1972 წლის 16 ნოემბერს, პარიზში. ყოველწლიურად მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი იკრიბება სესიაზე, რომელიც განსაზღვრავს თუ, რომელი ძეგლი შეიტანონ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. საქართველო კონვენციას მიუერთდა 1993 წლიდან.

**იუნესკოს კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის" შესახებ** (ინგლ. Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage) - კონვენცია მიღებულია 2003 წლის 17 ოქტომბერს, პარიზში. კონვენციის წევრი ქვეყანა უზრუნველყოფს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი ელემენტების იდენტიფიცირებას, საზოგადოების სხვადასხ-

ვა ჯგუფებისა და ინსტიტუციების, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და აღორძინებაში. საქართველო კონვენციას მიუერთდა 2008 წლის 18 ივნისიდან.

**იუნესკოს კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ** (ინგლ. Convention on the Protection and Promotion of the Diversity of Cultural Expressions) - მიღებულიაპარიზში, 2005 წლის 20 ოქტომბერს. საქართველო კონვენციას მიუერთდა 2008 წლის 1 ოქტომბრიდან.

**კატალოგი** (ბერძნ. სიტყვიდან katálogos – ჩამონათვალი, სია. ინგლ. Catalogue) – 1. რაიმე ერთგვაროვანი საგნების (წიგნი, მუზეუმის ექსპონატი, პროდუქტი) გარკვეული წესრიგით შედგენილი სია ან ამგვარი ჩამონათვალის შემცველი ცნობარი. 2. რომელიმე კონკრეტული გამოფენის ან კოლექციის ამსახველი ცნობარი ან ალბომი.

**კატალოგიზაცია** (ინგლ. Cataloging) – ნივთების დაჯგუფება დადგენილი კლასიფიკაციის სისტემის მიხედვით; ამომწურავი ინფორმაციის მოძიება და შეგროვება ამა თუ იმ სამუზეუმო ნივთზე, მათი შესწავლა ანალოგიური საგნების კონტექსტში და კოლექციის შექმნა სამომავლოდ მისი ექსპონირებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

**კერძო მუზეუმი** (ინგლ. Private Museum) – მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სამუზეუმო დაწესებულების უძველესი და ყველაზე გავრცელებული ფორმა – დაწესებულება, რომელიც დაარსებულია კერძო პირის მიერ და ფინანსდება მისივე სახსრებით.

**კვლევითი კოლექცია** (ინგლ. Study collection) – საკვლევად ან საგანმანათლებლო მიზნით შეკრებილ საგანთა კოლექცია.

**კლასიფიკაცია** (ლათ. სიტყვიდან classis – რიგი, facio – ვაკეთებ. ინგლ. classification) – გარკვეული საერთო ნიშნების მქონე ერთგვაროვანი საგნების განაწილების სისტემა ან კლასების, განყოფილებების და ა. შ. მიხედვით აღქმა.

**კოლექტიური შეუცნობელი** - (ინგლ. Collective unconscious) პიროვნების ყველაზე ღრმა დონე, რომელიც შეიცავს წინაპრებიდან მემკვიდრეობით გადმოცემულ მოგონებებსა და სახეებს.

**კოლექცია** (ლათ. Collectio – შეგროვება, ინგლ. collection) რაიმე მნიშვნელოვანი იდენტური ნიშნებით გაერთიანებულ საგანთა ერთობლიობა.

**კოლექციონირება** (ინგლ. collecting) – რაიმე საგნების შეგროვება ერთგვაროვნების პრინციპით და შინაგანი მთლიანობით.

**კოლექციის მენეჯერი** (ინგლ. Collection manager) – მუზეუმის თანამშრომელი, რომელსაც ევალება ზრუნვა კონკრეტულ კოლექციაზე.

**კომერციული საქმიანობა** (ინგლ. Commercial activities) – მუზეუმის ძირითადი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც მიმართულია მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მუზეუმის მიერ გარკვეული მოგების მიღებისაკენ.

**კომპლექსური მუზეუმი** (ინგლ. Museum Complex) – მუზეუმების ჯგუფი, რომელიც აერთიანებს ორი ან მეტი პროფილის მუზეუმის (იხ. მუზეუმის პროფილი) მახასიათებლებს, ასევე კოლექციებს და შეუძლია განსაკუთრებული სიზუსტით, სრულად წარმოაჩინოს ქვეყნის ან რეგიონის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა. საქართველოს სინამდვილეში მათ რიცხვს მიეკუთვნება მხარეთმცოდნეობისა და ისტორიული მუზეუმები (დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, თელავის ისტორიული მუზეუმი და სხვ.), ხოლო თანამედროვე სამუზეუმო სივრცეში – ეკომუზეუმები, ანსამბლური და გარემოს ამსახველი (Environment Museum) მუზეუმები.

**კონფიგურაცია „ყუთი-ყუთში"** (ინგლ. "Box-in-a box" configuration) - გზავნილის სისტემა, რომელიც წარმოადგენს სინამდვილის მიკრო-გარემოს და დამოკიდებულია მის გარემომცველ მაკრო-გარემოზე.

**კომპოზიცია** (ლათინური სიტყვიდან compositio – შედგენა. ინგლ. Composition) – 1. ლიტერატურის/ხელოვნების ნაწარმოების შემადგენელ ელემენტთა აგება, განთავსება, შეთავსება. 2. გარკვეული მთლიანობის მქონე ხელოვნების ნაწარმოები. 3. მუსიკალური ნაწარმოების შედგენის თეორია.

**კონსერვაცია** (ლათ. სიტყვიდან conservatio – შენარჩუნება. ინგლ. Conservation) – ხელოვნების ნიმუშის/ძეგლის რესტავრაციის შემადგენელი ნაწილი მისი მდგომარეობის გამაგრების, შემდგომი განადგურებისა და რაიმე ზიანის მიყენებისაგან დაცვის მიზნით.

**კონტროლირებადი გარემო** (ინგლ. Controlled environment) – მუზეუმში: გარემო, რომელშიც დარეგულირებულია ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა, განათება, დაბინძურება და სხვა ატმოსფერული პირობები.

**კონცეფცია** (ლათ. სიტყვიდან conceptio – შეერთება, ერთობლიობა. ინგლ. Concept) – 1. რაიმე მოვლენის ან პრობლემის ხედვის, წარმოდგენის ერთმანეთთან დამაკავშირებელი სისტემა. 2. ნაწარმოების, თხზულების ძირითადი აზრი, იდეა.

**კონცეფტუალური ხელოვნება** (ინგლ. Conceptual Art) – XX ს.-ის 60-იან წლების

მიწურულსა და 70-იანი წლების დასაწყისში ევროპასა და აშშ-ში ჩამოყალიბებული პოსტმოდერნიზმის ლიტერატურულ-მხატვრული მიმართულება, რომელშიც ხელოვნების ობიექტად შეიძლება იქცეს ნებისმიერი საგანი, მოვლენა, პროცესი, რაც რაიმე გარკვეულ კონცეფციას გამოხატავს.

**კრებული, კამარა** (ინგლ. vault, arch) – 1. გამთლიანებული და გარკვეული წესრიგით განთავსებული მასალები, ტექსტები, საბუთები. 2. არქიტექტურული კონსტრუქცია, მრუდწირული გადახურვა, რომელიც აკავშირებს კედლებს ან ნაგებობის ბოძებს.

**კულტურა** (ინგლ. Culture, ლათ. ზმნიდან „colo", რაც ნიადაგის მოვლას, დამუშავებას ნიშნავს) - თანამედროვე მნიშვნელობით, ტერმინი „კულტურა" XVII საუკუნიდან იხმარება. მისი ცნების განსაზღვრისას 400-მდე დეფინიციას ითვლიან. თუმცა შეიძლება გამოიყოს კულტურის ცნების განსაზღვრის სამი ძირითადი ელემენტი: 1. კულტურა წარმოადგენს სოციალურ მემკვიდრეობას ანუ სოციალურ ტრადიციას. 2. კულტურა წარმოადგენს სოციალიზაციის პროცესში შეძენილი ნორმების ერთობლიობას; 3. საყოველთაოდ მიღებულია, რომ კულტურა წარმოადგენს საზოგადოებისათვის საერთო ნორმებისა და ღირებულებების სისტემას.

**კულტურის პოლიტიკა** (ინგლ. Cultural Policy) - კულტურული პოლიტიკა მოიცავს საშუალებათა დიდ დიაპაზონს, რომელიც გამიზნულია ქვეყანაში კულტურის განვითარებისათვის. ყველა შემთხვევაში, კულტურის პოლიტიკა გულისხმობს თანმიმდევრულ სისტემაში გაერთიანებულ საბოლოო მიზანს (ხანგრძლივს), გეგმას (განსაზღვრულს) და საშუალებებს (კოლექტივს, თანხებს და კანონმდებლობას).

**კულტურული მემკვიდრეობა** (ინგლ. Cultural Heritage) – კულტურის ის ნაწილი, რომელმაც საზოგადოების განვითარების პროცესში დაიმკვიდრა, შეინარჩუნა ან აღიდგინა ფასეულობის (ტრადიცია, წესი, ადათი, ხელოვნების ნიმუში, ძეგლი ან ინსტიტუცია) მნიშვნელობა და რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვა** (ინგლ. Cultural Heritage Protection) – კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვის (გამოვლენა, მეცნიერული შესწავლა, კლასიფიკაცია, სახელმწიფო რეგისტრაცია), დაცვის, შენარჩუნების, შესაბამისი მოვლისა და გამოყენების, კონსერვაციის, რესტავრაციის, რეაბილიტაციისა და მუზეუმიფიკაციის ღონისძიებათა კომპლექსი.

**კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი** (ინგლ. Imovable Monument of Cultural Heritage) – მატერიალური კულტურის ძეგლი ან მისი ნაწილი, რომელიც

ისტორიულად. ფუნქციურად და კომპოზიციურად შერწყმულია გარემოსთან და რომლის გადაადგილება შეუძლებელია ან დაკავშირებულია რთულ საინჟინრო ღონისძიებებთან და გაუმართლებელია მეცნიერული, ეთიკური და სხვა თვალსაზრისით.

**კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლი** – (ინგლ. Movable Monuent of Cultural Heritage) მატერიალური კულტურის ძეგლი, რომელსაც გადაადგილება არ უცვლის იმ თვისებას, რის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი და რომელიც არ წარმოადგენს კულტურის უძრავი ძეგლის განუყოფელ ნაწილს.

**კულტურული ფასეულობა** (ინგლ. Cultural Heritage Value) – ისტორიული, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოლოგიური, მემორიალური, რელიგიური, ტექნიკური, ურბამისტული, ესთეტიკური, მხატვრული და სხვა ფასეულობა.

**კულტურული ფენა** (ინგლ. Cultural Layer) – მიწის შრეები ან წყლით დაფარული ტერიტორია (ფსკერი), რომელიც შეიცავს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის კვალს.

**კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა** (ინგლ. Cultural and Educational Activity) — საზოგადოებასთან მუზეუმის კომუნიკაციის მნიშვნელოვანი კომპონენტი და სამუზეუმო საქმის წამყვანი მიმართულება, რომელშიც რეალიზებულია მუზეუმის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ფუნქცია.

**კურატორი** (ინგლ. Curator) – მუზეუმის თანამშრომელი ან კონსულტანტი, სპეციალისტი კონკრეტულ სფეროში, ვინც ამზადებს ინფორმაციას, იკვლევს და ხელმძღვანელობს კოლექციების გამოფენის, დაცვის, გამოყენებისა და სრულყოფის პროცესს.

**ლიტერატურული მუზეუმი** (ინგლ. Museum of Literature) - მუზეუმი, სადაც დაცულია ლიტერატურის ისტორიასა და განვითარებასთან დაკავშირებული ან თანამედროვე ლიტერატურის ამსახველი მასალები.

**მაკეტი** (ინგლ. Model) – გარკვეულ მასშტაბში შესრულებული სამუზეუმო საგნის მოცულობითი გამოსახულება, რომელიც პირობითად განასახიერებს ორიგინალს ან კონკრეტულ ქმედებას (მაგ., ამა თუ იმ ბრძოლის ამსახველი მაკეტები საბრძოლო-ისტორიულ მუზეუმებში).

**მეთოდიკა** (ინგლ. Methodology) – 1. რაიმეს  პრაქტიკულად შესრულების მეთოდებისა და ხერხების (მაგალითად, მეცნიერული კვლევის) ერთობლიობა. 2. პედაგოგიკის ნაწილი, რომელიც იხილავს სასწავლო საგნებისა ან ადამიანის აღზრდის მეთოდებს.

**მეთოდოლოგია** (ლათ. méthodos – მეთოდი და ლოგოს – სწავლება; ინგლ. Methodology) – იმ პრინციპების, საშუალებებისა და ხერხების ერთობლიობა, რომელიც ახდენს მეცნიერული კვლევის ორგანიზებას.

**მემკვიდრეობა** (ინგლ. Patrimony) - ინტელექტუალური და ავთენტური კულტურული საკუთრება, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

**მემკვიდრეობის აქტუალიზაცია** (ინგლ. Actualisation of the patrimony) – საქმიანობა, რომელიც მიმართულია კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვისა და თანამედროვე კულტურაში მისი ჩართვისაკენ – ობიექტების სოციოკულტურული როლის აქტივიზაციისა და ინტერპრეტაციის გზით.

**მემორიალი** (ინგლ. Memorial) – არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც შეიცავს მონუმენტური ქანდაკების, ფერწერის, საბაღე და საპარკო არქიტექტურის ელემენტებს. როგორც წესი, აგებულია რაიმე ისტორიული მოვლენისადმი (იშვიათად, გამოჩენილი პიროვნებისადმი) პატივსაცემის ნიშნად.

**მემორიალური მუზეუმი** (ინგლ. Memorial Museum) — მუზეუმი, სადაც დაცულია ისტორიული პირის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მემორიალური ნივთები და დოკუმენტური მასალები.

**მითი** (ბერძნ. mŷthos – თქმულება, გადმოცემა; ინგლ. Myth) – 1. უძველესი გადმოცემები ღმერთებზე, გმირებზე, დემონებზე, სულებზე, ბუნების მოვლენებზე, დედამიწაზე სამყაროს და სიცოცხლის შექმნაზე, სამყაროსა და ციური სხეულების წარმოშობაზე ადრეკლასობრივ საზოგადოებაში. 2. გადატანითი მნიშვნელობით: გამონაგონი, სიცრუე. 3. სინამდვილეს მოწყვეტილი ჩართვა რაიმე ფაქტსა თუ მოვლენაში, რომელიც ეფუძნება მათივე არაკრიტიკულ, მცდარ განხილვას.

**მითოლოგია** (ბერძნ. μυθολογία, μῦθος თქმულება, გადმოცემა და logos – სწავლება; ინგლ. Mythology) – 1. მითების ნაკრების ერთობლიობა. 2. მითების შემსწავლელი კომპლექსური მეცნიერული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის მითების წარმოშობას, კლასიფიკაციას და გავრცელებას.

**მიმოხილვითი ექსკურსია** (ინგლ. Overview tour) – მრავალასპექტიანი საექსკურსიო მარშრუტი, რომლის დროსაც პარალელურად იხსნება რამდენიმე თემა. ტრადიციულად, მსგავსი ტიპის ექსკურსიები ტარდება მხარეთმცოდნეობისა და ხელოვნების მუზეუმებში, როცა ერთი ვიზიტის ფარგლებში ვიზიტიორი ეცნობა სამუზეუმო სივრცეში არსებულ ყველა ექსპოზიციას.

**მიღება-ჩაბარების აქტი** (ინგლ. Act of Acceptance and Delivery note) – იურიდი-

ული დოკუმენტი, რომელიც მოწმობს სამუზეუმო ექსპონატის ან დამხმარე მასალების შესყიდვის, მუდმივ ან დროებით სარგებლობაში გაცემის ფაქტს (აქტის ფორმა და შევსების წესი განისაზღვრება სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის ინსტრუქციით).

**მოდელი** (ინგლ. model, ფრანგ. modèle) – 1. რაიმე ნაწარმის თვალსაჩინო ნიმუში. 2. ნაწარმოების სხვა მასალაში ჩამოსასხმელი ფორმა. 3. კონსტრუქციის ტიპი, ნიშანი, ნიმუში. 4. მომავალი მხატვრული ნაწარმოების აზრობრივი სახე.

**მოძრავი გამოფენა** - (ინგლ. Traveling exhibition ან Touring exhibition) – მუზეუმის საგამოფენო საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, მოძრავი გამოფენები, ე. წ. "პაკეტირებული ჩვენებები" სამუზეუმო სივრცის მიღმა - სხვა მუზეუმებსა და ქვეყნებში.

**მსოფლიო მემკვიდრეობა** (ინგლ. World Heritage, ფრანგ. Patrimoine Mondial, ესპ. Patrimonio Mundial) - ბუნებრივი ან ადამიანის მიერ შექმნილი ობიექტები, რომელთა განსაკუთრებული ისტორიული ან ეკოლოგიური ფასეულობის გამო, მათი შენახვა და პოპულარიზაცია ითვლება პრიორიტეტულ ამოცანებად (იხ. იუნესკო).

**მუდმივი გამოფენა** (ინგლ. Permanent exhibition) – მუზეუმის კოლექციების ექსპონირების ტრადიციული ფორმა, რომლის დაგეგმვის პროცესში, მუზეუმი ხელმძღვანელობს საკუთარი  მისიის, მიზნებისა და დანიშნულების შესაბამისად (როგორც წესი, მიზანშეწონილია მუდმივი გამოფენა ფუნქციონირებდეს 5-10 წლის მანძილზე).

**მუზეუმი** (ინგლ. Museum, ბერძნ. muséion – მუზების სამფლობელო) – საზოგადოებისა და მისი განვითარების სამსახურში მყოფი ღია, მუდმივმოქმედი, არაკომერციული დაწესებულება, რომელიც შეიძენს, იცავს, იკვლევს, პოპულარიზაციას უწევს და გამოფენს ადამიანისა და მისი საარსებო გარემოს ამსახველ ნივთიერ საბუთებს შესწავლის, განათლებისა და საზოგადოებისათვის სიამოვნების მინიჭების მიზნით (ICOM-ის განმარტება); მუზეუმი - კანონით დადგენილი წესით შექმნილი (დაფუძნებული) ან/და რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, დაცვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია (საქართველოს კანონი "მუზეუმების შესახებ").

**მუზეუმმცოდნეობა/მუზეოლოგია** (ინგლ. Museology) – 1. მეცნიერული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის სპეციფიკურ სამუზეუმო მიდგომას სინამდვილისადმი და მის მიერ შექმნილი მუზეუმის ფენომენისადმი, იკვლევს ინფორმა-

ციის შენარჩუნებისა და გადაცემის პროცესს სამუზეუმო საგნების მეშვეობით, აგრეთვე სამუზეუმო საქმის განვითარებასა და მიმართულებებს. 2. მუზეუმების თეორიის, მოქმედების, აღქმის საფუძვლებთან დაკავშირებული მეცნიერება.

**მუზეოგრაფია** (ინგლ. Museography) – მუზეუმმცოდნეობის ერთ-ერთი მთავარი წყარო, რომელიც შეიცავს მუზეუმის ისტორიის, ექსპოზიციებისა და კოლექციების სისტემატიზებულ აღწერას.

**მუზეუმიფიკაცია** (ინგლ. Museumification) – სამუზეუმო საქმიანობისა და ძეგლთა დაცვის მიმართულება, რომელიც ახორციელებს ისტორიისა და კულტურის უძრავ ძეგლთა ან ბუნების ობიექტთა სამუზეუმო საგნებად გარდაქმნას მათი დაცვის, ისტორიულ-კულტურული, მეცნიერული, ესთეტიკური ღირებულების გამოვლენისა და თანამედროვე კულტურაში ჩართვის მიზნით.

**მუზეუმის გაცვლითი ფონდი** (ინგლ. Museum exange fund) – გაცვლითი ფონდი შედგება ისეთი სამუზეუმო ნივთებისაგან, რომლებიც ნაკლებად პასუხობენ მუზეუმის პროფილს, აგრეთვე ზედმეტი დუბლირებული ეგზემპლარებისაგან (ხუთზე ზევით). გაცვლითი ფონდიდან სხვა მუზეუმისთვის ექსპონატების გადაცემა შესაძლებელია გაცვლის ან გაჩუქების წესით სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით.

**მუზეუმის ექსპონატი** (ინგლ. Museum exhibit) – ნივთი, რომელიც გამოფენილია მუზეუმის ექსპოზიციაში (სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა სახის ნაწარმოებები, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მასალები და სხვა სამუზეუმო ფასეულობის მქონე ნივთები).

**მუზეუმის ექსპოზიცია** (ინგლ. Museum exposition) - გარკვეული სისტემით ექსპონირებული მუზეუმის ფონდის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დამთვალიერებლისათვის.

**მუზეუმების კლასიფიკაცია** (ინგლ. Museum classification) – მუზეუმების დაჯგუფება ერთი ან რამდენიმე განმსაზღვრელი ნიშან-თვისებით.

**მუზეუმის ნივთი** (ინგლ. Museum object) – ნივთი, რომელიც დაცულია სამუზეუმო კოლექციაში და ატარებს სოციოკულტურულ და ბუნებრივ ინფორმაციას.

**მუზეუმის მისია** (ინგლ. Museum Mission Statement) – განაცხადი, რომელიც ლაკონურად გადმოსცემს მუზეუმის ინსტიტუციურ ფილოსოფიას, მოღვაწეობასა და დანიშნულებას.

**მუზეუმის მცველი** (ინგლ. Museum conservator) – პიროვნება შესაბამისი სამეცნიერო მომზადებით, რომელიც მუშაობს მუზეუმის ექსპონატთა შესწავლა-კვ-

ლევის მიმართულებით, ზრუნავს მათ დაცვაზე და აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ექსპონატთა დამუშავება-აღდგენის სამუშაოებს.

**მუზეუმის მეგობართა ჯგუფი** (ინგლ. Museum Friends) – არასამთავრობო ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების მუდმივი წევრობა ფინანსური დახმარებით ან საწევრო გადასახადის გადახდით თუ მუზეუმის საქმიანობაში მონაწილეობის სხვა ფორმებით.

**მუზეუმ-ნაკრძალი** (ინგლ. Museum-Reserve) – ღია ცის ქვეშ მუზეუმი, რომლებიც იქმნება ტერიტორიების, ანსამბლების, კოპლექსებისა და ბუნების, ისტორიის, კულტურის ცალკეული ძეგლების საფუძველზე. ამჟამად ეს ტერმინი გამოიყენება ღია ცის ქვეშ მუზეუმის აღნიშვნისას, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში, იყენებენ ტერმინს Site Museum.

**მუზეუმის პედაგოგი** (ინგლ. Museum Educator) – სპეციალისტი (ამავე დროს გიდიც), რომელიც ახორციელებს მუზეუმში პედაგოგიურ (საგანმანათლებლო) საქმიანობას, ხელმძღვანელობს სამუზეუმო-საგანმანათლებლო პროცესს და პროგრამის ფარგლებში, სუბიექტურ-ობიექტურ ურთიერთობებზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს ვიზიტიორის უშუალო ურთიერთობას სამუზეუმო საგნებთან.

**მუზეუმის რეკრეაციული ზონა** (ინგლ. Museum Recreational Area) – მუზეუმის სივრცე ვიზიტიორთა მომსახურებისა და დასვენებისათვის.

**მუზეუმის პროდუქტი** (ინგლ. Museum product) – 1). ძირითადი და დამატებითი სამუზეუმო მომსახურებისა და საქონლის კომპლექსი, რასაც ისტიტუცია სთავაზობს მუზეუმის ვიზიტიორს. 2). მუზეუმის საქონელს წარმოადგენს გასაყიდი საგნები: სამეცნიერო წიგნები, ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევები, კატალოგები, მუზეუმის ექსპოზიციების პოპულარული გზამკვლევები, ტურისტული ლიტერატურა, კალენდრები, ფოტორეპროდუქციები, ექსპონატების ასლები და ციფრული გამოსახულებები, სხვა სუვენირული ნაწარმი.

**მუზეუმის პროფილი** (ინგლ. Museum profile) – მუზეუმის კლასიფიკაციის კატეგორია, მისი სპეციალიზაცია, რომელიც განსაზღვრავს მუზეუმის კოლექციის შემადგენლობას, მუზეუმის ფონდების და კომპლექტების პრინციპებს, საექსპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობის თემატიკას.

**მუზეუმის სამეცნიერო-დამხმარე ფონდი** (ინგლ. Museum Scientific-subsidiary fund) - სამეცნიერო-დამხმარე ფონდს განეკუთვნება: ფოტოასლები, მულაჟები, მაკეტები, რუქები, დიაგრამები, სქემები, გეგმები და სხვა, რომლებიც შექმნილი ან შეძენილია მუზეუმის კოლექციის დაკომპლექტების, შესწავლისა და ექსპონ-

ირების პროცესში.

**მუზეუმის საინვენტარო წიგნი** (ინგლ. Museum Inventory Book) - დადგენილი წესით შედგენილი სააღრიცხვო დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია ძირითადი მონაცემები თითოეულ სამუზეუმო ექსპონატსა და კოლექციაზე;

**მუზეუმის ფონდი** (ინგლ. Museum Collection) – მუზეუმში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მასალების ერთობლიობა, რომლებსაც გააჩნია სამეცნიერო, მხატვრული, ისტორიული ან სხვა კულტურული ღირებულება და წარმოადგენენ სამუზეუმო მნიშვნელობის ძეგლებს.

**მუზეუმის ქონება** (ინგლ. Museum Property) – მოიცავს მუზეუმში დაცულ ექსპონატებს, შენობებს და სხვა უძრავ ობიექტებს, მიწის ნაკვეთს, მოძრავ ქონებას და ფინანსურ რესურსებს.

**მუზეუმი-ძეგლი** (ინგლ. Museum-Monument) – მუზეუმების ტიპი, რომლებიც შეიქმნა ისტორიისა და კულტურის ცალკეული და კომპლექსური ძეგლების მუზეუმიფიკაციის საფუძველზე.

**მულტიმედია** (ინგლ. Multimedia) – სხვადასხვა სახის (ტექსტური, ხმოვანი, უძრავი (გრაფიკული) და მოძრავი (ვიდეო) გამოსახულებების, კომპიუტერული ინფორმაციის პროგრამული კომპლექსის ერთიანობა. ხმოვანი კომენტარების, მუსიკალური ნაწარმოებების, ტელე და ვიდეოსიუჟეტების სხვადასხვა ფორმატის ერთ ელექტრონულ დოკუმენტში გაერთიანება.

**მუსიკალური მუზეუმი** (ინგლ. Music Museum) – მუზეუმის ტიპი, რომელიც აგროვებს, იცავს, იკვლევს და გამოფენს მუსიკალურ კულტურასთან დაკავშირებულ მასალებს.

**მხარეთმცოდნეობის მუზეუმი** (ინგლ. Local Museum) – კომპლექსური პროფილის მუზეუმი, რომელიც აგროვებს, იცავს, იკვლევს და გამოფენს გარკვეული მხარის, ქალაქის, სოფლის ბუნების, ეკონომიკის, ისტორიისა და კულტურის ამსახველ ექსპონატებს.

**მხატვარი** (ინგლ. Artist) – შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნება, ადამიანი, რომელიც ქმნის განუმეორებელ მხატვრულ სახეებს, რომლებშიც ზოგადი მნიშვნელობის მქონე უნივერსალური კანონზომიერებები გარდაისახება ინდივიდუალური აღქმის პრიზმაში.

**მხატვრულობა** (ინგლ. Artistry) – 1. ხელოვნების სპეციფიკური თავისებურება, რომელიც გამორჩეულია შემეცნების სხვა ფორმებისგან. 2. ხელოვნების ნაწარმოებთა სრულყოფის პარამეტრები.

**მხატვრული აღქმა** (ინგლ. artistic perception) – ხელოვნების ნაწარმოების, როგორც მხატვრული შემოქმედების პროდუქტის აღქმა.

**მხატვრული კოლექცია** (ინგლ. Art collection) – სხვადასხვა სახის მხატვრულ ნაწარმოებთა ერთობლიობა.

**მხატვრული შემოქმედება** (ინგლ. Artistic creativity) – საქმიანობა, რომლის პროცესში იქმნება გარემომცველ სამყაროს ამსახველი მხატვრული სახეები.

**მხატვრული ცნობიერება** (ინგლ. Artistic consciousness) – ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის ერთ-ერთი (შემადგენელი) ელემენტი ლოგიკური და ინტუიციური აზროვნების დონეზე.

**ნახატი** (ინგლ. Picture) – 1. სიბრტყეზე ფანქრით, მელნით, ნახშირით და სხვა მასალით შესრულებული გამოსახულება, რომელიც წარმოადგენს ვიზუალურად აღქმადი ფორმების სტრუქტურულ ღერძს. 2. ხაზობრივ ელემენტთა ერთობლიობა სურათში.

**ნაწარმოები** (ინგლ. Work, production) – 1. შრომის, შექმნის შედეგი. 2. ხელოვნებაში – მხატვრის შემოქმედებითი შრომის ნაყოფი.

**ნუმიზმატიკური მასალა** (ინგლ. Numismatic material) - ნუმიზმატიკურ მასალას წარმოადგენს: მონეტები, ბონისტიკა, ორდენები, მედლები, სფრაგისტიკა (საბეჭდავები), ჰერალდიკა და სხვ.

**ობიექტებზე ორიენტირებული გამოფენა** (ინგლ. Object-oriented exhibition) – მუზეუმის კოლექციის საგნების საზოგადოებისათვის წარდგენა გარკვეული ინტერპრეტაციის მეშვეობით.

**ობიექტის ჩვენება** (ინგლ. Object Show) – გიდის/ექსკურსიათმძღოლისა და ექსკურსანტების მიზანმიმართულ ქმედებათა სისტემა, ობიექტის დათვალიერება კვალიფიციური სპეციალისტის ხელმძღვანელობით.

**პერფორმანსი** (ინგლ. Performance - შესრულება, წარმოდგენა, გამოსვლა) - ფორმა თანამედროვე ხელოვნებაში, სადაც ხელოვნების ნაწარმოები იქმნება ინდივიდის (პერფორმერის) ან ინდივიდთა ჯგუფის მოქმედებებით გარკვეულ დროსა და გარკვეულ ადგილას.

**პიქტოგრაფია** (ინგლ. Pictography, ლათ. pictus – დახატული და grapho - ვწერ) – დამწერლობის უძველესი სახეობა – საგნების, მოვლენების, მოქმედების გადმოცემა ნახატების მეშვეობით; ხატოვანი დამწერლობა.

**პირველადი რეგისტრაცია** (ინგლ. First registration) – მუზეუმის თანამშრომელთა

საქმიანობა ახალი სამუზეუმო ნივთების მიღებისა და იდენტიფიკაციის პროცესში (არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალები, მეცენატებისაგან მიღებული საჩუქრები, აუქციონზე შენაძენი ან შინაგან საქმეთა ორგანოებისა და საბაჟო კონტროლის სამსახურის მიერ გადმოცემული მასალები).

**პოლიმხატვრული აღზრდა** (ინგლ. Polyartistic training) – ხელოვნებასთან ზიარების ფორმა, რომელიც მოზარდს საშუალებას აძლევს აღიქვას სხვადასხვა სახის მხატვრული საქმიანობის საფუძვლები და შეექმნას წარმოდგენა ხელოვნების სხვადასხვა სფეროზე.

**პრევენციული კონსერვაცია** (ინგლ. Preventive conservation) – მოიცავს ნებისმიერ ქმედებას მუზეუმის კოლექციებისა და ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების საფრთხის თავიდან აცილების ან მდგომარეობის გაუარესების შემცირების მიზნით.

**პროექტის მენეჯერი** (ინგლ. Project manager) – თანამშრომელი, რომელიც ხელმძღვანელობს ამა თუ იმ პროექტის განვითარების მთელ პროცესს კომუნიკაციისა და ყველა სხვა რესურსის უზრუნველყოფით.

**რარიტეტი** (ინგლ. Rarity) – ნივთი, რომლის ფასეულობა განისაზღვრება მისი უნიკალურობით. თანამედროვე მუზეუმმცოდნეობაში ტერმინი „რარიტეტი" ძირითადად გამოიყენება იმ ნივთების მიმართ, რომლებიც შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარად (მაგ., პირველნაბეჭდი წიგნები).

**რეგისტრაცია** (ინგლ. Registration) - მუზეუმში მუდმივი სარგებლობისათვის შემოსული ყველა ნივთის აღრიცხვა ძირითად შემოსულობათა ან სამეცნიერო-დამხმარე მასალათა წიგნში, შესაბამისი რიგითი ნომრით და გრაფაში, ნივთის ძირითადი ნიშნების აღნიშვნით.

**რეგისტრატორი** (ინგლ. Registrar) – მუზეუმის თანამშრომელი, რომელიც ახდენს მუზეუმის კოლექციაში დამატებული საგნების რეგისტრაციას, ადგენს სარეგისტრაციო დოკუმენტებს და სამუზეუმო ნივთს ანიჭებს ნომერს.

**რევალორიზაცია** (ლათ. re –განმეორებითი ქმედების გამომხატველი პრეფიქსი, ფრ. valoris от valour – ფასეულობა, ინგლ. (Re)valorization) – ისტორიულ-კულტურული ობიექტისათვის იმ დაკარგული ფასეულობის დაბრუნება, რაც განადგურდა დროის ან რაიმე სხვა დამანგრეველი ფაქტორის შედეგად; იგულისხმება როგორც ობიექტის ფიზიკური მდგომარეობა, ასევე მისი ფასეულობის აღქმა სოციუმში. განსაკუთრებით ფასეული ობიექტების აღდგენა ხდება მუზეუმიფიკაციის გზით (იხ. მუზეუმიფიკაცია, რესტავრაცია).

**რეკონსტრუქცია** (ინგლ. Reconstruction) – განადგურებული ან ნაწილობრივ შემონახული ობიექტის აღდგენა სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით.

**რელიგიის ისტორიის მუზეუმი** (ინგლ. Museum of the History of Religion) – ისტორიული პროფილის მუზეუმის გავრცელებული ტიპი, რომლის კოლექცია ახდენს რელიგიის (მსოფლიო რელიგიის), როგორც რთული სოციოკულტურული ფენომენის გენეზისისა და განვითარების დოკუმენტირებას და დემონსტრირებას.

**რელიქვია** (ინგლ. Reliquary) – განსაკუთრებული მემორიალური ნივთი, რომელიც, როგორც წესი, დაკავშირებულია იმ მოვლენებთან თუ პიროვნებებთან, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ხალხთა, სახელმწიფოს, ქვეყნის კულტურისა და რელიგიის ისტორიაში.

**რესტავრაცია** (ინგლ. Restoration) – ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია ისტორიისა და კულტურის ძეგლთა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვისკენ, მათი მხატვრული და საზოგადოებრივი ღირებულებების გამოვლენისკენ.

**რესტიტუცია** (ლათ. Restitutio - აღდგენა, ინგლ. Restitution) – საერთაშორისო სამართალში აგრესორი სახელმწიფოს მატერიალური პასუხისმგებლობის ფორმა, რომელიც ითვალისწინებს აგრესიის ობიექტი ქვეყნისათვის მატერიალური ზარალის მიყენების აცილებას ან შემცირებას უკანონოდ მიტაცებული და ქვეყნიდან გატანილი სახელმწიფო საკუთრების დაბრუნების გზით.

**რიმეიკი** (ინგლ. Remake) – მატერიალური კულტურის ძეგლის ზუსტი ასლი, რომელიც შესრულებულია იგივე მასალასა და ზომებში, როგორც ორიგინალი; იქმნება სამეცნიერო რეკოსტრუქციის საფუძველზე ან მზადდება შემორჩენილი ფორმის მეშვეობით.

**საავტორო უფლება** (ინგლ. Museum copyright) – მუზეუმის საავტორო უფლებაზე იურიდიულად დამოწმებული უფლება.

**საბავშვო მუზეუმი** (ინგლ. Children Museum) - კონკრეტულ მიზნობრივ აუდიტორიაზე ორიენტირებული მუზეუმის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ფუნქციის პრიორიტეტს წარმოადგენს მოზარდთა სოციალური ადაპტაცია გარემომცველ სამყაროში - მათი შემოქმედებითი, გართობის ინტერესების სტიმულირების, ინტერაქტიული ექსპოზიციის ორგანიზებისა თუ სხვა საშუალებებათა მეშვეობით.

**საბუნებისმეტყველო მუზეუმი** (ინგლ. Natural History Museum) - მუზეუმი, სადაც

დაცულია ბუნების მოვლენების, ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედების ამსახველი მასალები, აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებასთან დაკავშირებული მასალები.

**საგამოფენო ვიტრინა** (ინგლ. Showcase) – სამუზეუმო ავეჯის ნიმუში, რომელიც შეიცავს სივრცეს ნივთების გამოსაფენად და აქვს შიდა განათების წყარო.

**საგამოფენო ბრიფი** (ინგლ. Exhibition brief) - გამოფენის ინტერპრეტაციის გეგმა, რაც განსაზღვრავს გამოფენის ორგანიზების მთელ პროცესს მის გახსნამდე.

**საგანმანათლებლო საქმიანობა** (ინგლ. Educational Activities) – მუზეუმის აქტივობის სპეციფიკური ფორმა, რომელიც მიმართულია სამუზეუმო საშუალებათა მეშვეობით პიროვნების განვითარების, აღზრდისა და სწავლებისაკენ.

**საგნობრივი წყაროები** (ინგლ. Subject Sources) – სამუზეუმო ექსპონატების ტიპი, რომლებიც წარმოადგენს უტილიტარული დანიშნულების ხელნაკეთ ნივთებს. საგნობრივი წყაროების სახეობები იყოფა მასალის (რკინა, ხე, მინა, ქსოვილი და ა.შ.) და ფუნქციური დანიშნულების (ნუმიზმატიკა, იარაღი, ავეჯი და ა.შ.) მიხედვით.

**საეკლესიო მუზეუმები** (ინგლ. Church Museums) – ამ ტიპის მუზეუმი იქმნება და ფუნქციონირებს ეპარქიებთან, მონასტრებში, საკვირაო სასულიერო სკოლებში, რელიგიურ გაერთიანებებში, რომლებიც წარმოადგენენ მის დამფუძნებლებს და მფლობელებს.

**საექსპოზიციო აღჭურვილობა** (ინგლ. Display equipment) – ელემენტებისა და მოწყობილობათა კომპლექსი, რომელთა მეშვეობით ხდება ექსპოზიციის კონსტრუქციულ-სივრცობრივი ორგანიზაცია. იგი უზრუნველყოფს ექსპონატთა ფიქსაციასა და დაცულობას საექსპოზიციო სივრცის ნებისმიერი წერტილიდან.

**საექსპოზიციო საქმიანობა** (ინგლ. Exposition work) – სამუზეუმო საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც ძირითადად პასუხისმგებელია ექსპოზიციის პროექტირებაზე, მონტაჟზე და დემონტაჟზე, ასევე მისი მიმდინარეობისა და დოკუმენტირების სიზუსტეზე.

**საექსკურსიო საქმიანობა** (ინგლ. Guide work) – მოიცავს მოქალაქეთათვის კულტურული, ისტორიული, არქიტექტურული და ტურისტული რესურსების გაცნობის მიზნით საქმიანობის თეორიას, მეთოდიკას, პრაქტიკას, შინაარს, მართვას და ორგანიზაციას.

**საზოგადოებრივი მუზეუმი** (ინგლ. Public Museum) – განმანათლებელთა ეპოქაში ჩამოყალიბებული მუზეუმის ისტორიული ტიპი, რომლის კოლექცია ენცი-

კლოპედიურ ხასიათს ატარებდა და მის დამფუძნებლებად ხშირად სამეცნიერო საზოგადოებები გვევლინებოდნენ. XIX ს-ში ცნება "საზოგადოებრივი მუზეუმი" ჩვეულებრივ წარმოადგენდა საყოველთაო ხელმისაწვდომობის სინონიმს, XX ს-ში იგი ასოცირდებოდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუზეუმის ფართოდ გავრცელებულ ტიპთან.

**საინვენტარო წიგნი** (ინგლ. Inventory book) - დადგენილი წესით შედგენილი სამუზეუმო ნივთის სააღრიცხვო დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია თითოეული საგნის ვრცელი აღწერილობა, კლასიფიკაცია და შესწავლის შედეგები.

**საინფორმაციო ტექნოლოგიები** (ინგლ. Information technology) –სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდების, საშუალებებისა და რესურსების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებას, დაცვას და დამუშავებას მუზეუმში, ასევე მის გავრცელებას სამუზეუმო სივრცეში და მის მიღმა (ფონდების კომპიუტერიზაცია, მონაცემთა ბაზისა და მუზეუმის ვებ-გვერდების შექმნა).

**საიტ-მუზეუმი** (ინგლ. Site Museum) – თანამედროვე მუზეოლოგიაში, მუზეუმები, რომლებიც იქმნება კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ობიექტების შენარჩუნების მიზნით მათი შექმნის ან აღმოჩენის ადგილზე. ICOM გამოყოფს საიტ-მუზეუმების 4 ტიპს: 1. ეკოლოგიური, რომლებიც შექმნილია ბუნებრივი გარემოს მუზეუმიფიკაციის საფუძველზე; 2. ეთნოგრაფიული, რომლებიც შექმნილია ადამიანთა წარსული და თანამედროვე დასახლების ადგილზე, მათი ცხოვრების წესისა და ტრადიციების მუზეუმიფიცირების საფუძველზე; 3. ისტორიული, რომლებიც იქმნება და ფუნქციონირებს ისტორიულ მოვლენებსა და გამოჩენილ პიროვნებებთან დაკავშირებულ ადგილებში; 4. არქეოლოგიური, რომლებიც იქმნება არქეოლოგიური გათხრების ადგილებზე.

**სამუზეუმო ექსპოზიცია** (ინგლ. Museum exposition) – 1. არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტის სივრცე, რომელშიც გარკვეული სისტემით, წინასწარ შემუშავებული კონცეფციის თანახმად, ექსპონირებულია მუზეუმის ფონდის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დამთვალიერებლისათვის. 2. სამუზეუმო საგნების მიზანმიმართული და მეცნიერულად დამუშავებული გამოფენა კომენტარების თანხლებით, რაც ახდენს ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების სპეციფიკურ სამუზეუმო დემონსტრირებას.

**სამუზეუმო კოლექცია** (ინგლ. Museum collection) – სამუზეუმო საგანთა ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებულია ამა თუ იმ საერთო ნიშნით (ტიპები, წყაროები, წარმოშობა, ფუნქციური დანიშნულება და ა. შ.) და წარმოადგენს სამეცნიერო, შემეცნებითი ან მხატვრული ინტერესის საგანს.

**სამუზეუმო ექსპონატი** (ინგლ. Museum Exhibit) – მუზეუმის ექსპოზიციის სტრუქტურული ელემენტი, გამოფენილი დემონსტრაციისა და მაყურებელთა ყურადღების მიპყრობის მიზნით.

**სამუზეუმო ექსპონატის სააღრიცხვო ბარათი** (ინგლ. Exhibit Registration card) - ექსპონატის სააღრიცხვო დოკუმენტაციის პირველადი დოკუმენტი, რომელშიც მოკლედაა ასახული ნივთის რაობა, მდებარეობა, მდგომარეობა და სხვა ძირითადი მონაცემები.

**სამუზეუმო ექსპონატის პასპორტი** (ინგლ. Exhibit Exhibit passport) - ექსპონატის სააღრიცხვო დოკუმენტაციის ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც ვრცლადაა ასახული ექსპონატის შესახებ არსებული ინფორმაცია.

**სამუზეუმო კომუნიკაცია** (ინგლ. Museum communication) – სამუზეუმო ძეგლებთან დამთვალიერებლის ურთიერთობის პროცესი, რომლის წარმატების პირობებს წარმოადგენს: 1. მისი შესაძლებლობა, აღიქვას სამუზეუმო საგნის "ენა". 2. მუზეუმის თანამშრომელთა შესაძლებლობა, შექმნან ამ აღქმისთვის საჭირო პირობები.

**სამუზეუმო საქმიანობა** (ინგლ. Museum work) - მუზეუმთან დაკავშირებული საკანონმდებლო და საფინანსო-ეკონომიკური, შეგროვებითი, საფონდო, სარესტავრაციო, სამეცნიერო- კვლევითი, კულტურულ-საგანმანათლებლო და საექსპოზიციო საქმიანობა.

**სამუზეუმო მენეჯმენტი** (ინგლ. Museum Management) – მუზეუმისა და მუზეუმის პერსონალის მართვის სისტემის ცოდნა; მუზეუმის მენეჯმენტის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთ გადაწყვეტილებათა მიღებას, რომლებსაც მუზეუმი მიჰყავს საკუთარი მისიის განხორციელების, მისი უფლებამოსილების შესრულებისა და მუზეუმის სხვადასხვა ფუნქციის შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციისაკენ.

**სამუზეუმო მარკეტინგი** (ინგლ. Museum Marketing) – მუზეუმის მენეჯმენტის პროცესი, რომელიც პასუხისმგებელია მომხმარებელთა მოთხოვნების იდენტიფიცირებაზე, განსაზღვრასა და შესრულებაზე; ასევე აუდიტორიის გაფართოებისა და მუზეუმის მუდმივ ვიზიტიორებთან ურთიერთობის განმტკიცებაზე, მუზეუმის საქმიანობის PR-სა და რეკლამაზე. სამუზეუმო მარკეტინგის კომერციული მიმართულება ორიენტირებულია მუზეუმის კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნაზე, სამუზეუმო მომსახურებისა და საქონლის ასორტიმენტის გაუმჯობესებაზე, ბაზრის კვლევისა და პროგნოზირების მეშვეობით მოგების მიღებაზე.

**სამუზეუმო-პედაგოგიური პროგრამა** (ინგლ. Museum-Educatorial program) – სამუზეუმო - პედაგოგიური საქმიანობის მეცნიერული და მეთოდური თანმიმდევრობა, რომელიც ითვალისწინებს მუზეუმისა და აუდიტორიის ასაკობრივ შესაძლებლობებს. სამუზეუმო-პედაგოგიურ პროგრამებს აქვთ კომპლექსური ხასიათი და შეიძლება შეიცავდეს სასწავლო კურსებს, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების ეტაპობრივ და თანმიმდევრულ განვითარებას, აღზრდას და შესწავლას სამუზეუმო საშუალებებით.

**სამუზეუმო-პედაგოგიური პროცესი** (ინგლ. Museum-Educatorialprocess) – მუზეუმის პედაგოგისა და მოსწავლეთა სისტემურად ორგანიზებული ურთიერთმოქმედება, უზრუნველყოფს განვითარებას სამუზეუმო გარემოში - მუზეუმის სტრუქტურის ყველა ელემენტის მთლიანობით (სამუზეუმო ნივთი, პედაგოგი და დამთვალიერებელი).

**სამუზეუმო ფონდების აღრიცხვა** (ინგლ. Registration for the museum collections) – საფონდო მუშაობის ერთ-ერთი ფორმა, რომლის პროცესში ფიქსირდება სამუზეუმო საგნის შესწავლის შედეგები და იქმნება პირობები მისი გამოყენებისათვის. გამოყოფენ აღრიცხვის პროცესის ორ სტადიას: შემოსულობათა წიგნში სამუზეუმო მნიშვნელობის საგნების განსაკუთრებული ნიშნების პირველად რეგისტრაციას და სამეცნიერო ინვენტარიზაციას.

**სამუზეუმო ფონდების დაკომპლექტება** (ინგლ. Completion of the Museum Fund) – საფონდო მუშაობის ერთ-ერთი ფორმა - მუზეუმმცოდნეობის პრინციპებზე დამყარებული სამეცნიერო მუშაობა, რომლის პროცესში მიმდინარეობს სამუზეუმო მნიშვნელობის საგნების გამოვლენა და მათი შეგროვება ფონდების შევსების მიზნით.

**სამუზეუმო ნივთი** (ინგლ. Museum object) – მუზეუმის ფონდში დაცული კულტურული ფასეულობა, რომელსაც გააჩნია დადგენილი სამეცნიერო, ისტორიული, მხატვრული და სამუზეუმო ღირებულება, ამოღებულია საყოფაცხოვრებო გარემოდან, დამუშავებულია მეცნიერულად და შეტანილია სამუზეუმო კოლექციის შემადგენლობაში.

**სამუზეუმო ექსპონატი** (ინგლ. Museum exhibit) – დადგენილი წესით აღრიცხული სამუზეუმო ნივთი, რომელსაც მინიჭებული აქვს მუზეუმის ექსპონატის სტატუსი.

**სამუზეუმო პედაგოგიკა** (ინგლ. Museum pedagogy) – პედაგოგიური მეცნიერების დარგი, აგებულია მის სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობაზე და ორიენტირებულია კულტურის გამოცდილების გადაცემაზე სამუზეუმო გარემოში.

**სამუზეუმო საქმე** (ინგლ. Museology) – კულტურული მოღვაწეობის ფორმა,

რომელიც მიმართულია სამუზეუმო დაწესებულების ფუნქციონირების უზრუნ-ველყოფისა და მისი სოციალური ფუნქციის შესრულებისაკენ. მისი შექმნა უშუ-ალოდ უკავშირდება სამუზეუმო საქმიანობის მიმართულებებისა და სამუზეუმო პროფესიების ფორმირებას. XX საუკუნიდან ხდება სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკის ნაწილი (სამუზეუმო პოლიტიკა).

**სამუზეუმო სოციოლოგია** (ინგლ. Museum sociology) – მეცნიერება, რომელიც სწავლობს მუზეუმის, როგორც სოციალური ინსტიტუტის განვითარებისა და სა-ზოგადოებასთან მისი ურთიერთმიმართების კანონზომიერებებს (ჩამოყალიბდა XIX-XX სს. მიჯნაზე, საზოგადოებრივი მუზეუმების აღმოცენებისა და ფართოდ გავრცელების შედეგად. იხ. საზოგადოებრივი მუზეუმი).

**სამუზეუმო პიარკამპანია** (Museum PR campaign) – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს მუზეუმისადმი მხადაჭერას ან მისადმი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულების შეცვლას.

**სამხატვრო პედაგოგიკა** (ინგლ. Artistic pedagogy) – პედაგოგიკის დარგი, რო-მელიც ორიენტირებულია ხელოვნების სფეროში როგორც პროფესიულ გა-ნათლებაზე, ასევე მხატვრულ სახეთა მეშვეობით პიროვნების აღზრდასა და განვითარებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ საქმიანობაზე.

**სამეცნიერო ექსპერტიზა** (ინგლ. Scientific expertise) – საგნისა და სახეობის ნამდვილობის დადგენა და ატრიბუცია.

**სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა** (ინგლ. Scientific-Research work)– მუ-ზეუმის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი მიმართულება, რომლის შედეგები განსაზღვრავს მუზეუმის სამეცნიერო-საფონდო საქმიანო-ბის ხარისხს, საექსპოზიციო და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას.

**სასკოლო მუზეუმი** (ინგლ. School Museum) – მიეკუთვნება სასწავლო დაწესე-ბულების მუზეუმთა ჯგუფს და პედაგოგიური პროფილის მუზეუმებს, იქმნება და ფუნქციონირებს ზოგადსაგანმანათლებლო ყველა ტიპის სკოლაში სასწავლო -აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურობის ასამაღლებლად, მოსწავლეთა შე-მეცნებით და შემოქმედებით აქტივობათა განვითარებისთვის, კულტურულ-ის-ტორიული მემკვიდრეობისადმი მათი ურთიერთობის ფორმირებისათვის.

**სასწავლო კოლექცია** (ინგლ. Research collection) – საგნები, რომლებიც შეკრე-ბილია საკვლევად ან საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არა გამოფენისთვის

**საუწყებო მუზეუმები** – (ინგლ. Departmental Museum) სხვადასხვა პროფილის მუზეუმები, რომლებიც ექვემდებარებიან ცალკეულ დაწესებულებებს ან უწ-

ყებებს. ისინი იქმნება წარმოების გარკვეული ინდუსტრიის (ტრანსპორტი, ჯანდაცვა, ძალოვანი და სხვა სტრუქტურები) რეპრეზენტაციის მიზნით.

**საქართველოს მუზეუმების სისტემა** (ინგლ. Georgian Museum System) - საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და არასახელმწიფო მუზეუმების ერთობლიობა.

**საქართველოს სამუზეუმო ფონდი** (ინგლ. Georgian Museum Fund) - საქართველოს მუზეუმებში დაცული ფონდების ერთობლიობა.

**საქართველოს სამუზეუმო ფონდის სახელმწიფო ნაწილი** (ინგლ. Georgian State Museum Fund) - სახელმწიფო და ადგილობრივ მუზეუმებში აღრიცხული და დაცული სამუზეუმო ექსპონატებისა და კოლექციების ერთობლიობა.

**საქართველოს სამუზეუმო ფონდის არასახელმწიფო ნაწილი** (ინგლ. Georgian Non-State Museum Fund) - არასახელმწიფო და შერეული საკუთრების ფორმის მუზეუმების საკუთრებაში არსებული, აღრიცხული და დაცული სამუზეუმო ექსპონატებისა და კოლექციების ერთობლიობა.

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია** (ინგლ. Georgian National Tourism Administration) - სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მისიას წარმოადგენს საქართველოს პოზიციონირებით მდგრადი ტურიზმის განვითარება, როგორც უნიკალური ტურისტული მიმართულების, საერთაშორისო ტურისტულ რუკაზე, ვიზიტორების გამოცდილების გაუმჯობესება და მათი დანახარჯების გაზრდა, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს სტრატეგიულ პარტნიორებთან ეფექტური თანამშრომლობით ქვეყნის ეკონომიკას. ვებ-გვერდი: gnta.ge

**სახვითი წყაროები** (ინგლ. Visual sources) – მუზეუმის ექსპონატთა ტიპი, რომლებიც ინფორმაციას გადმოსცემს სახვითი ხელოვნების, ფოტოდოკუმენტებისა და გრაფიკული დოკუმენტების სახით.

**სახვითი ხელოვნების მუზეუმი** (ინგლ. Art/Fine Art Museum) - მუზეუმი, სადაც დაცულია ხელოვნების სხვადასხვა დარგის ისტორიისა და თანამედროვე ხელოვნების ამსახველი მასალები. სახვითი ხელოვნების მუზეუმებში შეიძლება ნაჩვენები იყოს ცივილიზაციის განვითარების მთელი სპექტრი ან ეძღვნებოდეს მხოლოდ ხელოვნების ერთ რომელიმე დარგს, მიმდინარეობას, კონკრეტული ხელოვანის შემოქმედებას და ვიზიტიორისათვის საინტერესო იყოს მხატვრული სტილის ევოლუციის თვალსაზრისით.

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი მუზეუმი - სსიპ** (ინგლ. Legal Public

Entity Museum - LPEM) არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. მუზეუმს აქვს განცალკევებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა სახის ანგარიშები, ბეჭედი საკუთარი დასახელებით, ბლანკი, ემბლემა და იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები.

**სემიოტიკა** (ბერძნ. sēmeiotikon < sēmeion – ნიშანი, ინგლ. Semiotics) - დისციპლინა, რომელიც იკვლევს ნიშანთა სისტემების ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებას. მისი შესწავლის ობიექტია ყველანაირი ტიპის ნიშნები (დაწყებული სიგნალიზაციის უმარტივესი სისტემებიდან ბუნებრივი ენებისა და მეცნიერულად ფორმალიზებული ენების ჩათვლით). სამუზეუმო საქმეში იგი იმ სხვადასხვა ნიშანთა სისტემების ურთიერთქმედების აღწერა/ანალიზის ერთ-ერთი ინსტრუმენტია და გამოიყენება მუზეოლოგიურ დისკურსში, სემიოტიკური ანალიზი წარმოადგენს ასევე სამუზეუმო კომუმიკაციის სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთ მეთოდსაც.

**სივრცეში ორიენტირებადი ინფორმაცია** (ინგლ. Space orientated information) – დამთვალიერებელთა ინფორმირება სამუზეუმო სივრცეში.

**სისტემური გამოფენა** (ინგლ. Systematic exhibition) - ამ ტიპის გამოფენები დღეს წარმოადგენს ე. წ. ღია შენახვის ფორმატს, სამუზეუმო საგანთა სისტემურად ორგანიზებულ ექსპოზიციას, რასაც თან ახლავს სტენდებზე ან კომპიუტერულ ტერმინალებზე მოცემული ვრცელი ინფორმაცია.

**სიუჟეტი** (ინგლ. subject, ლათ. sujet) 1. მხატვრული ნაწარმოების ძირითადი შინაარსი. 2. თემა, ასახვის საგანი სახვითი ან მუსიკალური ხელოვნების ნაწარმოებში.

**სკანსენი** (ინგლ. Skansen) - ღია ცის ქვეშ მოწყობილი მუზეუმის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც ახდენს ისტორიულ-კულტურული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და მემორიალური კომპლექსების დემონსტრირებას გარემომცველ სამყაროსთან, ლანდშაფტთან ერთიანობაში.

**სტილი** (ინგლ. Style, ბერძნ. stýlos – ღერო დასაწერად ცვილის დაფაზე) - პრინციპების, კანონზომიერებებისა და გარკვეული შემოქმედებითი მეთოდის წესების, აგრეთვე რომელიმე ისტორიული ეპოქის მხატვრული ფორმის თავისებურებათა

განვითარებული სისტემა.

**სტილიზაცია** (ინგლ. Stylisation) – 1. რომელიმე ეპოქისათვის დამახასიათებელი კოლორიტის შექმნა მხატვრულ ან ლიტერატურულ სახეში. 2. რომელიმე სტილის მიბაძვით შექმნილი ნაწარმოები.

**სტრატეგიული დაგეგმვა** (ინგლ. Sketch planning) - მუზეუმის მოღვაწეობის ხანგრძლივი პროცესის დაგეგმვა. ეს პროცესი აერთიანებს მუზეუმის ან კონკრეტული კოლექციის ფიზიკურ, ფინანსურ, ფილოსოფიურ და საგანმანათლებლო მიზნებს.

**სფრაგისტიკა** (ბერძნ. Sphragís, ლათ. σφραγις – ბეჭდვა, ინგლ. Sigillography/Sphragistic) – დამხმარე ისტორიული დისციპლინა, რომელიც სწავლობს საბეჭდავებს და ბეჭდებს, ასევე გემმებს, დამღებს, კერამიკულ და სხვა სახის შტამპებს.

**სქემატური პროექტირება** - (ინგლ. Scematic planning) – მუზეუმის გამოფენის ყველა კომპონენტის პროექციებისა და სამგანზომილებიანი ხედების ("საპრეზენტაციო ნახატების") კომბინაცია.

**ტემპი** (ინგლ. Speed) – ექსკურსიის ჩატარებისა და სამუზეუმო სივრცეში გადაადგილების სიჩქარე, რაც იგეგმება საექსკურსიო მომსახურების გეგმის მომზადების პროცესში.

**ტექნოლოგიური მუზეუმი** (ინგლ. Museum of Technology) - მუზეუმი, რომლის ფონდებში თავმოყრილია ტექნიკის განვითარების ისტორიის დოკუმენტური მასალები, მათ შორის: ნივთიერი ძეგლები (მანქანები, მექანიზმები, ხელსაწყოები და სხვ.), წერილობითი ძეგლები (მეცნიერთა ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ტექნიკური დოკუმენტაცია, ფონოჩანაწერები და კინოფილმები, რომლებიც ასახავენ ტექნიკის განვითარების ეტაპებს).

**ტილო** (ინგლ. Canvas) – მე-15 საუკუნიდან ფერწერული ნახატის ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ზედაპირი (ბამბის ან კანაფის მასალა).

**ტრანსფორმაცია** (ინგლ. Transformation) – გარდასახვა, სახეცვლილება

**ტურიზმი** (ინგლ. Tourism) – ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ბუნების, ისტორიული და კულტურული ძეგლების დათვალიერების მიზნით;

**ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები** (ინგლ. Tourism Information Centers) - ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მიზანია საქართველოში ჩამოსული და ადგი-

ლობრივი ტურისტის სრულყოფილი ინფორმირება ტურისტული მომსახურებისა და ტურისტული პროდუქტის შესახებ; ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა; საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალისა და ახალი პროდუქტის პოპულარიზაცია. ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს ტურიზმის 22 საინფორმაციო ცენტრი.

**ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მონაცემთა ბაზა** (ინგლ. Tourism Information Centers Database) - ბაზა მოიცავს სხვადასხვა სახის ტურისტული ობიექტების (განთავსებისა და კვების ობიექტები, მუზეუმები, გალერეები და ა. შ.) შესახებ დეტალურ ინფორმაციას. საინფორმაციო ცენტრი ტურისტს უფასოდ უწევს რეკომენდაციას საქართველოს მასშტაბით არსებული ტურისტული ადგილების და ღირსშესანიშნაობების, კონკრეტული მიმართულებით ტურის დაგეგვის შესახებ. საინფორმაციო ცენტრების საშუალებით ვრცელდება აგრეთვე სხვადასხვა სახის სარეკლამო-ბეჭდვითი მასალა.

**ტურისტი** (ინგლ. Tourist) – ფიზიკური პირი, რომელიც იმყოფება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, დასვენების, საქმიანი თუ სხვა მიზნით, ვადით არანაკლებ 24 საათისა და არა უმეტეს ერთი წლისა.

**ტურისტული პროდუქტი** (ინგლ. Tourism product) – ტურისტული მომსახურების (კვება, ღამისთევა, სატრანსპორტო მომსახურება, ექსკურსია და სხვა) არანაკლებ ორი კომპონენტისაგან შემდგარი კომპლექსი, რაც აუცილებელია ტურისტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მისი მოგზაურობის, დასვენების დროს და რომლის ღირებულება შედის ტურისტული საგზურის ფასში.

**ტურისტული საგზური** (ინგლ. Tourism package) – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ტურისტის სტატუსს, მისთვის გასაწევი მომსახურების კატეგორიას და ამ კატეგორიით მომსახურების გარანტიას.

**ტური** (ინგლ. Tour) – კონკრეტული ვადით, განსაზღვრული მიზნითა და მარშრუტით მოგზაურობა, რაც უზრუნველყოფილია ტურისტული პროდუქტით.

**ტურისტული მარშრუტი** (ინგლ. Touristic Route) – ტურისტების ან სატრანსპორტო საშუალებების გზა განსაზღვრული მარშრუტით, კონკრეტული დროის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფილია კომპლექსური მომსახურებით (დაჯავშნა, ტრანსპორტი, დაბინავება, კვება და ა.შ.) განპირობებული ტურის პროგრამით (ტურისტის ვაუჩერით).

**ტურისტული საქმიანობა** (ინგლ. Tourism service) – ტურისტული საქმიანობის სუბიექტის მიერ ტურისტთა განთავსების, კვების, ტუროპერატორული, ტრანსპორტირების, საექსკურსიო, გამაჯანსაღებელი, რეაბილიტაციის, სარეკლა-

მო-საინფორმაციო, კულტურული, სპორტულ-საყოფაცხოვრებო, გასართობი და ა. შ. მიზნით გაწეული მომსახურება, რაც მიმართულია ტურისტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

**ტურ ოპერატორი** (ინგლ. Tour operator) – იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც ახორციელებს ტურისტული პროდუქტის ფორმირებასა და რეალიზაციას.

**ტურ აგენტი** (ინგლ. Tourist agent) – იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც ახორციელებს ტურისტული პროდუქტის რეალიზაციას.

**ტურისტული რესურსები** (ინგლ. Tourism resources) - ტურისტული საქმიანობის ობიექტები: ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი და სოციალურ-საყოფაცხოვრებო რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტის მოთხოვნილებებს.

**ტურისტული ინდუსტრია** (ინგლ. Tourism industry) – ტურისტული საქმიანობის სუბიექტების, ობიექტების ერთობლიობა და ტურისტული პროდუქტი.

**ტურისტული ბაზარი** (ინგლ. Tourism Market) – ტურისტული საქმიანობის სფეროში ამა თუ იმ ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების მიმოქცევა.

**უნიკუმი** (ინგლ. Unique) – ერთადერთი, განუმეორებელი და თვისობრივად გამორჩეული ფასეულობის მქონე მხატვრული, სამეცნიერო, ისტორიული და მემორიალური ნივთი ან რელიქვია.

**ურბანისტული ძეგლი** (ინგლ. Urban Monument) – მხატვრულად და ისტორიულად ფასეული ანსამბლები, კომპლექსები, კვარტლები, მოედნები, უბნები, ქუჩები და ძველი დაგეგმარების ნაშთები, ასევე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ურბანისტული ძეგლები.

**უძრავი ძეგლის დაცვის ზონა** (ინგლ. Defence zone of Immovable Monument) - უძრავი ძეგლის უშუალოდ გარემომცველი ტერიტორია, რომლის სტატუსი უზრუნველყოფს უძრავი ძეგლის დაცვას ფიზიკური ზეგავლენისაგან.

**უძრავი ძეგლის ტერიტორია** (ინგლ. Immovable Monument Area) - უძრავი ძეგლის მიერ უშუალოდ დაკავებული და მასთან ისტორიულად და ფუნქციურად დაკავშირებული ტერიტორია.

**ფაბულა** (ინგლ. plot, story, ლათ. fabula) - მოვლენის, გმირების მოქმედების სიუჟეტური სქემა მხატვრულ ნაწარმოებებში.

**ფალსიფიკაცია** (ინგლ. Falsification) – ისტორიისა და კულტურის ძეგლის ან კონკრეტული ეპოქის, სკოლისა თუ ოსტატის ხელოვნების ნიმუშების იმიტირებული სახის შექმნა მათი ორიგინალად გასაღების მიზნით.

**ფანდრაიზინგი** (ინგლ. Fundraising) - სიტყვა-სიტყვით "ფინანსური სახსრების შეგროვება", ზოგადად, საგანგებო პროგრამებისა და ღონისძიებათა სისიტემა დაფინანსების მოსაძიებლად.

**ფასწარმოქმნა** (ინგლ. Price formation) – მუზეუმის მიერ მომხმარებელთათვის გაწეული მომსახურების ღირებულების  განსაზღვრის პროცესი, რაც მოიცავს: შესასვლელი ბილეთის ფასს, ჯგუფური და ინდივიდუალური ექსკურსიების ღირებულებას და მუზეუმის მიერ შემოთავაზებული დამატებითი მომსახურების ხარჯებს (ფოტო-ვიდეო გადარღვაბა, ელექტრონული გიდი და სხვ.).

**ფონდი** (ინგლ. Fund, ფრანგ. fond) 1. ფულადი თანხა ან მატერიალური ღირებულებები რაიმე მიზნისთვის. 2. რესურსები ან რეზერვი რაიმესთვის, 3. სამუზეუმო ან საბიბლიოთეკო ფონდები, 3. საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც განკარგავს სახსრებს სოციალურად მნიშვნელოვანი მიზნებისთვის.

**ფორმა ხელოვნებაში** (ინგლ. Form in Art) – მხატვრული ნაწარმოების შინაგანი ორგანიზაცია, სტრუქტურა, რომელიც შინაარსის გამოსავლენად მიმართავს სპეციფიკურ სახვით ხერხებს.

**ფრაგმენტი** (ინგლ. Fragment, ლათ. fragmentum, ნაჭერი, ნამტვრევი) ხელოვნებაში კომპოზიციის ან მხატვრული ნაწარმოების ნაწილი, რომელიც შემორჩენილია მხოლოდ ნაწილობრივ (ფრაგმენტულად).

**ქალაქ-მუზეუმი** (ინგლ. City Museum) - მუზეუმმცოდნეობაში: ისტორიული ქალაქი (ისტორიული დასახლება), რომელსაც შენარჩუნებული აქვს ისტორიული წყობა და როგორც ერთიანი ორგანიზმი, წარმოადგენს კულტურული ტურიზმის ობიექტს.

**ღია საცავი** (ინგლ. Open storage) - დაცული კოლექციების გახსნა საზოგადოებისათვის ინტერპრეტაციისა და წინასწარ დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის გარეშე.

**ღირსშესანიშნაობა** (ინგლ. Sighseeng) – აღნიშნავს კულტურული ტურიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტს, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ ან ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედებით (ისტორიული დასახლების ფრაგმენტები, არქეოლოგიური ობიექტები და სხვ.).

**შემეცნებითი სწავლება** (ინგლ. Cognitive learning) – მოტივირებულ აზროვნება-

ზე დაფუძნებული ცოდნა; რაციონალური სწავლება.

**შემოსულობა** (ინგლ. Accession) - მუზეუმისთვის ნივთის საკუთრებაში ან საკუთრების უფლებაში გადაცემა სხვადასხვა წყაროებიდან (არქეოლოგიური და სხვა კვლევები, შენაძენი, შემოწირულობა, საჩუქარი, უფლება და ა. შ.).

**შემოსულობათა წიგნი** (ინგლ. Accession Book) – წიგნი, რომელშიც ხდება მუზეუმში შემოსული ნივთების პირველადი რეგისტრაცია და ატრიბუცია (აქტები, შემოსულობათა წიგნში მოკლე ჩანაწერი) მათი დოკუმენტური დაცვის მიზნით (მუზეუმში დროებით, გარკვეული პერიოდით შემოსული ნივთები ტარდება დროებით შემოსულობათა წიგნში).

**შემოქმედება** (ინგლ. Creativity) – ადამიანის საქმიანობის სფერო, რომლის თავისებურებას წარმოადგენს ახლის, ბუნებაში ანალოგის არმქონეს შექმნა ამავე საქმიანობაში.

**შემოწირულობის ხელშეკრულება** (ინგლ. Donation Contract) – დონორის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ნივთი მუზეუმს გადაეცემა.

**შენახვის ერთეული** (ინგლ. Collection item) – საგანი ან საგანთა ჯგუფი (კოლექცია), რომელიც მუზეუმის შემოსულობათა წიგნში (მთავარი საინვენტარო წიგნი) შესულია ერთიანი ნომრით.

**შენაძენი** (ინგლ. Acquisition) – მუზეუმის მიერ სხვადასხვა ნივთის მოპოვება შეძენის საშუალებით.

**შეფასება** (ინგლ. Evaluation) - სამუზეუმო ნივთის ფულადი ღირებულების დადგენა.

**შეფასებითი მოხსენება** (ინგლ. Evaluation report) – დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია შეფასებითი მონაცემები გამოფენის ან რაიმე კონკრეტული პროექტის მიზნობრივი და წარმატებული განვითარების თვალსაზრისით.

**შიდა ტურიზმი** (ინგლ. Domestic tourism) - ქვეყანაში მცხოვრები ფიზიკური პირებისათვის გაწეული ტურისტული მომსახურება მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, ქვეყნის საზღვრებში.

**შინაარსი და ფორმა** (ინგლ. Content and Form) – 1. ფილოსოფიაში – კატეგორიები, რომლებიც ასახავენ ბუნებრივი და სოციალური რეალობის ურთიერთკავშირს. 2. აზროვნებაში – ლოგიკისა და შემეცნების თეორია ფუნდამენტური აღქმა. 3. ხელოვნებაში – ხელოვნების ურთიერთგანმპირობებელი მხარეები ერთიანად ან ცალკეულ მხატვრულ ნაწარმოებებად.

**ძეგლი** (ინგლ. Monument) – მატერიალური საგანი ან მხატვრული ნაწარმოები, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ წარსულში და არ დაუკარგავს თავისი ღირებულება.

**ძეგლთა დაცვა** (ინგლ. Protection of Monuments) – სამართლებრივი რეგულირების ზომების სისტემა კულტურის ძეგლების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის და ცვისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისთვის.

**ძეგლთა დაცვის ზონები** (ინგლ. Monument Protection Zones) – ტერიტორიები გამოყენების წესების გარკვეული კანონების მიხედვით: დაცული ზონა, გაშენების რეგულირების ზონა, დაცული ლანდშაფტის ზონა, კულტურის ფენის დაცული ზონა და სხვ.

**ძეგლის დასაშვები გამოყენება** (ინგლ. Permitted uses of the monument) – ძეგლის ისეთი გამოყენება, რომელიც არ იწვევს მის თვისებათა შეუქცევად ცვლილებებს.

**ძეგლის კონსერვაცია** (ინგლ. Monument Conservation) – ძეგლის არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა.

**ძეგლის ადაპტაცია** (ინგლ. Adaptation Monument) – ძეგლის იმგვარად გადაკეთება, რაც შეესაბამება მის ახალ გამოყენებას გარე სახის მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით.

**ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი** (ინგლ. Object with Monument terms) – ახალაღმოჩენილი ან ადრე ცნობილი ობიექტი, რომელზეც ვრცელდება ძეგლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

**ძეგლის სააღრიცხვო ბარათი** (ინგლ. Registration Card) - ძეგლთა სააღრიცხვო დოკუმენტაციის პირველადი დოკუმენტი, რომელშიც მოკლედაა ასახული ძეგლის რაობა, მდებარეობა, მდგომარეობა და სხვა ძირითადი მონაცემები.

**ძეგლის პასპორტი** (ინგლ. Monument passport) - ძეგლთა სააღრიცხვო დოკუმენტაციის ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც ვრცლადაა ასახული ძეგლის შესახებ არსებული ინფორმაცია.

**ძეგლის სახელმწიფო სააღრიცხვო რეესტრი** (ინგლ. The State Register of Monuments) – სახელმწიფოს მიერ წარმოებული ძეგლთა სარეგისტრაციო ნუსხა.

**ძირითადი ფონდი** (ინგლ. General Fund) – სამუზეუმო კოლექციის ნაწილი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ტიპის სამუზეუმო საგნებს, გამოიყენება როგორც წყა-

რო, ბაზა სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად და ექსპოზიციის მოსაწყობად.

**ძირითადი სამუზეუმო მომსახურება** (ინგლ. sBasic Museum Service) – სამუზეუმო კოლექციის ექსპონირება, სამეცნიერო ინტერპრეტაცია და კულტურულ-შემეცნებითი პოპულარიზაცია.

**წარმომავლობა** (ინგლ. Origin) - საგნის დაწვრილებითი ისტორია მისი აღმოჩენის (შექმნის) მომენტიდან დღემდე, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს მისი ავთენტურობა და კუთვნილება.

**წერილობითი ძეგლები** (ინგლ. Written Monuments) – მუზეუმის ნივთების ტიპი, რომელიც კლასიფიცირებულია ფორმალური ნიშნებით (ხელნაწერი და ბეჭდვითი დოკუმენტები, გასული საუკუნის იშვიათი გამოცემები, წიგნები ავტოგრაფებით და სხვ.).

**ხელოვნების ენა** (ინგლ. Hypertext) – მხატვრული სახის მატერიალურად განხორციელების სახვით საშუალებათა ერთობლიობა.

**ხელოვნების სახეები** (ინგლ. Art types) – მხატვრულ-შემოქმედებითი საქმიანობის რეალური ფორმები, რომლებიც პირველ ყოვლისა, განსხვავდებიან მხატვრული შინაარსის მატერიალური განხორციელების მხრივ: ლიტერატურისთვის სიტყვიერია, მუსიკისთვის ხმოვანი, სკულპტურისთვის მოცულობით-პლასტიკური და სხვ.

**ხელოვნების მუზეუმი** (ინგლ. Art Museum) – მუზეუმის ტიპი, სადაც დაცულია ხელოვნების სხვადასხვა დარგის (ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, ფოტოგრაფია) ისტორიისა და თანამედროვე ხელოვნების ამსახველი მასალები.

**ხელოვნების მუზეუმის პედაგოგიკა** (ინგლ. Art Museum Pedagogy) – სამუზეუმო პედაგოგიკის მიმართულება, რომელიც ფორმულირებულია მუზეუმმცოდნეობის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის საფუძველზე, როგორც დისციპლინათშორისი მეცნიერული მიმართულება; სპეციფიკური, პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია მხატვრული გამოცდილების გადმოცემაზე სამუზეუმო გარემოში.

**ჰერალდიკა** (ინგლ. Heraldry) – დამხმარე ისტორიული დისციპლინა, რომელიც ფართოდ გამოიყენება სამუზეუმო საქმეში ღერბების წარმომავლობის გარკვევის, აღწერისა და კვლევის პროცესში.

**ჰიპერტექსტი** (ინგლ. Hypertext) – კომპიუტერის ეკრანზე ინფორმაციის წარდგენის ფორმა, რომლის დროსაც ყველა მასალა იშლება ერთმანეთთან დაკავში-

რებულ მცირე ფრაგმენტებად/მითითებებად (გამოკვეთილი ფერის, შრიფტის, ერთი ან რამდენიმე სიტყვის, ილუსტრაციისა და ა. შ.).

## ICOM (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო) და მისი საერთაშორისო კომიტეტები

**ICOM (International Council of Museums)** დაარსდა 1946 წელს მუზეუმების პროფესიონალთა მიერ. ICOM წარმოადგენს მუზეუმებისა და მუზეუმის სპეციალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც მუშაობს სამუზეუმო საზოგადოების განვითარების, მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის, კონსერვაციის, დაცვისა და განვითარების საკითხებზე. დღეისათვის მოიცავს 117 ეროვნულ და 31-ზე მეტ საერთაშორისო კომიტეტს, 35000-ზე მეტ ინდივიდუალურ და კორპორაციულ წევრს მსოფლიოს 152 ქვეყანაში. ICOM-ის შემადგენლობაში შედის 18 საერთაშორისო გაერთიანებული ასოციაცია, გარდა ამისა, ICOM არის ლურჯი ფარის საერთაშორისო კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, აქვს "A"კატეგორიის უმაღლესი საკონსულტაციო სტატუსი UNESCO-სა და გაეროს ეკონომიკურ-სოციალურ საბჭოში. http://icom.museum/

### ICOM-ის საერთაშორისო კომიტეტები*

**AVICOM** – International Committee for Audiovisual and New Technologies of Image and Sound/აუდიო-ვიზუალური და მულტიმედიური ტექნოლოგიების საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც მუშაობს მუზეუმების პროფესიონალთათვის აუდიო-ვიზუალური მეთოდებისა და ახალი ტექნოლოგიების სფეროში უახლესი ინფორმაციისა და შესაძლებლობების მიწოდებისა და ამ მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. http://network.icom.museum/avicom

**CAMOC** - The International Committee for the Collections and Activities of Museums of Cities/ქალაქის მუზეუმების კოლექციებისა და საქმიანობების საერთაშორისო კომიტეტი – ქალაქის მუზეუმების თანამშრომელთა ფორუმი, რომელიც მოიცავს ქალაქის მუზეუმების, ქალაქის დაგეგმარების, მისი ისტორიის, ეკონომიკის,

---

* ***შენიშვნა:*** ICOM-ის ამა თუ იმ საერთაშორისო კომიტეტში გაწევრიანება ხდება ICOM-ის წევრის მიერ საკუთარი ქვეყნის ეროვნული კომიტეტისადმი მიმართვისა და მისი რეკომენდაციის საფუძველზე.

არქიტექტურისა და გეოგრაფიის, მთლიანად ქალაქის ცხოვრების საკითხებს. კომიტეტის მუშაობა ფოკუსირებულია ექსპერტთა შორის ცოდნის და გამოცდილების, იდეების გაცვლის, გავრცელების და გამოცდილების მიღების მიმართულებებზე. კომიტეტის საქმიანობა მოიცავს ყოველწლიურ შეხვედრებსა და კონფერენციებს სხვადასხვა ქვეყნებში, სამუშაო ჯგუფების შექმნას, პუბლიკაციებსა და საინფორმაციო ბიულეტენებს. http://network.icom.museum/camoc/

**CECA** - International Committee for Education and Cultural Action/საგანმანათლებლო და კულტურული აქციების საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც შედგება მუზეუმის პედაგოგებისა და ამ სფეროს სხვა სპეციალისტებისგან. კომიტეტის თანამშრომლები მუშაობენ სამუზეუმო განათლების სხვადასხვა მიმართულებებით: კვლევა, მართვა, გამოფენები, თარგმანები, ექსპონატთა შეფასება, ინტერაქციული ტექნოლოგიების გამოყენება და კომუნიკაცია. კომიტეტის მიზანია ინფორმაციის, გამოცდილებისა და იდეების გაცვლა სამუზეუმო განათლების საკითხებში საერთაშორისო დონეზე. მუზეუმების საგანმანათლებლო მიზნების დაცვისთვის კომიტეტი უზრუნველყოფს პროფესიულ სტანდარტს, ატარებს ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციებს, შეხვედრებს, გამოსცემს პროფესიულ და მეთოდოლოგიურ პუბლიკაციებს. კომიტეტი ყოველწლიურად ატარებს კონკურსს "საუკეთესო პრაქტიკის" საგანმანათლებლო პროექტებზე. გამარჯვებულები იღებენ გრანტს კომიტეტის ყოველწლიურ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. http://network.icom.museum/ceca/

**CIDOC** - International Committee for Documentation/სამუზეუმო დოკუმენტაცის საერთაშორისო კომიტეტი – მუშაობს სამუზეუმო კოლექციების დოკუმენტირების საკითხებზე. კომიტეტი თავს უყრის და საშუალებას აძლევს კურატორებს, ბიბლიოთეკის და დოკუმენტაციის სფეროს სხვა სპეციალისტებს - დაამყარონ პროფესიული კავშირები, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. კომიტეტის წევრები მონაწილეობას იღებენ ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციებში, ხდებიან კომიტეტის სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის წევრები. http://network.icom.museum/cidoc/

**CIMCIM** - International Committee for Museums and Collections of Musical Instruments/ მუსიკალური ინსტრუმენტების მუზეუმებისა და კოლექციების საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტის წევრებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება სხვადასხვა ჯგუფების მუშაობაში შემდეგი მიმართულებებით: კომუნიკაცია, დაცვა, დოკუმენტირება, სწავლება, პრეზენტაცია, ტრადიციული მუსიკალური საკრავები, ტრეინინგები, კლასიკური მუსიკალური საკრავების საერთაშორისო კოლექციები. http://network.icom.museum/cimcim/

**CIMUSET** - International Committee for Museums and Collections of Science and Technology/მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მუზეუმებისა და კოლექციების საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტი შედგება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სპეციალისტებისგან. კომიტეტის ინტერესებში შედის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების არა მხოლოდ ტრადიციული მუზეუმები, არამედ თანამედროვე სამეცნიერო ცენტრები, რომელთა მიზანია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია და განვითარება. http://network.icom.museum/cimuset

**CIPEG** - International Committee for Egyptology/ეგვიპტოლოგიის საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტის მთავარი მისიაა ეგვიპტური კოლექციების, მონუმენტური და არქიტექტურის ძეგლების სპეციალისტთა ერთიანობა და ურთერთთანამშრომლობა. კომიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს ეგვიპტოლოგიის საერთაშორისო ასოციაციასთან. აგრეთვე ახორციელებს სამუზეუმო კოლექციებში ეგვიპტური ექსპონატების კატალოგიზაციის საერთაშორისო პროექტს. კომიტეტის საქმიანობა ასევე მოიცავს ბავშვთა და უფროსების საგანმანათლებლო პროგრამების გავრცელებასა და განვითარებას. http://cipeg.icom.museum/

**COMCOL** - International Committee for Collecting/სამუზეუმო კოლექციების ფორმირების საკითხების საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტის მისიას წარმოადგენს დისკუსია მატერიალური და არამატერიალური კოლექციების შექმნისა და განვითარების საკითხებზე, გამოცდილების გაცვლა თეორიულ-პრაქტიკული და ეთიკური თვალსაზრისით. კომიტეტის მანდატი მოიცავს ხელოვნების ნაწარმოებთა კოლექციების შექმნისა და გაყიდვის, თანამედროვე კოლექციონირების, კულტურული ფასეულობების რესტიტუციის საკითხებს. კომიტეტის მიზნებია: საერთაშორისო გამოცდილების და თანამშრომლობის განმტკიცება, პროფესიული სამუზეუმო საქმის ხელშეწყობა. კომიტეტი ახორციელებს ყოველწლიურ შეხვედრებს. http://network.icom.museum/comcol/

**COSTUME** - International Committee for Museums and Collections of Costume/კოსტუმის მუზეუმებისა და კოლექციების საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტში ერთიანდებიან კოსტუმის მუზეუმების სპეციალისტები, რომლებიც დაკავებულნი არიან კოსტუმის ისტორიის შესწავლით, ინტერპრეტაციითა და გამოფენების ორგანიზებით. http://network.icom.museum/costume/

**DEMHIST** - International Committee for Historic House Museums/სახლ-მუზეუმებისა და ისტორიული ნაგებობების საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ისტორიული სახლ-მუზეუმების მეთოდოლოგიური კლასიფიკაციის სისტემების შექმნა სპეციალისტებისთვის ამ მიმართულების სპეციფიკის უკეთ აღქმისა და კვლევისთვის, რაც პრიორიტეტების უფრო ეფექტურად

განსაზღვრის საშუალებას იძლევა: დაცულობა, რესტავრაცია და სხვ. კომიტეტი ყოველწლიურად ატარებს კონფერენციებს სახლ-მუზეუმების სხვადასხვა აქტუალური პრობლემების თემაზე და აქვეყნების კვლევის შედეგებს. http://demhist.icom.museum

**GLASS** - International Committee for Museums and Collections of Glass/მინის მუზეუმებისა და კოლექციების საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტი მუშაობს მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა პერიოდის მინის კოლექციების შესწავლის საკითხებზე. კომიტეტი ძირითადად შედგება კურატორებისა და რესტავრატორებისგან. კომიტეტი ყოველწლიურად ატარებს კონფერენციებს და გამოსცემს საინფორმაციო ბიულეტენებს. http://network.icom.museum/glass

**ICAMT** - International Committee for Architecture and Museum Techniques/სამუზეუმო არქიტექტურისა და ტექნიკის საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტი წარმოადგენს სამუზეუმო არქიტექტურის, დაგეგმარებისა და დიზაინის, ინტერპრეტაციის ძირითადი მასალებისა და ფილოსოფიური ასპექტების საკითხებზე მომუშავე ფორუმს. http://network.icom.museum/icamt/

**ICDAD** - International Committee for Museums and Collections of Decorative Arts and Design/ დეკორატიული ხელოვნებისა და დიზაინის საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტი მუშაობს მუზეუმებში, სახლ-მუზეუმებში, სასახლეებსა და ისტორიულ მონუმენტებში დაცული და ექსპონირებული დეკორატიული ხელოვნების შესწავლის საკითხებზე. http://www.icom-icdad.com/

**ICEE** - International Committee for Exhibition Exchange/სამუზეუმო გამოფენების გაცვლის საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტი მუშაობს გამოფენების გაცვლის, შესწავლისა და განვითარების საკითხებზე, აგროვებს პოტენციური და არსებული გამოფენების შესახებ ინფორმაციას. ყოველწლიურად ატარებს სპეციალისტების შეხვედრებს მოცემულ სფეროში, სადაც ხდება მომავალი გამოფენების განხილვა და დაგეგმვაც კი. ყოველწლიური შეხვედრების დროს ტარდება "საგამოფენო იდეების ბაზრობა", სადაც მონაწილეებს შეუძლიათ წარადგინონ პროექტები ან მოიძიონ სამომავლო პარტნიორები. http://network.icom.museum/icee

**ICFA** - International Committee for Museums and Collections of Fine Arts/სახვითი ხელოვნების მუზეუმებისა და კოლექციების საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან მე-19 ს. სახვითი ხელოვნების სპეციალისტები. კომიტეტის საქმიანობა მოიცავს აგრეთვე მუზეუმების ექსპოზიციების, არქიტექტურისა და განვითარების საკითხებსაც. http://network.icom.museum/icfa

**ICLM** - International Committee for Literary Museums/ლიტერატურისა და მუსიკის

პროფილის მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტის მთავარი მიზანია საქმიანობის განვითარება შემდეგ საკითხებში: ლიტერატურული, ისტორიული და ბიოგრაფიული მუზეუმების კვლევა, პუბლიკაცია, გამოფენები და განათლება. http://network.icom.museum/iclm

**ICMAH** - International Committee for Museums and Collections of Archaeology and History/არქეოლოგიისა და ისტორიის მუზეუმებისა და კოლექციების საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც დაკავებულია არქეოლოგიისა და ისტორიის მუზეუმების შესწავლითა და განვითარების საკითხებით. კომიტეტი დაკავშირებულია ისტორიის ინტერპრეტაციასთან და მუშაობს სხვადასხვა საკვლევი მეთოდების განვითარებით ინტერდისციპლინარულ ფარგლებში. კომიტეტის წევრები არქეოლოგიას განიხილავენ, როგორც ისტორიული კვლევის ერთ-ერთ ვარიანტს. კომიტეტი ყოველწლიურად აწყობს შეხვედრებს და გამოსცემს საინფორმაციო და მეთოდოლოგიურ პუბლიკაციებს. http://network.icom.museum/icmah

**ICME** - International Committee for Museums and Collections of Ethnography/ეთნოგრაფიული მუზეუმებისა და კოლექციების საერთაშორისო კომიტეტი, მუშაობს ეთნოგრაფიული მუზეუმების პრობლემების შესწავლის საკითხებზე, აწყობს ყოველწლიურ შეხვედრებსა და კონფერენციებს. http://icme.icom.museum/

**ICMEMO** - International Committee of Memorial Museums in Remembrance of the Victims of Public Crimes/სამოქალაქო დანაშაულების მსხვერპლთა მემორიალური მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც მიეძღვნა 2001 წლის ივლისში სამოქალაქო დანაშაულების მსხვერპლთა ხსოვნას... ამ კომიტეტის ძირითადი მიზანია მეხსიერების ისტორიის შენარჩუნება, აგრეთვე სწავლების საშუალებით მომავალი კულტურული ურთიერთგავლენების განვითარება, რაც იუნესკოს ერთ-ერთ მთავარ მიზანსაც წარმოადგენს. http://network.icom.museum/icmemo/

**ICMS** - International Committee for Museum Security/სამუზეუმო უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტი - შედგება სამუზეუმო დაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და დაზღვევის სპეციალისტებისგან. კომიტეტი ახორციელებს პროფილურ ტრეინინგებს, ატარებს საკონსულტაციო შეხვედრებს ვანდალიზმის, ქურდობის, ხანძრისა და სხვა დაზიანებების შემთხვევებში. კომიტეტი ამერიკის სამუზეუმო დაცვის ეროვნულ საზოგადოებასთან ერთად ვაშინგტონში ორგანიზებას უწევს სპეციფიურ გამოფენა-ბაზრობას. http://network.icom.museum/icms/

**ICOFOM** - International Committee for Museology/მუზეოლოგიის საერთაშორისო კომიტეტი წარმოადგენს მუზეოლოგიური დებატების საერთაშორისო ფორუმს. მუზეოლოგია ფართო გაგებით მოიცავს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის, ურთიერთგავლენისა და გამოფენის საკითხებთან

დაკავშირებულ ნებისმიერ თეორიას, ინდივიდუალურ ან კოლექტიურ საქმიანობას სოციალურ კონტექსტში, სადაც "ადამიანს ობიექტთან" სპეციფიკური შეხება აქვს. კომიტეტი ასევე შეისწავლის სამუზეუმო პროფესიების სხვადასხვა ტიპებს, თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირს. კომიტეტის ყველა მასალა და კვლევა გამოიცემა და ვრცელდება კომიტეტის წევრებს შორის. http://network.icom.museum/icofom

**ICOM-CC** - Committee for Conservation/სამუზეუმო კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტი 22 სამუშაო ჯგუფში აერთიანებს მუზეუმის მცველებს, მეცნიერებს, კურატორებს და სხვა პროფესიონალებს, რომლებიც მუშაობენ კონსერვაცია-რესტავრაციის შესწავლასა და განვითარების საკითხებზე. კომიტეტი ყოველწლიური შეხვედრების პარალელურად ყოველ 3 წელიწადში ორგანიზებას უწევს დასკვნით შეხვედრებს, სადაც განიხილება ჩატარებული კვლევები და საქმიანობები. კომიტეტს გამოცემული აქვს 1000-მდე სპეციალური პუბლიკაცია. http://www.icom-cc.org/

**ICOMAM** - International Committee for Museums of Arms and Military History/იარაღებისა და სამხედრო ისტორიის მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტის მთავარი მიზანია სამხედრო შეიარაღების, არტილერიის, ნაგებობების, უნიფორმების, დროშების შესწავლა და განვითარება მუზეუმებსა და ორგანიზაციებში, სადაც დაცულია მსგავსი ტიპის ექსპონატები. ამ არტეფაქტების დაცვის მიდგომები მეცნიერული, ობიექტური და ჰუმანიტარული ხასიათისაა. კომიტეტი წელიწადში სამჯერ ატარებს კონგრესს და სიმპოზიუმს წინასწარ არჩეულ თემებზე. ამასთან, კომიტეტი დაინტერესებულია იარაღების სოციალურ კონტექსტში განხილვის, პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკაში, სოციოლოგიასა და ხელოვნებაში მისი როლის განსაზღვრის საკითხებით და ხაზს უსვამს სამხედრო ისტორიის მუზეუმებისა და კოლექციების კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად მოაზრების საკითხს. http://www.icomam.be

**ICOMON** - International Committee for Money and Banking Museums/ფულისა და ბანკის მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი შექმნილია ნუმიზმატიკური კოლექციებისა და ფინანსურ-ეკონომიკური ორგანიზაციებისა და კომპანიების მუზეუმებისთვის. კომიტეტი ძირითადად დაკავებულია მუზეოლოგიური პრობლემებით და აგრეთვე ფუნქციონირებს როგორც ფორუმი დისკუსიისთვის ექსპონატების დაცვის, ქურდობის, კონტროლის, მართვის, საგანმანათლებლო პრობლემების, კონცეფტუალური საკითხებისთვის. http://network.icom.museum/icomon/

**ICR** - International Committee for Regional Museums/რეგიონული მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი. მისი საქმიანობა მოიცავს რეგიონალური მუზეუმების

საკითხების შესწავლას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. კომიტეტი დაინტერესებულია რეგიონალური მუზეუმების ურთიერთგავლენით კულტურის, ისტორიის, გარემოს, სოციალური ინფრასტრუქტურისა და ენობრივი კულტურის მეშვეობით. ეს ძირითადად ეხება რეგიონალური მუზეუმების ფილოსოფიის, მეთოდოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთგავლენის საკითხებს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების პირობებში, რაც ძლიერ გავლენას ახდენს მილიონი ადამიანის თვითგამოხატვაზე. კომიტეტი წელიწადში ორჯერ გამოსცემს საინფორმაციო ბიულეტენს და ყოველწლიურად ატარებს წევრთა შეხვედრებს. http://network.icom.museum/icr

**ICTOP** - International Committee for the Training of Personnel/სამუზეუმო პერსონალის სწავლების საერთაშორისო კომიტეტი. მისი ძირითადი მიზანია მუზეუმების თანამშრომელთა სწავლება და პროფესიული განვითარება. კომიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს ICOM-ის სხვა კომიტეტებთან საერთო მიზნის მისაღწევად. მისი საქმიანობა მოიცავს სამუზეუმო სწავლების საერთაშორისო ლექსიკონის პერიოდულ გამოცემას და ყოველწლიური შეხვედრების ორგანიზებას. კომიტეტი ასევე წარმოადგენს სამუზეუმო პერსონალის ძირითადი პროგრამის საკონსულტაციო ორგანოს. http://ictop.org/

**INTERCOM** - International Committee for Museum Management/სამუზეუმო მენეჯმენტის საერთაშორისო კომიტეტი მუშაობს სამუზეუმო მენეჯმენტის განვითარების საკითხებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. კომიტეტისთვის მნიშვნელოვანია ICOM-ის რესურსული მართვის პოლიტიკური ფორმულირებისა და კანონიერების ასპექტების შენარჩუნება. კომიტეტის წევრები აგრეთვე ატარებენ მონიტორინგ ICOM-ის პროფესიული ეთიკის კოდექსის დაცვის თვალსაზრისით. http://www.intercom.museum

**MPR** - International Committee for Marketing and Public Relations/სამუზეუმო მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტი შედგება მარკეტინგისა და  კომუნიკაციის სფეროს სპეციალისტებისგან. კომიტეტი ხელს უწყობს საკუთარი წევრების პროფესიული სტანდარტების ამაღლებას, მარკეტინგისა და კომუნიკაციის საკითხებში გათვითცნობიერებას. http://network.icom.museum/mpr

**NATHIST** - International Committee for Museums and Collections of Natural History/ბუნების ისტორიის მუზეუმებისა და კოლექციების საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტი დაკავებულია სამუზეუმო კოლექციების სხვადასხვა სახის ბიოლოგიური ექსპონატების დაცვის საკითხებით, სადაც ასევე შედის ბუნების ისტორიისა და მეცნიერული მემკვიდრეობის ექსპონატებიც. კომიტეტი ასევე ხელს უწყობს

სამუზეუმო გამოფენების, კონფერენციების, საველე კვლევების ჩატარებით ფართო აუდიტორიის სწავლებას. https://icomnathist.wordpress.com/

**UMAC** - International Committee for University Museums and Collections/საუნივერსიტეტო მუზეუმებისა და კოლექციების საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტი წარმოადგენს იმ მუზეუმების სპეციალისტთა ფორუმს, რომლებიც მუშაობენ ან თანამშრომლობენ აკადემიურ (საუნივერსიტეტო) მუზეუმებში, გალერეებში ან კოლექციებში (ჰერბარიუმები და ბოტანიკური ბაღები). მუშაობის მიზანია უნივერსიტეტებში დაცული მემკვიდრეობის დაცვა. http://publicus.culture.hu-berlin.de/umac/

**ICOM -ის რეგიონული ალიანსები**

**ICOM ARAB** - International Council of Museums Arab Countries Alliance/არაბთა გაერთიანებული ქვეყნების რეგიონული ალიანსი წარმოადგენს არაბული ქვეყნების ეროვნული კომიტეტებისა და მუზეუმების პროფესიონალთა ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის ფორუმს. ალიანსი ICOM-ის რეგიონალური ორგანიზაციების პარტნიორია კულტურის კონსერვაციისა და კომუნიკაციის საკითხებში.

**ICOM ASPAC** - International Council of Museums Asia-Pacific Alliance/აზიისა და წყნარი ოკეანის მუზეუმების რეგიონული ალიანსი წარმოადგენს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის 24 ეროვნული კომიტეტისა და მუზეუმების პროფესიონალთა ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის ფორუმს. ალიანსი ICOM-ის რეგიონალური ორგანიზაციების პარტნიორია კულტურის კონსერვაციისა და კომუნიკაციის საკითხებში. http://www.chinamuseum.org.cn/ICOM-ASPAC.MUSEUM/

**ICOM EUROPE -** International Council of Museums Europe Alliance/ევროპის მუზეუმების რეგიონული ალიანსი წარმოადგენს ევროპის (ევროპის რეგიონის იუნესკოსეული განმარტებით, კანადის გამოკლებით) ეროვნული კომიტეტების ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის ფორუმს. ალიანსი ხელს უწყობს ეროვნულ კომიტეტებს მათი პროგრამების განხორციელებაში. ალიანსი ასევე ICOM-ის რეგიონალური ორგანიზაციების პარტნიორია. http://www.icom-europe.org/introduction.html

**ICOM LAC** - International Council of Museums Latin America & Caribbean Alliance/ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის მუზეუმების რეგიონული ალიანსი წარმოადგენს ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონის ეროვნული კომიტეტებისა და მუზეუმების პროფესიონალთა შორის ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის ფორუმს. ალიანსი ICOM-ის რეგიონალური ორგანიზაციების პარტნიორია კულტურის კონსერვაციისა და კომუნიკაციის საკითხებში.

**ICOM SEE** - International Council of Museums South East Europe Alliance/სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მუზეუმების რეგიონული ალიანსი წარმოადგენს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის 9 ეროვნული კომიტეტისა და მუზეუმების პროფესიონალთა შორის ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის ფორუმს. ალიანსი ICOM-ის რეგიონალური ორგანიზაციების პარტნიორია კულტურის კონსერვაციისა და კომუნიკაციის საკითხებში. http://www.icom-see.org/

**ICOM Affiliated organizations/ასოცირებული ორგანიზაციები**

**AEOM** - Association of European Open-Air Museums/ევროპის ღია ცის ქვეშ მუზეუმების ასოციაცია, http://aeom.eu/

**AFRICOM** - International Council of African Museums/აფრიკის მუზეუმების საერთაშორისო საბჭო, http://www.africom.museum/index.html

**AMOI -** Association of Museums of the Indian Ocean/ინდოეთის ოკეანის მუზეუმების ასოციაცია

**AIMA -** International Association of Agricultural Museums/სოფლის მეურნეობის/აგრიკულტურის მუზეუმების საერთაშორისო ასოციაცია. http://agriculturalmuseums.org/

**CAM -** Commonwealth Association of Museums/თანამეგობრობის ქვეყნების მუზეუმების ასოციაცია, http://www.maltwood.uvic.ca/cam/

**CIMAM -** International Committee for Museums and Collections of Modern Art/თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებისა და კოლექციების საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტი ძირითადად შედგება თანამედროვე ხელოვნების მუზეუმების დირექტორებისა და კურატორებისგან. კომიტეტის წევრები მონაწილეობენ ყოველწლიურ შეხვედრებში, რომელიც ეძღვნება პრაქტიკულ, ეთიკურ და ფილოსოფიურ პრობლემებს აღნიშნულ მუზეუმებში. ფორუმის მიზანია მეცნიერული ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა მსოფლიოს მუზეუმებს შორის, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმებისა და თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუციების როლის განმტკიცებას სოციალურ-კულტურულ განვითარებაში. http://cimam.org/

**EXARC** - International Organisation of Archaeological Open Air Museums and Experimental Archaeology/ღია ცის ქვეშ არქეოლოგიური მუზეუმებისა ექსპერიმენტული არქეოლოგიის საერთაშორისო ორგანიზაცია, http://exarc.net/

**FIHRM -** Federation of International Human Rights Museums/ადამიანის საერთაშორისო უფლებათა მუზეუმების ფედერაცია, http://www.fihrm.org/

**HO! I Hands On!** - International Association of Children's Museums/ბავშვთა მუზეუმების საერთაშორისო ასოციაცია, http://www.hands-on-international.net/

**IACCCA** - International Association of Corporate Collections of Contemporary Art/თანამედროვე ხელოვნების კორპორაციული კოლექციების საერთაშორისო ასოციაცია, http://www.iaccca.com/home.html

**IACM** - International Association of Customs/Tax Museums/საბაჟო და გადასახადების მუზეუმების საერთაშორისო ასოციაცია, http://www.customsmuseums.org/

**IAMFA -** International Association of Museum Facility Administrators/მუზეუმის ადმინისტრატორთა საერთაშორისო ასოციაცია, http://newiamfa.org/

**IAMH -** International Association of Museums of History/ისტორიული მუზეუმების საერთაშორისო ასოციაცია, http://www.iamh-aimh.org/

**IATM -** International Association of Transport and Communications Museums/ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მუზეუმების საერთაშორისო ასოციაცია, http://www.iatm.museum/

**ICAM -** International Confederation of Architectural Museums/არქიტექტურის მუზეუმების საერთაშორისო კონფედერაცია, http://www.icam-web.org/

**ICMM** - International Congress of Maritime Museums/საზღვაო მუზეუმების საერთაშორისო კონგრესი, http://www.icmmonline.org/

**MAC -** Museums Association of the Caribbean/კარიბის ზღვის მუზეუმების საერთაშორისო ასოციაცია, http://www.caribbeanmuseums.com/

**MINOM -** International Movement for a New Museology/საერთაშორისო მოძრაობა ახალი მუზეოლოგიისთვის, http://www.minom-icom.net/

**PIMA -** Pacific Islands Museum Association წყნარი ოკეანის კუნძულების მუზეუმების ასოციაცია

**SADCAMM** - Southern Africa Development Community Association of Museums and Monuments/სამხრეთ აფრიკის მუზეუმებისა და ღირსშესანიშნაობათა განვითარების ასოციაცია

**SIBMAS** - International Association of Libraries and Museums of the Performing Arts/საშემსრულებლო ხელოვნების მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების საერთაშორისო ასოციაცია, http://www.sibmas.org/

**ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტი** დაფუძნდა 2007 წელს.

**ძირითადი მიზნები:** ხელშეწყობა საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სრულყოფისათვის, ხელშეწყობა საქართველოში ICOM-ის პროგრამების გავრცელებისა და რეალიზაციისათვის, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობა სამუზეუმო საქმის საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებისათვის, თანამშრომლობა UNESCO-სა და ICOM-ის პროფესიულ ორგანიზაციებთან, ხელშეწყობა ქვეყნის მუზეუმების პროფესიონალთა ინტერესების დაცვისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის - საერთაშორისო და ადგილობრივი ტრეინიგების, სემინარების, ვორკშოპების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ორგანიზებით, მეთოდოლოგიური რეკომენდაციების შემუშავებით და გავრცელებით.

*საკონტაქტო ინფორმაცია:* ტელ: 593478164, ელ-ფოსტა: lana.karaia@gmail.com

**საქართველოს მუზეუმების ასოციაცია** დაფუძნდა 2002 წელს.

***მისია:*** საქართველოს მუზეუმების ასოციაცია წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის მოღვაწეობა მიმართულია სამუზეუმო საქმისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სრულყოფისაკენ, საქართველოს მუზეუმების რეორგანიზაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნისა და მუზეუმების სპეციალისტთა პროფესიონალიზმის ამაღლებისაკენ.

***მიზნები და ამოცანები:***

- მუზეუმების საქმიანობის კოორდინირება.
- სამუზეუმო საქმის განვითარებისათვის ხელშეწყობა და მისი განხორციელების პრაქტიკული გზების დასახვა.
- ასოციაციის წევრებსა და მუზეუმებს, საზოგადოებას შორის დიალოგი და აზრთა ურთიერთგაცვლა.
- სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის განვითარება და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.
- ასოციაციის წევრთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა.
- ახალგაზრდა სპეციალისტების პოტენციალის შესაბამისად წარმართვა, წახალისება და გამოყენება.

*საკონტაქტო ინფორმაცია:* ტელ: (+995 577) 725 450, ელ-ფოსტა: ingakaraia@gmail.com

## დანართები:

*დანართი 1*

### ვიზიტიორის კითხვარი

(ნიმუში)

გამარჯობა, მე მქვია....., ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტი ატარებს ვიზიტიორთა გამოკითხვას მუზეუმის აუდიტორიის შესწავლის მიზნით. იქნებ უპასუხოთ რამდენიმე შეკითხვას, ეს მცირე დროს წაგართმევთ.

თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ აუდიტორიის კვლევის მიზნით.

გმადლობთ!

**1. ეს თქვენი პირველი ვიზიტია ამ მუზეუმში?** დიახ ☐ არა ☐

**2. თუ არა, გთხოვთ მიუთითოთ მუზეუმში თქვენი პირველი ვიზიტი**

.....

**3.ვისთან ერთად ესტუმრეთ მუზეუმს?**

(შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

მარტო ☐ მეგობრებთან ერთად ☐ ოჯახთან ერთად ☐ სკოლასთან ერთად ☐ სხვა.....

**4.საიდან გაიგეთ მუზეუმის შესახებ?**

პრესა ☐ ტელევიზია ☐ მეგობარი ☐ ოჯახი ☐ სკოლა ☐ ინტერნეტი ☐ სხვა.....

**5. მუზეუმის გამოფენები:**

| | ძალიან ცუდი | ცუდი | საშუალო | კარგი | ძალიან კარგი |
|---|---|---|---|---|---|
| ექსპოზიცია/გამოფენა | | | | | |
| ეტიკეტები/წარწერები | | | | | |
| განათება | | | | | |
| კოლექციები/არტეფაქტები | | | | | |
| მულტიმედია | | | | | |
| ექსპოზიციის თანმხლები საგანმანათლებლო პროგრამები | | | | | |

**6. მუზეუმის რესურსები:**

| | ძალიან ცუდი | ცუდი | საშუალო | კარგი | ძალიან კარგი |
|---|---|---|---|---|---|
| ავტოსადგომი | | | | | |
| სალარო | | | | | |
| ინფორმაცია/ორიენტირება მუზეუმის სივრცეში | | | | | |
| მაღაზია | | | | | |
| რესურსები შშმ პირთათვის | | | | | |
| ექსპოზიციის თანმხლები საგანმანათლებლო პროგრამები | | | | | |

**7. მუზეუმის სერვისი:**

| | ძალიან ცუდი | ცუდი | საშუალო | კარგი | ძალიან კარგი |
|---|---|---|---|---|---|
| გიდის მომსახურება | | | | | |
| დაცვა | | | | | |
| სისუფთავე | | | | | |
| კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა | | | | | |
| საპირფარეშო | | | | | |
| ექსპოზიციის თანმხლები საგანმანათლებლო პროგრამები | | | | | |

**8. ზოგადად რა მოგეწონათ?** .....

**9. ზოგადად რა არ მოგეწონათ?** .....

**10. საერთოდ კმაყოფილი ხართ თქვენი ვიზიტით?** დიახ ☐ არა ☐

**11. გეგმავთ განმეორებით ვიზიტს ჩვენს მუზეუმში?** დიახ ☐ არა ☐

**12. გსურთ თუ არა მიიღოთ ინფორმაცია ჩვენს მომავალ გამოფენებსა თუ ღონისძიებებზე?** დიახ ☐ არა ☐

**13. რა სახით გსურთ მიიღოთ ჩვენგან ინფორმაცია:**
ტელეფონი ☐ E-mail ☐ SMS ☐ Facebook ☐

**14. თქვენი სახელი და გვარი:**

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
ტელეფონი: E-mail:

**15. ასაკი:** 6-10 ☐ 11-15 ☐ 16-19 ☐ 20-29 ☐ 30-39 ☐ 40-49 ☐ 50 და ზევით ☐

**16. სქესი:** მდედრობითი ☐ მამრობითი ☐

**17. ეროვნება:** ქართველი ☐ სხვა ☐

**18. განათლება:** არასრული საშუალო ☐ საშუალო ☐ არასრული უმაღლესი ☐ უმაღლესი ☐ სხვა ☐

**19. თქვენი საქმიანობა:** მოსწავლე ☐ სტუდენტი ☐ დიასახლისი ☐ სახელმწიფო სამსახური ☐ კერძო სამსახური ☐ თვითდასაქმებული ☐ სხვა ☐

**20. გთხოვთ წარმოგვიდგინოთ თქვენი წინადადებები:**

*დანართი 2*

## მუზეუმის ვიზიტიორთა უფლებები*

• **კომფორტი** - უზრუნველყავით ჩემი ძირითადი მოთხოვნები: დასვენება, სასუფთავე, უსაფრთხო საპირფარეშოები.

• **ორიენტაცია** - გახადეთ ჩემთვის იოლი მუზეუმში გზის გაგნება (კარგი სანიშნეები).

• **მიღება** - უნდა ვიგრძნო, რომ მე სიამოვნებით მიღებენ.

• **სიამოვნება** - მე მინდა, ვიყო აქ მხიარული – ბარიერებისა და მოსაწყენ აქტივობებათა გარეშე. მე არ შემიძლია ვიურთიერთო ისეთ საგნებთან, რაც გამაღიზიანებს ან შემაშინებს.

• **სოციალურობა** - მე მოვედი აქ, ჩემს მეგობრებსა და ოჯახთან ერთად დროის გასატარებლად. მინდა, შევძლო საუბარი და გამოცდილების გაზიარება.

• **პატივისცემა** – მიმიღეთ ისეთი, როგორიც ვარ და რაც ვიცი. მე არ მინდა ვიგრძნო თავი დაჩაგრულად ექსპონატების, ეტიკეტებისა თუ პერსონალის წინაშე.

• **კომუნიკაცია** - დამეხმაროთ, რათა გავიგო და ნება მომეცით, მეც ვისაუბრო (ვიზიტორებს მეტი აკურატულობა, თავაზიანობა და მკაფიო მესიჯები სჭირდებათ ეტიკეტების, პროგრამებისა და გიდების მეშვეობით. მათ სურთ, დასვან შეკითხვები, მოისმინონ და გამოხატონ განსხვავებული თვალსაზრისი).

• **სწავლა** - მე მინდა განსხვავებული გზებით ვისწავლო რაიმე ახალი. თქვენ შეგიძლიათ დამეხმაროთ, თუკი გააკონტროლებთ მუზეუმში ხმაურს, რიგებს ან ზედმეტი ინფორმაციით გადატვირთულობას.

• **არჩევანი და კონტროლი** - ნება მომეცით, ავირჩიო (ვიზიტიორებს სურთ გარკვეული ავტონომია, თავისუფლება, რათა შეეხონ საგნებს და იმოძრაონ თავისუფლად).

• **გამოწვევები და ნდობა** - მომაწოდეთ რაიმე გამოწვევა, რასაც შემიძლია მივსდიო. მე არ მსურს, ვიყო მოწყენილი ან ვიმუშაო ისეთ რამეზე, რაც ძალიან რთულია (უზრუნველყავით გამოცდილებათა ფართო ასორტიმენტი, რათა იგი შეესაბამებოდეს ვიზიტიორთა უნარ-ჩვევებს).

• **რევიტალიზაცია** - დამეხმარეთ, ვიგრძნო საკუთარ თავში რეგენერაცია (დრო სწრაფად გადის, როდესაც ვიზიტიორები მთლიანად დაკავებულნი არიან და ერთობიან).

---

* Judy Rand, *"The 227- Mile Museum, or a Visitors' Bill of Rights"* in Curator: The Museum Journal, vol.44, n°1, January 2000, pp.7-14.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბაგრატიონი თ., *ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს საქართველოისა,* სანკტ-პეტერბურგი, 1848 წ.
2. Bechler Michael, *Temporary Exhibitions in Museums.* 2002.
3. ბერაია ლ., კალანდია გ., ქარაია ი. *ზუგდიდის მუზეუმის გ ზამკვლევი,* საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოცემა, თბ., 2009.
4. Burcaw Ellis, *Introduction to Museum Study. Third Edition.* Alta mira Press, 1999.
5. *Brosse M., Rapports sur un voyage archéologique exécuté dans la Géorgie et dans l'Arménie en 1847-1848 sous les auspices du Prince Vorontzof Lieutenant du Caucase,* at Google Books, Saint Petersburg: Académie impériale des sciences, 1851
6. Bjorklund, D., *Children's Thinking: Cognitive Development and Individual Differences.* Belmont, CA:Wadsworth Publishing. 2000
7. გაზეთი "კვალი", 1895, 1900, 16-22.
8. ბრიტანეთის მუზეუმების ასოციაციის ვებ-გვერდი: www.museumsassociation.org/museums-change-lives
9. Cameron D., *A Viewpoint: The Museum as a Communications System and Implications for Museum Education.* // Curator, Vol. 11, #1, 1968.
10. ფლავიუს არიანე, *მოგ ზაურობა შავი ზღვის გარშემო,* ნ. კეჭაღმაძის თარგმანი და გამოცემა, თბ., 1961.
11. Frazer P. *Problematic Alexandria,* Oxford, 1972.
12. Freudenthal H., *Lincos: design of a language for cosmic intercourse,* Studies in logic… 1936.
13. Lichtwark A. *Ubungen in der Betrachtung von Kunstwerken.* Berlin. 1909.
14. ლორდი ბ., ლორდი გ., *სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი,* საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოცემა, თბ., 2006
15. ლუვრის ვებ-გვერდი: http://www.louvre.fr/en/history-louvre.
16. McLuhan M., Parker H. *Exploration of the Ways, Means and Values of Museum Education with the Viewing Public.* New York: Museum of the City of New York, 1969.
17. *Музейная пропаганда 1920-1930 гг. в зеркале прессы.* Пособие для аспирантов./Сост. Н. Г. Колокольцева, М. Ю. Юхневич. НИИ культуры МК РСФСР и АН СССР. М., 1991.
18. ჟორდანია გ., *კავკასიური მუზეუმის დაარსება,* თბ., 1951;
19. Радде Г., *Краткий очерк истории развития Кавказского музея в первые 25 лет существования,* Тфл., 1891;
20. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავზე,* ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1957, ტ. 19 და 21.
21. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ვებ-გვერდი: http://museum.ge/?sec_id=54.
22. Столяров Б., Соколова Н. Алексеева Н., *Основы экскурсионного дела.* Учебное пособие для студентов педагогических вузов. Санкт-Петербург, 2002.
23. ტენი ი., *ხელოვნების ფილოსოფია,* თბ., 1990.
24. ქარაია ი., Museion-Museum-მუზეუმი (*ტერმინ მუზეუმის განმარტებისათვის*), სტატია, ჟურნ. "სპექტრი", #1, ISSN 1512-2190, თბ., 2008.
25. Karaia I., *Georgian Museums at the Boundary of 21st Century - problems development perspectives.*

Caucasus Journal of Social Sciences. The University of Georgia, conference collected works, II International Conference (Gonio), vol. 4, issue 1, ISSN 1512-3677, თბ., 2011.
26 ქარაია ი., *საქართველოს მუზეუმების პრობლემები და განვითარების პერსპექტივები,* სტატია, ჟურნ. "სპექტრი", #1, ISSN 1512-2190, თბ., 2009.
27. ქარაია ი., *სამუზეუმო საქმის პრობლემები და საკითხები საქართველოში,* Eastern Partnership Culture Programme (Regional Co-operation for Cultural Heritage Development), E-Journal №1, http://rcchd.icomos.org.ge/?l=E&m=4-4&JID=1&AID=8&l2, 2012.
28. Гнедовский М., *Современные тенденции развития музейной коммуникации.* // Музееведение. Проблемы культурной коммуникации в музейной деятельности. Сб. научн. тр. НИИК. М., 1989. С. 21
29. Hudson K. *Museums for the 1980s - survey of world trends.* L., 1977. P. 7.
30. ჭილაშვილი ლ. *მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები (ლექციების კურსი),* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1984
31. კვარაცხელია ნ., არჩვაძე ე. გიდის ხელოვნება. მომზადდა პროფესიული კოლეჯის „ბლექსის" (ბათუმი) ბაზაზე, გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ. ISBN: 978-9941-9273-5-5, გამომცემლობა "საუნჯე", 2013.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი. დ. შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეა